

გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია

# საბაჟო საქმის თეორია

თბილისი -2009  
„პოლიგრაფი“

## ანოტაცია

წიგნი წარმოადგენს საბაჟო საქმის ზოგად თეორიას. მასში გადმოცემული პოსტულატები მიღებულია ცივილიზებული მსოფლიოს საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში.

წიგნი განკუთვნილია, როგორც სახელმძღვანელო სტუდენტათვის და ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: ვლადიმერ პაპავა, ეკონომიკის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს  
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპოდენტი.

რეცენზენტები: იაკობ მესხია, ეკონომიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;  
რევაზ კაკულია, ეკონომიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ISBN 978-9941-0-0842-9



## სარჩევი

ანოტაცია.....	2
რედაქტორისაგან.....	12
შესავალი.....	14
<b>თავი 1. საბაჟო საქმის საგანი.....</b>	<b>16</b>
§1.1 საბაჟო საქმე, როგორც სინთეზური .....	16
ეკონომიკური მეცნიერება.....	16
§1.2 სიტყვა „საბაჟოს“ ეტიმოლოგიისათვის .....	19
<b>თავი 2. ძირითადი საბაჟო კატეგორიები.....</b>	<b>23</b>
§2.1 საბაჟო ორგანო .....	23
§2.2 საქონელი .....	23
§2.3 საბაჟო საზღვარი.....	23
§2.4 საბაჟო ტერიტორია .....	23
§2.5 საბაჟო დეკლარაცია .....	23
§2.6 დეკლარანტი .....	23
§2.7 საბაჟო ტარიფი.....	23
§2.8 საბაჟო გადასახადი .....	24
§2.9 საბაჟო გადასახდელები.....	24
§2.10 საბაჟო ღირებულება .....	24
§2.11 მგზავრი.....	24
§2.12 პირადი ნივთები .....	24
§2.13 ბარგი(ხელბარგი).....	24
§2.14 კომერციული სატრანსპორტო საშუალება.....	24
§2.15 საქონლის გაშვება .....	24
§2.16 საბაჟო რეჟიმი.....	24
§2.17 საბაჟო დამუშავების ოპერაცია.....	25
§2.18 საბაჟო კონტროლი.....	25
§2.19 საქონლის წარმოშობა.....	25
§2.20 ეკვივალენტური საქონელი .....	25
§2.21 წარმომადგენელი.....	26
§2.22 სასაქონლო ნომენკლატურა (სასაქონლო კოდი).....	26
§2.23 საბაჟო სანყობი.....	26
§2.24 საქონლის დათვალიერება .....	26
§2.25 საბაჟო გარანტია.....	26
§2.26 საქონლის საბაჟო სტატუსი.....	26
§2.27 სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები .....	27
§2.28 არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.....	27
§2.29 საბაჟო კონტროლის ზონა.....	27
§2.30 საბაჟო სამართალდარღვევა.....	27

<b>თავი 3. საბაჟო ორგანოების ფუნქციები</b> .....	<b>28</b>
§3.1 შრომის საერთაშორისო დანაწილების .....	28
რეგულირების ფუნქცია .....	28
§3.2 ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია .....	29
<b>თავი 4. დეკლარანტის ცნება და ფუნქციები</b> .....	<b>33</b>
§4.1 დეკლარანტი და მისი უფლება-მოვალეობები .....	33
§4.2 პირდაპირი და ირიბი წარმომადგენელი .....	35
<b>თავი 5. საქონლის დეკლარირება</b> .....	<b>38</b>
§5.1 საქონლის წარდგენა და დეკლარირება საბაჟო საზღვარზე .....	38
§5.2 საქონლის გადაადგილება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საბაჟო ტერიტორიაზე .....	42
<b>თავი 6. საქონლის შენახვა (განთავსება) დროებით შენახვის საწყობში</b> .....	<b>44</b>
§ 6.1 დროებით შენახვის საწყობის არსი .....	44
§ 6.2 საქონლის შენახვის პროცედურები.....	46
<b>თავი 7. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა</b> .....	<b>48</b>
§7.1 სასაქონლო ნომენკლატურის არსი და სტრუქტურა.....	48
§7.2 სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენების წესები .....	52
<b>თავი 8. საბაჟო დეკლარაცია</b> .....	<b>55</b>
§8.1 საბაჟო დეკლარაციის არსი, ფორმები და სახეები .....	55
§8.2 საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია .....	60
§8.3 საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, შესწორება და გამოთხოვა .....	64
<b>თავი 9. ძირითადი საბაჟო დოკუმენტები</b> .....	<b>70</b>
§9.1 საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი .....	70
§9.2 ინვოისი (ანგარიშ-ფაქტურა) .....	72
§9.3 საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები (CMR)..	73
§9.4 კონსამენტი (საზღვაო ზედნადები) .....	79
§9.5 ავიაზედნადები და საჰაერო სატვირთო მანიფესტი .....	80
§9.6 შეფუთვის ფურცელი .....	83
§9.7 ხარისხის სერტიფიკატი.....	84
§9.8 ფიტოსანიტარული სერტიფიკატი.....	86
§9.9 პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი.....	87
<b>თავი 10. საქონლის დათვალიერება და სინჯების ან ნიმუშების აღება</b> .....	<b>89</b>
§10.1 საქონლის დათვალიერების არსი .....	89
§10.2 საქონლის სინჯების ან ნიმუშების აღება.....	94
<b>თავი 11. საბაჟო რისკების მართვის სისტემა საბაჟო კონტროლის დროს</b> .....	<b>96</b>
§11.1 საბაჟო რისკების არსი.....	96
§11.2 საბაჟო რისკების მართვის მექანიზმი.....	98

§11.3 პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი .....	104
<b>თავი 12. ფიზიკური პირების (მგზავრების) საბაჟო კონტროლი .....</b>	<b>108</b>
§12.1 მგზავრის საბაჟო დათვალიერება.....	108
§12.2 მგზავრის მიერ გადაადგილებული საქონლის (პირადი ნივთების) საბაჟო კონტროლი.....	112
<b>თავი 13. სპეციალური საბაჟო კონტროლი.....</b>	<b>116</b>
§13.1. ფიტოსანიტარული კონტროლი.....	116
§13.2. ვეტერინარული კონტროლი.....	118
§13.3. სამედიცინო – სანიტარული კონტროლი .....	121
§13.4. რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი.....	126
§13.5. ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის კონტროლი.....	128
§13.6. სავალუტო კონტროლი .....	130
§13.7. ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლი.....	132
§13.8. ინტელექტუალური საკუთრების კონტროლი.....	134
<b>თავი 14. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა .....</b>	<b>137</b>
§14.1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საერთაშორისო პრაქტიკის პრეისტორია.....	137
§14.2. საბაჟო ღირებულების ცნება და ფუნქციები .....	139
§14.3. საბაჟო ღირებულების დეკლარირება და საბაჟო კონტროლი ..	143
§14.4. გარიგების ფასის მეთოდი .....	145
§14.4.1. გარიგების ფასის გამოყენების წინაპირობები.....	145
§14.4.2. გარიგების ფასის ან საბაჟო ღირებულების კორექტირება .....	148
§14.4.3. გარიგების ფასის ან საბაჟო ღირებულების კორექტირების ელემენტები.....	150
§14.4.4. ფასდაკლება (დისქაუნტი) გარიგების ფასის დროს.....	154
§14.4.5. ინფორმაციის მატარებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.....	156
§14.5. იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი .....	157
§14.5.1. იდენტური საქონლის ცნება.....	157
§14.5.2. იდენტური საქონლის გარიგების ფასის გამოყენების დამატებითი პირობები .....	159
§14.5.3. იდენტური საქონლის გარიგების ფასის უმცირესი ღირებულების ამორჩევის პრინციპი.....	160
§14.6. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი .....	160
§14.6.1. მსგავსი საქონლის ცნება.....	161
§14.7. საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი.....	161
§14.7.1. საქონლის ერთეულის ფასის მეთოდის გამოყენების პირობები.....	162
§14.7.2. საქონლის ერთეულის ფასის კორექტირება .....	164
§14.8. საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი.....	164
§14.8.1. შედგენილი ღირებულების მეთოდის გამოყენების პირობები....	165

§14.8.2 შედგენილი ღირებულების ელემენტები.....	166
§14.9 სარეზერვო მეთოდი.....	167
§14.9.1 სარეზერვო მეთოდის დროს სხვა მეთოდების მოქნილად გამოყენების პირობები .....	167
§14.9.2 ფასები, რომელიც არ გამოიყენება სარეზერვო მეთოდის დროს.....	168
<b>თავი 15. საქონლის მიწოდების პირობები (ინკოტერმს–2000).....</b>	<b>169</b>
§15.1 ზოგადი მიმოხილვა .....	169
§15.2 EXW (EX Works(... named place))ფრანკო ქარხანა (... დასახელებული ადგილი) .....	171
§15.3 FCA (Free Carrier(... named place)) ფრანკო გადამზიდველი(... დასახელებული ადგილი).....	173
§15.4 CPT (Carriage Paid To (... named place of destination)) ფრანკტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი).....	175
§15.5 CIP (Carriage and Insurance Paid To (... named place of destination)) ფრანკტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი) .....	177
§15.6 DAF (Delivered At Frontier(... named place)) მიწოდება საზღვრამდე(... მითითებული მიწოდების ადგილი) .....	180
§15.7 DDU (Delivered Duty Unpaid (... named place of destination)) მიწოდება გადასახადების გადახდის გარეშე (... მითითებული დანიშნულების ადგილი) .....	182
§15.8 DDP (Delivered Duty Paid (... named place of destination)) მიწოდება გადასახადების გადახდით (... მითითებული დანიშნულების ადგილი).....	184
§15.9 FAS (Free Alongside Ship (... named port of shipment)) ფრანკო გემის ბორტთან (... ჩატვირთვის მითითებული პორტი) .....	186
§15.10 FOB (Free On Board(... named port of shipment)) ფრანკო გემის ბორტი (... ჩატვირთვის მითითებული პორტი).....	188
§15.11 CFR (Cost and Freight (... named port of destination)) ღირებულება და ფრანკტი(... დანიშნულების მითითებული პორტი) .....	190
§15.12 CIF (Cost, Insurance and Freight (... named port of destination)) ღირებულება, დაზღვევა და ფრანკტი (... დანიშნულების მითითებული პორტი) .....	192
§15.13 DES (Delivered Ex Ship (... named port of destination)) მიწოდება გემიდან (... დანიშნულების მითითებული პორტი) .....	194
§15.14 DEQ (Delivered Ex Quay (... named port of destination)) .....	196
მიწოდება ნავმისადგომიდან (... დანიშნულების მითითებული პორტი). 196	
<b>თავი 16. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა.....</b>	<b>199</b>
§16.1. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის არსი და ფუნქციები .....	199

§16.2. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები...	200
§16.2.1. მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული (მიღებული) საქონლის კრიტერიუმი.....	201
§16.2.2. ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი.....	202
§16.2.3. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი .....	203
§16.2.4. აუცილებელი სანარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი.....	204
§16.3. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს გაუთვალისწინებელი ფაქტორები .....	205
§16.4. განსაკუთრებული შემთხვევები საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს.....	205
§16.5. საქონლის წარმოშობის დადასტურება.....	206
§16.5.1 წარმოშობის სერტიფიკატი .....	207
§16.5.1.1 წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა და მისი შევსების წესი .....	209
§16.5.2 წარმოშობის დამონმებული დეკლარაცია და წარმოშობის დეკლარაცია.....	212
§16.5.3 წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების კონტროლი საბაჟო ორგანოს მიერ .....	212
§16.5.4 წარმოშობის პრეფერენციული და არაპრეფერენციული სერტიფიკატები .....	214
<b>თავი 17. საბაჟო გადასახდელები</b> .....	<b>216</b>
§17.1 საბაჟო გადასახდელების დარიცხვა .....	216
§17.2 საბაჟო გადასახდელების გადახდა.....	218
§17.3 საბაჟო გადასახდელების დაბრუნება .....	221
§17.4 საბაჟო მოსაკრებლები .....	223
§17.5 საბაჟო ტარიფი (საბაჟო გადასახადი).....	224
§17.5.1 საბაჟო გადასახადის ფუნქციები .....	228
§17.6 ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი.....	231
§17.7 საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი .....	233
§17.7.1 საექსპორტო სუბსიდიების ჩამონათვალი .....	235
§17.7.2 სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო სუბსიდიების ჩამონათვალი.....	237
§17.7.3 სუბსიდიის სახეები და აკრძალული სუბსიდიის გასაჩივრება... ..	238
§17.7.4 სერიოზული ზარალის მიყენების შემთხვევები სუბსიდირების დროს .....	240
§17.7.5 საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღება და მისი ოდენობის განსაზღვრა.....	241
§17.8 სპეციალური საბაჟო გადასახადი .....	242
§17.9 სეზონური საბაჟო გადასახადი.....	243

§17.10 აგრარული საბაჟო გადასახადი .....	244
§17.10.1 აგრარულ საქონელზე დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღების თეორიული საფუძვლები .....	245
§17.11 აქციზი.....	246
§17.12 დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).....	247
<b>თავი 18. საბაჟო გარანტიები.....</b>	<b>250</b>
§ 18.1 საბაჟო გარანტიის არსი და ფორმები.....	250
§ 18.2 საბაჟო გარანტიის წარდგენის შემთხვევები.....	253
და საგარანტიო თანხების განსაზღვრა .....	253
<b>თავი 19. საბაჟო რეჟიმები (დამუშავების ოპერაციები) .....</b>	<b>255</b>
§19.1 ზოგადი პრინციპები .....	255
§19.2 იმპორტის საბაჟო რეჟიმი.....	257
§19.3 ექსპორტის საბაჟო რეჟიმი.....	259
§19.3.1 უცხოური ინვესტიციების სტიმულირების საფუძველი საექსპორტო საქონლის წარმოების ასპექტით .....	261
§19.3.2 ზოგიერთი საბანკო ოპერაცია ექსპორტის დროს .....	262
§19.3.3 საქონლის ექსპორტი და ეროვნული ვალუტის დეველვაცია.....	263
§19.4 რეიმპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია .....	265
§19.5 რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია .....	267
§19.6 ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი .....	269
§19.7 საბაჟო სანჯობის საბაჟო რეჟიმი.....	277
§19.8 უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.....	282
§19.9 საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი .....	284
§19.10 საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი .....	290
§19.11 დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი .....	293
§19.12 თავისუფალი საბაჟო ზონის ან თავისუფალი საბაჟო სანჯობის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.....	297
§19.13 სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.....	300
§19.14 საქონლის განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაცია.....	302
§19.15 საქონლის მარაგების გადაადგილების საბაჟო დამუშავების ოპერაცია .....	305
<b>თავი 20. საბაჟო სტატისტიკა .....</b>	<b>309</b>
§20.1 საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა .....	309
§20.2 სპეციალური საბაჟო სტატისტიკა .....	311
<b>თავი 21. საბაჟო სამართალდარღვევები .....</b>	<b>313</b>
§21.1 საბაჟო სამართალდარღვევის არსი .....	313
§21.2 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი .....	316

თავი 22. ძირითადი საერთაშორისო საბაჟო კონვენციები.....	318
§22.1 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ ( კიოტო, 1973 წლის 18 მაისი. განახლებულია 2006 წლის 3 თებერვალს).....	318
§22.2 „თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი“ ( ბარსელონა, 1921 წლის 20 აპრილი.).....	321
§22.3 „კონტინენტთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია“ ( ჟენევა, 1972 წლის 2 დეკემბერი.).....	322
§22.4 „საერთაშორისო კონვენცია საზღვარზე ტვირთის კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“ ( ჟენევა, 1982 წლის 21 ოქტომბერი.).....	325
§22.5 „1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	327
§22.6 „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-6 მუხლის გამოყენებაზე“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	330
§22.7 „შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	332
§22.8 „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	334
§22.9 „შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	335
§22.10 „შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	336
§22.11 „შეთანხმება გადაზიდვის წინა ინსპექციის შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	336
§22.12 „შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	337
§22.13 „შეთანხმება წარმოშობის ნუსების შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	338
§22.14 „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“ ( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.).....	339
§22.15 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო საკითხებში ორმხრივი ადმინისტრაციული დახმარების შესახებ“ (ბრიუსელი, 2003 წლის 27 ივნისი. განახლებული იპოანესბურგის კონვენცია.).....	339
§22.16 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების განევის შესახებ საბაჟო სამართალდარღვევების აღკვეთისა და გამოძიების სფეროში“ (ნაირობი, 1997 წლის 3 ივნისი.).....	340

§22.17 „საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების პარამონიზებული სისტემის შესახებ“ (ბრიუსელი, 1983 წლის 14 ივნისი.).....	341
§22.18 „არუმას განახლებული საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს დეკლარაცია საბაჟოში კეთილსინდისიერ მართვასა და ინტეგრირებასთან დაკავშირებით“ (არუმს(ატანზანია), 1993 წლის 7 ივლისი. განახლებულია 2003 წლის ივნისში.) .....	342
§22.19 „ფლორენციის შეთანხმება საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ“ (ლოქ საქსესი(ნიუ-იორკი), 1950 წლის 22 ნოემბერი) და „საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმების ოქმი“ ( ნაირობი, 1976 წელი).....	344
§22.20 „კონვენცია ტურისტთა საბაჟო შეღავათების შესახებ“ (ნიუ-იორკი, 1954 წლის 4 ივნისი.) .....	344
§22.21 „საბაჟო კონვენცია TIR–კარნეტის გამოყენებით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ“ (ჟენევა, 1975 წლის 14 ნოემბერი.).....	346
§22.21.1 TIR–კარნეტის კონვენციის მიღების მოკლე ისტორია .....	347
§22.21.2 TIR–კარნეტის სისტემის არსი და სტრუქტურა .....	347
§22.21.3 საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (MCAT) და სადაზღვევო კომპანიები .....	348
§22.21.4 საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (MCAT) და საგარანტიო გაერთიანებები .....	348
§22.21.5 საგარანტიო გაერთიანებები და გადამზიდველები.....	349
§22.21.6 საგარანტიო გაერთიანებები და საბაჟო ორგანოები.....	350
§22.21.7 TIR–კარნეტის მოქმედების სფერო .....	351
საგარანტიო უზრუნველყოფის პირობებში.....	351
§22.21.8 TIR–კარნეტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება .....	352
§22.21.9 საგარანტიო უზრუნველყოფისა და TIR–კარნეტის გაფორმების პროცედურები.....	353
§22.21.10 TIR–ნიგაკის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებებისა და, მათ შორის, კონტეინერების დროებით შემოტანის დროს.....	358
§22.21.11 TIR–ნიგაკის გამოყენების პროცედურები გამგზავნ და დანიშნულების საბაჟო ორგანოებში.....	359
§22.21.12 დავების დარეგულირება TIR–კარნეტის გამოყენების პირობებში .....	363
§22.22 „კონვენცია დროებით შემოტანის შესახებ“ (სტამბული, 1990 წლის 26 ივნისი.).....	363
§22.22.1 ATA–კარნეტის კონვენციის მიღების მოკლე ისტორია.....	364
§22.22.2 ATA–კარნეტის არსი და გამოყენების სფერო .....	365
§22.22.3 სავაჭრო–სამრეწველო პალატების საერთაშორისო ბიურო	



(IBCC) და ნაციონალური სავაჭრო – სამრეწველო პალატები.....	365
§22.22.4 საბაჟო გადასახდელების გადახდის	
საგარანტიო უზრუნველყოფა .....	366
§22.22.5 დროებით შემოტანის ვადები .....	368
§22.22.6 დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულება .....	369
§22.22.7 დავების დარეგულირება ATA(CPD)-	
კარნეტის გამოყენების პირობებში.....	370
გამოყენებული ლიტერატურა .....	371

## რელაქტორისაგან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების სახეობის – საბაჟო ურთიერთობების შესაბამის კატეგორიალურ აპარატში სისტემატიზებული ასახვის პრეცედენტს. მასში სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი სტილით და პოზიტიური ფორმით გადმოცემულია ყველა ის ძირითადი და არსებითი ფაქტორული საკითხები, რაც მთლიანად მოიცავს შესაბამის მაკროეკონომიკურ ურთიერთობებს.

საბაჟო საქმე, როგორც ეკონომიკური მეცნიერული დისციპლინა წარმოდგენილია სინთეზური ეკონომიკური მეცნიერების სახით, რაც იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ იგი შესაბამისი მოცულობით იყენებს სხვა შესაბამისი მეცნიერებების დებულებებს, რომლის გარეშეც საბაჟო კონტროლი, როგორც საბაჟო საქმის ცენტრალური საკითხი შეუძლებელი გახდება.

მნიშვნელოვანია, რომ წიგნში გამოიჯნულია საბაჟო საქმის ორი ძირითადი ფუნქცია: შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქციები, რაც თავის ადგილს უჩენს საბაჟო საქმეს, როგორც მეცნიერებას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულაციის მრავალფაქტორიან სფეროში.

საინტერესოა, რომ საბაჟო გადასახადი განხილულია, როგორც საერთაშორისო დიფერენციული რენტის ნაირსახეობა და შესაბამისად საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემოღების მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღიარებულია ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებში ანალოგიურ საქონელთა ფასთა შორის სხვაობა.

ცალკე აღნიშვნის საგანია საქონლის ექსპორტის ზრდის სტიმულირების მექანიზმად მონეტარული პოლიტიკის რეგულირების ელემენტების გამოყენება. კერძოდ, ეროვნული ვალუტის დევალვაციისა და საექსპორტო საქონლის წარმოების ხარჯების კაზუალური კავშირების ფაქტი.

მთლიანობაში ნაშრომი წარმოადგენს საბაჟო სისტემის, როგორც ინსტიტუციონალური, ფუნქციონალური, პრაქტიკული და თეორიული მოდელის კომპლექსური წარმოჩენის ნიმუშს, რომელიც არ არის დაკავშირებული ვიწრო და ლოკალური საბაჟო სისტემების ცვლილებებზე.

მიგვაჩნია, რომ წიგნი, როგორც სახელმძღვანელო, მნიშვნელოვანი შენაძენია შესაბამისი სფეროს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ასპექტით და იგი დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს.



## შესავალი

საბაჟო საქმის საკითხებზე მრავალი მონოგრაფია და, მათ შორის, სახელმძღვანელო არსებობს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ყველა მათგანი, როგორც წესი, კონკრეტული ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობაზეა დამყარებული. შესაბამისად, კანონმდებლობის ცვლილება ამ წიგნების პოსტულატების და ფაქტების მნიშვნელოვან ნაწილს უსარგებლოს ხდის.

საბაჟო სფერო, როგორც ასეთი, საქართველოში (და საბჭოთა კავშირშიც) ფაქტობრივად არ იყო კვლევის არეალში და იგი არც ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში. ეს გაპირობებული იყო „რკინის ფარდის“ ლოგიკით.

რამდენადაც წიგნი წარმოადგენს ზოგად თეორიას, იგი მოიცავს ფაქტობრივად ყველა იმ არსებით საკითხს, რაც უკავშირდება საბაჟო პრაქტიკასა და თეორიას. ამასთან, წიგნი არ ეყრდნობა უშუალოდ არცერთი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობას და იგი შექმნილია ცივილიზებულ მსოფლიოში მოქმედი იმ ზოგადი ნორმების მიხედვით, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს საერთაშორისო საბაჟო კონვენციებში. შესაბამისად, იგი პრაქტიკულად „არ ემორჩილება“ დროის მდინარებას, თუ არ ჩავთვლით, რომ ეკონომიკური და, მათ შორის საბაჟო ურთიერთობების სრულყოფა პერმანენტული პროცესია.

წიგნი წარმოდგენილია, როგორც სახელმძღვანელო და მასში შესაბამისი საკითხები გადმოცემულია მსჯელობის პოზიტიური ფორმით და იმ ჩარჩოებში, რაც მიღებულია სწორედ ამ ტიპის ნაშრომებისათვის.

ავტორთათვის ეს ნაშრომი წარმოადგენს საბაჟო საკითხებზე გამოქვეყნებულ რიგით მე-14 წიგნს და იგი 10-წლიანი შრომის შედეგია.

ავტორები გულისხმიერებით მიიღებენ შენიშვნებსა და წინადადებებს.

და ბოლოს, „ლირიკული გადახვევისათვის“:

პირველი ცნობილი მებაჟე ახალი აღთქმის ავტორი მათე იყო, ხოლო პირველი მეცნიერი მებაჟე-მსოფლიოში №1 ეკონომისტი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი ადამ სმიტი, რომელიც მუშაობდა შოტლანდიის საბაჟო საბჭოში ამ საბჭოს წევრად.

აღსანიშნავია, რომ 1992 წლიდან საქართველოს საბაჟოში მრავალი სახელოვანი ადამიანი მუშაობდა. მათ შორის იყვნენ: ცნობილი მომღერლები გიო ზუციშვილი და თემურ თათარაშვილი, თბილისის „დინამოს“ ცნობილი მეკარე დავით გოგია, მსოფლიო ჩემპიონი სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში ვახტანგ ბლაგიძე და სხვა.

# თავი 1. საბაჟო საქმის საგანი

## §1.1 საბაჟო საქმე, როგორც სინთეზური ეკონომიკური მეცნიერება

ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომლის მიხედვით ხილული და უხილავი სამყაროს ერთობლიობას სინამდვილე ეწოდება. თავის მხრივ სინამდვილე სამ ნაწილად იყოფა: ბუნება, საზოგადოება და აზროვნება.

ბუნებას სწავლობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. მაგ. ისეთი, როგორიც არის ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ.

საზოგადოებას სწავლობს საზოგადოებრივი ანუ ჰუმანიტარული მეცნიერებები. მაგ. ისეთი, როგორიც არის ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია, ფილოლოგია, იურისპუდენცია, მედიცინა და ა.შ.

აზროვნებას სწავლობს ლოგიკის მეცნიერება.

ეკონომიკა, როგორც მეცნიერება თავის მხრივ მრავალწახნაგოვანი სფეროა, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ ურთიერთობების ასახვას წარმოადგენს შესაბამისი კატეგორიალური(ცნებითი) აპარატის საშუალებით. კერძოდ, ეკონომიკის, როგორც სინამდვილის ერთი ნაწილის ასახვა თეორიაში შესაბამისი ცნებების საშუალებით ხორციელდება მრავალი ეკონომიკური მეცნიერული დისციპლინის საშუალებით. ისინი წარმოადგენენ ეკონომიკის შესაბამის სეგმენტებს. ეს მეცნიერებებია:

- ა) ეკონომიკის ანუ ეკონომიკის ზოგადი თეორია;
- ბ) მარკეტინგი;
- გ) მენეჯმენტი;
- დ) მიკროეკონომიკა;
- ე) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
- ვ) საფინანსო საქმე(ფინანსების თეორია);
- ზ) საგადასახადო საქმე;
- თ) საბანკო საქმე;
- ი) სადაზღვევო საქმე და სხვა.

ზემოაღნიშნული მეცნიერული დისციპლინებიდან უზოგადესია ეკონომიკის, რომლისგანაც გამომდინარეობს სხვა დანარჩენი კონკრეტული მეცნიერებები. რაც შეეხება მარკეტინგს, მენეჯმენტს, მიკროეკონომიკას და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ისინი გამომდინარეობენ ეკონომიკის ზოგადი პრინციპებიდან და ასახავენ შესაბამისად ბაზრის, წარმოების მართვისა და საგარეო-სავაჭრო და სხვა სახის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

საბაჟო საქმის შესწავლის ობიექტი ძვეს სწორედ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რამდენადაც საბაჟო ურთიერთობები წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობებს, კონკრეტულად კი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილს-კერძოდ, საბაჟო ურთიერთობები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ სასაქონლო-სავაჭრო ნაწილია. ეს გაპირობებულია იმით, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს აგრეთვე საგარეო-საკრედიტო, საგარეო-საფინანსო, საგარეო-სამომსახურებო (მომსახურების შემოტანა-გატანა) ურთიერთობებს. ამდენად, საბაჟო საქმე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც უფრო ზოგადი დისციპლინის ნაწილია.

საბაჟო საქმის მონათესავე ეკონომიკურ დისციპლინებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ეკონომიკური საგნები, როგორიც არის:

- ა) მარკეტინგი;
- ბ) მენეჯმენტი;
- გ) საფინანსო საქმე;
- დ) საგადასახადო საქმე.

საბაჟო საქმის შესწავლის ობიექტია საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები. რაც შეეხება შესწავლის საგანს, იგი წარმოადგენს საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო ორგანოსა და შესაბამის პირებს შორის წარმოშობილ საბაჟო ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები მოვლენათა ზედაპირზე ჩანს ისეთი საბაჟო-ეკონომიკური კატეგორიების სახით, როგორიც არის: იმპორტი, ექსპორტი, საქონლის საბაჟო დამუშავების სხვა ოპერაციები, საბაჟო გადასახდელები, არასატარიფო ღონისძიებები და სხვა.

რამდენადაც, სასაქონლო ვაჭრობა და, მათ შორის, საგარეო

სასაქონლო ვაჭრობა წარმოადგენს ეკონომიკის ნაწილს დაჯრამდენადაც საბაჟო მეცნიერება იკვლევს ეკონომიკის ამ სფეროს ნაწილს, იმდენად იგი წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებას. ამასთან საინტერესოა, რომ კვლევის ობიექტიდან და საგნიდან გამომდინარე საბაჟო საქმეს მჭიდრო შეხება აქვს არაეკონომიკური ხასიათის მეცნიერებებთან და მრავალ შემთხვევაში პირდაპირ იყენებს მათ შედეგებს. ეს გაპირობებულია საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მრავალფეროვნებით და ბუნებით. კერძოდ, სხვადასხვა საქონლის ფიზიკურ-ქიმიური და ფუნქციური მახასიათებლები იწვევენ საბაჟო კონტროლის განხორციელების დროს გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პოსტულატები. ამასთან, საბაჟო კონტროლის ღონისძიებები წმინდა ტექნიკურ ხასიათს ატარებს და ამ აზრით ზოგჯერ ხმარობენ „საბაჟო საქმის ტექნოლოგიის“ ტერმინს, რაც სწორედ საბაჟო პროცედურების განხორციელების მექანიზმს ასახავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბაჟო საქმე არის სინთეზური ეკონომიკური მეცნიერება და იგი უშუალოდ იყენებს ისეთი მეცნიერებების მიღწევებს, როგორც არის:

- ა) ფიზიკა;
- ბ) ქიმია;
- გ) ტექნიკა;
- დ) ბიოლოგია;
- ე) მედიცინა;
- ვ) ვეტერინარია;
- ზ) ხელოვნებათმცოდნეობა;
- თ) საქონელმცოდნეობა;
- ი) სამართალი(საბაჟო სამართალი).



## §1.2 სიტყვა „საბაჟოს“ ეტიმოლოგიისათვის

ცნობილია, რომ ახალ აღთქმაში ბერჯერ არის მოხსენიებული სიტყვა „საბაჟო“ და შესაბამისად მებაჟე. თვით ერთ-ერთი სახარების ავტორი არის მებაჟე-მათე. ქვემოთ გთავაზობთ ბიბლიიდან შესაბამის ციტატებს, რომელიც შესრულებულია ახალი ქართულით:

ა) „ვინაიდან, თუ თქვენ მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასევე არ იქცევიან?“ (მათე, 6, 46);

ბ) „იქაურობას, რომ გამორდა, იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას: „გამომყევი“. ისიც წამოდგა და გაყვა მას. მოხდა ისე, რომ როცა ის სუფრასთან იჯდა სახლში, მრავალი მებაჟე და ცოდვილი მოვიდა და ჩამოჯდა იესოს და მისი მოწაფეების გვერდით. ეს, რომ ფარისევლებმა დაინახეს უთხრეს მის მოწაფეებს: „რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?“. ხოლო მან გაიგონა ეს და უთხრა მათ: „მკურნალი ჯანმრთლებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ“ (მათე, 9);

გ) „მოვიდა ძე კაცისა, ჭამს და სვამს, და ამბობენ: „აჰა, კაცი, რომელსაც უყვარს ჭამა და ღვინის სმა, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი, და მისი სიბრძნე საქმეებითაა გამართლებული“ (მათე, 12, 19);

დ) „თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი. თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებაჟე“ (მათე, 18, 17);

ე) „ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?“ მიუგეს მას: „აირველმა“. უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავეები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში. ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავეები ერწმუნენ. თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ მოინანიეთ, რათა გერწმუნათ იგი“ (მათე, 21, 22);

ვ) „კვლავ გავიდა ზღვაზე. მთელი ხალხი მიდიოდა მასთან და იქ ასწავლიდა მათ. გაიარა და დაინახა საბაჟოსთან მჯდომარე ლევი ალფესი და უთხრა: „გამომყევი მე“. ისიც ადგა და გაყვა მას“ (მარკოზი, 2-13, 14);

ზ) „მოვიდნენ მებაჟენიც მოსანათლავად და უთხრეს მას: „მოდღვარო,რა ვქნათ?“ ხოლო მან უპასუხა:„თქვენთვის დაწესებულის მეტს ნურაფერს მოითხოვთ“.(ლუკა, 3-12,13);

თ) „და,ჰა,იყო კაცი ვინმე,სახელად ზაქე—მებაჟეთა უფროსი და მდიდარი. სურდა მას იესოს ხილვა,რომ გაეგო ვინ იყო იგი,მაგრამ ვერ შეძლო ხალხის სიმრავლის გამო,ვინაიდან ტანად დაბალი იყო. წინ გაიქცა და ლელვის ხეზე ავიდა, რათა დაენახა, რადგან იესოს აქით უნდა გამოეელო. იმ ადგილას, რომ მივიდა იესომ აიხედა მაღლა და უთხრა: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე“. სწრაფად წამოვიდა და სიხარულით მიიღო იგი. ვინც,კი დაინახა,ყველანი ბუზღუნს მოჰყენენ და ამბობდნენ: ცოდვილ კაცთან შევიდაო. ზაქე წამოდგა და უთხრა უფალს: „აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუ ვინმესთვის რამე გამომიძალავს,ოთხმაგად მივაგებ“. იესომ უთხრა მას: „დღეს მოხდა ამ სახლის ხსნა,რაკი ისიც აბრაამის ძეა. ვინაიდან კაცის ძე მოვიდა დაკარგულის მოსაძებნად და სახსნელად“.(ლუკა 19).

ზემოაღნიშნული სიტყვები „საბაჟო“ და „მებაჟე“ ძველი ქართულით თარგმნილ ახალ აღთქმაში ყველგან მოხსენიებულია, როგორც „საზუერე“ და „მეზუერე“.

აღსანიშნავია, რომ მე-7-9 საუკუნეების ევროპის ქალაქებში მებაჟეს მაღალი სტატუსი ჰქონდა სხვა ჩინოვნიკებს შორის. მაგ. მებაჟეს ქალაქის ჩინოვნიკურ იერარქიაში მესამე ადგილი ეკავა გრაფისა და მერის შემდეგ,ხოლო მეოთხე ადგილზე იყო—ხაზინადარი. ამასთან, თუ გრაფს და მერს ნიშნავდნენ—მებაჟეს და ხაზინადარს ირჩევდნენ და ათავისუფლებდნენ ქალაქის მოსახლეობიდან დემოკრატიული წესით.

„ბაჟი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც წერილობით წყაროებში საქართველოში პირველად მე-11 საუკუნეში მოიხსენიება შიო მღვიმის მონასტრისადმი გიორგი მეორის სიგელში. როგორც აღვნიშნეთ, ადრე ბაჟის ქართული სახელი იყო „ზუერი“ („ზვერი“). ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიური ასპექტით საინტერესოა „ზუერის“,როგორც საბაჟო გადასახადის ისეთ სიტყვებთან შესაძლო კავშირი, როგორიცაა: „ზღვარი“, „სა—ზღვარი“, „სა—ზღაური“, „ზვარ—აკი“, „ზვარი“, რომელიც ლინგვისტური კვლევის სფეროს წარმოადგენს.

ამასთან სიტყვა „ბაჟი“ და შესაბამისად „საბაჟო“ იმდენად ადრეა შემოსული საქართველოში, რომ სოფლის სახელადაც გვევლინება(მაგ. ხობის რაიონში არის სოფელი „საბაჟო“).

აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ენაში „ტამოჟნს“ ნაცვლად—„საბაჟოს“ ილია ჭავჭავაძემ გაუკაფა გზა.

სიტყვა „საბაჟოს“, როგორც, მეტაფორას რელიგიური მიმართებაც ჰქონია. კერძოდ, უცხო სიტყვათა ლექსიკონში (შემდგენელი, სოლომონ(ბიჭი) თეზელიშვილი. თბ. 2005 წ.) შემდგენიარად არის ეს ტერმინი განმარტებული: „საზვერე(საბაჟო). ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი სული იწყებს ზეცაში ასვლას მფარველი ანგელოზების წინამძღოლობით, მაშინ ბნელი სულები წარუდგენენ მას აღსარების საიდუმლოებაში მოუნანიებელ ცოდვებს. ყოველ ცოდვას თავისი დემონი ჰყავს მიჩნეული და შესაბამისი საზვერე, სადაც მოიკითხება ეს ჩადენილი ცოდვები: პირველი საზვერე—მოიკითხება ამო მეტყველებით, მეორე—შენხედვით, მესამე—სმენით, მეოთხე—ყნოსვით, მეხუთე—ხელით ჩადენილი ყველა უკანონო და ბილწი საქმე, ხოლო შემდეგში მოიკითხება: მრისხანება, შური, სიძულვილი, სიამაყე, სიძვა და სხვა მომაკვდინებელი ცოდვები. საზვერეებზე დემონების გარდა იმყოფებიან ანგელოზებიც, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებს—თუ, სიკეთემ გადაწონა ბოროტება, მაშინ ანგელოზები მიიღებენ გარდაცვლილის სულს და შეიყვანენ ცათა სასუფეველში, არადა სული გადაეცემა სატანჯველად დემონებს“.

აქვე აღსანიშნავია სიტყვა „საბაჟოს“ სახელწოდებები სხვადასხვა ენებში და ზოგიერთი მათგანის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ ენაზე სიტყვა „საბაჟოს“ სახელწოდებას და მნიშვნელობას:

1. ინგლისურად—Costoms- „ქასტომს“—„ჩვეულება, ტრადიცია“. შუა საუკუნეებში, ინგლისში საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით მეფეს უხდიდნენ გარკვეულ გადასახადს, ძღვენს, რაც ჩვეულებად იქცა.
2. გერმანულად— Zollamt, Zoll -„ცოლამთ“, „ცოლლ“;
3. ფრანგულად— Douane- „დოუან“;
4. ესპანურად— Aduana- „ადუანა“;

5. იტალიურად— Dogan, doganale, ufficio,- „დოგან“, „დოგანალე“, „უფიცო“;
6. თურქულად— GOMRUYU -„გიუმრი“—
7. რუსულად—„Таможня“—„ტამოჟნია“—ეს სიტყვა წარმოშობილია მონღოლურიდან. მონღოლურად (ზოგიერთი მოსაზრებით თურქულად) „ტამგა“ ნიშნავს —„დაღს, დაღლვას“. შუა საუკუნეებში(მე-13 ს) რუსეთი მონღოლებმა დაიპყრეს. ისინი საზღვარზე შემოსულ საქონელს ადებდნენ ტამგას ანუ დამღას. ამასთან საქონელზე დასმული დამღა ადასტურებდა, რომ ამ საქონელზე გადახდილი იყო საბაჟო ფულადი გადასახადი.
8. სომხურად—„მაგსატუნ“—რაც, წარმოშობილია სიტყვა „მაგს“-იდან, რაც ნიშნავს გადასახადს, გამოსაღებს(რუსულად—Пошлина);
9. აზერბაიჯანულად— GOMRUYU -„გიუმრი“;
10. ლიტვეურად—„MUITINE“—„მუიტინე“;
11. უკრაინულად—„МИТНА“—„მიტნა“(იგივეა, რაც რუსულად— Пошлина);
12. მოლდავეურად—„VAMA“—„ვამა“;
13. ბელორუსულად—„МЫТНЫ“—„მიტნი“;
14. ყირგიზულად—„БАЗЫСЫ“—„ბაჟისი“. როგორც ვხედავთ ეს ტერმინი ისევე, როგორც ქართულში „საბაჟო“— წარმოშობილია „ბაჟიდან“. თავისთავად „ბაჟი“ სპარსული სიტყვაა და დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს რაც „ხარკს“;
15. ტაჯიკურად—„ГУМРУК“—„გუმრუკი“;
16. უზბეკურად—„BOJXON QO MITASI“—„ბოიხონ ქო მიტასი“;
17. ყაზახურად—„КЕДЕН“—„კედენ“;
18. თურქმენულად—„GUMRUKH anasy“—„გიუმრუკ ანას“;

## თავი 2. ძირითადი საბაჟო კატეგორიები

**§2.1 საბაჟო ორგანო** – საბაჟო პროცედურების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც იცავს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარს. ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო ორგანო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ორგანო გაერთიანებულია ერთ სტრუქტურაში(მაგ. აშშ). სხვაგან საბაჟო ორგანო დამოუკიდებელი სტრუქტურაა ან შედის რომელიმე სხვა უწყების შემადგენლობაში(მაგ. ფინანსთა სამინისტროში ან ეკონომიკის სამინისტროში და ა.შ).

**§2.2 საქონელი** – ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლქვეშ გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი.

**§2.3 საბაჟო საზღვარი** – სახელმწიფო საზღვარი, რომელსაც ამ ფორმით მოიხსენიებენ საბაჟო ადმინისტრირების მიზნებისათვის. საბაჟო საზღვრის პერიმეტრი ემთხვევა სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრს. ამასთან, რეალური საბაჟო საზღვარი, რომელიც გადის სახელმწიფო საზღვარზე არ ემთხვევა ვირტუალურ საბაჟო საზღვარს, რამდენადაც საბაჟო ორგანოები არ არიან განლაგებული საბაჟო საზღვარზე(გარდა სახმელეთო საბაჟო ორგანოებისა) და შესაბამისად, ყველა საბაჟო პროცედურა ხორციელდება ქვეყნის სიღრმეში ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე(აეროპორტები და ნავსადგურები).

**§2.4 საბაჟო ტერიტორია** – ქვეყნის სახმელეთო ტერიტორია, ტერიტორიული და შიდა წყლები, მათი საჰაერო სივრცე, განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარები, ნაგებობები და ხელოვნური კუნძულები.

**§2.5 საბაჟო დეკლარაცია** – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს პირის განცხადებას მის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის შესაბამისი მონაცემების შესახებ.

**§2.6 დეკლარანტი** – ნებისმიერი პირი(ფიზიკური, იურიდიული ან სხვა სტატუსის), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს თავისი სახელით წარადგინოს საბაჟო დეკლარაცია.

**§2.7 საბაჟო ტარიფი** – რამდენიმე საბაჟო ხასიათის მონაცემის კომპლექსი, რომელიც გამოიყენება საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის

მიზნებისათვის. როგორც წესი, იგი მოიცავს საბაჟო გადასახადის განაკვეთს, საქონლის კოდს და საბაჟო შეღავათებს.

**§2.8 საბაჟო გადასახადი** – სპეციალური გადასახადი, რომელიც გადაიხდებიან მხოლოდ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელზე. როგორც წესი, საბაჟო გადასახადით არ იბეგრება საქონლის გატანა საბაჟო ტერიტორიიდან.

**§2.9 საბაჟო გადასახდელები** – ყველა გადასახადისა და მოსაკრებლის ერთობლიობა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიხდებიან საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების მიზნებისათვის. მას მიეკუთვნება: საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აგრარული საბაჟო გადასახადი (მაგ. ევროკავშირში), აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი.

**§2.10 საბაჟო ღირებულება** – საქონლის ფასი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ზოგიერთ საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხასიათდება განსხვავებული სპეციფიკურობით.

**§2.11 მგზავრი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად გადაადგილდება მოცემული ქვეყნის საბაჟო საზღვარზე.

**§2.12 პირადი ნივთები** – მგზავრობის დროს მგზავრის მიერ გამოსაყენებელი საგნები.

**§2.13 ბარგი(ხელბარგი)** – ბარგი ეწოდება მგზავრებისაგან განცალკავებულად გადასახად საგნებს, ხოლო ხელბარგი – მგზავრების მიერ პირადად გადასატან საგნებს.

**§2.14 კომერციული სატრანსპორტო საშუალება** – სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც საბაჟო საზღვრის გადაკვეთით ხორციელდება სასყიდლით ან უსასყიდლოდ საქონლის გადატანა ან მგზავრების გადაყვანა.

**§2.15 საქონლის გაშვება** – საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის გადაცემა საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარანტისადმი ამ უკანასკნელის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საქონლის განკარგვის მიზნით.

**§2.16 საბაჟო რეჟიმი** – საბაჟო საზღვარზე საქონლის

გადაადგილების წესი და ფორმა.

**§2.17 საბაჟო დამუშავების ოპერაცია – საბაჟო საზღვარ-ზე** საქონლის გადაადგილების წესი და ფორმა, რომელიც განსხვავდება საბაჟო რეჟიმისაგან მხოლოდ ზოგიერთი პროცედურული ნიშნით. მაგ. ყველა საბაჟო რეჟიმი თავისი შინაარსით წარმოადგენს საბაჟო დამუშავების ოპერაციას, ხოლო ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის საბაჟო რეჟიმი. მათ შორის ძირითადი განსხვავება, როგორც წესი, მდგომარეობს დეკლარირების ფორმებში(ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაცია არ საჭიროებს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას).

**§2.18 საბაჟო კონტროლი – წარმოადგენს საბაჟო ორგანოს** მიერ საქონლისა ან მგზავრების მიმართ განხორციელებულ შესაბამისი საბაჟო პროცედურების ერთობლიობას. ზოგჯერ საბაჟო კონტროლისაგან აცალკავებენ საბაჟო ზედამხედველობას, რომელიც ნიშნავს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის მიმართ ზოგიერთი საბაჟო პროცედურის გატარების შესაძლებლობას. მაგ. მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანომდე გადაადგილებულ საქონელს ეწოდება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ გადაადგილებული საქონელი, ხოლო მეორე საბაჟო ორგანოში საქონლის მისვლის დროს განსახორციელებელ პროცედურებს საბაჟო კონტროლი. პრინციპში, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქონელს შეიძლება ეწოდოს საბაჟო კონტროლქვეშ მყოფი საქონელი.

**§2.19 საქონლის წარმოშობა – საქონლის წარმოე-** ბის(დამზადების) დროს ამ საქონლისადმი მინიჭებული შესაბამისი სტატუსი მწარმოებელი ქვეყნის სახელის გათვალისწინებით ამ საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარების მიზნებისათვის. საქონლის წარმოების(დამზადების) და წარმოშობის ქვეყნები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა.

**§2.20 ეკვივალენტური საქონელი – საქონელი, რომე-** ლიც თავისი იდენტური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ჩაენაცვლოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაამუშავების დროს გადასამუშავებელ საქონელს ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადაამუშავების დროს მისაღებ გადაამუშავების პროდუქტს(ამ

უკანასკნელს ზოგჯერ შემცვლელ პროდუქტსაც უწოდებენ).

§2.21 ნარმომადგენელი – ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობის დროს საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით მინდობილობით წარდგენილი პირი. იგი შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი.

§2.22 სასაქონლო ნომენკლატურა (სასაქონლო კოდი) – საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის იდენტიფიცირების ციფრული საშუალება, რომელიც გამოიყენება ამ საქონლის მიმართ აღქვატურის საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნებისათვის.

§2.23 საბაჟო საწყობი – საბაჟო ორგანოს სპეციალური ნებართვით მოწყობილი შენობა–ნაგებობები, სათავსები ან შემოფარგლული ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განსათავსებლად. ანალოგიურად, დროებით შენახვის საბაჟო საწყობი არის იგივე პრინციპებით ჩამოყალიბებული საბაჟო საწყობი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განსაზღვრული ხნით შესანახად ამ საქონლის, რომელიმე საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცევის მიზნით.

§2.24 საქონლის დათვალეირება – საბაჟო ორგანოს პროცედურულ მოქმედებათა კომპლექსი საქონლის ან მგზავრის მიმართ, რომლის მიზანია დეკლარირებული მონაცემების სისწორის შემოწმება ან მგზავრის მიერ გადაადგილებული დამალული საქონლის აღმოჩენა.

§2.25 საბაჟო გარანტია – საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის გადამაადგილებადი უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო ორგანოში წარსადგენი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული საბაჟო ორგანოს მიმართ წარმოშობილი (ან წარმოსაშობი) ფინანსური ვალდებულებების დაზღვევის ფორმა.

§2.26 საქონლის საბაჟო სტატუსი – სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების ან სხვა საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით საქონლისათვის საბაჟო ორგანოს მიერ მინიჭებული მდგომარება. მაგ. არსებობს ორი სახის სტატუსის საქონელი: მოცემული ქვეყნის საქონელი და უცხოური საქონელი. მოცემული ქვეყნის საქონელი ეწოდება ამ ქვეყნის სამამულო



საქონელს და აგრეთვე, იმ უცხოურ საქონელს, რომელიც გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში. სხვა ყველა საქონელი ითვლება უცხოურ საქონლად. სპეციფიკურს წარმოადგენს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტი, რომელიც იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს განიხილება უცხოურ საქონლად.

§2.27 სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები – მხოლოდ ის მოქმედებები, რომელიც ასახავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის საბაჟო გადასახდელებით დაბეგურის პროცესს.

§2.28 არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები – ის მოქმედებები, რომელიც ასახავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის მიმართ გასატარებელი საზედამხედველო, დაცვითი, აკრძალვითი ან შეზღუდვითი ზომების პროცესს (მაგ. საქონლის კვოტირება, ემბარგო, ლიცენზირება და ა.შ.).

§2.29 საბაჟო კონტროლის ზონა – საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი და მონიშნული ნაწილი, სადაც ზორციელდება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები. საბაჟო კონტროლის ზონას განეკუთვნება საბაჟო ორგანოს განლაგების სამოქმედო შემოფარგლული ტერიტორია, საბაჟო საწყობის ტერიტორია, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის ტერიტორია, თავისუფალი საბაჟო ზონისა და თავისუფალი საწყობის ტერიტორია და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილები.

§2.30 საბაჟო სამართალდარღვევა – საქონელზე უფლება-მოსილი პირის მიერ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების დარღვევა. იგი გამოიხატება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

### თავი 3. საბაჟო ორგანოების ფუნქციები

#### §3.1 შრომის საერთაშორისო დანაწილების რეგულირების ფუნქცია

საბაჟოები, როგორც აღნიშნავენ, ბიბლიური დროიდან არსებობენ. მათი წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან. შესაბამისად, თავდაპირველად მან ის ფუნქცია შეიძინა, რაც აუცილებელი იყო სახელმწიფო ხაზინის შევსებისა და ფუნქციონირებისათვის. ამდენად, საბაჟო ორგანოს გარიჟრაჟზე მისი ძირითადი ფუნქცია მხოლოდ საბაჟო გადასახადის აკრებამი მდგომარეობდა.

შუა საუკუნეებიდან და განსაკუთრებით გვიანი შუა საუკუნეებიდან, როდესაც ფართოდ ვითარდება სახელმწიფოებს შორის სასაქონლო ვაჭრობა, საბაჟო ორგანო ფისკალურ ფუნქციასთან ერთად პროტექციონისტურ ფუნქციასაც იძენს, რაც უცხოური პროდუქტის ექსპანსიისაგან ადგილობრივი წარმოების დაცვაში მდგომარეობს. ეს ფუნქცია მას დღემდე რჩება და იგი რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს მძაფრად იჩენს თავს არა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, არამედ პოსტინდუსტრიულ ცივილიზებულ ქვეყნებში, რასაც თავისი ეკონომიკური მიზეზები აქვს (იხ. §17.5).

დღევანდელ პირობებში საბაჟო ორგანოების ფუნქციები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: გლობალური და ლოკალური ფუნქცია.

გლობალურ ფუნქციას მიეკუთვნება საბაჟო ორგანოების ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე ანუ მსოფლიო ეკონომიკაზე, ხოლო ლოკალურია ისეთი ფუნქცია, რომლის ზეგავლენა შემოიფარგლება ადგილობრივი ეკონომიკით და შიდა ბაზრით.

გლობალურ ფუნქციას მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო დანაწილების რეგულირების ფუნქცია, ხოლო ლოკალურს—მოცემული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია. ამ უკანასკნელიდან ცალკე შეიძლება გამოვყოთ ფისკალური,

პროტექციონისტური და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქციები.

შრომის საერთაშორისო დანაწილების რეგულირების ფუნქცია ნიშნავს იმ ფაქტს, რომ საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელებული სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები ან ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას ან აფერხებს და ზღუდავს მას.

სატარიფო ღონისძიებები ანუ საბაჟო გადასახადის მაღალი განაკვეთი ასტიმულირებს ეროვნული ეკონომიკის იზოლირებას შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ინტეგრაციისაკენ და პირიქით, დაბალი განაკვეთი ან მისი გაუქმება ხელს აძლევს შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას და ეროვნული ეკონომიკების ჩართვას თანაბარ კონკურენტულ ბრძოლაში.

ანალოგიურად, საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელებული არასატარიფო ღონისძიებები, როგორც არის კვოტირება, ლიცენზირება, ემბარგო და სხვა, აფერხებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და, შესაბამისად, შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესს, რომელიც სახელმწიფოებს შორის საქონელგაცვლაში პოულობს გამოხატულებას.

### §3.2 ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია

როგორც აღვნიშნეთ ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია გამოხატულებას პოვებს ფისკალურ, პროტექციონისტურ და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქციებში.

საბაჟო ორგანოს ფისკალური ფუნქცია გამოიხატება არა მხოლოდ საბაჟო გადასახადის აკრებასა და მის მობილიზებაში სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ ზოგადად საბაჟო გადასახდელების აკრებაში. კერძოდ, საბაჟო ორგანო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების დროს კრებს, არა მხოლოდ საკუთრივ საბაჟო გადასახადს, არამედ აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს, აგრარულ საბაჟო გადასახადს, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში საბაჟო

მოსაკრებელს, რომელსაც თავის მხრივ ფისკალური დატვირთვა არ აქვს.

როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო გადასახდლებით მიღებული შემოსავლები ქვეყნის შიგნით აკრებილ გადასახადებთან შედარებით მცირეა, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი.

საბაჟო ორგანოს პროტექციონისტური ფუნქცია განსხვავდება საბაჟო გადასახადის პროტექციონისტური ფუნქციისაგან. კერძოდ, საბაჟო ორგანოს პროტექციონისტური ფუნქციის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ საბაჟო გადასახადის საშუალებით რეალიზებული ანალოგიური საქონლის შიდა ბაზრის დაცვის ფუნქცია, არამედ უფრო ფართო ხასიათის ფუნქცია, რომელიც შემდეგი სახით ვლინდება:

ა) შიდა სასაქონლო ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან;

ბ) ფიტოსანიტარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

გ) ვეტერინარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

დ) სამედიცინო-სანიტარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

ე) რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

ვ) ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის კონტროლი და შიდა ბაზრისა და მოსახლეობის შესაბამისი დაცვა;

ზ) სავალუტო კონტროლი და ეკონომიკის დაცვა საგარეო მონეტარული მაქინაციებისაგან;

თ) ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლი და ეკონომიკის (გზების) დაცვა;

ი) კონტრაფაქციის, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურულ ფასეულობათა გადაადგილების კონტროლი და ამ საქონლის შიდა ბაზრის დაცვა, აგრეთვე სხვა ქვეყნის ბაზრების შესაბამისი ინტერესების დაცვა (იხ. თავი 13).

ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან ზოგიერთი მათგანი, ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო საზღვარზე დელეგირებული აქვთ არასაბაჟო ორგანოებს, მაგ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან ჯანდაცვის სამინისტრო და სხვა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქციებიც საბაჟო ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენს, რაც ხელს აძლევს ერთიანი საბაჟო კონტროლის გაძლიერებას და კოორდინაციას.

რაც შეეხება საბაჟო ორგანოს მიერ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქციას, იგი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკისა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მძლავრ ფაქტორს. სწორედ იმპორტიორთა და ექსპორტიორთა სწორი და გამჭვირვალე ინფორმირება წარმოადგენს საქონელთა საერთაშორისო ლოგისტიკური ნაკადების ტემპების ზრდას.

შესაბამისად, საბაჟო ორგანოები დაინტერესებულ პირებს (დეკლარანტები, გადამზიდველები, ექსპედიტორები, ექსპორტიორები, იმპორტიორები, მგზავრები და ა.შ) აწვდიან ინფორმაციას მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესახებ.

საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი საჯარო ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს შემდეგი ფორმებით და საშუალებით;

ა) პუბლიკაციების სახით (ოფიციალური გაზეთების, ბიულეტენების სახით);

ბ) შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტების მეშვეობით;

გ) სტრატეგიული პუნქტების საშუალებით (მაგ. გემებში, თვითმფრინავებში, საერთაშორისო მატარებლებში ან აეროპორტებში, საზღვაო პორტებში და რკინიგზის სადგურებში წერილობითი ინფორმაციის მიწოდება საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლებაზე ან აკრძალული საქონლის შესახებ ან სხვა სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებების შესახებ);

დ) საელჩოების მეშვეობით;

ე) ისეთ საზოგადოებრივ ადგილებში სადემონსტრაციო სტენდების საშუალებით, როგორც არის მთავარი ფოსტა, ტურისტული ცენტრები და სხვა;

ვ) სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების და პრესრელიზების საშუალებით;

ზ) ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე თარგმნით.

ინფორმაციის გამჭვირვალობისა და სიცხადის მიზნით საბაჟო ორგანოს მიერ მომხმარებლისადმი იგი მიწოდებულ უნდა იქნეს მარტივი და გასაგები ენით.

საბაჟო ორგანო რიგ შემთხვევებში არ გასცემს პირების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, თუ ის განეკუთვნება კონფიდენციალური ხასიათის კატეგორიას(მაგ. კომერციული, სახელმწიფო ან სხვა სახის საიდუმლოება). ამასთან, როგორც წესი, საბაჟო ორგანო არ გასცემს ინფორმაციას იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის გაცხადება:

ა) ზიანს აყენებს ეკონომიკის სახელმწიფო მართვას;

ბ) ზიანს აყენებს საბაჟო გადასახდელების აკრებას;

გ) ხელს უშლის გამოძიებისა და დანაშაულის გამოვლენის პროცედურას.

საბაჟო ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემა, როგორც წესი, ხორციელდება უფასოდ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, პირის მიერ მოთხოვილი ინფორმაციის მოპოვება ხარჯებთან არის დაკავშირებული. მოცემული ხარჯები უნდა აანაზღაუროს ინფორმაციის მიმღებმა შესაბამისმა პირმა. მაგ. დეკლარანტი ითხოვს სასაქონლო კოდის ან საქონლის ღირებულების განსაზღვრას, რაც ზოგჯერ უკავშირდება სასაქონლო ექსპერტიზას ან ლაბორატორიულ ანალიზს.

პირის მიერ წერილობითი სახით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა გაიცეს წერილობითი სახით კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ამასთან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული პასუხი უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული. ამასთან, პირის თხოვნის საფუძველზე დადებითი ინფორმაციის(პასუხის) შემთხვევაში ზემდგომმა საბაჟო ორგანომ შესაბამის დაქვემდებარებულ საბაჟო ორგანოს უნდა მისცეს სავალდებულოდ შესასრულებელი მითითება მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

## თავი 4. დეკლარანტის ცნება და ფუნქციები

### §4.1 დეკლარანტი და მისი უფლება-მოვალეობები

დეკლარანტი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე. უფრო ვიწრო აზრით, დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება. ამ განსაზღვრებას საბოლოო ჯამში მივეყვართ წარმომადგენლის ცნებასთან, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული ცალკე პარაგრაფად.

დეკლარანტის ცნების განსაზღვრებაში გამოიყოფა ორი მომენტი:

ა) დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით. ამ დროს საქონლის დეკლარირებას უშუალოდ ახორციელებს იმპორტიორი ან ექსპორტიორი ანუ საქონლის მესაკუთრე (მფლობელი) ან ირიბი წარმომადგენელი;

ბ) დეკლარანტი არის პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება. ამ შემთხვევაში, თუ სხვა პირი წარადგენს საბაჟო დეკლარაციას იმპორტიორის, ექსპორტიორის ანუ საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) სახელით, მაშინ დეკლარანტი არის არა დეკლარაციის წარმდგენი (პირდაპირი წარმომადგენელი), არამედ—იმპორტიორი, ექსპორტიორი ანუ საქონლის მესაკუთრე (მფლობელი).

დეკლარანტის უფლებებს წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების განხორციელების ან ამ პროცედურებში მონაწილეობის მიღების უფლება.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, დეკლარანტს უფლება აქვს წარადგინოს შესაბამის საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაცია, დაათვალიეროს საქონელი საბაჟო კონტროლქვეშ, შეამოწმოს მის მიერ საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების აუთენტურობა და მასში არსებული მონაცემების სისწორე, განახორციელოს საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციების

გადახდა, მოახდინოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანის დროს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, აილოს საქონლის სინჯები ან ნიმუშები, განახორციელოს საქონლის ექსპერტიზა, ერთი საბაჟო რეჟიმი (დამუშავების ოპერაცია) შეცვალოს მეორით, მოახდინოს საქონლის დროებით დასაწყობება, შეიტანოს საჩივარი(სარჩელი) შესაბამის საბაჟო ორგანოში ან ზემდგომ საბაჟო ორგანოსა ან სასამართლო ინსტანციაში, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია საბაჟო ორგანოსაგან და ა.შ.

დეკლარანტს შეუზღუდავი უფლება აქვს მოითხოვოს საბაჟო ორგანოსაგან ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ საბაჟო ოპერაციებსა და პროცედურებზე. ამასთან დეკლარანტს უფლება აქვს მოითხოვოს საბაჟო ორგანოსაგან ინფორმაცია მის მიერ მომავალში განსახორციელებელი საბაჟო პროცედურების შესახებ. კერძოდ, ეს ინფორმაცია გულისხმობს ისეთ საჯარო მონაცემებს, როგორც არის საბაჟო კანონმდებლობის ნიუანსები. მაგ. ინფორმაცია საქონლის კოდის, საბაჟო ღირებულების, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებში საქონლის მოქცევის დეტალები და ა.შ.

დეკლარანტს უფლება აქვს მიიღოს საბაჟო ორგანოსაგან წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ არ ეთანხმება ეს უკანასკნელი დეკლარანტის მიერ დეკლარირებულ საბაჟო ღირებულების ოდენობას, საქონლის კოდს, რაოდენობას, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრას და ა.შ.

დეკლარანტის შეუვალი უფლებაა გასაჩივრების უფლება. მას აქვს გასაჩივროს საბაჟო ორგანოს ქმედება ან უმოქმედობა. საკითხის თავდაპირველი გასაჩივრება შეიძლება მოხდეს იმ საბაჟო ორგანოში, რომელმაც მიიღო შესაბამისი საბაჟო გადაწყვეტილება. დეკლარანტის განცხადებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, იგი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ საბაჟო ორგანოში, ხოლო შემდეგ სასამართლო ინსტანციაში.

უშუალოდ სასამართლო ინსტანციაში დეკლარანტის მიერ საჩივრის შეტანამდე მისი განხილვა სათანადო საბაჟო ორგანოებში მიზანშეწონილია იმ ასპექტით, რომ საბაჟო ორგანომ შესაძლებელია



ოპერატიულად დააკმაყოფილოს დეკლარანტის საჩივარი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დგინდება დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოში შეტანილი საჩივრის განხილვის გონივრული ვადები. ეს ვადები არ უნდა აჭიანურებდეს საკითხის განხილვის პროცედურას და ხელს არ უნდა უშლიდეს მეწარმეობის განვითარებას.

დეკლარანტს უფლებებთან ერთად გააჩნია მოვალეობები, რაც ასახვას ჰპოვებს შესაბამის პასუხისმგებლობებში. საბაჟო კანონმდებლობა ადგენს ამ პასუხისმგებლობების ზომებს, რასაც საბაჟო სანქცია ეწოდება (გარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა).

დეკლარანტის ვალდებულებებს შეადგენს საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში, მისი გადატვირთვა (გადმოტვირთვა) საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე ან სატრანსპორტო საშუალებაში, საქონლის მიტანა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე, საქონლის გადაადგილების საბაჟო მარშრუტის დაცვა, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო ორგანოში შესაბამისი საბაჟო დოკუმენტაციის წარდგენა, საბაჟო დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარდგენა, საბაჟო გადასახდელების დადგენილ ვადაში გადახდა, საბაჟო სანქციის დადგენილ ვადაში აღსრულება, ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქონლის დაცვის ღონისძიებების გატარება და ა.შ.

#### §4.2 პირდაპირი და ირიბი წარმომადგენელი

საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს განახორციელოს საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ან სხვა საბაჟო პროცედურების განხორციელება წარმომადგენლის მეშვეობით. ამ ქცევას აქვს შესაბამისი მოტივაცია. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციის შევსება, საქონლის დათვალიერება და სათანადო საბაჟო პროცედურები მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას და ხარჯებს. ამდენად, იმპორტიორები და ექსპორტიორები ამ პროცედურების განხორციელებას ანდობენ შესაბამის პირებს, რომლებსაც წარმო-

მადგენლები ეწოდებათ.

წარმომადგენელი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება იყოს ლიცენზირებული ან ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს. როგორც წესი, წარმომადგენლის ფუნქციებს ახორციელებენ საბაჟო ბროკერები, რომლებიც ამ საქმით არიან სპეციალიზირებული.

წარმომადგენელი შესაბამისი საბაჟო ვალდებულებებიდან გამომდინარე ორი სახის არის: პირდაპირი და ირიბი (არაპირდაპირი).

პირდაპირია წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს სხვა პირის სახელით და მისი დავალებით. შესაბამისად, პირდაპირი წარმომადგენელი არ არის დეკლარანტი და მას არ გააჩნია საბაჟო ორგანოს წინაშე შესაბამისი საბაჟო ვალდებულებები. იგი გვევლინება მხოლოდ ფიზიკურ შუამავლად (კურიერად) საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) და საბაჟო ორგანოს შორის საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს. პირდაპირი წარმომადგენლის ყველა ქმედება განიხილება საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) ქმედებად და ყველა სათანადო პასუხისმგებლობა ეკისრება ამ უკანასკნელს.

ირიბია წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს თავისი სახელით და სხვა პირის ანუ საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) დავალებით. შესაბამისად, ირიბი წარმომადგენელი არის დეკლარანტი და მას საბაჟო ორგანოს წინაშე გააჩნია იგივე საბაჟო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რაც ექნებოდა საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) იმ შემთხვევაში, თუ იგი თვითონ, უშუალოდ განახორციელებდა დეკლარირებას. ირიბ წარმომადგენელს აქვს აგრეთვე საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობების დროს საჭიროა მოხდეს პირდაპირი და ირიბი წარმომადგენლის იდენტიფიკაცია ანუ უნდა დადგინდეს მოცემული პირი რეალურად წარმოადგენს, თუ არა მარწმუნებელს. ამისათვის, საბაჟო ორგანოები ითხოვენ შესაბამის რწმუნებებს ანუ მინდობილობებს.

როგორც წესი, პირდაპირი წარმომადგენლის რწმუნება გამოიხატება ამა, თუ იმ პირისათვის მინდობილობის გაცემით მარწმუნებლის (საქონლის მესაკუთრე, მფლობელი) ბლანკზე ამ უკანასკნელის ხელმოწერით ან ბეჭდით დამოწმებით. ამასთან, შესაძლებელია დადებულ იქნეს შესაბამისი ხელშეკრულება საბაჟო პროცედურების განხორციელების შესახებ პირდაპირ წარმომადგენელსა და საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) შორის, რაც ასევე წარმოადგენს მინდობილობის დოკუმენტს. რაც შეეხება რწმუნების დადასტურებას მარწმუნებელსა და ირიბ წარმომადგენელს შორის, იგი შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების სახით ან ნოტარიალურად დამოწმებული სხვა ფორმებით.

საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) და წარმომადგენელს შორის მინდობილობა წარმომადგენლობის შესახებ შეიძლება გაფორმდეს როგორც, ერთჯერადი, ცაკლეული საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით, ასევე გენერალური—გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი საბაჟო პროცედურის განხორციელების მიზნით.

ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო გადასახდელების გადახდის, ასევე სხვა ვალდებულება ირიბი წარმომადგენლობის დროს ეკისრება მხოლოდ ირიბ წარმომადგენელს, ხოლო სხვაგან—როგორც ირიბ წარმომადგენელს, ასევე საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) სოლიდარულად.

როგორც წესი, წარმომადგენელი უნდა იყოს ქვეყნის რეზიდენტი პირი. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც არარეზიდენტი პირი ახორციელებს საქონლის მოქცევას ტრანზიტის და დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში, ასევე დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების მიერ იმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევა. ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია დაადგინოს სხვა შემთხვევებიც.

წარმომადგენელს შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში აეკრძალოს წარმომადგენლის ფუნქციის განხორციელება. ეს ჩვეულებრივ ხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც:

ა) წარმომადგენელს უახლოეს გასულ პერიოდში აქვს

სერიოზული საბაჟო სამართალდარღვევები;

ბ) წარმომადგენელი არ ასრულებს მარწმუნებლის მიმართ შესაბამის ვალდებულებებს;

გ) წარმომადგენელი არ ასრულებს საბაჟო ორგანოს მიმართ შესაბამის ვალდებულებებს;

დ) წარმომადგენელი პერიოდულად იჩენს საბაჟო პროცედურების განხორციელების მიმართ გულგრილობას ან არღვევს საბაჟო წესებს;

ე) წარმომადგენელს ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული.

წარმომადგენელს საბაჟო ორგანო წერილობითი ფორმით აცნობებს წარმომადგენლის ფუნქციის აკრძალვის შესახებ და აძლევს მას გარკვეულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მას არ შეუძლია წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება აღსდგეს წარმომადგენლის ფუნქცია.

## თავი 5. საქონლის დეკლარირება საბაჟო საზღვარზე

### §5.1 საქონლის წარდგენა და დეკლარირება საბაჟო საზღვარზე

ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის წარდგენა ხდება ამ საქონლის შესახებ საბაჟო ორგანოსადმი ინფორმაციის წარდგენით. ინფორმაციის წარდგენად ითვლება ამ საქონლის შესახებ არსებითი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენა. ასეთ დოკუმენტებს, როგორც წესი, განეკუთვნება სატრანსპორტო ზედღებულები (საავტომობილო ზედღებულები, სარკინიგზო ზედღებულები, ავიაზედღებულები, კონოსამენტი), ინვოისი ან საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

ზემოაღნიშნული საბაჟო დოკუმენტების წარდგენიდან საქონელი იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, ვიდრე ამ საქონელს არ მიენიჭება გარკვეული საბაჟო სტატუსი. საბაჟო სტატუსი არის ორი სახის: უცხოური საქონელი ან მოცემული ქვეყნის საქონელი.

უცხოური საქონელი ეწოდება ყველა იმ საქონელს, რომელიც შემოვიდა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე და არ არის გაშვებული თავისუფალ მიმოქცევაში.

მოცემული ქვეყნის საქონელი (მაგ. საქართველოს საქონელი) ეწოდება იმ საქონელს, რომელიც წარმოშობილია მოცემულ ქვეყანაში (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა. მაგ. საბაჟო ტერიტორიაზე (ან კონტროლქვეშ) გადამუშავების პროდუქტი, რომელიც უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში) ან უცხოურ საქონელს, რომელიც მოექცა თავისუფალ მიმოქცევაში.

საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შემოტანის დროს ზორციელდება არა მარტო წარდგენა საბაჟო საზღვარზე, არამედ დეკლარირებაც. ამ შემთხვევაში დეკლარირება არ გულისხმობს აუცილებლად საბაჟო დეკლარაციის წარდგენას სასაზღვრო-საბაჟო ორგანოსათვის. ეს დამოკიდებულია დეკლარანტის განზრახვაზე ირჩევს, თუ არა ის საბაჟო საზღვარზე საბაჟო რეჟიმს (საბაჟო დამუშავების ოპერაციას), თუ მას სურს საბაჟო დამუშავება განხორციელოს სხვა საბაჟო ორგანოში.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი ახორციელებს საქონლის საბაჟო დამუშავებას სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში, მაშინ იგი წარადგენს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის საბაჟო დეკლარაციას და დაასრულებს საბაჟო დამუშავების ოპერაციას.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტს არ სურს განხორციელოს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში, მაშინ მან უნდა წარადგინოს ამის შესახებ განცხადება ან კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტი ამ საქონლის შიდა ტრანზიტის შესახებ. ასეთ დოკუმენტად ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულია შიდა ტრანზიტის საბაჟო დეკლარაცია, ხოლო ზოგიერთ სხვა ქვეყანაში — სპეციალური საბაჟო

ლოკუმენტი, რომელსაც გამოწერს საბაჟო ორგანო ან მხოლოდ საქონლის თანმხლები ლოკუმენტები.

ზემოაღნიშნული დეკლარირების ლოკუმენტები, ჩვეულებრივი საბაჟო დეკლარაციისაგან განსხვავებით მოიცავენ მხოლოდ მოცემული საქონლისათვის დამახასიათებელ არსებით და ატრიბუტულ ნიშნებს, რაც გამოიხატება იმ ფაქტით, რომ თუ საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დროს ივსება, ვთქვათ, 55 გრაფა, ამ ლოკუმენტების შემთხვევაში ივსება ამ გრაფების დაახლოებით ნახევარი.

საქონლის წარდგენის ვალდებულება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში აქვს იმ პირს, რომელმაც შემოიტანა საქონელი (მაგ. უშუალო გადაზიდველი ან ექსპედიტორი). ეს ვალდებულება შეიძლება იკისროს სხვა პირმაც, რომელიც იღებს საბაჟო საზღვრიდან დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლის მიტანის ვალდებულებას.

საქონელთან ერთად სასაზღვრო-საბაჟო ორგანოს წარედგინება კომერციული სატრანსპორტო საშუალებებიც. კომერციული სატრანსპორტო საშუალება ეწოდება ყველა იმ ტრანსპორტს, რომლითაც ხდება კომერციულ საფუძველზე (ან უსასყიდლოდ) მგზავრების გადაყვანა ან ტვირთების გადაზიდვა.

დეკლარირების ფორმები დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალებების სახეებზე. მაგ. საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის ან გატანის დროს გემის კაპიტანმა ან სხვა უფლებამოსილმა პირმა საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს შემდეგი ლოკუმენტები:

- ა) ზოგადი დეკლარაცია;
- ბ) ტვირთის დეკლარაცია;
- გ) გემის მარაგის დეკლარაცია;
- დ) გემის ეკიპაჟის პირადი ნივთების დეკლარაცია;
- ე) მგზავრების სია;
- ვ) მსოფლიო საფოსტო კონვენციით გათვალისწინებული ლოკუმენტები;

ზ) ზღვის სანიტარული დეკლარაცია.

საჭაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს ხომალდის მეთაური საბაჟო ორგანოს წარუდგენს მანიფესტს და

საქონლის დაწვრილებით დეკლარაციებს.

სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს სასაზღვრო-საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამისი სარკინიგზო და საავტომობილო ზედღებულები.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო ტრანსპორტის შემოსვლისა და გასვლის დროს სასაზღვრო-საბაჟო ორგანოსადმი წარსადგენი დეკლარაციების სახეების და ეგზემპლარების ოდენობა განსაზღვრებულია. კერძოდ, გემის შემოსვლის დროს საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს არაუმეტეს:

- ა) ზოგადი დეკლარაცია—5 ეგზემპლარი;
- ბ) ტვირთის დეკლარაცია—4 ეგზემპლარი;
- გ) გემის მარაგების დეკლარაცია—4 ეგზემპლარი;
- დ) ეკიპაჟის პირადი ნივთების დეკლარაცია—2 ეგზემპლარი;
- ე) მგზავრების სია—4 ეგზემპლარი;
- ვ) ზღვის სანიტარული დეკლარაცია—1 ეგზემპლარი.

რაც შეეხება გემის გასვლას, ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოში წარედგენილ უნდა იყოს არაუმეტეს:

- ა) ზოგადი დეკლარაცია—5 ეგზემპლარი;
- ბ) ტვირთის დეკლარაცია—4 ეგზემპლარი;
- გ) გემის მარაგების დეკლარაცია—3 ეგზემპლარი;
- ე) მგზავრების სია—2 ეგზემპლარი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით საქონლის შემოტანის ან გატანის დროს სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში წარედგენილ საბაჟო დეკლარაციაში ან შესაბამის სხვა დოკუმენტში ხდება შემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება საქონელთან ერთად. თუმცა, შესაძლებელია, რომ კომერციული სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება განხორციელდეს საქონლისაგან ცალკე, სხვა საბაჟო დოკუმენტით.

## §5.2 საქონლის გადაადგილება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საბაჟო ტერიტორიაზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის შემდეგ ხორციელდება შესაბამისი საბაჟო დოკუმენტის წარდგენა საბაჟო ორგანოსადმი, რომელიც ასახავს მოცემული საქონლის არსებით მონაცემებს. სწორედ ამ დოკუმენტით ხორციელდება საქონლის შემდგომი გადაადგილება საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების საბაჟო ორგანომდე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

ომისათვის, რომ საქონელი გადაადგილდეს ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში ან კანონმდებლობით დადგენილ ლოგისტიკურ ადგილზე, საჭიროა მოცემული საქონელი იმყოფებოდეს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ. ამასთან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიტანის ყველა ხარჯი, მათ შორის გზაზე გადატვირთვა, გადმოტვირთვა, ჩატვირთვა და ა.შ, ხორციელდება ამ საქონელზე უფლებამოსილი პირის მიერ.

როგორც წესი, საბაჟო ორგანო აწესებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე საქონლის მიტანის ვადებს, რომელიც ფიქსირდება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოს ან შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ დადასტურებულ დოკუმენტში. ამ ვადების დარღვევა არასაპატიო მიზეზით განიხილება საქონლის უკანონო გასვლად საბაჟო ზედამხედველობიდან და ითვლება საბაჟო სამართალდარღვევად.

საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის უკანონო გასვლის საპატიო მიზეზად განიხილება ფორსმაჟორული სიტუაციები (ავარია, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ). ამ შემთხვევაში, ამ მიზეზების შესახებ უფლებამოსილმა პირმა დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს უახლოეს საბაჟო ორგანოს. ამასთან საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის უტყუარი მტკიცებულებები.

ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებისათვის ფორს-მაჟორულ სიტუაციად არ განიხილება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ქურდობა ან ძარცვა-ყაჩაღობა.



საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადადგილება საბაჟო ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტით შეიძლება განხორციელდეს საბაჟო გარანტიის ქვეშ. ამ შემთხვევაში სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში საქონლის შემოსვლის დროს ამ საბაჟო ორგანოს კონტროლის ზონაში ან მის გარეთ ფუნქციონირებადი საბანკო ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ შეიძლება გაიცეს შესაბამისი საბაჟო გარანტიები, რომელიც ფინანსური ვალდებულებების ასპექტით უზრუნველყოფს ამ საქონლის მიტანას ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე. ასეთი გარანტიის აღება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში არ სჭირდება მაგალითად, TIR-კარნეტით გადაადგილებულ საქონელს, რადგანაც იგი გულისხმობს საერთაშორისო დაზღვევას.

საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადადგილება საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს საბაჟო ორგანოს შესაბამისი თანამშრომლის თანხლებით და გაცილებით. ეს ღონისძიება ხორციელდება იშვიათად და, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გადაადგილდება მაღალი რისკის მქონე საქონელი ან ისეთი საქონელი, რომლის საიდენტიფიკაციო ნიშნებით აღჭურვა შეუძლებელია. მაგ. ნაყარი ტვირთები, რომლის დალუქვა ან სხვა საიდენტიფიკაციო ნიშნის დადება ვერ ხერხდება.

საქონლის გადაადგილება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ სრულდება ამ საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანით და შესაბამისი დროებით შენახვის საწყობში მოთავსებით ან რომელიმე საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში) მოქცევით.

## თავი 6. საქონლის შენახვა (განთავსება) დროებით შენახვის სანყოფიერებაში

### § 6.1 დროებით შენახვის სანყოფიერების არსი

დროებითი შენახვის სანყოფიერება ეწოდება შენობა-ნაგებობას ან გარკვეულ შემორაგულ ტერიტორიას, სადაც ინახება საბაჟო კონტროლქვეშ არსებული ისეთი საქონელი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია ან დასრულებული საბაჟო რეჟიმი(დამუშავების ოპერაცია).

დროებითი შენახვის სანყოფიერება, როგორც წესი, გამოიყენება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს. რაც შეეხება საქონლის გატანას, ამ შემთხვევაში, საქონელი შეიძლება შეტანილ იქნეს დროებით შენახვის სანყოფიერებაში, რომელიც მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიასთან ახლოს, ამ ტერიტორიიდან, მაგ. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის გატანის პროცედურების დაჩქარების მიზნით.

დროებით შენახვის სანყოფიერება ორი სახის არის: ღია და დახურული.

დროებითი შენახვის ღია საბაჟო სანყოფიერება ეწოდება ისეთ სანყოფიერებას, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს ნებისმიერმა პირმა ან სადაც შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი(შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით).

დროებითი შენახვის დახურული საბაჟო სანყოფიერება ეწოდება ისეთ სანყოფიერებას, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს მხოლოდ ერთმა პირმა ან, სადაც შეიძლება განთავსდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის საქონელი.

დროებითი შენახვის საბაჟო სანყოფიერებები იქმნება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. იგი შეიძლება შექმნას მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტმა პირმა. რეზიდენტ პირში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, იურიდიული და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი პირები, ასევე საბაჟო ორგანოები. როგორც წესი, სასაზღვრო-საბაჟო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი დროებით

შენახვის საბაჟო საწყობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, ძირითადად, მგზავრების მიერ შემოტანილი ან გასატანი შესაბამისი საქონლის დროებით შენახვა.

დროებით შენახვის საწყობების შექმნაზე ნებართვებს გაცემს საბაჟო ორგანო. ამასთან ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით რეგულირდება ნებართვის გაცემის პირობები. რამდენადაც, დროებით შენახვის საბაჟო საწყობი წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, შესაბამისად მისი შექმნის პირობებიც უთანაბრდება ჩვეულებრივი საბაჟო საწყობის დაარსების მოთხოვნებს.

დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის შექმნის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) საბაჟო საწყობი ისე უნდა იყოს დაცული, რომ იქ არ შეეძლოს მოხვედრა ნებისმიერ გარეშე პირს;

ბ) საბაჟო საწყობს უნდა ჰქონდეს იზოლირებული სათავსები ან ღია ადგილი სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისათვის;

გ) საბაჟო საწყობის მფლობელმა ნებართვის მისაღებად საბაჟო ორგანოში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საბაჟო გარანტია.

დროებითი შენახვის საბაჟო საწყობები წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, სადაც საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს საბაჟო კონტროლის ნებისმიერი ღონისძიება.

დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში მოთავსებულ საქონელზე საბაჟო ორგანოს წინაშე პასუხისმგებლობა და საბაჟო ვალდებულებები ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დაიკარგება საბაჟო საწყობიდან, განადგურდება ან დაზიანდება საბაჟო საწყობის მფლობელის მიზეზით, შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის მფლობელს. შესაბამისად, საბაჟო საწყობის დაარსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი საბაჟო გარანტიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ საბაჟო გადასახდელების მინიმალურ ოდენობას, რომელიც იქნებოდა გადახდილი დროებით შენახვის საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს.

დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის მფლობელს მხოლოდ

იმ შემთხვევაში არ აქვს საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება, თუ საქონელი განადგურდა ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, როგორც არის წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ომი და სხვა მსგავსი დაუძლეველი ძალა. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ფორსმაჟორულ სიტუაციად და დაუძლეველ ძალად არ განიხილება ისეთი მოვლენა, როგორც არის დროებით შენახვის საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ქურდობა ან ძარცვა-ყაჩაღობა, რაც საბაჟო გადასახდელების გადახდისაგან თავის არიდების პრევენციად განიხილება იმ ასპექტით, რომ გამოირიცხოს საქონლის ზემოაღნიშნული მეთოდით დაკარგვის ინსცენირება.

## § 6.2 საქონლის შენახვის პროცედურები

დროებით შენახვის საწყობში სხვადასხვა სახის, ხასიათის და დანიშნულების საქონლის განთავსების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, ის ფაქტორი, რომ არ უნდა მოხდეს საქონელთა დაზიანება ან გაფუჭება. მაგ. საზიფათო საქონელი ან ისეთი საქონელი, რომელიც დასვრის, შეერევა, გააფუჭებს ან შეუცვლის სხვა საქონელს სასაქონლო სახეს იზოლირებულად უნდა იქნეს განთავსებული.

დროებით შენახვის საბაჟო საწყობში საქონლის განთავსების დროს უნდა შედგეს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ამ საქონლის განთავსებას საწყობში. როგორც წესი, ასეთ დოკუმენტად ცივილიზებულ ქვეყნებში ითვლება სატრანსპორტო ზედდებული ან კომერციული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია საქონლის ძირითადი პარამეტრების შესახებ. ამასთან დაცული უნდა იყოს ის პირობა, რომ სატრანსპორტო ზედდებულში ან სხვა კომერციულ დოკუმენტში (მაგ. ინვოისი) დაფიქსირებული ყველა საქონელი სრულად ექცევა დროებით შენახვის საწყობში.

ზოგიერთი ქვეყანა არ ცნობს მხოლოდ ცალკეული დოკუმენტის წარმოდგენას (მისი დამოწმების სახით) დროებითი შენახვის საწყობში საქონლის მოქცევის დამადასტურებლად და ითხოვს სხვა, დეკლარაციის სახის დოკუმენტის წარდგენას, რაც ქმნის ზედმეტ ბიუროკრატიულ ბარიერებს.

დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის მფლობელი აწარმოებს

საქონლის შემოტანის და გატანის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში და ამის შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სათანადო ინფორმაციას აწვდის შესაბამის საბაჟო ორგანოს.

დროებით შენახვის საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი ოპერაციები, რომელიც ემსახურება ამ საქონლის დაცულობას უცვლელ მდგომარეობაში. ასეთი ოპერაციები აღწერილია საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ გასატარებელ ღონისძიებებში(იხ. §19.7).

დროებით შენახვის საწყობში საქონელი ინახება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში. როგორც წესი, ასეთი ვადები არ აღემატება განთავსებიდან სამ კალენდარულ თვეს. ვადის დაწესება გამოძინარეობს იმ გონივრული მდგომარეობიდან, რომელიც საჭიროა ამ საქონლის მოსამზადებლად შესაბამის საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში) მოქცევისათვის. საზოგადოდ, დროებით შენახვის პროცედურის ერთ-ერთი ფუნქცია არის მიეცეს შესაძლებლობა დეკლარანტს, როგორც ფინანსური ასევე ტექნიკური თვალსაზრისით, რათა მან განახორციელოს საქონლის მოქცევა შესაბამისი საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში).

საბაჟო ორგანო აგრძელებს საქონლის დროებითი შენახვის ვადას იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიმართ უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ ემყარება ობიექტურ მიზეზებს, საბაჟო ორგანო მიზანშეწონილად ჩათვლის ამის განხორციელებას.

დროებით შენახვის საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონელი, რომელიც დაზიანდა, გაფუჭდა ან გახდა უვარგისი მოხმარებისათვის ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, ამ მდგომარეობისათვის გათვალისწინებით უნდა იქნეს მოქცეული შესაბამის საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში). შესაბამისად, თუ ეს საქონელი მოექცევა იმპორტის საბაჟო რეჟიმში, მაშინ საბაჟო გადასახდელები გადაიხდება საქონლის დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით და, ბუნებრივია შემცირებული ოდენობით.

## თავი 7. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა

### §7.1 სასაქონლო ნომენკლატურის არსი და სტრუქტურა

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა ანუ სასაქონლო ნომენკლატურა ჩამოყალიბდა საბაჟო დეკლარირების დროს წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების გამო. კერძოდ, მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე საქონლის დეკლარირების დროს შესაბამის თანმხლებ დოკუმენტებში სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელთა დასახელებები განსხვავებული და აღრეული იყო, რაც ხელს უშლიდა დაბეგვრის და არასატარიფო ღონისძიებების გატარების პოლიტიკას.

ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისა და საერთაშორისო მასშტაბით ჰარმონიზაციის მიზნით 1950 წელს ბრიუსელში საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ (შემდგომში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) შემუშავებულ იქნა მსოფლიოში პირველი სისტემატიზებული სასაქონლო ნომენკლატურა. შემდგომში ბრიუსელის ნომენკლატურის სრულყოფა ხდებოდა წლების განმავლობაში (1973–1981), რომლის შედეგადაც 1983 წელს საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ ოფიციალურად გახდა ღია სხვადასხვა ქვეყნების მიერ მისაერთებლად და ხელმოსაწერად. 1987 წელს მას მიუერთდა მრავალი ქვეყანა და იგი ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვარს.

თანამედროვე ჰარმონიზებულ სისტემას ეფუძნება საქონელთა კლასიფიცირების სამი ეროვნული მეთოდოლოგიური მოდელი, რომელშიც ასახვას პოულობს სასაქონლო ნომენკლატურის ფუნქციები:

- ა) საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა;
- ბ) სტატისტიკური ნომენკლატურა;
- გ) კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა.

საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა არის მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული და საქონლის შემოტანის

დროს საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის გამოსაყენებელი ნომენკლატურა.

სტატისტიკური ნომენკლატურა გამოიყენება მოცემული ქვეყნის მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის შესაბამისი მონაცემების დასადგენად.

კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა არის საბაჟო-სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების გაერთიანება, რომელიც გამოიყენება შემოტანილი საქონლის დეკლარირების დროს.

ჰარმონიზებული სისტემის საფუძველზე, რომელიც შედგება ექვსი არაბული ციფრისაგან, შესაბამისმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურები, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურას უწოდებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურა არის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურების მეთოდოლოგიური საფუძველი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჰარმონიზებული ნომენკლატურის ექვსი ნიშანი (ციფრი) სავალდებულოა კონკრეტული ქვეყნების სასაქონლო ნომენკლატურების შემუშავებისათვის. სხვადასხვა ქვეყნებმა სასაქონლო ნომენკლატურების ციფრობრივი სიმბოლო შემდგომ გაზარდეს ეროვნული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით 9, 10, 11, 12 და ა. შ. ნიშნულამდე (მაგ. საქართველოს აქვს 11-ნიშნა ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა).

სასაქონლო ნომენკლატურა შედგება: კარის, ჯგუფის, პოზიციის და სუბპოზიციისაგან, ხოლო ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში ამას ემატება ქვესუბპოზიცია (ამ საკითხებზე შემდგომ პარაგრაფში გვექნება საუბარი).

საინტერესოა, რომ სასაქონლო ნომენკლატურა სამყაროში არსებულ საქონლებს აჯგუფებს არა რაიმე მექანიკური, არამედ საქონლის წარმოშობისა და მიღების სირთულის პრინციპით. მაგ. სასაქონლო ნომენკლატურა შედგება 21 კარისაგან, რომელიც იწყება ცოცხალი ცხოველებით და მთავრდება ხელოვნების ნაწარმოებებით.

თანამედროვე სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურა კარების დონეზე შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები (კარი 1);

ბ) მცენარეული წარმოშობის პროდუქტები (კარი 2);

გ) ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები (კარი 3);

დ) კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები(კარი 4);

ე) მინერალური პროდუქტები (კარი 5);

ვ) ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია(კარი 6);

ზ) პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინა და მათი ნაწარმი(კარი 7);

თ) დამუშავებული ტყავები და ტყავეულის ნედლეული, ტყავი, ნატურალური ბეწვი და მისი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; საგზაო საკუთნოები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (გარდა ნატურალური აბრეშუმის კეტგუტისა)(კარი 8);

ი) მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა დასაწნავი მასალის ნაწარმი; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი (კარი 9);

კ) მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზური მასალებისაგან; რეგენირებული ქაღალდი და მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი (კარი 10);

ლ) საფეიქრო მასალები და საფეიქრო ნაწარმი (კარი 11);

მ) ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხი-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან (კარი 12);

ნ) ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიუ-



რი მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი (კარი 13);

ო) მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები (კარი 14);

პ) არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი (კარი 15);

ჟ) მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტროტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათალმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები (კარი 16);

რ) მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და აღჭურვილობა (კარი 17);

ს) ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატები; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები (კარი 18);

ტ) იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები (კარი 19);

უ) სხვადასხვა სამრეწველო საქონელი (კარი 20);

ფ) ხელოვნების ნაწარმოებები, საკონტროლო ნივთები და ანტიკვარიატი (კარი 21).

სასაქონლო ნომენკლატურა (შესაბამისი სასაქონლო კოდები), გარდა იმისა, რომ იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით უზარმაზარი სასაქონლო ნაკადების შესახებ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ან სპეციალური საბაჟო სტატისტიკის საწარმოებლად. ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება საგრძნობლად ამარტივებს საბაჟო დამუშავების ოპერაციებს და იძლევა მათი სხვადასხვა ასპექტებით ეკონომიკური ანალიზის განხორციელების საშუალებას.

## §7.2 სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენების წესები

სასაქონლო ნომენკლატურა, როგორც წესი, გამოიყენება საქონლის დეკლარირების დროს. სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით საქონლის კოდს განსაზღვრავს დეკლარანტი და აფიქსირებს საბაჟო დეკლარაციაში. ამასთან ზოგიერთი საქონლის ზუსტი კოდის განსაზღვრა ურთულეს პროცედურას წარმოადგენს და ზოგჯერ სასაქონლო ექსპერტიზასთან არის დაკავშირებული.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა შედგება: კარის, ჯგუფის, პოზიციის, სუბპოზიციის და ქვესუბპოზიციისაგან.

კარი მოიცავს ერთი გვარის საქონელთა ზოგად დასახელებას. მაგ. პირველი კარი არის: „ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები“.

ჯგუფი მოიცავს კარში შემავალი კონკრეტული გვარის საქონელს. მაგ. პირველი კარის 01 ჯგუფი არის „ცოცხალი ცხოველები“.

პოზიცია მოიცავს ჯგუფში შემავალი კონკრეტული გვარიდან კონკრეტული სახის საქონელს. მაგ. 0101 სასაქონლო პოზიცია არის „ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი“.

სუბპოზიცია მოიცავს პოზიციაში შემავალი კონკრეტული სახის საქონლის სახეს. მაგ. 0101 პოზიციის 010110 სუბპოზიცია არის „წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები“.

ქვესუბპოზიცია მოიცავს სუბპოზიციაში შემავალი კონკრეტული საქონლის ქვესახეს. მაგ. 010110 სუბპოზიციის 010110100000 ქვესუბპოზიცია არის „ცხენები“.

როგორც ვხედავთ, სასაქონლო ნომენკლატურის შემთხვევაში ადგილი აქვს საქონელთა გვარ-სახეობით დამოკიდებულებას, ანუ აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, მთელისა და ნაწილის ისეთივე მიმართებას, როგორც ეს არის ზოგადად ცნებებისა და კატეგორიების განსაზღვრის დროს ლოგიკის მეცნიერებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ კარს არ შეესაბამება ასოითი ციფრი, ხოლო სხვა დანარჩენს შეესაბამება შემდეგნიშნა ციფრები:

- ა) ჯგუფი—ორნიშნა ციფრი;
- ბ) პოზიცია—ოთხნიშნა ციფრი;
- გ) სუბპოზიცია—ექვსნიშნა ციფრი;
- დ) ქვესუბპოზიცია—ექვსნიშნას შემდგომი ციფრები(მაგ. ცხრანიშნა, თერთმეტნიშნა).

პოზიციას, სუბპოზიციას და ქვესუბპოზიციას შეესაბამება დასახელებები, რომლებიც შესაბამისი პირამიდის ფორმით გამომდინარეობს ერთმანეთისაგან. „ერთმანეთისაგან გამომდინარეობა“ აღინიშნება დეფისებით. არსებობს ერთდეფისიანი, ორდეფისიანი, სამდეფისიანი, ოთხდეფისიანი და იშვიათ შემთხვევაში მეტდეფისიანი დიფერენცირებები.

დეფისების მეტი ოდენობა გამომდინარეობს დეფისების ნაკლები ოდენობიდან. მაგ. ქვემოთ მოყვანილ სასაქონლო ნომენკლატურაში (იხ. დანართი №1):

ა) ერთდეფისიანი „—წმინდაჯიშნიანი სანაშენე ცხოველები“ გამომდინარეობს „0101 ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები“-დან;

ბ) ორდეფისიანი „— — ცხენები“ გამომდინარეობს „—წმინდაჯიშნიანი სანაშენე ცხოველებიდან“;

გ) ორდეფისიანი „— — დანარჩენი“ გამომდინარეობს „—წმინდაჯიშნიანი სანაშენე ცხოველებიდან“;

დ) ერთდეფისიანი „—დანარჩენი:“ გამომდინარეობს „0101 ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები“-დან;

ე) ორდეფისიანი „— — ცხენები:“ გამომდინარეობს „—დანარჩენი:“-დან;

ვ) სამდეფისიანი „— — —საკლავი“ გამომდინარეობს „— — ცხენები:“-დან;

ზ) სამდეფისიანი „— — —დანარჩენი“ გამომდინარეობს „— — ცხენები:“-დან;

თ) ორდეფისიანი „— — ვირები“ გამომდინარეობს „—დანარჩენი:“-დან;

ი) ორდეფისიანი „— — ჯორები და ჯორცხენები“ გამომდინარეობს „—დანარჩენი:“-დან.

კოდი	პოზიციის დასახელება	დამატ. ზომის ერთ.
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:	
0101 10	-- წმინდაჯიშისანი სანაშენე ცხოველები:	
0101 10 100 00	--- ცხენები	ყალი
0101 10 900 00	--- დანარჩენი	ყალი
0101 90	-- დანარჩენი:	
	--- ცხენები:	
0101 90 110 00	--- საკლავი	ყალი
0101 90 190 00	--- დანარჩენი	ყალი
0101 90 300 00	--- ვირები	ყალი
0101 90 900 00	--- ჯორები და ჯორცხენები	ყალი

როგორც წესი, სასაქონლო ნომენკლატურის ძირითად ზომის ერთეულს შეადგენს კილოგრამი. ამასთან სატარიფო და არასატარიფო მიზნებისათვის სასაქონლო ნომენკლატურაში ხდება ზომის სხვა დამატებითი ერთეულების მითითება. მაგ. ცხენის იმპორტი იბეგრება და აღირიცხება ცალობით, ხოლო ვისკისა-ლიტრობით. ქვემოთ იხ. სხვადასხვა საზომი ერთეულების დასახელება (დანართი №2).

ზომის ერთეულის დასახელება	პირობითი აღნიშვნა	ზომის ერთეულის კოდი
ძირითადი ერთეული		
კილოგრამი	კგ	166
დამატებითი ზომის ერთეულები		
ბრუტო-რეგისტრული ტონა (2,8316 მ <sup>3</sup> )	მტ	181
გრამი	გ	163
გრამი გაყოფადი იზოტოპებისა	გ/ი	306
ტეიტამწეობა ტონებში	ტ ტეა	185
კუადრატული მეტრი	მ <sup>2</sup>	055
კილოგრამი აზოტისა	კგ N	861
კილოგრამი კალიუმის ჰიდროქსიდისა	კგ KOH	859
კილოგრამი ნატრიუმის ჰიდროქსიდისა	კგ NaOH	863

კილოგრამი კალიუმის ოქსიდისა	კგ $K_2O$	852
კილოგრამი წყალბადის პეროქსიდისა	კგ $H_2O_2$	841
კილოგრამი ფოსფორის ხუთქანგისა	კგ $P_2O_5$	865
კილოგრამი 90 %-ით მშრალი ნივთიერებისა	კგ 90% მ/მ	845
კილოგრამი ურანისა	კგ U	867
კუბური მეტრი	გ <sup>3</sup>	113
კიური	Kი	305
ლიტრი	L	112
ლიტრი სუფთა (100 %) სპირტი	ლ 100% სპირტი	831
მეტრი	M	006
მეტრული კარატი (1 კარატი $2 \cdot 10^{-4}$ კგ)	კარ	162
წყველი	წყვე	715
ასი ცალი	100 ცლ	797
ათასი ცალი	1000 ცლ	798
ცალი	ცლ	796
1000 კილოვატ-საათი	1000 კვტ-სთ	246
1000 კუბური მეტრი	1000 გ <sup>3</sup>	114
1000 ლიტრი	1000 ლ	130

## თავი 8. საბაჟო დეკლარაცია

### §8.1 საბაჟო დეკლარაციის არსი, ფორმები და სახეები

საბაჟო დეკლარაცია არის დეკლარანტის განცხადება საქონლის რომელიმე საბაჟო რეჟიმში (საბაჟო დამუშავების ოპერაციაში) მოქცევის შესახებ.

საქონლის საბაჟო დეკლარირება ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით. კერძოდ არსებობს დეკლარირების ოთხი ძირითადი ფორმა:

- ა) წერილობითი;
- ბ) ელექტრონული;
- გ) ზეპირი;
- დ) კონკლუდენტური (ქცევითი).

წერილობითი საბაჟო დეკლარირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ დადგენილი

ფორმის ქალაქის მეშვეობით. ამ ფორმით წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს გაეროს მიერ დადგენილ მინიმალურ ინფორმაციას.

წერილობითი საბაჟო დეკლარაციები ცნობილია ორი ფორმით: ერთიანი სასაქონლო დეკლარაცია და ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი. ერთიანი სასაქონლო დეკლარაცია პირველად გამოჩნდა 1990 წელს საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს(შემდგომში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) რეკომენდაციებში. რაც შეეხება ერთიან ადმინისტრაციულ დოკუმენტს, როგორც საბაჟო დეკლარაციის სახეს, იგი მიმოქცევაში შემოვიდა 1988 წელს ევროკავშირში. ამასთან ერთიანმა ადმინისტრაციულმა დოკუმენტმა უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა, ვიდრე ერთიანმა სასაქონლო დეკლარაციამ. თავის მხრივ თანამედროვე საბაჟო დეკლარაციები წარმოადგენს ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის მოდიფიცირებულ ვერსიას. ეს დოკუმენტი შეიცავს დაახლოებით 55 საბაჟო რეკვიზიტს ანუ მარტივად, რომ ვთქვათ საბაჟო დეკლარაცია შედგება დაახლოებით 55 გრაფისაგან.

წერილობითი საბაჟო დეკლარაციის ფორმები არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი და ამდენად, ზოგიერთ ქვეყანაში მას ყოფიან კერძო პირები, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კერძო პირებს აქვთ საბაჟო ორგანოსაგან შესაბამის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავების უფლება, რომელიც იძლევა ამავე დროს საბაჟო დეკლარაციის ამობეჭდვის უფლებას დადგენილი ფორმით და წესით. ამასთან საბაჟო ორგანოები აწვდიან დეკლარანტებს საბაჟო დეკლარაციის შესაბამისი ფორმის ფურცლებს.

ელექტრონული საბაჟო დეკლარაცია წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერული სისტემის საშუალებით დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოსადმი მიწოდებულ ინფორმაციას. ამ დროს, საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაციის თანმხლები დოკუმენტები არ წარედგინება, თუმცა იგი წარდგენილ უნდა იქნეს საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე. ამასთან, დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად ელექტრონულად წარადგინოს თანმხლები დოკუმენტებიც.

ელექტრონული დეკლარირების მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ ელექტრონულად გადაცემული ინფორმაცია უნდა იყოს სტანდარტიზებული და ჰარმონიზებული.

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით მსოფლიო საბაჟო სისტემაში ელექტრონულ დეკლარირებას უმნიშვნელო პოზიციები უკავია და კვლავინდებურად დომინირებს წერილობითი საბაჟო დეკლარირების ფორმა.

ზეპირი დეკლარირება ხორციელდება მგზავრების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს. ამ შემთხვევაში მგზავრი ზეპირად განაცხადებს, რომ მას არ აქვს (ან აქვს) დეკლარირებას დაქვემდებარებული საგნები.

თანამედროვე მსოფლიოში ზეპირი დეკლარირების ფორმა შეცვალა კონკლუდენტურმა ფორმამ. კერძოდ, კონკლუდენტური დეკლარირება ნიშნავს გზავრის მიერ მოქმედებით (ქცევით) ანუ უტყვად შესრულებულ განცხადებას. მაგ. ცივილიზებულ ქვეყნებში საბაჟო საზღვრებზე არსებობს ე. წ. „წითელი“ და „მწვანე“ კორიდორები. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი შეგნებულად გადის „წითელ“ კორიდორს იგი „აცხადებს“, რომ მას აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი, ხოლო „მწვანე“ კორიდორის გავლისას, კი, პირიქით—იგი, „აცხადებს“, რომ მას არ აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი.

ზეპირი ან კონკლუდენტური საბაჟო დეკლარირებას, როდესაც ადგილი აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის არსებობას (იგულისხმება დაბეჯერას, ლიცენზირებას, ნებართვებს ან სხვა არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებული საქონელი), აუცილებლად მოსდევს წერილობითი საბაჟო დეკლარირება.

საბაჟო დეკლარაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. ეს დამოკიდებულია საბაჟო დეკლარაციის ფუნქციონალურ თავისებურებასა და კონკრეტული ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაზე. კერძოდ, პირის მიერ საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს წარდგენილ უნდა იქნეს ისეთი საბაჟო დეკლარაცია, რომელიც მოიცავს ამომწურავ, მრავალწახნაგოვან ინფორმაციას ამ საქონელზე, რაც არ მოითხოვება მგზავრის მიერ წარდგენილი საბაჟო დეკ-

ლარაციისათვის ან საფოსტო გზაენილის დეკლარაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს საბაჟო დეკლარაციის შემდეგი სახეები:

ა) სასაქონლო ანუ სატვირთო საბაჟო დეკლარაცია (დანართი №1);

ბ) მგზავრის ანუ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;

გ) საფოსტო საბაჟო დეკლარაცია.

სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია (ზოგიერთ ქვეყანაში მას პქვია სატვირთო საბაჟო დეკლარაცია) წარედგინება საბაჟო ორგანოს ჩვეულებრივი კომერციული დანიშნულების ტვირთების შემოტანა გატანის დროს. ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში, მხოლოდ ზოგიერთ საბაჟო დამუშავების ოპერაციის დროს წარედგინება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია (მაგ. საბაჟო რეჟიმების დროს), ხოლო სხვა შემთხვევებში ხდება უფრო გამარტივებული ტიპის დოკუმენტის წარდგენა, რომელიც საბაჟო დეკლარაციის ფუნქციას ასრულებს, თუმცა შეიცავს გაცილებით ნაკლებ მონაცემებს.

მგზავრის ანუ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო ორგანოს იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრს გააჩნია კონკრეტული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული დასადეკლარირებელი საქონელი (საგნები). ასეთ საქონლად მიიჩნევა განსაზღვრული რაოდენობის და ღირებულების ნივთები, ფული, ფასიანი ქაღალდები, საგნები, რომლებსაც სჭირდება სპეციალური ნებართვა და სხვა. პირადი საგნები, რომლებიც აქვს მგზავრს და, რომელსაც იგი იყენებს მგზავრობის დროს, არ ექვემდებარება დეკლარირებას, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ამ ნივთების რაოდენობა ან ღირებულება აჭარბებს დადგენილ პარამეტრებს ან მის გადაადგილებას ესაჭიროება ნებართვა.

საფოსტო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო ორგანოებს დეკლარანტების მიერ. იგი შეიცავს უფრო ნაკლებ ინფორმაციას საქონლის შესახებ, ვიდრე სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია.

როგორც წესი, საფოსტო დეკლარაციები წარედგინება მცირე ღირებულების და რაოდენობის საქონლის იმპორტის და ექსპორტის დროს. ამასთან, თუ ამანათში მოთავსებული საქონლის ღირებულება



ან რაოდენობა აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ან ორივე ერთად.

ამასთან, საერთაშორისო წესებით დადგენილია, რომ საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დროს ზღვა შემდეგი სახის საფოსტო დეკლარაციების წარდგენა:

ა) საფოსტო დეკლარაცია— CN-22(დანართი №2);

ბ) საფოსტო დეკლარაცია— CN-23(დანართი №3);

ზემოაღნიშნული დეკლარაციებიდან, როგორც წესი, CN-23-ით ხორციელდება საფოსტო გზავნილში მოთავსებული საქონლის დეკლარირება, ხოლო CN-22-ით, გზავნილში მოთავსებული დოკუმენტების.

მსოფლიო პრაქტიკაში, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე დადგენილია იმ საქონლის ნუსხა, რომლის მოთავსება საფოსტო ამანათებში, როგორც წესი, აკრძალულია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული გზავნილი იგზავნება ე.წ. „გამოცხადებული ფასდადებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასწარ ცხადდება გზავნილში მოთავსებული საქონლის ფასი მისი დაზღვევის მიზნით) და შესაბამისად, მისი დეკლარირება საფოსტო დეკლარაციებით არ ხორციელდება. ეს საქონელია:

ა) მონეტები;

ბ) საბანკო და საკრედიტო ბილეთები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

გ) საგზაო ჩეკები;

დ) პლატინა, ოქრო და ვერცხლი ნაკეთობების ან გადაუმუშავებელი სახით;

ე) ძვირფასი ქვები, საოუველირო ნაწარმი და სხვა ძვირფასი საგნები;

ვ) ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები;

ზ) ფეთქებადი და სხვა საშიში ნივთიერებები;

თ) უხამსი ნივთები;

ი) საქონელი, რომლის შეტანა ქვეყანაში აკრძალულია;

კ) ცოცხალი ცხოველები.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილებს შემდეგი სხვადასხვა სახე აქვს:

ა) წერილი—გზავნილი, რომელიც ეწოდება წერილობით ცნობებს ან დოკუმენტებს;

ბ) საფოსტო ბარათი—გზავნილი, რომელიც ეწოდება სპეციალურ ბლანკზე შესრულებულ წერილობით ცნობებს;

გ) ბანდეროლო-გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია ნაბეჭდი გამოცემები, საქმიანი ქაღალდები და სხვა საგნები;

დ) ტომარა „M“-გზავნილი, რომელიც შეიცავს ნაბეჭდ გამოცემებს (გაზეთები, წიგნები, პერიოდული გამოცემები და სხვა) და, რომელიც იგზავნება ერთი გამომგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით;

ე) სეკოგრამა-გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია სპეციალური შრიფტით შესრულებული და ბრმათათვის განკუთვნილი წერილობითი ცნობები და გამოცემები;

ვ) წერილი პაკეტი-გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია საქონლის ნიმუშები;

ზ) ამანათი-გზავნილი, რომელიც განკუთვნილია მცირე რაოდენობის საქონლისათვის;

თ) საერთაშორისო ექსპრეს-ფოსტის გზავნილი-გზავნილი, რომლის მოძრაობა ხორციელდება დაჩქარებული წესით.

## §8.2 საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია

საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება უფლებამოსილ საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადებში. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადების დადგენა საქონლის შემოტანის დროს ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების სახის გათვალისწინებით. როგორც წესი, ცივილიზებულ პირობებში, საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს საბაჟო დეკლარაცია უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენიდან ანუ ამ საქონელზე შესაბამისი ინფორმაციის წარდგენიდან 45 კალენდარულ დღეში, ხოლო სხვა დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში-20 კალენდარულ დღეში. საქონელზე ზოგადი ინფორმაციის წარდგენას ზოგჯერ ზოგად დეკლარირებასაც უწოდებენ.

საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს დეკლარანტმა. დეკლარაცია, როგორც აღვნიშნეთ სტანდარტული ფორმის ქაღალდზე იბეჭდება და იგი მინიმუმ უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) საბაჟო რეჟიმი(დამუშავების ოპერაცია);
- ბ) დეკლარანტის სახელი და მისამართი;
- გ) იმპორტიორის სახელი და მისამართი;
- დ) გამომგზავნის სახელი და მისამართი;

- ე) ტრანსპორტის სახე;
- ვ) სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია;
- ზ) საქონლის აღწერა;
- თ) საქონლის სატარიფო კლასიფიკაცია ანუ სასაქონლო კოდი;
- ი) წარმოშობის ქვეყანა;
- კ) გამგზავნი ანუ ექსპორტის ქვეყანა;
- ლ) დანიშნულების ქვეყანა;
- მ) შეფუთვის აღწერილობა(ნომერი, ხასიათი, მარკირება);
- ნ) საქონლის რაოდენობა, ბრუტო და ნეტო წონა;
- ო) საბაჟო გადასახდელების განაკვეთები;
- პ) საბაჟო ღირებულება და ღირებულება ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) მიხედვით;
- ჟ) ვალუტის კურსი;
- რ) დაბეგვრის ზომის ერთეული(კგ, ლიტრი, სმ<sup>3</sup>, ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა, კარატი და სხვა);
- ს) მიწოდების პირობები(CIF, DAF, FOB და ა.შ.);
- ტ) პრეფერენციები;
- უ) თანმხლები დოკუმენტები;
- ფ) დეკლარანტის ხელმოწერა, ადგილი და თარიღი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო დეკლარაციაში შესატანი ზემოაღნიშნული სრული ინფორმაცია არ გააჩნია დეკლარანტს, მაშინ მას შეუძლია წარადგინოს არასრული საბაჟო დეკლარაცია, იმ პირობით, რომ დანარჩენ ინფორმაციას წარადგენს გარკვეული ვადის განმავლობაში. ახალი ინფორმაციის წარდგენა ხდება შემდეგი ხერხებით:

- ა) იმავე არასრულ დეკლარაციაში შესაბამისი სრული მონაცემების შეტანა;
- ბ) დამატებითი დეკლარაციის წარდგენა;
- გ) ახალი დეკლარაციის წარდგენა.

არასრული ანუ წინასწარი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა საშუალებას იძლევა საქონელი გატანილ იქნას საბაჟო ორგანოდან შესაბამისი გარანტიის წარდგენის შემდეგ.

დეკლარანტებს, რომლებიც მიიღებენ სპეციალურ ნებართვას საბაჟო ორგანოსაგან, უფლება ეძლევათ წარადგინონ ე.წ პერიოდული დეკლარაცია. ამ შემთხვევაში გარკვეული პერიოდის(მაგ. ერთი თვე) განმავლობაში დეკლარანტს შემოაქვს საქონელი, ხოლო თვის ბოლოს წარადგენს ერთ დეკლარაციას ყველა შემოტანილ საქონელზე. ეს პროცედურა ხელს აძლევს ხარჯებისა და ადმინისტრირების შემცირების თვალსაზრისით, როგორც საბაჟო ორგანოს, ასევე დეკ-

ლარანტს. ამასთან, დადგენილი პერიოდის განმავლობაში საქონლის ყოველი შემოტანის დროს საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს დეკლარაციის თანმხლები დოკუმენტები, რომლებიც იძლევიან საქონელთა იდენტიფიცირების საშუალებას, რითაც საბაჟო ორგანოს საშუალება ეძლევა აღრიცხოს შემოტანილი საქონელი პოსტაუდიტური ან გარკვეული პერიოდის შემდეგ წარსადგენი საბაჟო დეკლარაციის შემოწმების მიზნით.

საბაჟო ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაციის ორიგინალი და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რამდენიმე ეგზემპლარი ან ასლი. როგორც წესი, თითო ეგზემპლარი აუცილებლად რჩებათ დეკლარაციის მარეგისტრირებელ შესაბამის საბაჟო ორგანოს და დეკლარანტს.

საბაჟო ორგანოში წარდგენილ საბაჟო დეკლარაციას, როგორც წესი, თან უნდა ახლდეს ის საბაჟო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებულ მონაცემებს. ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებად განიხილება:

- ა) ინვოისი (ანგარიშ-ფაქტურა);
- ბ) იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია ან ნებართვა;
- გ) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;
- დ) ფიტოსანიტარული, სამედიცინო, ვეტერინარული სერტიფიკატები;
- ე) სატრანსპორტო დოკუმენტები (საავტომობილო ზედღებულის, საავიაციო ზედღებულის, სარკინიგზო ზედღებულის, საზღვაო ზედღებულის (კონოსამენტი).

საბაჟო ორგანოს თანხმობით დეკლარანტს შეუძლია წარმოადგინოს საბაჟო დეკლარაცია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემოაღნიშნული დოკუმენტები (ან მათგან რამდენიმე) არ არის წარმოდგენილი. ეს დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნეს დადგენილ ვადაში.

საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი საბაჟო დოკუმენტები, როგორც წესი, არ ითარგმნება. საბაჟო ორგანო არ მოითხოვს ამ დოკუმენტების თარგმნას კონკრეტული ქვეყნის ოფიციალურ ენაზე. გამონაკლისი შეიძლება იყოს ის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ისეთ ენებზე, რომლებიც არ წარმოადგენს საერთაშორისო სტატუსის მქონე ენებს და ნაკლებად ხელმისაწვდომია საბაჟო ორგანოს თანამშრომელთათვის. მაგ. თუ დოკუმენტი შედგენილია ჩინურ ან სპარსულ ენებზე, მაშინ შესაძლებელია თარგმანის მოთხოვნა.

საბაჟო დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს იმ საბაჟო

ორგანოში, რომელსაც აქვს მისი მიღების, რეგისტრაციისა და შემოწმების უფლებამოსილება. ზოგიერთ ქვეყანაში ნებისმიერ გამშვებ პუნქტში არის შესაძლებელი წარდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია, ხოლო სხვაგან—მხოლოდ ზოგიერთ საბაჟო ორგანოში.

როგორც წესი, იმპორტის ან ექსპორტის დროს, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციები წარედგინება არა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს(გამონაკლისია აეროპორტები და საზღვაო პორტები), არამედ ქვეყნის სივრცეში საბაჟო საწყობებთან ანუ ლოგისტიკურ ცენტრებში განლაგებულ საბაჟო ორგანოებს.

საბაჟო დეკლარაცია, როგორც წესი, წარედგინება საბაჟო ორგანოებს სამუშაო დროს. რაც შეეხება ელექტრონულ დეკლარირებას, იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დღეს 24 საათის განმავლობაში. ამასთან ელექტრონული დეკლარაციების განხილვა ხდება მხოლოდ სამუშაო საათებში, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

როგორც ამ პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნავდით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ათვლა, როგორც წესი, ხორციელდება საბაჟო ორგანოსადმი საქონლის წარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან (ე.წ. ზოგადი დეკლარირებიდან) შესაბამის ვადაში. სიტყვა „როგორც წესი“ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ათვლის წერტილი სხვადასხვა პოზიციაში მდგომარეობს. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) საქონლის ქვეყანაში შემოტანის მომენტი;
- ბ) საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენის მომენტი;
- გ) საქონლის დროებით შენახვის საწყობში განთავსების მომენტი;
- დ) საქონლის გადმოტვირთვის მომენტი;
- ე) საქონლის გაშვების მომენტი, თუ დაშვებულია საქონლის გაშვება საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებამდე.

თუ, დადგენილ ვადაში ვერ ახერხებს დეკლარანტი საბაჟო დეკლარაციის წარდგენას ობიექტური მიზეზების გამო(რომელსაც ადგენს საბაჟო ორგანო), მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია გაუგრძელოს დეკლარანტს დეკლარაციის წარდგენის ვადა შესაბამისი საბაჟო გარანტიის გათვალისწინებით.

საბაჟო დეკლარაცია შეიძლება საბაჟო ორგანოში წარდგენილ იქნეს საქონლის შემოტანამდეც. უფრო მეტიც, ზოგჯერ საქონელი შეიძლება გაშვებულიც კი იქნეს საქონლის შემოტანამდე. საქონლის წინასწარი გაშვება მიზანშეწონილია საზღვაო და საჰაერო

ტრანსპორტით საქონლის შემოტანის შემთხვევაში, რადგანაც აქ საქონლის შეცვლის შესაძლებლობები არ არსებობს.

საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემდეგ ხორციელდება მისი რეგისტრაცია საბაჟო ორგანოს მიერ. რეგისტრაცია არის ისეთი საბაჟო პროცედურა, რომელიც ადასტურებს დეკლარაციის მიღებას საბაჟო ორგანოს მიერ და საბაჟო დეკლარაციისათვის სამართლებრივი ხასიათის მინიჭებას. რეგისტრაციის დროს საბაჟო დეკლარაციას ენიჭება ნომერი და დაესმის შესაბამისი თარიღი.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო დეკლარაციის შესაბამისი ნომრის მინიჭების უფლება აქვს არა საბაჟო ორგანოს, არამედ დეკლარანტს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე, როგორც წესი, საბაჟო ორგანო ახორციელებს საბაჟო დეკლარაციის შემოწმებას შემდეგი ასპექტების მიხედვით:

- ა) დეკლარაციის ფორმატი;
- ბ) დეკლარანტის ხელმოწერა;
- გ) აუცილებელი ინფორმაცია;
- დ) აუცილებელი დოკუმენტები.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო დეკლარაციაში არ არის დაცული ზემოაღნიშნული ასპექტებით გათვალისწინებული ფაქტორები, მაშინ საბაჟო ორგანო უარს ამბობს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციაზე და ატყობინებს ამის შესახებ დეკლარანტს. ამასთან კანონმდებლობით განისაზღვრება ის მოქმედებები, რაც უნდა განახორციელოს დეკლარანტმა ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენის თვალსაზრისით.

### **§8.3 საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, შესწორება და გამოთხოვა**

როგორც წესი, საბაჟო დეკლარაციის შესაბამისი შემოწმება ხორციელდება მისი რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, ჯერ ხდება საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, ხოლო შემდეგ—რეგისტრაცია.

საბაჟო დეკლარაციების შემოწმება ხორციელდება რისკის ფაქტორების ანალიზიდან გამომდინარე, რამდენადაც შეუძლებელია მილიონობით საბაჟო დეკლარაციის ნაკადის კონტროლი. რისკის ანალიზის საკითხებს აქ არ განვიხილავთ, რამდენადაც იგი მოცემულია შესაბამის თავში (თავი 11).

საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დროს საბაჟო ორგანო, როგორც წესი, ამოწმებს შემდეგ უმთავრეს პარამეტრებს:

ა) საქონლის დასახელებისა და სასაქონლო კოდის შესაბამისობა;

ბ) საბაჟო გადასახდელების განაკვეთების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;

გ) საქონლის რაოდენობის, საბაჟო ღირებულების და წარმოშობის ქვეყნის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტებთან;

დ) თანმხლები დოკუმენტების აუთენტურობა და ნამდვილობა;

ე) საბაჟო რეჟიმის (დამუშავების ოპერაციის) გამოყენების შესაძლებლობა.

საბაჟო ორგანოს შეუძლია საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების სიზუსტისა და უტყუარობის დასადგენად მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტები. მაგ. საბანკო გადარიცხვის დოკუმენტი, ან უცხო ქვეყნის ექსპორტის დეკლარაცია საქონლის იმპორტის დროს და სხვა.

რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია შეიძლება შეცვლილი იქნეს ანუ მასში შეიძლება იქნეს შეტანილი შესაბამისი ცვლილებები. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც საბაჟო ორგანოს ჯერ არ აქვს შემოწმებული საბაჟო დეკლარაცია ან საქონელი;

ბ) როდესაც საბაჟო ორგანომ უკვე დაიწყო საბაჟო დეკლარაციის შემოწმება.

საბაჟო დეკლარაციის შესწორება ხორციელდება დეკლარანტის მოთხოვნით, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტმა აღმოაჩინა დაშვებული შეცდომები. შეცდომა შეიძლება იყოს, როგორც მექანიკური ხასიათის, ასევე სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე. შეცდომა შეიძლება აღმოაჩინოს საბაჟო ორგანომაც და მიმართოს დეკლარანტს საბაჟო დეკლარაციის შესწორების მოთხოვნით.

საბაჟო დეკლარაციის ცვლილება ხორციელდება საქონლის გაშვების შემდეგაც, საბაჟო დეკლარაციის შემოწმებამდე (ზოგჯერ საქონლის გაშვება ხდება წინასწარ საბაჟო დეკლარაციის შემოწმებამდე). ამ შემთხვევაშიც, თუ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტები საბაჟო ორგანო ნებას რთავს დეკლარანტმა განახორციელოს სათანადო კორექტირება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საბაჟო ორგანო დეკლარანტს უფლებას აძლევს შეცვალოს საბაჟო დეკლარაციის ის თანმხლები დოკუმენტებიც, რომელიც შეცდომით დაერთო ამ დეკლარაციას.

რაც შეეხება თანმხლებ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას, ამის უფლება დეკლარანტს არ აქვს.

საბაჟო დეკლარაციის კორექტირება ხორციელდება მისი შემოწმების დაწყების შემდეგაც, თუ არსებობს დეკლარანტის მხრიდან დასაბუთებული მიზეზები და საბაჟო ორგანო აღიარებს მას. ამასთან, ცვლილების განხორციელება არ გამოორიცხავს დეკლარანტის დაჯარიმებას ადმინისტრაციული წესით.

დეკლარანტს უფლება აქვს გამოითხოვოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვებამდე. როგორც წესი, საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქონელი დეკლარირებულ იქნა შეცდომით სხვა საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში);

ბ) როდესაც საქონელმა გამოიცვალა მფლობელი საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს, ხოლო ახალი მფლობელი ირჩევს სხვა საბაჟო რეჟიმს (დამუშავების ოპერაციას).

საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა არ ათავისუფლებს დეკლარანტს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმებისაგან, თუ საბაჟო დეკლარაციაში აღმოჩენილ იქნა სათანადო დარღვევები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყანა საბაჟო დეკლარაციას განიხილავს, როგორც ადმინისტრაციულ აქტს და მის მიმართ იყენებს არა გამოთხოვის მექანიზმს, არამედ ადმინისტრაციული აქტის მიმართ გამოსაყენებელ ქმედებებს. მაგ. ძალადაკარგულად, არარად ან ბათილად გამოცხადება. (მაგ. საქართველო).





<p>საბაჟო CUSTOMS</p>	<p>CN 22</p>
<p>შესაძლებელია გაიხსნას ოფიციალურად May be opened officially</p>	<p>(old C1)</p>
<p>მოხსენით ეს მხარე იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს საბაჟო დეკლარაცია. სხვა შემთხვევაში ეს უნდა იქნეს შევსებული Detach this part of the packet if accompanied by Customs declaration. Otherwise it must be completed.</p>	
<p>დეტალური აღწერა მოთავსებული ნივთისა Detailed Description of Contents</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>	
<p>დოკუმენტი Document</p>	<p>საქონელი Merchandise</p>
<p>ღირებულება(მითითებულ უნდა იქნეს ვალუტა) Value (specify the currency)</p>	
<p>ვადასტურებ, რომ შიგნით მოთავსებული ნივთი არ შეიცავს საშიშ ნივთიერებებს, რომელიც აკრძალულია საფოსტო წესების მარეგულირებელი კანონით I certify that this item does not contain any danger article prohibited by postal regulation.</p> <p>ხელმოწერა _____ Signature</p>	

<p>საბაჟო დეკლარაცია  <b>DECLARATION EN DOUANE</b>          (arcient C2/P3)</p>		<p>CN 23</p>	
<p>საიდან          De</p>	<p>გამგზავნის გვარი და          მისამართი          Nom et adresse de          l'expediteur</p>	<p>გზავნილის N          -----</p>	<p>N De l'envol</p>
		<p>გამგზავნი პუნქტი          Bureau d'origine</p>	<p>გამგზავნის          თარიღი          Date de          deport</p>
<p>სად          A</p>	<p>მიმღების გვარი და          სრული მისამართი          Nom et complete du          destinaire</p>	<p>წონა          Poids</p>	
<p>გზავნილის          აღწერილობა(ჩამონათვალი)          და რაოდენობა          designation du conteu et          nombre d'objets</p>		<p>გამგზავნის ხელმოწერა          Signature de l'expediteur</p> <p>ოპერატორის ხელმოწერა          Signature de l'agent          -----</p> <p>გამგზავნი პუნქტის ბეჭედი          Timbre du bureau expediteur</p>	

## თავი 9. ძირითადი საბაჟო დოკუმენტები

### §9.1 საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი

საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი წარმოადგენს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების საფუძველს. კონტრაქტის ფორმა და შინაარსი კანონმდებლობით არ დგინდება და წარმოადგენს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ნებაყოფლობით შედგენილ ტექსტს, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს. ამასთან, როგორც წესი, კონტრაქტი ითვალისწინებს „ინკოტერმის“ მიწოდების პირობების გათვალისწინებას, რაც წარმოშობს მხარეთა გარკვეულ უფლება-მოვალეობებს.

კონტრაქტის სტანდარტული ფორმის შესახებ იხ. დანართი №1.

დანართი №1

#### კონტრაქტი (ხელშეკრულება) №....

2009 წლის 2 თებერვალი მარტვილი

შპს „დიტომ“ ბონი, გერმანია, შემდგომში-მიმწოდებელი, ერთი მხრივ და შპს „თელომ“, მარტვილი, საქართველო, შემდგომში, როგორც მყიდველი, მეორე მხრივ, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

#### 1. კონტრაქტის საგანი

მომწოდებელი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს: ლუდს ბოთლებში ჩამოსხმულს

#### 2. რაოდენობა და ფასი

(ფასი მითითებულია CIF-ფოტის მიწოდების პირობით „ინკოტერმის“ შესაბამისად)

საქონლის აღწერილობა-ლუდი „ვედიდკარი“, რაოდენობა-100000 ბოთლი, ერთი ბოთლის ღირებულება-1 ევრო, მთლიანი ღირებულება-100000(ერთი მილიონი ევრო).

3. ტვირთის მიმღები

ტვირთმიმღები: შპს „თელო“, მარტვილი, საქართველო

4. გადახდის პირობები

მთლიანი თანხის გადახდა განხორციელდება ერთდროულად უნაღლო ანგარიშსწორების გზით საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარულ დღეში.

5. მიწოდების ვადა

მიწოდება განხორციელდება კონტრაქტის ხელმოწერიდან

6. საჯარიმო სანქციები

დადგენილ ვადაში საქონლის მიუწოდებლობისათვის მიმწოდებელს გადახდება ჯარიმა საქონლის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო დადგენილ ვადაში თანხის გადაუხდელობისათვის ტვირთმიმღებს გადახდება ჯარიმა გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ფორსმაჟორი

დაუძლეველი ძალის დადგომის დროს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები ავტომატურად გადაიწევა შესაბამისი დაუძლეველი ძალის აღმოფხვრამდე.

8. არბიტრაჟი

მხარეებს შორის წარმოშობილი დავა და კამათი უნდა გადაწყდეს შეძლებისდაგვარად მოლაპარაკებისა და დათმობის გზით.

9. კონტრაქტის მოქმედების ვადა

ამ კონტრაქტის მოქმედების ვადა ვრცელდება 2009 წლის ბოლომდე და შეიძლება გაგრძელდეს მხარეებს შორის შეთანხმებით.

10. მხარეების იურიდიული მისამართები

გამყიდველი  
(ხელმოწერა)

მყიდველი  
(ხელმოწერა)

## §9.2 ინვოისი (ანგარიშ-ფაქტურა)

ინვოისი წარმოადგენს საქონლის ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილ დოკუმენტს, რომელსაც ექსპორტიორი (გამყიდველი) გამოუწერს და გადასცემს იმპორტიორს (მყიდველს).

ფულადი ანგარიშსწორების ასპექტით ინვოისი წარმოადგენს ექსპორტიორის ერთგვარ დავალებას იმპორტიორისადმი, რათა ამ უკანასკნელმა საქონლის მიწოდების პირობების შესაბამისად გადაიხადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.

ინვოისის ფორმა და შევსების წესი არ დგინდება კანონმდებლობით, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ დადგენილია საერთაშორისო ვაჭრობის ინვოისის ერთიანი ნიმუში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ რეკვიზიტებს:

- ა) ექსპორტიორი;
- ბ) იმპორტიორი;
- გ) საქონლის დასახელება, წონა, ღირებულება, მიწოდების პირობები.

როგორც წესი, ინვოისები (და სხვა საბაჟო დოკუმენტები) ივსება ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, კონკრეტული კომერციული ინვოისის ფორმის შესახებ იხ. დანართი №2.

დანართი №2

INVOICE №			
contract no: №00000001/01		invoice no: 0001	
		date: 01:01:09	
Exporter(name, address, country)			
LTD „DITO“			
Consignee(name, address, country)		Quantity	Rate
LTD „THEDO“			Amount
CONTRACT NO: №00000001/01		-----	-----
vegetable oil mfr 3234		MT	USD
packed in 1150 bags in box of each		20.700	1106.00
18 kgs nett weight			USD 22,894.20
			CIF POTI
Asst manager			

### §9.3 საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები (CMR)

საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები (დანართი №3) წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საბაჟო დოკუმენტს, რომელსაც გამოწერს გადამზიდველი და წარუდგენს საქონლის ექსპორტიორს ან იმპორტიორს ან მათ წარმომადგენელს.

ზედნადები მოიცავს საქონლის საბაჟო იდენტიფიცირებისა და საბაჟო კონტროლისათვის აუცილებელ პირველსაწყის ინფორმაციას. კერძოდ, ზედნადებში მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ა) ზედნადების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) გამგზავნის დასახელება და მისამართი;
- გ) გადამზიდავის დასახელება და მისამართი;
- დ) საქონლის მიღების ადგილი, თარიღი და მიტანის ადგილი;
- ე) მიმღების დასახელება და მისამართი;
- ვ) საქონლის მახასიათებლების მიღებული აღნიშვნები, შეფუთვის სახეობა (სახიფათო საქონლის გადაზიდვისას მათი საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნები);
- ზ) სატვირთო ადგილების რაოდენობა, მათი სპეციალური მარკირება და ნუმერაცია;
- თ) საქონლის ბრუტო წონის მონაცემები ან სხვა საზომ ერთეულებში გამოხატული საქონლის რაოდენობის აღნიშვნები;
- ი) გადაზიდვის გადასახდელები და სხვა გადასახდელები, რომელთა გადახდევინება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან საქონლის ადგილზე მიტანამდე;
- კ) მითითებები საბაჟო და სხვა ფორმალობების შესასრულებლად; ზედნადები საჭიროებისას შეიძლება შეიცავდეს შემდეგ დამატებით მონაცემებს:
  - ა) მითითებას, რომ გადატვირთვა აკრძალულია;
  - ბ) გადასახდელებს, რომელიც გამგზავნმა უნდა გადაიხადოს;
  - გ) გადასახდელებს, რომელიც უნდა იქნას გადახდილი საქონლის ჩაბარებისას;
  - დ) გადამზიდავისათვის გამგზავნის მითითებებს საქონლის დაზღვევის შესახებ;
  - ე) გადაზიდვის შეთანხმებულ ვადას;
  - ვ) გადამზიდავისათვის გადაცემული დოკუმენტების ნუსხას.

საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო  
ზედნადები (Frachtbrief) CMR

(ეს გადაზიდვები ხორციელდება მხოლოდ ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების კონვენციის პირობებით)

<ol style="list-style-type: none"> <li>1. გამგზავნი(დასახელება, მისამართი, ქვეყანა)</li> <li>2. მიმღები(დასახელება, მისამართი, ქვეყანა)</li> <li>3. ტვირთის ჩამოტვირთვის ადგილი</li> <li>4. ტვირთის ჩატვირთვის თარიღი და ადგილი</li> <li>5. თანხლები დოკუმენტები</li> <li>6. ნიშნები და ანოტაციები</li> <li>7. ადგილების რაოდენობა</li> <li>8. შეფუთვის სახე</li> <li>9. ტვირთის დასახელება</li> <li>10. სტატისტიკის №</li> <li>11. ბრუტო წონა</li> <li>12. მოცულობა(მ<sup>3</sup>)</li> <li>13. გამგზავნის მითითებები(საბაჟო და სხვა)</li> <li>14. დაბრუნება</li> <li>15. გადახდის პირობები(ფრანკო, არაფრანკო)</li> <li>16-19. ექვემდებარება გადახდას(განაკვეთი, დათმობა, სხვაობა, დანამატი, დამატებითი მოსაკრებელი, სხვა, გადახდის შედეგი, გამგზავნი, ვალუტა, მიმღები)</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>20. განსაკუთრებული შეთანხმებული პირობები</li> <li>21. შედგენის თარიღი</li> <li>22. მოსვლა (წასვლა) ჩატვირთვისათვის (საათი, წუთი) გამგზავნის ხელმოწერა და შტამპი</li> <li>23. საგზაო ფურცელი(მძღოლის გვარი, გადამზიდველის ხელმოწერა და შტამპი)</li> <li>24. ტვირთი მიღებულია(თარიღი) მოსვლა გადმოსატვირთად(საათი, წუთი) წასვლა(საათი, წუთი) მიმღების ხელმოწერა და შტამპი</li> <li>25 რეგისტრაციის ნომერი.</li> <li>26. მარკა(ვამწვევი, მისაბმელი)</li> <li>27. ტარიფი 1 კმ-ზე, სატარიფო მანძილი კმ-ში</li> <li>28. სატარიფო მანძილი, კმ-ში, სქემა, სატარიფო წონა, ტარიფი 1 ტონაზე, დანამატები, დათმობები, სხვა გადახდები, გადარიცხვა, გადახდილია შემკვეთის მიერ,</li> <li>ვალუტა, გადამხდელის კოდი</li> <li>29. ტარიფი</li> </ol>
---	---



## §9.4 კონოსამენტი (საზღვაო ზედნადები)

გემის ბორტზე საქონლის მიღების შემდეგ გადამზიდველი (კაპიტანი, გადამზიდველის აგენტი) ვალდებულია გამგზავნის მოთხოვნით გამოწეროს კონოსამენტი და გადასცეს იგი საქონლის გამგზავნს. კონოსამენტს გამოწერენ აგრეთვე ექსპედიტორები მულტიმოდალური (შერეული) გადაზიდვების დროს(მაგ. შერეული გადაზიდვის კონოსამენტი (FBL). შერეული გადაზიდვის კონოსამენტის ნიმუშის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე (შევსებული) იხ. დანართი №4 და დანართი №5.

კონოსამენტი არის საზღვაო ზედნადები, მაგრამ ამასთან იგი წარმოადგენს საქონლის განკარგვის უფლების მომნიჭებელ დოკუმენტსაც. ამასთან კონოსამენტი ითვლება ფასიან ქალაქად (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა).

კონოსამენტს სამი ძირითადი ფუნქცია აქვს:

- ა) მიმღებისათვის იგი არის საქონლის განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) წარმოადგენს გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- გ) წარმოადგენს კაპიტნის ხელწერილს საქონლის გემზე მიღების შესახებ.

კონოსამენტი ძირითადად მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ა) გადამზიდვის(სანაოსნოს) დასახელება;
- ბ) გემის დასახელება და ქვეყნის კუთვნილება;
- გ) გამგზავნის დასახელება;
- დ) მიმღების დასახელება;
- ე) დატვირთვის პორტი;
- ვ) დანიშნულების პორტი;
- ზ) საბოლოო დანიშნულების ადგილი;
- თ) გაგზავნის თარიღი, შეფუთვის რაოდენობა და სახეები, აღწერილობა, წონა, მასა, მოცულობა;
- ი) მონაცემები ფრახტის გადახდის შესახებ;
- კ) გაფორმების, გაცემის ადგილი და თარიღი;
- ლ) გაცემული ორიგინალი კონოსამენტების რაოდენობა;

მ) ორიგინალ კონოსამენტზე საზღვაო გადაზიდვის წარმომადგენლის და სანაოსნოს აგენტის ხელმოწერა.

საქონლის გადაცემის პრინციპების მიხედვით კონოსამენტი სამი სახისაა: სახელობითი, ორდერული და წარმდგენზე.

სახელობითი კონოსამენტით საქონლის მიღების უფლება გადაეცემა მხოლოდ იმ პირს ვისი რეკვიზიტებიც არის აღნიშნული კონოსამენტში. ამ შემთხვევაში გადაცემა ხორციელდება ცესიით ანუ გემის კაპიტნის მიერ კონოსამენტის პირდაპირ გადაცემით. („ცესია“ (cession) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დათმობას, გადაცემას, ხოლო „ცესიონერი“ (lender)—პირს, რომელიც ახორციელებს გადაცემას).

ორდერულ კონოსამენტში საქონლის მიმღები აღნიშნული არ არის. ამდენად ამ სახის კონოსამენტით საქონლის მიღებაზე უფლების გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტის მეშვეობით. („ინდოსამენტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ზურგს“, ამ შემთხვევაში კი— გადაცემის წარწერას ფასიანი ქაღალდის უკანა მხარეზე, რომელიც წარმოადგენს სხვა პირისათვის განსაზღვრული უფლებების გადაცემის დადასტურებას). წარმდგენის შემთხვევაში საქონლის მფლობელი ხდება კონოსამენტის ფიზიკური წარმდგენი.

ფუნქციონალური თვალსაზრისით კონოსამენტები შემდეგი სახისაა:

ა) „გამჭოლი კონოსამენტი“ (THROUGH BIL OF LANDING)—იგი გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ბოლო დანიშნულების პორტამდე გემზე დატვირთული საქონლის სხვა გემებზე გადატვირთვა. მას აკისრია სატრანსპორტო ლოგისტიკის შემდგომი მართვა მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე;

ბ) „კომბინირებული სატრანსპორტო კონოსამენტი“ (COMBINED TRANSPORT BIL OF LANDING)—იგი გაიცემა მულტიმოდალური ტრანსპორტის ოპერატორების მიერ. ამასთან, მას აკისრია საერთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელების პასუხისმგებლობა საქონლის გაგზავნის ადგილიდან მიღების ადგილამდე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით (საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო);

გ) „სახაზო კონოსამენტი“ (LINER BIL OF LANDING)—იგი გაიცემა სანაოსნოების მიერ და გამოიყენება რეგულარული საზღვაო მიმოსვლის მარშრუტებზე.

დ) „ექსპრესული კონოსამენტი“ ( DATA FREIGHT RECEIPT)—  
წარმოადგენს სანაოსნოების მიერ საქონლის მიღების დასტურს.  
მისი მიზანია კონოსამენტების გრძელი საფოსტო გზის შემცირება.  
გაგზავნის (საქონლის გემზე დატვირთვის) თარიღი, აგრეთვე  
საქონლის ჩამოსვლის ვადა დანიშნულების პორტში, მიმღებს  
ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ეს კონოსამენტი  
არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს;

ე) „მულტიმოდალური კონოსამენტი“ (FIATA BIL OF  
LANDING) —იგი წარმოადგენს გამჭოლი კონოსამენტის სახეს,  
რომელიც გაიცემა შერეული გადაზიდვების ექსპედიტორის მიერ და,  
რომელიც ამავე დროს არის FIATA—ს(„ექსპედიტორთა ეროვნული  
ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია“) წევრი. ამ დროს  
ექსპედიტორი იღებს თავის თავზე გადაზიდვაში მონაწილეთა საერთო  
პასუხისმგებლობას საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანამდე,  
რაც აუცილებლად ექვემდებარება დაზღვევას.

დანართი №4

### FBL

**FIATA—ს მულტიმოდალური  
სატრანსპორტო კონოსამენტი**  
გამოწერილია uncad/icc-ს წესების  
შესაბამისად დოკუმენტის სახით.  
(კუბლიკაცია №481).

1. გამგზავნი
2. მიმღები
3. შეტყობინების მისამართი
4. მიღების ადგილი
5. საოკეანო გემი, დატვირთვის ნავსადგური
6. გადმოტვირთვის ნავსადგური, მიტანის ადგილი
7. მარკირება და ნუმერაცია
8. ტვირთის რაოდენობა და შეფუთვის სახეობა
9. ტვირთის დახასიათება
10. ბრუტო წონა
11. გაბარიტული ზომები

**ნ ი მ უ შ ი**  
( ც ი ს ფ ე რ ი ფ ო ნ ი )

<p>12. ტვირთგამგზავნის დეკლარაცია ტვირთის დროულად მიწოდების დანტერესების შესახებ</p>	<p>13. დეკლარირებული ფასეულობა განცხადებული ღირებულების განაკვეთის განსაზღვრისათვის ტვირთგამგზავნის დეკლარაციის მიხედვით</p>
<p>ტვირთი და ინსტრუქციები მიღებულია იმ პირობების შესაბამისად, რომელიც მოცემულია დოკუმენტის მეორე გვერდზე. თუ, ამ დოკუმენტში სხვა რამ არ არის აღნიშნული, ტვირთი მიღებულია პასუხისმგებლობის ქვეშ გადასაზიდად და მისატანად გარეგნულად იმ სათანადო მდგომარეობაში, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული. ამ მულტიმოდალური სატრანსპორტო კონოსამენტის ერთი ეგზემპლარი სათანადო ინდოსირებით უნდა ჩაბარდეს ტვირთის სანაცვლოდ, რისთვისაც მულტიმოდალური სატრანსპორტო კონოსამენტის ორიგინალი შედგენილია და ხელმოწერილი ქვემოთ მითითებული ეგზემპლარების რაოდენობით, იდენტური შინაარსით და ერთი და იგივე თარიღით. ერთ-ერთი ორიგინალის გამოყენებისას ყველა სხვა ეგზემპლარი ბათილია.</p>	
<p>14. ფრახტის რაოდენობა 16. გამოწერის ადგილი და თარიღი: 18. კონოსამენტის ორიგინალების</p>	<p>15. გადასახდელი ფრახტი(სად): 17. ქვემოთ ხელისმომწერთა ტვირთი 19. გამოწერის ადგილი – დაუზღვეველია რაოდენობა და თარიღი—დაზღვეულია თანდ. პოლისის შესაბამისად.</p>
<p>20. ტვირთის მიტანის საკითხებზე გათხოვთმიმართოთ:</p>	<p>21. ბეჭედი, ხელმოწერა</p>
<p style="text-align: center;">ტექსტის საავტორო უფლება ეკუთვნის FIATA-ს</p>	

**BILL OF LADING FOR OCEAN TRANSPORT  
OR MULTIMODAL TRANSPORT**

**VEDIDKARI LINE**

1. scac MAEU
2. Exporter(name, address, country) LTD „DITO“
3. booking no: 999999
4. b/l no: 999999
5. export references svc contract 777777
6. Consignee(name, address, country) LTD „THEDO“
7. notify party(see clause 22) SAME AS CONSIGNEE
8. port of loading TANJUNG PELPAS
9. vessel(see clause 1+19) GOSPORT VEDIDKARI
10. port of discharge POTI
11. port of loading Tanjung pelepas

**PARTICULARS FURNISHED BY SHIPPER**

12. weight 43010.000 kgs
13. measurement 69.0000 cbm
14. kind of paskages; description of goods; marks and numbers; container no/  
seal no.  
2 containers said to contain 2300 bags  
41. 400mts  
vegetable oil mfr 3234  
pasked in 2300 bags in box of each 18 kgs nett weight  
(total net weigt: 41.400 metric tons  
full name, address, fax, telex and telephone number of shipping agent at port of  
destination vedidkari Georgia-poti branch 13, Iarnaka street 385555  
Poti  
Georgia  
phone: +995 151 25294..95(2 lines),  
fax: +995 11 21 8717  
msku2534736 ml-my04022165 20dry 8, 6 1150 bags 21505.000 kgs 34.5000 cbm  
shipper seal: 0064748  
msku2095253 ml-my0402168 20dry 8,6 1150 bags 21505.000 kgs 34.5000
15. carrier,s receipt(see clause 1 and 14). total number of containers or paskages  
received by carrier. 2 CONTAINER(S)
16. number & sequence of original b(s)/l
17. date of issue of b/l  
THREE/3 2009-06-10
18. shipped on board date  
2009-05-30

as agent(s) for the carrier

## §9.5 ავიაზენდლები და საჰაერო სატვირთო მანიფესტი

საჰაერო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება საჰაერო ავიაზენდლები(დანართი №6) და სატვირთო მანიფესტი(დანართი №7).

საჰაერო ავიაზენდლები იმავე პრინციპის დოკუმენტია, როგორც საერთაშორისო სატრანსპორტო ზედღებული და მას გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია: პირველი—იგი ადასტურებს გადაზიდვის მიერ საქონლის გადასაზიდად მიღებას, და მეორე—იგი განსაზღვრავს გადაზიდვის ღირებულებას. ამასთან იგი შეიცავს საქონელთან დაკავშირებულ, საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

რაც შეეხება საჰაერო სატვირთო მანიფესტს, იგი წარმოადგენს თვითმფრინავში არსებული ყველა ცალკეული ზედღებულებით ინვოისებით წარმოდგენილ საქონლის შესახებ ზოგად და არსებით მონაცემთა ერთობლიობას.

საავიაციო გადაზიდვის ზენდლები ორი სახისაა: ძირითადი ზენდლები და საკუთარი ზენდლები.

ძირითადი ზენდლები გაიცემა ცალკეულ სასაქონლო პარტიებზე, ექსპედიტორის მიერ გადამზიდვისათვის გადაცემული ერთი გზავნილის(პარტიის) გასაგზავნად, ხოლო საკუთარ ზენდლებს გასცემენ ექსპედიტორები თითოეულ იმ ცალკეულ გზავნილებზე, რომლებიც შეადგენენ გზავნილთა ჯგუფს ან კონსოლიდირებულია ექსპედიტორის მიერ კონტეინერში.

საავიაციო გადამზიდველი უზრუნველყოფს ექსპედიტორს საავიაციო გადაზიდვის ზენდლების ბლანკით, თუ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის აგენტს. ექსპედიტორი, როგორც საავიაციო გადამზიდვის აგენტი აესებს საავიაციო გადამზიდვის ლოგოიან ავიაზედლებულს. შევსებული ზენდლები გადაეცემა შემკვეთს(ტვირთამგზავნს) და იგი წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებას შემკვეთსა და საავიაციო გადამზიდვს შორის. ამასთან ტვირთამგზავნი უხდის ექსპედიტორს ტრანსპორტირების ღირებულებას, რომელიც იღებს ამ თანხებს საავიაციო გადამზიდვის სახელით.

საავიაციო ზენდლებები, როგორც წესი გვხვდება შემდეგი აბრევიატურებით: AWB, HAWB, FAW, AIR Waybill.

<p>1. ტვირთგამგზავნის დასახელება და მისამართი                  2. ტვირთგამგზავნის ანგარიშის №                  3. ტვირთმიმღების დასახელება და მისამართი</p>	<p><b>ავია ზედნადები FAW</b>                  I, II, III ასლი ამ ავია ზედნადებისა წარმოადგენს ორიგინალს და აქვს იგივე ძალა</p>
<p>4. ტვირთმიმღების ანგარიშის №                  5. იმ გადამზიდავის აგენტის დასახელება და მისამართი ვინც აფორმებს ავიაზედდებულს                  6. FIATA-ს სააგენტო კოდი                  7. ანგარიშის №                  8. გაგზავნის აეროპორტი(I გადამზიდავის მისამართი) და შეკვეთილი მარშრუტი                  9. პირველი გადამზიდავის მიერ                  10. დანიშნულების აეროპორტი                  11.რეისი/თარიღი-მხოლოდ გადაზიდვისათვის. რეისი/თარიღი                  12. ვალ. კოდი WT/VAL, სხვა გადამზიდავის განცხადებული ფასი                  13. დაზღვევის ოდენობა                  14. დაზღვევა: თუ გადამზიდავი გთავაზობთ დაზღვევას, რომელიც შეესაბამება ლოკუმენტის მეორე გვერდზე მითითებულ პირობებს, მიუთითეთ დასაზღვევი თანხის რაოდენობა ციფრებში                  15. საბუღალტრო ინფორმაცია                  21. ტარიფის გადახდა                  22. სულ გადახდილია                  23. ტვირთის დახასიათება და რაოდენობა (ზომებისა და მოცულობის ჩათვლით)                  21. ტარიფის გადახდა                  22. სულ გადახდილია                  23. ტვირთის დახასიათება და რაოდენობა (ზომებისა და მოცულობის ჩათვლით)                  24. წინასწარი გადახდა                  25. წონის ფასი</p>	<p>ვადასტურებთ, რომ ქვემოთ მითითებული ტვირთი ჩაბარებულია გადასაზიდად გარეგნულად კარგ მდგომარეობაში(მუფუთული ტვირთის გარდა) იმ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც მოცემულია ლოკუმენტის მეორე მხარეს. ყველა ტვირთი შეიძლება გადაზიდულ იქნას ნებისმიერი სხვა საშუალებით ავტოგადაზიდვის ჩათვლით და სხვა ნებისმიერი გადამზიდავის მიერ, თუ არ არის მითითებული გამგზავნის კონკრეტული სხვა ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს იმ შუალედური შეჩერებებით, რომელსაც გადამზიდავი ჩათვლის საჭიროდ. ტვირთგამგზავნი ყურადღებას აქცევს იმ ინფორმაციას, რომ შეზღუდულია გადამზიდავის პასუხისმგებლობის ზღვარი. ტვირთგამგზავნი შეუძლია გაუზარდოს გადამზიდაველს პასუხისმგებლობის ზღვარი, თუ განაცხადებს, რომ გადასაზიდავი ტვირთის ღირებულება უფრო დიდია და აუცილებლობის შემთხვევაში იხდის დამატებით თანხას.</p> <p style="text-align: center;"><b>ნი მ უ შ ი</b></p> <p style="text-align: center;">(თეთრი ფერის ფონი)</p>

26. მოსაკრებელი
27. შეფასებული ანაზღაურება
28. გადასახადი
29. სულ სხვა ხარჯების შეფასება
30. გადამზიდავის სულ სხვა ხარჯები
31. სულ გადახდილია, სულ მიღებულია.
32. ვალუტის კურსი
33. ადგილზე ვალუტის ხარჯი
34. მხოლოდ გადათელისათვის დანიშნულების ადგილზე
35. ხარჯები ადგილზე
36. ჯამური გადასახადი
36. სხვა ხარჯები
37. ტვირთგამგზავნი ადასტურებს, რომ ავიაზედდებულის წინა გვერდზე მოცემული ინფორმაცია სწორია და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტვირთი შეიცავს საზიფათო ტვირთს, ეს ნაწილი შესაბამისად აისახება საზიფათო ტვირთების ავია გადაზიდვის წესების თანახმად

-----

ტვირთგამგზავნის ან მისი აგენტის ხელმოწერა

38. -----

შუღგენილია(რიცხვი) (ადგილი) გამფორმებული გადამზიდავის ან მისი აგენტის ხელმოწერა

ტექსტის საავტორო უფლება ეკუთვნის FIATA-ს



**AIR CARGO MANIFEST**

Date: 09:09:09

**AGENT: LTD „DITO“**

Warehouse Receipt	Ppieces	Weight	Date	Purchase order Number	Description of Goods	Serial Numbers	Value
013333	1	091					
013334	1						
013335	1						
013336	1						
013337	1						
013338	1						
013339	1						
013341	1						
013342	1						
013343	1						
013345	1						
013346	1						
013347	1						

Total pieces: 13    Total Weight: 66.65 kgs    Total value of invoices: 30,201.35

**§9.6 შეფუთვის ფურცელი**

შეფუთვის ფურცელი არის ის საბაუო დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს საქონლის ბრუტო და ნეტო წონას, შეფუთვის სახეს სათანადო კლასიფიკატორების მიხედვით, საქონლის ტარის წონას, კონტეინერის ნომრებს.

არსებობს საქონლის შეფუთვის 19 სახე, რომელიც კოდიფიცირდება შესაბამისი კლასიფიკატორის მიხედვით. შეფუთვის სახეებია:

- ა) ნაყარი; ბ) ნაყარი გრანულირებული; გ) ჩასხმით; დ) შეუფუთავი;
- ე) აეროზოლი; ვ) ტომარა; ზ) შეკვრა; თ) ჩარჩოები; ი) რულონი;
- კ) შესაფუთი; ლ) ცილინდრი; მ) პაკეტი; ნ) კასრი; ო) ამანათი; პ) მუყაოს ყუთი; ჟ) ყუთი; რ) სხვა; ს) ქვესადგამი; ტ) ბალონი.

შეფუთვის ფურცლის შევსებული ფორმა ინგლისურ ენაზე იხ. დანართი №8.

**PASKING LIST**

Contract No	: №999999/1111
Product Description	: Vegetable oil mfr 3234
Quantity	:41.400 Mts
Packing	:In 2
300 bags in box of each 18 kgs nett	
Total gross weight	:43
010.00kgs	
Total tare weight	:1
610.00kgs	
Total nett weight	:41
400.00kgs	
Container & seal no	:1) msku 3095253/0064741/ml-my
0402168	2) msku 3095253/0064749/ml-my
0402165	
Batch no.	
	:1) 347230968721
	2) 907534865234

---

Asst Manager  
Date: 09.09.09

**§9.7 ხარისხის სერტიფიკატი**

საქონლის ხარისხის სერტიფიკატი წარმოადგენს საქონლის ხარისხის კონტროლის საშუალებას. საქონლის ხარისხის კონტროლი ხორციელდება როგორც საბაჟო საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით. ამ მიზნით საქონლის შემოტანის დროს, როგორც წესი, ზოგიერთ საქონელს ახლავს ხარისხის სერტიფიკატი. ეს განსაკუთრებით

ითქმის კვების პროდუქტებსა და მალფუჭებად საგნებზე. მალფუჭებადი საქონლის ხარისხის კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. ამასთან, საერთაშორისო ტრანზიტის დროს ხარისხის კონტროლი არ ხორციელდება.

ხარისხის სერტიფიკატი, როგორც წესი მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: შენახვის პირობები(მაგ. ხორცის შემთხვევაში მინუს 18 გრადუსი), შენახვის (ვარგისიანობის) ვადა(მაგ. 2009 წლის ნოემბრამდე), საქონლის აღწერილობა, ნეტო და ბრუტო წონა, მწარმოებელი (ექსპორტიორი), იმპორტიორი.

ქვემოთ იხ. ინგლისურ ენაზე შევსებული გაყინული ხორცის ხარისხის სერტიფიკატის ნიმუში (დანართი №9).

დანართი №9

### QUALITY CERTIFICATE

1. producer:	LTD „DITO“ Brazil
2. Net weight:	30.000,000 kg
3. Gross weight:	31.000,000kg
4. Cartons	1500
5. Date of production	October 20 st to November 05 tn, 2006
6. Storage Condition	Goods stored at minus 18 degrees celsius
7. Expiry date:	October to November, 2008-09-05
8. Destination	<b>LTD „THEDO“, MARTVILI, VEDIDKARI</b>
9. Description of goods	01x40 hp containing: frozen pork trimmings-sif 119
10. Container:	crlu 121.711-5
11. Vessel:	msc magali ci 0102/2006
12. November 22 nd, 2006	
13. _____ Authorized signature	

## §9.8 ფიტოსანიტარული სერტიფიკატი

ფიტოსანიტარული სერტიფიკატი გაიცემა მცენარეული წარმოშობის საქონლის, როგორც წესი, ექსპორტის დროს. შესაბამისად იგი წარედგინება იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელების მიზნებისათვის, როგორც საბაჟო საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით, იმის გათვალისწინებით, თუ სად ხორციელდება საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

ქვემოთ იხ. ინგლისურ ენაზე საქონლის ფიტოსანიტარული სერტიფიკატის ნიმუში (დანართი №10).

დანართი №10

<b>PHYTOSANITARY CERTIFICATE</b> (FAO international plant protection convention)	
Certificate number b(pg) 11. 03. 01/07(3465)	
<b>DESCRIPTION OF CONSIGNMENT</b>	
1. Name and address of exporter 2. Declared name and address of consignee 3. Number and description of packages 4. Distinguishing marks 5. Place of origin 6. Declared means of conveyance	7. Declared point 8. Name of produce and quantity declared  No: name of produce Botanical name Quantity unit
<b>DISINFESTATION AND/OR DISINFECTION TREATMENT</b>	
9. Date 10. Treatment 11. Chemical(active ingredient) 12. Duration and temperature 13. Concentration	14. Additional information 15. Additional declaration 16. Date, Stamp of organization 17. Signature 18. Name of authorized officer

## §9.9 პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი

პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი (იხ. დანართი №11) წარმოადგენს გარკვეული ჯგუფის საქონელთა სამედიცინო-სანიტარული კონტროლის შესაბამის დოკუმენტს. სამედიცინო-სანიტარული კონტროლი ხორციელდება ზოგიერთი სახის საქონელზე, რომელთა ნუსხას ამტკიცებენ შესაბამისი ქვეყნების სათანადო სახელმწიფო ორგანოები.

ჰიგიენური სერტიფიკაციის მიზანია პროდუქციის პოტენციური საშიშროების შეფასებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილება.

ქვეყნებს შორის ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტის (ჰიგიენური სერტიფიკატი, ჰიგიენური დასკვნა და სხვა) ურთიერთალიარების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ხდება ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის აღიარება იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ.

დანართი №11

<b>პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი</b>	
<b>HIGENIC CERTIFICATE OF PRODUCT</b>	
<b>N</b>	<b>. . 200 წ.</b>
გაცემული Issued .....	.....
	ორგანიზაციის დასახელება Name of the organization
პროდუქტა Product .....	.....
	პროდუქციის დასახელება Name of the product
დამამზადებელი Manufacturer.....	.....
	ფირმის და ქვეყნის დასახელება Name of the firm and country
მიწოდებელი Deliverer .....	.....
	ფირმის და ქვეყნის დასახელება Name of the firm and country

განცხადებელი  
Applicant

ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი  
Name of the organization and legal address

ამზადებული(მიღებული) შესაბამისად  
Manufactured (accepted) according to

ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის

ნორმატიული დოკუმენტების დასახელება, იმპორტული პროდუქციის რეკვიზიტები  
Name of the normative documentation of manufactured good rtquisites of imported production

პროდუქცია შეესაბამება

Product accords with

ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის დასახელება  
Name of the normative documtnation functioning

სტანდარტები, სანიტარული წესები და ნორმები, მედიკო-ბიოლოგიური მოთხოვნები და სხვა  
Sost, SST, Sanitary rules and norms, Mdico-biological requirements etc.

და დამკვეთს გამოყენებისათვის, მიწოდებისათვის, რეალიზაციისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე,  
რეგორც

And is approved to by used tn manufacture, delivering, selling within

პროდუქციის ჰიგიენური დასახელება  
The Hyiginic Description

მაჩვენებლები(ფაქტორები)  
Indices (Factors):

გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და უტილიზაციის დროს უსაფრთხოების დაცვის  
წესები

Securiti Rults For Using, Storage, Transporting and Utilization

გამოყენების სფერო  
Usage Sphtre

ჰიგიენური სერტიფიკატი ძალაშია  
The Hyiginic Certificate is Valid

სახელმწიფო სანიტარული  
ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი  
Head of the State Sanitary Surveillance  
Inspection

## თავი 10. საქონლის დათვალიერება და სინჯების ან ნიმუშების აღება

### §10.1 საქონლის დათვალიერების არსი

საქონლის დათვალიერება არის საბაჟო პროცედურა, რომელიც ნიშნავს საქონლის შემოწმებას მისი გარკვეული ნიშნების და პარამეტრების დადგენის მიზნით. ეს პარამეტრები შეიძლება იყოს საქონლის დასახელება, სასაქონლო კოდი, ზარისხი, ღირებულება, რაოდენობა, შემადგენლობა და ა.შ. საქონლის დათვალიერება შეიძლება გადავიდეს სინჯების ან ნიმუშების აღებაში.

განასხვავებენ საქონლის დათვალიერების შემდეგ სახეებს:

- ა) საქონლის გარეგანი, ვიზუალური დათვალიერება;
- ბ) საქონლის შიდა დათვალიერება.

საქონლის გარეგანი ანუ ვიზუალური დათვალიერება ნიშნავს საქონლის ისეთ შემოწმებას, როდესაც არ ხდება ამ საქონლის შეფუთვის, პლომბის გახსნა და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებების დარღვევა.

საქონლის შიდა დათვალიერება ნიშნავს საქონლის ისეთ შემოწმებას, რომლის დროსაც ზორციელდება საქონლის შეფუთვის გახსნა, საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ან სათავსების საიდენტიფიკაციო საშუალებების დარღვევა, რომელსაც მოსდევს ამ საქონლის მიმართ ფიზიკური ქმედებების განხორციელება.

როგორც წესი, საქონლის გარეგანი საბაჟო დათვალიერება, ზორციელდება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე, ხოლო შიდა—რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა, შიდა დათვალიერება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდეც, როგორც წესი, დეკლარანტის მოთხოვნით.

შემდგომში ტერმინ „დათვალიერების“ ქვეშ ყველგან ვგულისხმობთ საქონლის შიდა დათვალიერებას, რადგანაც საქონლის გარეგანი დათვალიერება არ არის არსებითი დათვალიერების პროცედურისათვის.

როგორც აღვნიშნეთ საქონლის დათვალიერება ზორციელდება ძირითადად საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ ან იშვიათ შემთხვევაში—რეგისტრაციამდე. ამასთან საბაჟო ორგანომ შეიძლება

მიიღოს საქონლის დათვალიერების გადაწყვეტილება, როგორც საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციისთანავე—ამ დეკლარაციის შემოწმებამდე, ასევე საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შემდეგ.

საქონლის დათვალიერება ხორციელდება ორი ფორმით: შერჩევით და სრულად. შერჩევითი და სრული საბაჟო დათვალიერება არ გულისხმობს საქონლის დათვალიერებას მხოლოდ რაოდენობის ასპექტით, თუმცა არ გამოირიცხავს მას.

შერჩევითი დათვალიერების დროს საბაჟო ახორციელებს შემოწმების ზოგიერთი სახის და მეთოდის გამოყენებას. კერძოდ:

ა) შეფუთვების გადათვლა;

ბ) საბაჟო დეკლარაციაში ან ინვოისში არსებული ნიშნებისა და ნომრების შედარება საქონელთან;

გ) დეკლარაციაში მითითებული საქონლის შედარება რეალურად წარმოდგენილ საქონელთან.

შერჩევითი დათვალიერების მაგალითად ითვლება, აგრეთვე რამოდენიმე კონტეინერიდან ზოგიერთი მათგანის შემოწმება ზემოაღნიშნული წესებით.

შერჩევითი დათვალიერების დროს, როგორც წესი, ზემოაღნიშნული მეთოდების მიხედვით მოწმდება განსაზღვრული რაოდენობის საქონელი. ამასთან ეროვნული კანონმდებლობა ადგენს, თუ რა პროცენტული რაოდენობის საქონელი ექვემდებარება შერჩევითი დათვალიერების დროს აუცილებელ შემოწმებას. მაგ. შერჩევით დათვალიერებას შეიძლება დაექვემდებაროს წარმოდგენილი ერთგვაროვანი საქონლის 2% ან 5% ან 10% ან 20% და ა.შ.

შერჩევითი დათვალიერების დროს, თუ შემოწმდება წარმოდგენილი ერთგვაროვანი საქონლის ნაწილი, მაშინ ამ ნაწილის შემოწმებისას მიღებული შედეგები გავრცელდება სხვა ერთგვაროვან შეუძლო შემოწმებელ საქონელზეც, თუ დეკლარანტი არ მოითხოვს დამატებით დათვალიერებას.

როგორც წესი, შერჩევითი დათვალიერება ხორციელდება იმ პირების მიმართ შემოტანილ ან გატანილ საქონელზე, რომლებიც სარგებლობენ კარგი რეპუტაციით შესაბამისი საბაჟო რისკის სისტემის ფარგლებში.

სრული დათვალიერების ხორციელდება მაშინ, როდესაც დეკლარანტი არ სარგებლობს კარგი რეპუტაციით ან საეჭვოა



საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების მონაცემების სინამდვილე ან შესაბამისობა. სრული დათვალიერების დროს ზორციელდება:

- ა) საქონლის სრული შემოწმება ანუ ყველა შეფუთვის გახსნა;
- ბ) რაოდენობის შემოწმება;
- გ) საქონლის დასახელებისა და სასაქონლო კოდის შემოწმება;
- დ) საბაჟო ღირებულების შემოწმება;
- ე) საქონლის წარმოშობის ქვეყნის შემოწმება (აუცილებლობის დროს);
- ვ) საბაჟო გადასახდელების შემოწმება.

ზოგიერთი საქონლის საბაჟო დათვალიერება ზორციელდება საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს ან საბაჟო კონტროლის დადგენილი ზონებისაგან განსხვავებულ ადგილზე. ეს პროცედურა ხელს აძლევს, როგორც საბაჟო ორგანოს, ასევე განსაკუთრებით დეკლარანტებს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების ასპექტით. ასეთ საქონელს, რომლის დათვალიერება შეიძლება ზემოაღნიშნულ შემთხვევებში განზორციელდეს განეკუთვნება მალფუჭებადი საქონელი, ცოცხალი ცხოველები, ხორბალი, წიაღისეული, ნავთობი და სხვა.

ზშირად ორი ქვეყნის საბაჟო ორგანოები დებენ ურთიერთშორის ადმინისტრაციული თანამშრომლობის ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვით თუ, საქონელი დათვალიერდა საქონლის ექსპორტის დროს ექსპორტიორ ქვეყანაში, მაშინ სხვა ქვეყანაში იმპორტის დროს, შესაბამისი იმპორტიორი ქვეყანა არ ათვალიერებს მოცემულ საქონელს.

ზოგიერთი სახის საქონელი ექვემდებარება საბაჟო დათვალიერების პრიორიტეტულ წესებს. ამ შემთხვევაში, ამ საქონელთა დათვალიერება ზორციელდება პირველ რიგში და დაჩქარებული წესით. ასეთ საქონელს განეკუთვნება:

- ა) მალფუჭებადი საქონელი;
- ბ) ცოცხალი ცხოველები;
- გ) ორგანოები, სისხლი და პლაზმა;
- დ) მალფუჭებადი სამედიცინო საქონელი;
- ე) მედიკამენტები და ვაქცინები;
- ვ) ინპლანტანტები;
- ზ) სამეცნიერო და სამედიცინო მოწყობილობა;

თ) ცეცხლჩამქრობი მოწყობილობები;

ი) ავარიის და სტიქიური უბედურების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და საგნები.

საქონლის დათვალიერებას საბაჟო საზღვარზე ახორციელებენ, როგორც საბაჟო ორგანოები, ასევე სხვა უწყებებიც. ზოგიერთ ქვეყანაში საქონელთან დაკავშირებულ ყველა სახის კონტროლს მხოლოდ საბაჟო ორგანოები ახორციელებენ (მაგ. საქართველო). აქ მხედველობაში გვაქვს საბაჟო კონტროლის სპეციალური ფორმები, ისეთი როგორიც არის ფიტოსანიტარული, ვეტერინარული, სამედიცინო(მგზავრების შემოწმების ჩათვლით), რადიაციული და სხვა. ამ პროცედურების განხორციელების დროს საქონლის დათვალიერება შესაბამისი უწყებების მიერ ხდება საბაჟო საზღვარზე ერთხელ, კოორდინირებული მოქმედებით. ასეთ ერთობლივ კონტროლს შეიძლება კონვერგენციული საბაჟო დათვალიერება და კონტროლი ეუწოდოთ.

საბაჟო დათვალიერება ხორციელდება დეკლარანტის თანდასწრებით ან უიმიზოდ. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო. კერძოდ, როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში, საბაჟო დათვალიერება ხორციელდება დეკლარანტის გარეშე. ეს განსაკუთრებით ხდება შერჩევითი დათვალიერების დროს. ამასთან საბაჟო ორგანოს შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში ნება დართოს დეკლარანტს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს მონაწილეობა საქონლის დათვალიერებაში.

რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, საბაჟო ორგანოები დეკლარანტს უარს ეუბნებიან საქონლის დათვალიერების დასწრებაზე, როგორც წესი, ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც არსებობს ეჭვი ან ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული საქონლის სახეობა ან რაოდენობა არ შეესაბამება რეალურად წარმოდგენილს;

ბ) როდესაც დათვალიერება ხორციელდება დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით.

საბაჟო დათვალიერება შეიძლება დეკლარანტის გარეშე განხორციელდეს სხვა შემთხვევებშიც, როდესაც დეკლარანტი მოწვეულია საქონლის დათვალიერებაზე, მაგრამ იგი არ გამოცხადდა დადგენილ დროს ან როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს

და ჯანმრთელობას ან სახელმწიფო უშიშროებას ან საზოგადოებრივ წესრიგს ან ცხოველებს ან მცენარეებს, გარემოს და ან, როდესაც დეკლარანტი მიატოვა საქონელი და არ მოაკითხა მას დადგენილ ვადაში.

საბაჟო დათვალიერების დროს დეკლარანტის დასწრება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიმართ საჭიროა განსაკუთრებული მოპყრობა, რაც გამოწვეულია ამ საქონლის სპეციფიკურობით ან, როდესაც საქონელი საჭიროებს შეფუთვის, სორტირებას, ნიშანდებას და ა.შ.

საბაჟო დათვალიერება, როგორც წესი, ხორციელდება ერთხელ, თუმცა შესაძლებელია განსაკუთრებული გარემოებების დროს, როდესაც საჭირო ხდება დამატებითი საბაჟო კონტროლის განხორციელება სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე (მაგ. მაკონტროლებლების შემოწმება ან დეკლარანტის მიერ დამატებითი დათვალიერების მოთხოვნა შერჩევითი დათვალიერების დროს ამ დათვალიერების შედეგების მთელ საქონელზე გავრცელების საწინააღმდეგოდ) შეიძლება მოხდეს განმეორებითი საბაჟო დათვალიერება ან პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი.

საბაჟო დათვალიერება შეიძლება განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. თანამედროვე საბაჟო კონტროლი ითვალისწინებს სხვადასხვა ხასიათის და დანიშნულების საქონლის მიმართ შესაბამისი ტექნიკის გამოყენებას. ამასთან, ფართოდ გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი მიღწევები, რომელიც აიოლებს სატრანსპორტო საშუალებაში სამალავების აღმოჩენას.

საბაჟო დათვალიერება მთავრდება შესაბამისი დოკუმენტის შედგენით (აქტი, ოქმი და სხვა). დოკუმენტი ასახავს საბაჟო დათვალიერების შედეგებს იმ პარამეტრების მიხედვით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამასთან დათვალიერების დოკუმენტზე ხელს აწერენ საბაჟო ორგანოს წარმომადგენელი და დამსწრე პირები (დეკლარანტი, იმ შემთხვევაში, თუ იგი ესწრება ამ პროცედურას).

საბაჟო დათვალიერების პროცედურების დასაწყებად განსახორციელებელი ქმედებების ხარჯები, რომელიც უკავშირდება საქონლის მიტანას განსაზღვრულ ადგილზე, მის გადმოტვირთვას და ა. შ. ეკისრება დეკლარანტს.

## §10.2 საქონლის სინჯების ან ნიმუშების აღება

საქონლის სინჯების ან ნიმუშების აღება საქონლის დათვალიერების თანმდევი პროცედურაა. იგი ხორციელდება იმავე მიზნებით, რაც საქონლის დათვალიერება ზოგადად.

ძირითადად, საქონლის სინჯების ან ნიმუშების აღება ხორციელდება საქონლის კოდის, სახეობის, ხარისხის და ღირებულების დასადგენად.

საქონლის სინჯი განსხვავდება საქონლის ნიმუშისაგან. სინჯი ეწოდება საქონლის ეგზემპლარის ან ნაყარი ტვირთების ნაწილს, ხოლო ნიმუში ეწოდება თვითონ საქონლის ეგზემპლარს(ცალს). რაც შეეხება ნაყარ ტვირთებს ან დაფასოებულ შედარებით დიდი ოდენობის ტვირთებს, რომელთა განცაკლევება არ ცვლის მის ხასიათს, ამ შემთხვევაში ნიმუშის და სინჯის ცნება ერთმანეთს ემთხვევა. მაგ. ტომარაში დაფასოებული შაქრის სინჯი და ნიმუში იქნება ამ ტომრიდან ამოღებული რამდენიმე კილოგრამი შაქარი. კონტეინერიდან აღებული რამდენიმე კილოგრამი მარგანეცი, ასევე წარმოადგენს ერთდროულად სინჯს და ნიმუშს. სინჯისა და ნიმუშის განსხვავების მაგალითია, ვთქვათ, 10 ლიტრიან ჭურჭელში დაფასოებული ლუდი ან ზეთი. ამ შემთხვევაში სინჯი იქნება 10 ლიტრიდან ამოღებული ერთი ან ორი ლიტრი ლუდი ან ზეთი, ხოლო ნიმუში—მთლიანად 10 ლიტრიანი ჭურჭელი.

ზოგჯერ მიზანშეწონილია სინჯის ასაღებად აღებულ იქნეს ნიმუში. მაგ. საიუველირო ნაკეთობების დროს, როგორც წესი, აიღება ცაკლეული ეგზემპლარი ანუ ნიმუში, რომლიდანაც შემდგომ შესაბამის დაწესებულებაში მოხდება სინჯის აღება და დამუშავება.

სინჯი ან ნიმუში შეიძლება აღებულ იქნას, როგორც საბაჟო ორგანოს ინიციატივით, ასევე დეკლარანტის თხოვნით. ამასთან საბაჟო ორგანოს მიერ სინჯისა და ნიმუშის აღების დროს ყველა შესაბამისი ხარჯი ეკისრება საბაჟო ორგანოს, ხოლო დეკლარანტის მიერ ამ პროცედურის განხორციელებისას—დეკლარანტს.

აღსანიშნავია, რომ სინჯები და ნიმუშები აიღება მინიმალური, გონივრული ოდენობით და იგი, როგორც წესი, პროცედურის დასრულების შემდგომ უბრუნდება დეკლარანტს. ამასთან, აღებული სინჯებისა და ნიმუშების ცალკე დეკლარირება არ ხდება და იგი

დეკლარირდება სხვა ანალოგიურ საქონელთან ერთად. თუ, სინჯები და ნიმუშები ექსპერტიზის შემდგომ გამოუსადეგარი ხდება და კარგავს თავდაპირველ ფუნქციას, მაშინ იგი უნდა განადგურდეს და არ უნდა იქნეს შეტანილ საბაჟო დეკლარაციაში ანალოგიური საქონლის დეკლარირების დროს. რაც შეეხება სინჯებისა ან ნიმუშების ექსპერტიზის შედეგად მიღებულ ნარჩენებს ან ჯართს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ამ სახით და შესაბამისი დანიშნულებით, იგი დეკლარირდება ცალკე დეკლარაციით, როგორც სხვა დასახელების და ნომენკლატურის საქონელი.

საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღების დროს დგება ისეთივე დოკუმენტი, როგორც არის საქონლის დათვალიერების შემთხვევაში ან შესაძლებელია დათვალიერების და სინჯებისა ან ნიმუშების აღების დოკუმენტი უნიფიცირებულ იქნეს.

ზოგიერთი ქვეყნის საბაჟო ორგანოს აქვს საკუთარი საბაჟო ლაბორატორია, სადაც ხორციელდება საქონლის სინჯებისა და ნიმუშების ექსპერტიზა და დამუშავება. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაწესებულება არ არსებობს ან საჭიროა განსხვავებული ექსპერტიზა, მაშინ საბაჟო ორგანო ან დეკლარანტი მიმართავს შესაბამის უფლებამოსილ საექსპერტო ორგანიზაციებს (მაგ. საქონლის გამოსავლიანობის ნორმის დასადგენად, რომელიც გამოიყენება გადამუშავების სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების დროს).

საბაჟო ორგანოსათვის ექსპერტის დასკვნის აღიარების სავალდებულობის პრინციპი ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობით, როგორც წესი, გაწერილი არ არის. ამდენად, საბაჟო ორგანო იღებს პასუხისმგებლობას, ექსპერტთან სოლიდარულად, საექსპერტო დასკვნაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში.

საქონლის სინჯებისა და ნიმუშების ექსპერტიზა, ზოგჯერ ხანგრძლივ დროს მოითხოვს. შესაბამისი დროის შუალედში საქონელი გაშვებულ იქნება საბაჟო ორგანოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ იქნება წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო საბაჟო გარანტია და ამავე დროს ეს საქონელი არ დაექვემდებარება შემოტანის ან გატანის დაწესებულ აკრძალვებს ან შეზღუდვებს. მაგ. თუ მოცემული საქონლის შემოტანა კანონმდებლობით აკრძალულია ან მას სჭირდება კვოტა, ლიცენზია, ნებართვა და ა.შ, მაშინ იგი არ გაიშვება ან არ გაიშვება შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენამდე.

საქონლის ექსპერტიზის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ისეთი სამართალდარღვევები, რომელთაც აქვს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათი. ამ შემთხვევაშიც შეიძლება იქნას გაშვებული საქონელი საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე, შემდეგი აუცილებელი პირობების დაცვით, თუ:

- ა) საქონელი არ ექვემდებარება კონფისკაციას;
- ბ) საქონელი არ მოითხოვება შესაბამისი ორგანოების მიერ, როგორც ნივთმტკიცება;
- გ) გადახდილ იქნება შესაბამისი საბაჟო გადასახდელელები;
- დ) წარმოდგენილ იქნება საბაჟო გარანტია ყველა შესაძლო დამატებით საბაჟო გადასახდელელებსა და ჯარიმებზე.

## თავი 11. საბაჟო რისკების მართვის სისტემა საბაჟო კონტროლის დროს

### §11.1 საბაჟო რისკების არსი

საბაჟო რისკი ეწოდება საბაჟო კანონმდებლობის პოტენციური დარღვევის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანო ჩაატარებდა საქონლის და შესაბამისი დოკუმენტების სრულ 100%-იან საბაჟო კონტროლს, მაშინ პრაქტიკულად არ იარსებებდა საბაჟო რისკი და შესაბამისად აზრს დაკარგავდა პირის მიერ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შესაძლებლობა.

ვინაიდან, მსოფლიო ვაჭრობაში შრომის საერთაშორისო დანაწილება და მისი შედეგი – საერთაშორისო საქონელგაცვლა პერმანენტულად იზრდება, შეუძლებელი ხდება საბაჟო საზღვარზე საქონელთა მოზღვავებული ნაკადების დეტალური საბაჟო კონტროლი. ამასთან შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდას დაუპირისპირდეს საბაჟო ორგანოს ადამიანური რესურსების ზრდა და შესაბამისად, საქონელთა სრული საბაჟო კონტროლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბაჟო ორგანოები მიმართავენ ჭარბი სასაქონლო ნაკადების არა სრულ, არამედ შერჩევით და შემთხვევით საბაჟო კონტროლს. სწორედ შერჩევითი

საბაჟო კონტროლი წარმოადგენს საბაჟო რისკების გამოყენების ტექნოლოგიურ საფუძველს.

საბაჟო რისკების საფუძველზე დამყარებულ საბაჟო კონტროლს, ზოგჯერ თივაში ჩამალული ნემსის პოვნას ადარებენ. ბუნებრივია, თუ თივაში ნემსის პოვნას დავისახავთ მიზნად, საჭირო გახდება მთელი თივის დეტალური ქექვა, რაც დიდ დროსა და შრომასთან არის დაკავშირებული. ამასთან, უფრო იოლია თივის ოდენობის შემცირება და შესაბამისად შემცირებულ თივაში ნემსის ძებნა. ეს მეთოდი უფრო პრევენციული ხასიათისაა და ეფუძნება შერჩევითი შემოწმების შედეგების გათვალისწინებით კანონდამრღვევ მეწარმეთა დასჯას.

საბაჟო რისკები რეალურად ემყარება მეწარმე პირების სათანადო ქცევას საბაჟო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით. ამ ასპექტით არსებობს სამი კატეგორიის მეწარმე პირი, რომელიც აზორციელებს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას:

- ა) საბაჟო კანონმდებლობის განზრახ დამრღვევი პირები;
- ბ) კეთილსინდისიერი პირები;
- გ) პირები, რომლებიც მოცემულ მომენტში არ ასრულებენ საბაჟო კანონმდებლობას, მაგრამ საბაჟო ორგანოს მიერ მათ მიმართ მოტივირებული მუშაობით ეს პირები ხდებიან კეთილსინდისიერი პირები.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამართალდარღვევა იშვიათად იქნება გამოვლენილი მეწარმეების ნაწილი შეეცდება, რომ გვერდი აუაროს შესაბამისი საბაჟო ვალდებულებების შესრულებას სხვადასხვა გზებით და მეთოდებით. ამასთან არაკეთილსინდისიერ მეწარმეებში შეიძლება მოხვდნენ კეთილსინდისიერი მეწარმეებიც იმ მოტივით, რომ კონტრაბანდული გზებით შემოტანილი საქონელი ხელს უშლის მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას.

ამდენად, საბაჟო რისკის მენეჯმენტის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს არაკეთილსინდისიერი მეწარმეები და მათ მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო სანქციები. ამასთან ეს სტიმულს აძლევს კეთილსინდისიერ მეწარმე პირებს დროის მოკლე მონაკვეთში გაიარონ საბაჟო პროცედურები და შეამცირონ ამ პროცედურებზე გასაწევი ხარჯები (მაგ. ხარჯები საქონლის გადმოტვირთვასთან დაკავშირებით საბაჟო

ორგანოს მოთხოვნით).

რისკის მენეჯმენტის დადებით მხარეებად მიიჩნევა:

ა) საბაჟო ორგანოში არსებული ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) დაბალი რისკის საქონელთა სწრაფი საბაჟო დამუშავება და გაშვება;

გ) მეწარმეთა ხარჯების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალეირებასთან;

დ) გამოვლენილ სამართალდარღვევათა რიცხვის ზრდა.

რისკის მენეჯმენტის პრაქტიკული რეალიზაცია ხორციელდება საბაჟო რისკების მართვის სათანადო მექანიზმებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

## §11.2 საბაჟო რისკების მართვის მექანიზმი

საბაჟო რისკების მართვის სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- ა) რისკი;
- ბ) რისკის ანალიზი;
- გ) რისკის სფერო;
- დ) რისკის შეფასება;
- ე) რისკის ინდიკატორები;
- ვ) რისკის მართვა;
- ზ) რისკის პროფილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რისკი არის საბაჟო კანონმდებლობის პოტენციური დარღვევის შესაძლებლობა, რომლის გამოყენება საბაჟო კონტროლის დროს მოითხოვს რისკის ანალიზს.

რისკის ანალიზი ეწოდება არსებული ინფორმაციის სისტემატურ გამოყენებას, რომელიც მიმართულია რისკების სიხშირისა და მისი შესაძლო შედეგების განსაზღვრისაკენ.

რისკის სფერო ეწოდება იმ საბაჟო პროცედურებს და საქონლის საერთაშორისო გადაადგილების სახეებს, რომლებიც წარმოადგენენ რისკს.



რისკის შეფასება ეწოდება რისკების მართვის პრიორიტეტების სისტემატურ განსაზღვრას და რისკის დონის შედარებას წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტულ რისკის დონესთან.

რისკის ინდიკატორები ეწოდება გარკვეული კრიტერიუმების ერთობლიობას, რომელიც წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ობიექტის განსაზღვრის საშუალებას.

რისკის მართვა ეწოდება იმ პროცედურების სისტემატიზებულ გამოყენებას, რომელიც იძლევა რისკის ობიექტის შესწავლის საშუალებას.

რისკის პროფილი ეწოდება წინასწარ განსაზღვრულ რისკის ფაქტორების ერთობლიობას.

რისკების შესწავლის მიზნით თავდაპირველად იქმნება რისკების კონტექსტი. კონტექსტის შექმნა გულისხმობს რისკების სფეროსა და კრიტერიუმების განსაზღვრას.

რისკების კონტექსტის შექმნას მოსდევს რისკების განსაზღვრა. იგი მოიცავს შემდეგი საკითხების ანალიზს: ვინ არიან საბაჟო პროცედურების მონაწილენი და წარმომადგენლები; სად, როდის და როგორ წარმოიშობა რისკი და ვინ წარმოადგენს ამ რისკს; რა საფრთხეები არსებობს რისკის გვერდის ავლის დროს; რატომ წარმოიშობა რისკის გვერდის ავლის შესაძლებლობა.

რისკების განსაზღვრის შემდგომ ხდება რისკების ანალიზი. რისკების ანალიზი ნიშნავს პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე:

ა) რამდენად არსებობს რისკის განხორციელების ალბათობა;

ბ) როგორია რისკის განხორციელების შედეგები და მასშტაბები.

ზემოაღნიშნული ორი კითხვის გაერთიანების შედეგად მიღებული პასუხი გვაძლევს რისკის დონის მიახლოებით განსაზღვრას. ამ შემთხვევაში, თუ რისკის დონე დაბალია, მაშინ შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა არ არსებობს.

რისკების ანალიზის შემდგომი ღონისძიება არის რისკების შეფასება და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამისათვის საჭიროა რისკის მიღებული ღონის შედარება წინასწარ დადგენილ რისკის სტანდარტულ დონესთან, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს რისკების კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით. როგორც წესი, რისკების კლასიფიკაცია ხდება ქულების მიხედვით: მაღალი,

საშუალო და დაბალი.

რისკების შეფასებასა და პრიორიტეტულობის განსაზღვრას მოსდევს რისკების მიმართვა, რაც გულისხმობს დაბალი პრიორიტეტულობის რისკების კონტროლსაც და დანარჩენი დონის რისკების კონტროლის შესაბამისი პროცედურების შემუშავებას.

რისკების მართვის პროცესი მთავრდება რისკების სისტემის მონიტორინგით საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების კონტექსტში. აქ მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს რისკის დონეების ცვლილება ან შეიძლება მოცემული რისკი საერთოდ ამოვარდეს პრიორიტეტული რისკების სიიდან. მაგ. მოცემული საქონელი პრიორიტეტული რისკების ნუსხაში იყო იმ რისკის პროფილიდან გამომდინარე, რომ იგი იბეგრებოდა აქციზით, ხოლო ეს გადასახადი გაუქმდა.

საბაჟო ორგანოში რისკების მართვა ზორციელდება სამი ფორმით: სტრატეგიული მართვა, ოპერატიული მართვა და ტაქტიკური მართვა.

რისკების სტრატეგიული მართვა ნიშნავს დიდძალი ინფორმაციის საფუძველზე რისკის სფეროს განსაზღვრას და მის გამოყოფას დაბალი დონის რისკებისაგან. რისკების სფერო შეიძლება მოიცავდეს საბაჟო გადასახდელებს, არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებებს, გარემოს და ჯანმრთელობის დაცვას და ა.შ.

რისკების ოპერატიული მართვა გულისხმობს კონტროლის დონის განსაზღვრას. შესაბამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აუდიტორული კონტროლის ზომების (ღონისძიებების) განსაზღვრა. მაგ. პოსტაუდიტური კონტროლის დროს ოპერატიულად გამოსაყენებელი ღონისძიებები.

რისკების ტაქტიკური მართვა ნიშნავს უშუალოდ საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ მის სამუშაო ადგილზე, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებას კონტროლის ჩატარების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ეყრდნობა საბაჟო ორგანოს თანამშრომლის დისკრეციულ უფლებას, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ამ პირის გამოცდილების, ჩვევების და ინტუიციიდან.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს რისკების შერჩევითობას, პროფილირებას და ობიექტების განსაზღვრას.

შერჩევითობის კრიტერიუმები ფაქტობრივად რისკის ინდიკატორებს განეკუთვნება. ასეთად ითვლება, მაგ. სასაქონლო კოდი, საბაჟო ღირებულება, საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, საქონლის წარმოშობის ქვეყანა, არასატარიფო ღონისძიებები და სხვა.

რისკების პროფილირება პრაქტიკულ რეალიზებას ჰპოვებს რისკის ინდიკატორების დაჯგუფებაში. ამასთან რისკის პროფილი თავისთავში მოიცავს რისკის სფეროსა და რისკის შეფასებას. მაგ. რისკის პროფილს შეადგენს შემდეგი ურთიერთმიმართული მექანიზმი „კვოტები-საქონლის სახე“ ან „პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა(GSP)-საქონლის წარმოშობის ქვეყანა“ და ა.შ.

როგორც წესი, საგარეო ვაჭრობის 80% მოდის ტრეიდერების 10%-ზე. ამდენად საბაჟო ორგანო ახდენს მსხვილი ტრეიდერების კლასიფიკაციას საბაჟო რისკების მართვის ასპექტით. ამ მიმართულებით პრიორიტეტულ სფეროებად განიხილება:

ა) საბაჟო ღირებულება, სასაქონლო ნომენკლატურა და საქონლის წარმოშობის ქვეყანა:

—საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;

—სასაქონლო ნომენკლატურის განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია სატარიფო კლასიფიკაციასთან;

—საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია პრეფერენციებთან ან არასატარიფო ღონისძიებებთან;

ბ) საბაჟო პროცედურები:

—იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო რეჟიმები საბაჟო დეკლარაციის წარდგენიდან—საბაჟო გადასახდელების გადახდის დიაპაზონში;

—ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის პროცედურები;

—საბაჟო საწყობის, თავისუფალი ეკონომიკური ზონების საბაჟო პროცედურები;

—მანიფესტისა ან კონოსამენტის სისწორე;

გ) სატრანსპორტო საკითხები:

—საქონლის რაოდენობის ზუსტი ანგარიშგება;

—საქონლის ზუსტი აღწერილობა მანიფესტისა ან კონოსამენტის მიხედვით;

- კონტინენტებისა და მათი ნომრების სიზუსტე;
- სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ საბაჟო კანონმდებლობის

დაცვა;

დ) განსაკუთრებული საკითხები:

- საბაჟო გადასახდელის დროული გადახდა;
- ჯანდაცვა და უშიშროების საკითხები;
- საავტორო და ინტელექტუალური უფლებების საკითხები;
- სავაჭრო კანონმდებლობის დაცვა;
- მაღალშემოსავლიანი საქონლები;
- საგარეო ვაჭრობის გამორჩეული მონაწილეები.

ზემოაღნიშნულ ინდიკატორებზე საბაჟო ორგანო აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა საგარეო და საშინაო წყაროებიდან და აკეთებს შესაბამის სისტემატიზაციას, რაც იძლევა საბაჟო კანონმდებლობის შესრულების (დაცვის) დონის განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგ. თუ, საბაჟო კანონმდებლობის დაცვის დონე შეადგენს 95%-ს, მაშინ ითვლება, რომ ასეთი დონე მისაღებია და მას ზოგჯერ „ტოლერანტობის დონესაც“ უწოდებენ.

იმ შემთხვევაში, თუ ტოლერანტობის დონე 95%-ზე ნაკლებია, მაშინ საბაჟო ორგანო ამის შესახებ აცნობებს, ვთქვათ, იმპორტიორს და ქმნის საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის პროფილებს, რომლის საფუძველზეც იმპორტიორს შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა საბაჟო სანქციები.

თანამედროვე პირობებში საბაჟო რისკების მართვის სისტემა წარმოდგენილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ანუ ელექტრონულ-კომპიუტერული სისტემების გარეშე. ინფორმაციის ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა დროის უმცირეს მონაკვეთში მოხდეს რისკების სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტური მართვა. ავტომატიზირებული პროგრამების საშუალებით ხორციელდება საბაჟო დეკლარაციების დამუშავება და ფილტრაცია სხვადასხვა ინდიკატორებისა და კრიტერიუმების მიხედვით და საბაჟო კონტროლის ფრაქტალური რეალიზაცია.

პრაქტიკაში საბაჟო ორგანოები იყენებენ შესაბამის პროგრამებს, რომელიც შედგენილია რისკის კრიტერიუმების და ინდიკატორების

საფუძველზე და, რომელთა მოქმედება ავტომატიზირებულია. შესაბამისად, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ საქონელს შეიძლება მიენიჭოს საბაჟო კონტროლის სხვადასხვა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ამ საქონლის საბაჟო კონტროლის პროცედურებს და ნიუანსებს. კერძოდ, არსებობს რისკის სისტემაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სამი პირობითი სფერო:

- ა) მწვანე სფერო;
- ბ) ყვითელი სფერო;
- გ) წითელი სფერო.

„მწვანე სფეროში“ საბაჟო დეკლარაციის მოხვედრის დროს არ ხორციელდება საქონლის, საბაჟო დეკლარაციის და თანმხლები დოკუმენტების კონტროლი.

„ყვითელ სფეროში“ საბაჟო დეკლარაციის მოხვედრის დროს ხორციელდება მხოლოდ საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების საბაჟო კონტროლი.

„წითელ სფეროში“ საბაჟო დეკლარაციის მოხვედრის დროს ხორციელდება, როგორც საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების, ასევე საქონლის საბაჟო კონტროლი.

სხვადასხვა რისკის დონეები საჭიროებენ სხვადასხვა სახის შემოწმებას. საბაჟო შემოწმების სახეებს განეკუთვნება:

- ა) შერჩევითობის ანალიზი;
- ბ) დეტალური დოკუმენტური შემოწმება;
- გ) ფიზიკური შემოწმება;

დ) ვალდებულებების შესრულების შემოწმება შემთხვევითი შერჩევის მეთოდით;

- ე) პოსტსაბაჟო აუდიტი.

შერჩევითობის ანალიზის დროს შესაბამისი ავტომატიზებული სისტემა ახორციელებს საბაჟო დეკლარაციის შესაბამისი მონაცემების შედარებას წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან.

დეტალური დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ავტომატიზირებული სისტემის მიერ შემთხვევით შერჩეული დეკლარაციების თანმხლები დოკუმენტების და ამ დეკლარაციის შემოწმების გზით. ასეთი დოკუმენტები და საბაჟო დეკლარაცია

საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ მოწმდება ვიზუალურად.

ფიზიკური შემოწმება ხორციელდება საქონლის 100%-იანი საბაჟო დათვალეირების დროს იშვიათ შემთხვევებში, ხოლო სხვადასხვა რისკის პროფილებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დონის პროცენტული შემოწმებები.

ვალდებულებათა შესრულების შემოწმება შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიყენება, როგორც მაღალი, ასევე დაბალი რისკის მატარებელი ობიექტების ან სუბიექტების მიმართ. ამასთან ასეთი შემოწმება უნდა ჩატარდეს დეტალურად.

რაც შეეხება პოსტაუდიტურ საბაჟო კონტროლს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი განხილული გვაქვს ქვემოთ.

### §11.3 პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი

პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი წარმოადგენს საბაჟო რისკების სისტემაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. იგი ნიშნავს შერჩევითი საბაჟო კონტროლის განხორციელებას საბაჟო დამუშავების ოპერაციის დამთავრებისა და საქონლის გაშვების შემდეგ.

საბაჟო ორგანო შემთხვევითობის, რისკის კრიტერიუმების და რისკის პროფილის საფუძველზე შეარჩევს იმ მეწარმე პირს, რომელიც ახორციელებს საბაჟო პროცედურებს და უგზავნის მას შეტყობინებას შესაბამისი რევიზიისა და ამ რევიზიის თემატიკის შესახებ, ხოლო შემდეგ ახორციელებს აუდიტის შესაბამის პროცედურულ ეტაპებს.

აუდიტი ჩვეულებრივ ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ოფისში, სადაც ხორციელდება ყველა იმ დოკუმენტის შემოწმება, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო პროცედურებთან. ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს არა მხოლოდ საბაჟო დოკუმენტები, არამედ ბუღალტრული წიგნები და საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი.

პოსტაუდიტი, როგორც წესი, ხორციელდება შემდეგი რისკის კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
- ბ) სასაქონლო კოდის განსაზღვრა;
- გ) საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება;
- დ) საბაჟო გადასახდელების დაბრუნება;
- ე) საბაჟო გადასახდელების შემცირება;
- ვ) საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა.

საბაჟო ორგანო ყოველწლიურად ადგენს წლიური საბაჟო აუდიტის განხორციელების გეგმას. გეგმა უნდა შეიცავდეს შესამოწმებელ პირთა რაოდენობას, თითოეული პირის შემოწმების ვადას და ყოველთვიურად შესამოწმებელ პირთა ოდენობას საბაჟო ორგანოს თანამშრომელთა (აუდიტორთა) რესურსების გათვალისწინებით.

პოსტაუდიტურ საბაჟო კონტროლს აქვს შესაბამისი პროცედურული ეტაპები, რომლის თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია საბაჟო ორგანოს მიერ. ეს ეტაპებია:

- ა) აუდიტის წინმსწრები მიმოხილვა;
- ბ) თავდაპირველი შეხვედრა იმპორტიორებთან ექსპორტიორებთან;
- გ) თავდაპირველი შეხვედრა აუდიტორებთან;
- დ) აუდიტორული ანკეტის შევსება;
- ე) შიდა კორპორაციული კონტროლი;
- ვ) აუდიტის ჩატარების კოორდინაცია;
- ზ) დასკვნითი შეხვედრა იმპორტიორებთან/ექსპორტიორებთან;
- თ) ფინალური ანგარიშგების შედგენა;
- ი) შემდგომი ვიზიტი.

აუდიტის წინმსწრები მიმოხილვის დროს საბაჟო ორგანო აგროეებს მონაცემებს შესამოწმებელი პირის შესახებ და აანალიზებს მას. ეს მონაცემები შეიძლება მოთხოვნილ იქნას პირის ოფისში შესვლამდე საბაჟო ორგანოში გამოგზავნის ფორმით ან უშუალოდ პირის ოფისში. როგორც წესი, შესაბამისი მონაცემები გულისხმობს ინფორმაციას საწარმოს სტრუქტურის, საქონლის, გადახდის ფორმის,

საქონლის ღირებულების, საქონელთან დაკავშირებული ხარჯების და ბუღალტრული სისტემის შესახებ.

თავდაპირველი შეხვედრა იმპორტიორებთან/ექსპორტიორებთან ხდება საბაჟო ადმინისტრაციის მიერ აუდიტის დაწყების წინ. ამ შეხვედრაზე საბაჟო ორგანო ითხოვს პირისაგან შესაბამის დოკუმენტებს, რომელიც ექვემდებარება საბაჟო შემოწმებას.

თავდაპირველი შეხვედრა აუდიტორებთან გულისხმობს უშუალოდ აუდიტორის ან აუდიტორთა ჯგუფის შეხვედრას შესამოწმებელ პირებთან ამ უკანასკნელთა ოფისში. ამ შეხვედრას უნდა ეწიებოდნენ შესამოწმებელი საწარმოს ოფიციალური პირები და, აგრეთვე მათი ბუღალტრები, იურისტები და სხვა. ამ შეხვედრის მიზანია, აუდიტორებმა გააცნონ საწარმოს წარმომადგენლებს შემოწმების საგანი და მიზანი. ამასთან აუდიტორებს უფლება აქვთ მოითხოვონ ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მათთან ექნება რეგულარული კონტაქტი შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდებისა და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

აუდიტორული ანკეტიის შევსება ხდება საბაჟო ორგანოს მიერ შესამოწმებელი პირისადმი შესაბამისი მიმართვის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ითხოვს ანკეტიის შევსებას, როგორც წესი, შემდეგ საკითხებზე: საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, კონტრაქტი, საქონელი, გადახდის ფორმა, ღირებულება, წარმოებული საქონელი და მიწოდებები.

შიდა კორპორაციული კონტროლის მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო აუდიტის ნაცვლად. ეს ხდება საწარმოს წასახალისებლად და იგი გულისხმობს საბაჟო აუდიტამდე საწარმოს მიერ თავის თავზე ჩატარებული შემოწმების ან მოწვეული აუდიტორის მიერ განხორციელებული აუდიტის მონაცემების ნდობას.

აუდიტის ჩატარების კოორდინაცია გულისხმობს აუდიტის ჩატარების პროცესში გამოვლენილი საბაჟო სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესამოწმებელი პირისადმი. ამასთან, თუ შემოწმების პროცესში გამოვლინდა შესამოწმებელი პირის არაკორექტული ქმედება ან პოტენციური სამართალდარღვევის



ნიშნები, მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია დაუკავშირდეს შესაბამის საგამომიებო ორგანოს სათანადო რეაგირებისათვის.

დასკვნითი შეხვედრა იმპორტიორებთან/ექსპორტიორებთან იმართება საბაჟო აუდიტის დამთავრების შემდეგ. ამ შეხვედრაზე აუდიტორების მიერ შესამოწმებელ პირს წარედგინება შემოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რათა მათ მიეცეთ დასკვნის განხილვისა და შესაძლო წინადადებების წარმოდგენის საშუალება ფინალური ანგარიშგების შედეგის დროისათვის.

ფინალური ანგარიშგება წარმოადგენს პოსტსაბაჟო აუდიტის საბოლოო დოკუმენტს. მისი ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემოწმებულ საწარმოს, ხოლო მეორე—შესაბამის საბაჟო ორგანოს სათანადო რეაგირებისათვის.

შემდგომი ვიზიტი ანუ საბაჟო აუდიტის ისევე განხორციელება მოცემულ საწარმოში ზღვება ადრე ჩატარებული აუდიტის შედეგების და რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.

საბაჟო რისკების შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა საბაჟო-საეაჭრო თანამშრომლობა საბაჟო ორგანოსა და შესაბამის მეწარმე პირებს შორის. ამ შემთხვევაში კანონმორჩილი მეწარმე პირები განიხილებიან საბაჟო ორგანოს პარტნიორებად.

საბაჟო-საეაჭრო თანამშრომლობა ხორციელდება საბაჟო ორგანოსა და შესაბამის პირებს შორის ურთიერთსაინტერესო ინფორმაციის გაცვლით. ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია საკონსულტაციო კომიტეტები, სადაც მონაწილეობენ საბაჟო ორგანოსა და საწარმოების წარმომადგენლები. ეს კომიტეტები იხილავენ საბაჟო კანონმდებლობის რთულ და პრობლემატურ საკითხებს და სახავენ მისი გადაჭრის გზებს. ამასთან კომიტეტები განიხილავენ საბაჟო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტებს და აქტიურად მონაწილეობენ კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

## თავი 12. ფიზიკური პირების (მგზავრების) საბაჟო კონტროლი

### §12.1 მგზავრის საბაჟო დათვალიერება

საბაჟო მიზნებისათვის მგზავრი ეწოდება ფიზიკურ პირს, რომელიც კეთს ქვეყნის საბაჟო საზღვარს ანუ შემოდის საბაჟო ტერიტორიაზე ან გადის საბაჟო ტერიტორიიდან.

მგზავრის საბაჟო დათვალიერება გულისხმობს მგზავრის შემოწმებას მის მიერ არაკანონიერად გადაადგილებული ნივთების აღმოჩენისა და დათვალიერების მიზნით. როგორც წესი, სამგზავრო ნაკადების შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად მგზავრების დათვალიერება არ ხდება.

მგზავრის საბაჟო დათვალიერება ხორციელდება ერთადერთ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია ან საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მგზავრს სხეულში ან სხეულზე აქვს დამალული დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი.

შესაბამისი ინფორმაცია მგზავრის მიერ დეკლარირებას დაქვემდებარებული საგნების დამალვის შესახებ შეიძლება მოწოდებულ იქნეს სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების და მოქალაქეების მიერ, ხოლო საფუძვლიანი ეჭვი შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ორგანოს თანამშრომელს სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგ. მგზავრის „არაჩვეულებრივი“ ვიზუალური გარეგნობა, რაც გულისხმობს არაბუნებრივ ჩაცმულობას (გაბარიტებს), მგზავრის აფორიაქებულ ქცევას, სპეციალური აპარატურის მიერ საეჭვო საგნის დაფიქსირებას და ა.შ.

ზოგჯერ საფუძვლიანი ეჭვის საფუძველს ისეთ კონკრეტულ ფაქტებს უწოდებენ, რომელიც ემყარება ადამიანის გრძნობათა ორგანოებს. მაგ. კონკრეტული ფაქტია ის: „რომელსაც ხედავ“, „რომელიც გესმის“, „რომელსაც გრძნობ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეალურ პრაქტიკაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის შემდეგი ფაქტორები:

ა) მგზავრის პასპორტის მიხედვით იგი იმყოფებოდა ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყანაში, მაგრამ იგი ამას უარყოფს ან საუბრობს ბუნდოვნად;

ბ) მგზავრს ორი პასპორტი აქვს, რომლიდანაც ერთ-ერთში დასტურდება მისი ყოფნა ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყანაში;

გ) მგზავრი უარყოფს ბარგის გახსნის თაობაზე საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნას;

დ) მგზავრი არაბუნებრივად დადის, აქვს შეზღუდული მოძრაობები ან გაშეშებულია;

ე) მგზავრი თავს არიდებს პირდაპირ პასუხებს;

ვ) მგზავრი ზედმეტად ბევრს საუბრობს და ფამილარულად იქცევა;

ზ) მგზავრი ნერვიულობის ნიშნებს ამჟღავნებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ, იგი გამუდმებით ათამაშებს ძვირფასეულობას, მაგრად უჭერს ხელს საჭკეს, ჯიბეებზე უმიზეზოდ ირტყამს ხელს, სცემს ბოლთას, აქვს უმიზეზოდ სულის შეხუთვა, ყელის სიმშრალე და უჭირს ყლაპვა, ხელები და მკლავები მოხრილი და დაჭიმული აქვს, აქვს გაძლიერებული გულისძგერა და პულსაცია საძილე არტერიასზე, სახე აქვს აწითლებულია, არანორმალურად ოფლიანია, ხმა აქვს ჩახრინწული და დაძაბული, ნერვიულად ილოკავს ტურნებს;

თ) მგზავრი ამჟღავნებს ნარკომანის ნიშნებს: დავიწროებული ან გაფართოებული გუგები, ჩასისხლიანებული ან ჩაწითლებული თვალები, ნემსის ნაკვალევი;

ი) მგზავრი უმიზეზოდ ჩხუბობს, ივინება, აცხადებს, რომ ავად არის, თუმცა გარეგნულად არ ეტყობა და სხვა.

საბაჟო პრაქტიკამ იცის შემთხვევები, როდესაც მგზავრები სხვადასხვა საგნებს მალავენ არა მხოლოდ სხეულის გარეთა ნაწილზე (მაგ. წელზე ძვირფასი ნივთების მიმაგრება), არამედ სხეულის შიდა ორგანოებშიც (მაგ. ნარკოტიკების იზოლირებული ბურთულები, მცირე კონტეინერები) აბების გადაყლაპვა.

არსებობს მგზავრის პირადი გასინჯვის ოთხი ღონე:

ა) ხელით მოსინჯვა;

ბ) ხელით მოსინჯვა საქონლის აღმოჩენის მიზნით;

გ) სხეულის ნაწილობრივი გასინჯვა;

დ) სამედიცინო შემოწმება.

ხელით მოსინჯვა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მგზავრის ტანსაცმელზე გარედან ხელის ჩამოსმით მხოლოდ იარაღის აღმოჩენის მიზნით. ამ შემთხვევა-

ში ეს პროცედურა არ მოითხოვს იმავე სქესის წარმომადგენელს საბაჟო ორგანოს მხრიდან. იგი ტარდება იარაღის არსებობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში.

ხელით მოსინჯვა საქონლის აღმოჩენის მიზნით ხორციელდება მგზავრის ტანსაცმელზე ხელის ჩამოსმით, ჯიბეების გახსნით, ფეხსაცმლისა და ისეთი გარე ტანსაცმლის გახდით, როგორც არის პალტო, ლაბადა, კურტაკი, პიჯაკი. ასეთი გასინჯვა ხორციელდება იმავე სქესის პირის მიერ.

სხეულის ნაწილობრივი გასინჯვა ხორციელდება საქონლის აღმოჩენის მიზნით ხელით მოსინჯვის შემდეგ. ამ დროს ხდება ისეთი სახის ტანსაცმლის გახდა, როგორც არის პერანგი, შარვალი, ქვედა ბოლოები, კაბები, წინდები. ასეთი გასინჯვა ტარდება იმავე სქესის პირის მიერ.

პირადი გასინჯვის ბოლო ეტაპი არის სამედიცინო შემოწმება. ამ შემთხვევაში ხდება სამედიცინო დაწესებულებაში პირის რენტგენის აპარატით გაშუქება ან ნაწლავების დაცლა ზედამხედველობის ქვეშ ან სხეულის ბუნებრივი ღრუების დათვალიერება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მგზავრის დათვალიერება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით (როგორც წესი, ადგილობრივი საბაჟო ორგანოს უფროსის ან მოადგილის მიერ).

პირი, რომელიც უფლებამოსილია უშუალოდ დაათვალიეროს მგზავრი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს იმავე სქესის. იგი წარუდგენს მგზავრს სამსახურებრივ მოწმობას და შესთავაზებს მას გასვლას მგზავრების დათვალიერების შესაბამის ოთახში. ამასთან მგზავრს უფლება აქვს დათვალიერების პროცესს დაასწროს მის მიერ იქ არსებული პირებიდან ნებისმიერი დამსწრე მოწმის სახით და მოითხოვოს თარჯიმანი.

თუ, შესაბამისი დათვალიერების შედეგად მგზავრის სხეულის შიდა ორგანოებში აღმოჩნდა შესაბამისი საგნები, საბაჟო ორგანოს თანამშრომელი აგზავნის მგზავრს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სათანადო გამოკვლევის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი უარს აცხადებს დათვალიერების პროცედურების ჩატარებაზე, მაშინ მის მიმართ გამოიყენება იძულებითი საპროცესო სამართლებრივი ღონისძიებები, რაც გულისხმობს

მგზავრის გასინჯვას ფიზიკური ძალის გამოყენებით.

საბაჟო დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი ჩაითვლება არადეკლარირებულად, კონტრაბანდული სახით შემოტანილად და მგზავრის მიმართ გატარდება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ მგზავრების ზოგიერთი კატეგორია არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს და შესაბამისად საბაჟო დათვალიერებას. მათ განეკუთვნება ის ფიზიკური პირები, რომლებსაც საერთაშორისო კონვენციებიდან ან ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე გააჩნიათ შესაბამისი იმუნიტეტი. ასეთ პირებს განეკუთვნება დიპლომატიური იმუნიტეტის სტატუსის მქონე პირები. დაუშვებელია მათი ჩხრეკა ან საბაჟო დათვალიერება.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მგზავრის საბაჟო დათვალიერების დროს მგზავრსა და საბაჟო ორგანოს თანამშრომელს შორის კონფლიქტიკის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ საჭიროა ე.წ. „კულტურულ გაუგებრობათა“ თავიდან აცილება. კულტურულ გაუგებრობაში მოიაზრება სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა დამახასიათებელი ნიშნების ნიველირება მათთან საკომუნიკაციო კონტაქტის დროს. გთავაზობთ ზოგიერთ განმასხვავებელ საკომუნიკაციო ნიშნებს, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მგზავრის საბაჟო შემოწმების დროს:

ა) იაპონიაში ადამიანები პატივისცემას იმ პირისათვის თვალის არიდებით გამოხატავენ, ვისაც ესაუბრებიან. სხვა კულტურაში ეს შესტი უპატივცემლობას და პირისადმი უინტერესობას აღნიშნავს;

ბ) შავიზღვისპირეთის ქვეყნების კულტურებში მამაკაცები ხელი-ხელგაყრილი დადიან. სხვა კულტურებისათვის ეს მიუღებელია;

გ) თავის დაქნევა ამერიკულ და ევროპულ კულტურებში თანხმობას აღნიშნავს, ხოლო იაპონიაში ისეთ არაეერბალურ შესტს, რომელიც ნიშნავს: „პიროვნება გისმენთ“;

დ) დასავლეთის ცივილიზაციაში ზეაწეული ცერი კარგად გაკეთებულ საქმეს ნიშნავს, ხოლო ირანში—შეურაცხმყოფელ შესტს.

მგზავრის დათვალიერება მთავრდება დათვალიერების შესაბამისი დოკუმენტის შედგენით (ოქმი, აქტი), სადაც აისახება მგზავრის დათვალიერების შედეგები.

## §12.2 მგზავრის მიერ გადაადგილებული საქონლის (პირადი ნივთების) საბაჟო კონტროლი

8.1 პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ ფიზიკური პირის მიერ ზეპირი და კონკლუდენტური დეკლარირების ფორმები და, ამდენად ამ საკითხებს აქ არ დაეუბრუნდებით. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმას, რომ „წითელი კორიდორის“ შესასვლელში აუცილებლად მითითებულ უნდა იყოს ინგლისურენოვანი წარწერა „Red channel“, აგრეთვე წარწერა—„Goods to declare“ („საქონელი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წერილობით დეკლარირებას“). რაც შეეხება „მწვანე კორიდორს“, შესასვლელში მითითებულ უნდა იყოს ინგლისურენოვანი წარწერა „Green channel“, აგრეთვე წარწერა—„Nothing to declare“ („საქონელი, რომელიც ექვემდებარება წერილობით დეკლარირებას, არ არის“).

მგზავრთა საერთაშორისო მიმოსვლის გაიოლების მიზნით მგზავრი, რომელიც შემოდის ან გადის საბაჟო ტერიტორიაზე (ან ტერიტორიიდან) საკუთარი ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით, როგორც წესი, საბაჟო კონტროლის დროს არ ტოვებს ამ სატრანსპორტო საშუალებას (აქ არ იგულისხმება მანქანის საბარგულის გახსნა და სხვა). ამასთან საბაჟო ორგანოს არ აქვს უფლება მოითხოვოს ცალკეული მგზავრების ჩამონათვალი (სია) ან მათ მიერ გადასაზიდი ბარგის ჩამონათვალი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრს შემოაქვს (გააქვს) დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი, იგი შეიძლება დროებით დასაწყობებულ იქნას შესაბამისი საბაჟო რეჟიმის (დამუშავების ოპერაციის) შერჩევამდე. როგორც წესი, ეს პროცედურა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მგზავრი ან, როდესაც საქონლის დაუყონებლივი მოქცევა შესაბამის დამუშავების ოპერაციაში შეუძლებელია.

მგზავრებს, ჩვეულებრივ შემოაქვთ (გააქვთ) ბარგი (ხელბარგი). ამასთან, ზოგჯერ შესაძლებელია, რომ ბარგი არ ახლდეს თან მგზავრს და იგი შემოტანილ (გატანილ) იქნეს მგზავრის შემოსვლის ან გასვლის შემდეგ. შესაბამისად, არსებობს ბარგის ორი კატეგორია: თანმხლები და არათანმხლები ბარგი. საბაჟო დათვალიერების, დეკლარირების და დაბეგვრის მიზნებისათვის არათანმხლები ბარგი

განიხილება, როგორც თანმხლები.

არათანმხლები ბარგის დეკლარირების უფლება მგზავრის შესაბამისი მინდობილობის შემთხვევაში, ამავე მგზავრის სახელით აქვს ნებისმიერ პირს.

როგორც წესი, მგზავრის მიერ გადაადგილებული პირადი ნივთები არ ექვემდებარება დეკლარირებას. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც პირადი ნივთების ღირებულება ან ოდენობა აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დაუბეგრავ მინიმუმს ან ესა, თუ ის ნივთი ექვემდებარება არასატარიფო ღონისძიებებს(ლიცენზირება, ნებართვები და ა.შ).

პირად ნივთებად განიხილება შემდეგი საგნები(ტანსაცმელთან, ჰიგიენის საგნებთან და სხვა ნივთებთან ერთად):

ა) პირადი საიუველირო მოსართავი;

ბ) ფოტოაპარატები, კინო და ვიდეო კამერები გონივრული რაოდენობის ფოტო, კინო, ვიდეოფირების და მათი საკუთნოების სახით;

გ) გადასატანი დია და კინოპროექტორები და მათი საკუთნოები გონივრული რაოდენობის დიაპოზიტივებთან და კინოფირებთან ერთად;

დ) ბინოკლები;

ე) გადასატანი მუსიკალური ინსტრუმენტები;

ვ) გადასატანი ხმის აღმდგენი მოწყობილობა მაგნიტოფონების ჩათვლით, კომპაქტ-დისკების ფირსაკრავი და დიქტოფონები ფირებით, ფირფიტებით და დისკებით;

ზ) გადასატანი რადიომიმღებები;

თ) ფიჭური ან მობილური ტელეფონები;

ი) გადასატანი ტელევიზორები;

კ) გადასატანი საწერი მანქანები;

ლ) გადასატანი პერსონალური კომპიუტერები და მისი საკუთნოები;

მ) გადასატანი კალკულატორები;

ნ) ბავშვთა ჩვეულებრივი და სასეირნო ეტლები;

ო) ინვალიდის ეტლები;

პ) სპორტული ინვენტარი.

მგზავრები თავისუფლდებიან ზოგიერთი სხვა სახის საგნების

შემოტანის დროს დეკლარირებისა და საბაჟო გადასახდელებისაგან. არსებობს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ქვედა ზღვარი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ დაუბეგრავ და დაუდეკლარირებელ მინიმუმს. სხვადასხვა ქვეყნებს შეუძლიათ დააწესონ მოცემულ მინიმალურზე მეტი ნორმები. ეს ნორმებია:

ა) 200 სიგარეტი ან 50 სიგარა ან 250 გრამი თამბაქო ან ეს ნაწარმი ყველა ერთად, თუ მათი საერთო წონა არ აღემატება 250 გრამს;

ბ) 2 ლიტრი ღვინო ან 1 ლიტრი მაგარი სპირტიანი სასმელი;

გ) 0,25 ლიტრი ტუალეტის წყალი და 50 გრამი სუნამო.

ზემოაღნიშნული შეღავათები თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლური სასმელების შემთხვევაში არ მიეცემათ არასრულწლოვანებს ან იმ პირებს, რომლებიც ხშირად კვეთენ საბაჟო საზღვარს. მაგ. პირი შეიძლება გათავისუფლდეს ამ საქონელთა დაბეგრისაგან, თუ ის მინიმუმ 24 საათში ერთხელ გადაკვეთს საბაჟო საზღვარს.

ამასთან, ყველა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა აწესებს სამომხმარებლო და სხვა არაკომერციული ხასიათის საქონლის შემოტანის დროს დაუბეგრავ მინიმუმს. იგი სხვადასხვა ქვეყნებში დიფერენცირებულია ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ზრდის პროპორციულად.

არარეზიდენტებს შეუძლიათ დროებით შემოიყვანონ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები დეკლარირების, საბაჟო გადასახდელების და საბაჟო გარანტიის გარეშე. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს სატრანსპორტო საშუალება შემოდის პირთან ერთად, თუ პირის შემოსვლის შემდეგ ან მანამდე. საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება ეხება ამ სატრანსპორტო საშუალებების ჩვეულებრივ, ქარხნულ ავზში არსებულ საწვავსაც და დროებით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილ სათადარიგო ნაწილებსაც.

არარეზიდენტი მგზავრების მიერ დროებით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალების გაყვანა შესაძლებელია მოცემული ქვეყნის ნებისმიერ სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან, თუნდაც შემოყვანისა და გაყვანის საბაჟო ორგანოები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ხელს



აძლევს ტურიზმის განვითარებას და მიმოსვლის თავისუფლებას.

თუ, არარეზიდენტის მიერ შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალება ან პირადი ნივთები სერიოზულად დაზიანდა ან განადგურდა ავარიისა და ფორს-მაჟორული სიტუაციების შედეგად, მაშინ ეს ნივთები უკან (სხვა ქვეყანაში) დაბრუნების ვალდებულებას არ ექვემდებარება. მათი ვარგისი ნაშთები ან ნაწილები შეიძლება მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში).

აღსანიშნავია, რომ რეზიდენტ მგზავრებს ქვეყნიდან გასვლის დროს პირადი ნივთების დროებით გატანისას შეუძლიათ დაადეკლარირონ ეს საგნები(მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის პირის ვალდებულება) უკან შემოსვლის დროს ამ საგნების იდენტიფიცირებისა და, შესაბამისად, საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლების მიზნით.

ტრანზიტული მგზავრები, რომლებიც იმყოფებიან ტრანზიტულ საბაჟო კონტროლის ზონაში, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შესაბამისი ინფორმაცია მგზავრების მიერ ტრანზიტის ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალული ან რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებისა.

აკრძალულია დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას გახსნა ან დაკავება საბაჟო ორგანოს მიერ მისი დათვალიერების მიზნით. რამდენადაც, დიპლომატიური ფოსტა და საკონსულო ვალიზა უნდა შეიცავდეს შესაბამისად, დიპლომატიურ საბუთებს, საკონსულო ოფიციალურ კორესპოდენციასა და დოკუმენტებს და ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ საქონელს, ამდენად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ისინი შეიცავენ ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულ საქონელს, მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მათი გახსნა შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის თანდასწრებით. დიპლომატიური წარმომადგენლობიდან გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უბრუნდება გამომგზავნს.

## თავი 13. სპეციალური საბაჟო კონტროლი

### §13.1. ფიტოსანიტარული კონტროლი

ფიტო ძველბერძნულად მცენარეს ნიშნავს. აქედან გამომდინარე ფიტოსანიტარული კონტროლი გულისხმობს მცენარეული წარმოშობის საქონლის კონტროლს სპეციალური პარამეტრების მიხედვით. ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური, მათ შორის, სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებაა.

სხვადასხვა ქვეყნებში ფიტოსანიტარულ კონტროლს საბაჟო საზღვარზე სხვადასხვა უწყებები ახორციელებენ. ზოგიერთ ქვეყანაში კონტროლის ეს სახე დელეგირებულია საბაჟო ორგანოებისადმი. ვინაიდან ასეთი კონტროლი საბაჟო საზღვარზეც ხორციელდება, ჩვენ მას სპეციალურ საბაჟო კონტროლს ვუწოდებთ.

ფიტოსანიტარული კონტროლი, საბაჟო საზღვარზე, როგორც წესი, სამი ფორმით ხორციელდება:

ა) საქონლის თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმება;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების დახედვა;

გ) საქონლის დახედვა.

საქონლის თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმების დროს, როგორც წესი, ხორციელდება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტოსანიტარული სერტიფიკატის რეკვიზიტების შედარება საქონლის სხვა თანმხლებ დოკუმენტებთან (მაგ. წარმოშობის სერტიფიკატთან), იმის დადასაღვენად არის, თუ არა საქონელი წარმოშობილი იმ ქვეყნებში, რომლებიც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული სიების მიხედვით წარმოადგენენ არაკეთილსაიმედო ქვეყნებს სხვადასხვა მცენარეული დაავადებების ასპექტით ან იმის დასაღვენად, დოკუმენტალურად რა სახის და რაოდენობის საქონელზეა გაცემული ეს სერტიფიკატი. ამასთან ზოგიერთი იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ორგანო ითხოვს საბაჟო საზღვარზე არა მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემულ შესაბამის ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს, არამედ ამავე იმპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემულ ფიტოსანიტარულ

კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის სპეციალურ ნებართვას(ლიცენზიას).

კამერალური შემოწმება, როგორც წესი, ხორციელდება საქონლის სხვადასხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების მიზნებისათვის.

სატრანსპორტო საშუალებების ფიტოსანიტარული დახედვა ხორციელდება, როგორც საბაჟო ტერიტორიაზე შემომსვლელი, ასევე ამ ტერიტორიიდან გამსვლელი დატვირთული ან ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

საზოგადოდ დახედვა ნიშნავს, საქონლისა ან სატრანსპორტო საშუალებების გარეგან, ვიზუალურ დათვალიერებას, შესაბამისად, ამ გარეგანი მახასიათებლების შემოწმებისა და ფიტოსანიტარული კარანტინის ობიექტის აღმოჩენის მიზნით. ფიტოსანიტარული კარანტინის ობიექტს წარმოადგენს მავნებელი, მცენარეთა დაავადებების გამომწვევეი აგენტი ან სარეველა.

სატრანსპორტო საშუალების გარეგნული კონტროლი ზოგიერთ შემთხვევაში საშუალებას იძლევა აღმოჩენილ იქნეს გაფუჭებული მცენარეული პროდუქტების ვიზუალური ნიშნები(მაგ. სუნი, დაღვრილი სითხე და ა.შ).

სატრანსპორტო საშუალებაზე ფიტოსანიტარული კარანტინის ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი გაუსნებოვნება ან სატრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნება საბაჟო ან შესაბამისი სამსახურის მიერ.

საქონლის ფიტოსანიტარული დახედვა ხორციელდება ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ შემდეგ საქონელსა და ობიექტებზე:

ა) სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიულ თესვებსა და სარგავ მასალებზე, მცენარეებსა და მათ ნაწილებზე, ნებისმიერი მცენარეული წარმოშობის პროდუქტიაზე;

ბ) მწერების კოლექციაზე, დაავადების გამომწვევეებზე და ნიმუშებზე, კერბარიუმებსა და თესვების კოლექციაზე;

გ) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე, ტარაზე, შესაფუთ საშუალებებზე, სამრეწველო საქონელზე, მცენარეული მასალით დამზადებულ ნაკეთობებზე, ქანებსა და ნიმუშებზე.

საქონლის დახედვა ხორციელდება სატრანსპორტო საშუა-

ლებების ანალოგიურად. ამასთან საქონლის დახედვის დროს შეიძლება შემოწმდეს, როგორც დაულუქავ სატრანსპორტო საშუალებაში არსებული ნაყარი ტვირთები, ასევე დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაში არსებული საქონელი.

საქონლის დახედვის შემდეგ შეიძლება აღებულ იქნეს სინჯები ან ნიმუშები და იგი გაიგზავნოს საბაჟო ან შესაბამისი სამსახურის მიერ ლაბორატორიული ექსპერტიზისათვის ან მოხდეს მისი გაუსნებოვნება (დეზინფექცია), საქონლის უკან დაბრუნება, განადგურება ან გადამუშავება.

ფიტოსანიტარული კონტროლის დასრულებისას ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო ან შესაბამისი სხვა ორგანო ახორციელებს საქონლის სათანადო თანმხლებ დოკუმენტზე აღნიშვნას: „ფიტოსანიტარული კონტროლი ჩატარებულია“.

### §13.2. ვეტერინარული კონტროლი

ვეტერინარული კონტროლი გულისხმობს ცხოველური წარმოშობის საქონლის კონტროლს სპეციალური პარამეტრების მიხედვით. ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური მათ შორის სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებაა.

სხვადასხვა ქვეყნებში ვეტერინარულ კონტროლს საბაჟო საზღვარზე სხვადასხვა უწყებები ახორციელებენ. ზოგიერთ ქვეყანაში კონტროლის ეს სახე დელეგირებულია საბაჟო ორგანოებისადმი. ვინაიდან ასეთი კონტროლი საბაჟო საზღვარზეც ხორციელდება, ჩვენ მას სპეციალურ საბაჟო კონტროლს ვუწოდებთ.

ვეტერინარული კონტროლი, საბაჟო საზღვარზე, როგორც წესი, სამი ფორმით ხორციელდება:

- ა) საქონლის თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმება;
- ბ) სატრანსპორტო საშუალებების დახედვა;
- გ) საქონლის დახედვა.

საქონლის თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმების დროს, როგორც წესი, ხორციელდება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატის რეკვიზიტების შედარება

საქონლის სხვა თანმხლებ ღოკუმენტებთან(მაგ. წარმოშობის სერტიფიკატთან), იმის დადასაღვენად არის, თუ არა საქონელი წარმოშობილი იმ ქვეყნებში, რომლებიც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული სიების მიხედვით წარმოადგენენ არაკეთილსაიმედო ქვეყნებს სხვადასხვა ცხოველური დაავადებების ასპექტით ან იმის დასაღვენად, ღოკუმენტალურად რა სახის და რაოდენობის საქონელზეა გაცემული ეს სერტიფიკატი. ამასთან ზოგიერთი იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ორგანო ითხოვს საბაჟო საზღვარზე არა მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემულ შესაბამის ვეტერინარულ სერტიფიკატს, არამედ ამავე იმპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის სპეციალურ ნებართვას(ლიცენზიას).

კამერალური შემოწმება, როგორც წესი, ზორციელდება საქონლის სხვადასხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების მიზნებისათვის.

სატრანსპორტო საშუალებების ვეტერინარული დახედვა ზორციელდება, როგორც საბაჟო ტერიტორიაზე შემომსვლელი, ასევე ამ ტერიტორიიდან გამსვლელი დატვირთული ან ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

საზოგადოდ, დახედვა ნიშნავს, საქონლისა ან სატრანსპორტო საშუალებების გარეგან, ვიზუალურ დათვალიერებას, შესაბამისად, ამ გარეგანი მახასიათებლების შემოწმებისა და ვეტერინარული სნეულებების აღმოჩენისა და ეპიზოოტიების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით. სატრანსპორტო საშუალების გარეგანი კონტროლი ზოგიერთ შემთხვევაში საშუალებას იძლევა აღმოჩენილ იქნეს გაფუჭებული ცხოველური პროდუქტების ვიზუალური ნიშნები(მაგ. სუნი, დაღვრილი სითხე და ა.შ).

სატრანსპორტო საშუალებაზე ვეტერინარული კარანტინის ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი გაუსნებოვნება ან სატრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნება საბაჟო ან შესაბამისი სამსახურის მიერ.

საქონლის ვეტერინარულ დახედვას და კონტროლს ექვემდებარება შემდეგი საქონელი:

ა) ყველა სახის ცოცხალი ცხოველი, მათ შორის ფრინველი, თევზი, ფუტკარი;

ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია ადამიანის საკვებად:

- ხორცი;
- ხორცის პროდუქტები;
- საწარმოო წესით მიღებული ძეხვეული და კონსერვები;
- სუბპროდუქტები;
- კვერცხი და კვერცხის პროდუქტები;
- რძე და რძის პროდუქტები;
- თევზი და თევზის პროდუქტები;
- თაფლი და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტები.

გ) ცხოველთა საკვები (ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტების საწარმოო წესით გადამუშავების შედეგად მიღებული ყველა სახის ცხოველთა საკვები):

-ხორცის, ძვლის, შინაგანი ორგანოების, სისხლის, ფრთა ბუმბულის, ცხიმოვანი სხეულებისა და პროტეინული ნარჩენების ფხვნილი;

-ძაღლის, კატის, ფრინველის, თევზის და სხვა სახის ცხოველთა დაფასოებული საკვები.

დ) ცხოველური წარმოშობის პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გამოყენებისათვის:

- ტყავი;
- მატყლი;
- ბეწვი;
- ჯაგარი;
- თმა;
- ფრთა-ბუმბული;
- რქები;
- ჩლიქები;
- ძვლები;
- სისხლი;
- ნაწლავები.

ე) სანაშენე მასალა:

- ცხოველის სპერმა;
- საინკუბაციო კვერცხი;
- აბრეშუმის პარკი;

- კვერცხი(გრენა);
- თევზის ქვირითი;
- ცხოველების ემბრიონები.

ვ) ცხოველთა საკვებდანამატები, რომელსაც მიეკუთვნება ბუნებრივი ან სინთეზირებული ნივთიერებები(ნაერთები), რომლებიც განკუთვნილია ცხოველთა საკვების ვიტამინოვან-მინერალური შემადგენლობის გასამდიდრებლად, ვიტამინები და პროვიტამინები, პრობიოტიკები, ცილოვანი დანამატები;

ზ) ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები.

საქონლის დახედვა ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების ანალოგიურად. ამასთან საქონლის დახედვის დროს შეიძლება შემოწმდეს, როგორც დაულუქავ სატრანსპორტო საშუალებაში არსებული ნაყარი ტვირთები, ასევე დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაში არსებული საქონელი.

საქონლის დახედვის შემდეგ შეიძლება აღებულ იქნეს სინჯები ან ნიმუშები და იგი გაიგზავნოს საბაჟო ან შესაბამისი სამსახურის მიერ ლაბორატორიული ექსპერტიზისათვის ან მოხდეს მისი გაუსნებოვნება, საქონლის უკან დაბრუნება, განადგურება ან გადაამუშავება.

ვეტერინარული კონტროლის დასრულებისას ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო ან შესაბამისი სხვა ორგანო ახორციელებს საქონლის სათანადო თანმხლებ დოკუმენტზე აღნიშვნას: „ვეტერინარული კონტროლი ჩატარებულია“.

### §13.3. სამედიცინო – სანიტარული კონტროლი

სამედიცინო-სანიტარული კონტროლი გულისხმობს, როგორც სანიტარულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული პოტენციურად საშიში საქონლის, ასევე შესაბამისი მგზავრების კონტროლს. ქვეყნები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით ადგენენ სანიტარულ ნორმებს ანუ სავალდებულო ტექნიკურ რეგლამენტებს, რომელიც სავალდებულოა საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროსაც.

ისევე, როგორც ფიტოსანიტარული და ვეტერინალური სპეციალური კონტროლი ხორციელდება საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა—გატანასთან დაკავშირებით საბაჟო ან შესაბამისი ორგანოს მიერ, ასევე სამედიცინო—სანიტარული კონტროლიც ხორციელდება საბაჟო საზღვარზე საბაჟო ან სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ. რამდენადაც ეს პროცედურები საბაჟო საზღვარზე ხორციელდება მას შეიძლება ვუწოდოთ სპეციალური საბაჟო კონტროლის სახე.

იმ შემთხვევაში, როდესაც არის ინფორმაცია საბაჟო ტერიტორიაზე შემომსვლელ სატრანსპორტო საშუალებებზე მყოფი მგზავრების სხვადასხვა ინფექციური დაავადებების შესახებ, საბაჟო ორგანოს ან შესაბამისი სამსახურის თანამშრომელი სინჯავს მგზავრს ბორტზე და ინფექციის აღმოჩენის შემთხვევაში არ აძლევს მას ჩამოსვლისა და ტერიტორიაზე შემოსვლის საშუალებას ან ათავსებს სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში.

შესაბამისი ინფექციური დაავადებები შეიძლება გადატანილ იქნეს, როგორც ადამიანის ასევე საქონლის საშუალებით. სწორედ ეს იძლევა საშუალებას მათ მიმართ საბაჟო საზღვარზე ჩატარებულ იქნეს სამედიცინო—სანიტარული კონტროლი. ამდენად სამედიცინო—სანიტარული დაავადებები განსხვავდება ფიტო და ვეტერინალური დაავადებებისაგან.

საბაჟო საზღვარზე შესაბამისი კონტროლის დროს სანიტარულ—სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული ინფექციური დაავადებების ჩამონათვალს შემდეგი სავარაუდო სახე აქვს:

- ა) მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი;
- ბ) ყვითელი ცხელება;
- გ) ყვავილი;
- დ) ქოლერა;
- ე) ჯილეხი;
- ვ) ბრუცელოზი;
- ზ) ტუბერკულოზი;
- თ) ქოთაო;
- ი) მელიოიდოზი;
- კ) ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი;
- ლ) მაიმუნის ყვავილი;
- მ) რიფტის ველის ცხელება;



- ნ) მარბურგი;
- ო) ებოლა;
- პ) ლასა;
- ჟ) ხუნინი;
- რ) მაჩუპო;
- ს) მენინგოკოკური ინფექცია;
- ტ) სპონგიფორმული ენცეფალოპათია.

ზემოაღნიშნული დაავადებების პოტენციური მატარებელი ან ამ ინფექციებით დასნებოვნებული საქონელი სავარაუდოდ შეიძლება იყოს:

- ა) ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები;
- ბ) თევზი, კიბოსნაირები, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები;
- გ) რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის კვერცხი, ნატურალური თაფლი;
- დ) ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტები;
- ე) ბოსტნეული და ზოგიერთი საკვები ძირზენიანები და კვრა;
- ვ) საკვები ნაყოფები და კაკალი, ციტრუსების ან ბალჩეული კულტურების კანი და ქერქი;
- ზ) ყავა, ჩაი და სანელებლები;
- თ) პურის მარცვლოვნები(გარდა თესლისა და საფურაჟე მასალისა);
- ი) ფქვილ-ბურღულეულის წარმოების პროდუქცია, ალაო, სახამებელი, ხორბლის წებოვანა;
- კ) ზეთოვანთა თესლი და ნაყოფი; სამკურნალო მცენარეები და ტექნიკური დანიშნულების მცენარეები;
- ლ) ცხოველური წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დამლით მიღებული პროდუქტები;
- მ) ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოების ნაწარმი;
- ნ) შაქარი და მისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი;
- ო) კაკო და მისგან დამზადებული პროდუქტები;
- პ) პურეული მარცვლოვნებისაგან დამზადებული ნაწარმი ფქვილის, ბურღულის, სახამებლისა და რძისაგან; ფქვილეულის საკონდიტრო ნაწარმი;

- ე) ბოსტნეულის, ნაყოფების, სხვადასხვა კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები;
- რ) ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები და ძმარი;
- ს) მარილი;
- ტ) ჟელატინი;
- უ) მჟავები;
- ფ) თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი, მათი წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტები და ნედლეული;
- ქ) მასალები, საგნები და მოწყობილობა—დანადგარები, რომლებიც გამოიყენება საკვების პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს;
- ღ) საბავშვო საქონელი და ამ საქონლის დასამზადებლად განკუთვნილი ხელოვნური, პოლიმერული და სინთეზური მასალები და ნივთიერებები;
- ყ) მასალა, მოწყობილობა და ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სასმელ—სამეურნეო წყალმომარაგებაში;
- ძ) ეთერზეთები და რეზინოიდები, პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები;
- წ) საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია (მათ შორის სადეზინფექციო), საპონი, სხვა სარეცხი საშუალებები;
- ჭ) პირადი ჰიგიენის საშუალებები;
- ხ) პოლიმერული და სინთეზური მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში, ტრანსპორტში, აგრეთვე ავეჯისა და სხვა საოჯახო საგნების დასამზადებლად;
- ჯ) ქიმიური ბოჭკო, ძაფი;
- ჰ) საფეიქრო, სამკერვალო და ტრიკოტაჟის მასალა, რომელიც შეიცავს ქიმიურ ბოჭკოსა და საფეიქრო დამხმარე ნივთიერებებს;
- პ<sup>1</sup>) ხელოვნური და სინთეზური ტყავები და საფეიქრო მასალა ფენსაცმლის დასამზადებლად;
- პ<sup>2</sup>) საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია;
- პ<sup>3</sup>) რადიოაქტიური ნივთიერებები;
- პ<sup>4</sup>) მედიკამენტები, ვაქცინები, შრატები, ინფექციური დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმები;
- პ<sup>5</sup>) სამედიცინო ტექნიკა, სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია;

3<sup>6</sup>) სპორტული ინვენტარი;

3<sup>7</sup>) პოლიგრაფიული პროდუქცია;

3<sup>8</sup>) საწოლის რბილი ინვენტარი და თეთრეული;

3<sup>9</sup>) ფეხსაცმელი;

3<sup>10</sup>) საშიში ქიმიური ნივთიერებები(ფეთქებადი ნივთიერებები, დამჟანგავი ნივთიერებები, აალებადი ნივთიერებები, ტოქსიკური ნივთიერებები, მჟავები).

სხვადასხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციებში საქონლის შემოტანისა და გატანის დროს საბაჟო ორგანოს შეიძლება წარედგინოს სამედიცინო-სანიტარული კონტროლის შემდეგი დოკუმენტები:

ა) ჰიგიენური სერტიფიკატი;

ბ) სანიტარული სერტიფიკატი;

გ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

დ) ზღვის სანიტარული დეკლარაცია.

ამასთან გემის ნავსადგურში შემოსვლის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება ზღვის სანიტარული დეკლარაცია, არაუმეტეს ერთი ეგზემპლარისა, ხოლო გასვლის დროს ამ დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო-სანიტარული, ფიტო სანიტარული და ვეტ სანიტარული მიზნებისათვის საბაჟო ორგანომ ან სათანადო სამსახურებმა შეიძლება განახორციელოს შემდეგი შესაბამისი ღონისძიებები:

ა) დეზინფექცია-გაუსნებოვნება. დაავადებების გადამტანი მიკროორგანიზმების ამ მათი გადამტანების განადგურება გარემოში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდებით;

ბ) ფუმიგაცია-სასოფლო-სამეურნეო დაავადებებთან, პარაზიტებთან და მავნებლებთან ბრძოლის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნათესებისა და საქონლის, აგრეთვე მარცვლეულის საცავების, ფერმების და სხვა ნაგებობების დამუშავებას ქიმიური პრეპარატებით, ფუმიგანტებით;

გ) დეგაზაცია-მავნე აირებისა და მომწამვლელი ნივთიერებების განადგურება (წმენდა) განსაკუთრებული (მადეგაზირებელი) ნივთიერებების საშუალებით მოწამლულ გარემოში, საქონელზე, ტანსაცმელზე, სატრანსპორტო საშუალებებში, შენობებში და ა.შ.

### §13.4. რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი

რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი გულისხმობს საბაჟო საზღვარზე საბაჟო ან სხვა შესაბამისი სასაზღვრო ორგანოების მიერ ბირთვული და რადიაციული ნივთიერებების (ზოგადად, რადიაციული ნივთიერებები) აღმოჩენას და მათ მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარებას.

არსებობს ოთხი ჯგუფის რადიაციული ნივთიერება, რომელიც კლასიფიცირდება მომეტებული საშიშროების ზრდის მიხედვით. კერძოდ:

ა) პირველი ჯგუფის ნივთიერებებს განეკუთვნება ბუნებრივი წარმოშობის რადიოაქტიური მასალები. ყველა მინერალი და ქანი შეიცავს მცირე რაოდენობით ურანს, თორიუმისა და კალიუმის რადიოაქტიურ იზოტოპს. ბუნებრივ რადიოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს აგრეთვე ისეთი საქონელი, როგორც არის კერამიკული ფილები, ზრეში, კალიუმთან სასუქები და აირპროპანის ცილინდრები;

ბ) მეორე ჯგუფის ნივთიერებებს განეკუთვნება სამედიცინო რადიოაქტიური მასალები. ასეთია მაგალითად, მედიცინაში გამოყენებული იზოტოპები, რომელიც შეიცავს შემდეგ რადიოაქტიურ მასალებს: იოდი-131, ტექნეციუმი-99, თორიუმი-201;

გ) მესამე ჯგუფის ნივთიერებებს განეკუთვნება ინდუსტრიული იზოტოპები. ასეთი რადიოაქტიური მასალებია: ცეზიუმ-137, ამ-241, კობალტი-60. ეს ნივთიერებები შედის სამრეწველო მასალებში;

დ) მეოთხე ჯგუფის ნივთიერებებს განეკუთვნება განსაკუთრებული ბირთვული მასალები. იგი არსებობს ატომურ მექანიზმში და შეიცავს პლუტონისა და ურანის შემდეგ იზოტოპებს: ურან-233, ურან-235, პლუტონ-239, ნეფტუნ-237, ამერციუმი.

რადიაციული ნივთიერებების საბაჟო კონტროლი ხორციელდება სპეციალური ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, ტექნიკური საშუალებები ძირითადად ორი სახის არის:

ა) სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მდებარე სპეციალური აპარატურით აღჭურვილი ცენტრალური განგამის სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში მუშაობს და, რომელიც საბაჟო ტერიტორიის გარკვეულ პერიმეტრზე რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი მონიტორებიდან და ტელეკამერებიდან

გადასცემს განგაშის ხმოვან და ვიზუალურ სიგნალებს საბაჟო ორგანოს ან შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს;

ბ) რადიოლოგიური იზოტოპის ამომცნობი, რომელიც წარმოადგენს პორტატული ტიპის ხელსაწყოს (დეტექტორს), რომელიც გამოიყენება რადიონუკლიდების ძებნისა და იდენტიფიკაციისათვის. მას შეუძლია Y (გამა) და  $\beta$  (ნეიტრონული) გამოსხივების აღმოჩენა. ასეთი დეტექტორები ძირითადად გამოიყენება მგზავრების საბაჟო კონტროლის დროს. იგი გამოიყენება აგრეთვე იზოტოპური და რადიაციული ექსპერტიზის ჩასატარებლად.

განგაში შეიძლება იყოს ცრუ, უსაფრთხო და ნამდვილი:

ცრუ განგაში შეიძლება გამოწვეული იყოს არა ნამდვილი რადიაციული ფონით, არამედ ტექნიკური საშუალებების გაუმართაობით.

უსაფრთხო განგაში ნიშნავს ისეთი სიგნალების მიღებას, რომელიც გამოწვეულია პირველი და მეორე ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენით, რომელიც საშიშროებას არ წარმოადგენს.

ნამდვილი განგაშის დროს ხდება მესამე და მეოთხე ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენა და მასზე შესაბამისი რეაგირება.

რადიაციული ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში იგი გადის რეაგირების შემდეგ ფაზებს: მასალის აღმოჩენის შემოწმება, შეფასება, მეორადი შემოწმება, რეაგირება, გაუვნებელყოფა, შეფუთვა და ტრანსპორტირება, იზოლირება, შენახვა და განადგურება.

ზემოაღნიშნული რეაგირების ფაზებს რადიაციული ნივთიერებების ჯგუფების მიხედვით განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია. კერძოდ:

ა) პირველი ჯგუფის რადიაციული ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო (ან სხვა სამსახური) შესაბამის სატრანსპორტო საშუალებას, ბარგს ან მგზავრს უპირობოდ ათავისუფლებს;

ბ) მეორე ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენის დროს საბაჟო ორგანო ითხოვს იმ დოკუმენტაციას, რომელიც მოითხოვება ასეთი საქონლის გადაზიდვის დროს. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისას სატრანსპორტო საშუალება, ბარგი ან მგზავრი

თავისუფლდება;

გ) მესამე ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენის დროს ხდება დამხმარე კვალიფიციური პერსონალის გამოძახება და შესაბამისი ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადაადგილება კანონიერია და დაცულია უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები, მაშინ საქონელი გათავისუფლდება;

დ) რაც შეეხება მეოთხე ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენას და მის დადასტურებას, ამ დროს ზორციელდება შესაბამისი რეაგირება ზემოაღნიშნული ფაზების მიხედვით.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და გლობალური უსაფრთხოების საქმეში რადიაციული საბაჟო კონტროლის საკითხი უპირველეს ადგილს იკავებს ნარკოტიკებისა და აკრძალული საქონლის გადაადგილების სასაზღვრო კონტროლის გვერდით.

### §13.5. ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის კონტროლი

ტექნიკური სტანდარტი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადგენს მოცემული პროდუქციისათვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისათვის წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს. ამასთან მეწარმეების მიერ სტანდარტების მიღება და გამოყენება ნებაყოფლობითია.

ტექნიკური სტანდარტი არის სამი სახის:

ა) საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ISO);

ბ) უცხო ქვეყნის სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს სხვა ქვეყნის მიერ მიღებულ ან აღიარებულ სტანდარტს;

გ) მოცემული ქვეყნის სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ეროვნულ სტანდარტს რომელიც რეგისტრირებულია ამ ქვეყნის შესაბამისი კომპენტენტური ორგანოს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზაცია ნებაყოფლობითია, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს კონკრეტული საქონლის წარმოების ან ექსპორტ-იმპორტის მიმართ სავალდებულო სტანდარტიზაციის ნორმები.

სტანდარტიზაციის საჭიროება, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობიდან, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია, როგორც საკვებ პროდუქტებთან და საყოფაცხოვრებო საქონელთან, ასევე საწარმოო დანიშნულების საქონლის მოხმარებასა და ექსპლოატაციასთან. ამასთან სტანდარტები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთაშორისო ვაჭრობასთან საქონლის ხარისხის ასპექტითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვყალიბოთ სტანდარტიზაციის ფუნქციები, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

- ა) საქონლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ბ) საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- გ) საერთაშორისო ინტეგრაციის ზრდა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროებში.

ტექნიკური სტანდარტიზაციის დოკუმენტს წარმოადგენს ტექნიკური რეგლამენტი. იგი განსაზღვრავს პროდუქციის ან მისი წარმოების მეთოდების შესაბამის მახასიათებელთა ერთობლობას, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამ რეგლამენტის მიღებისა და აღიარების დროს.

წარმოდგენილი საქონლის ტექნიკურ რეგლამენტთან ან სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელსაც, როგორც წესი, შესაბამისობის სერტიფიკატი ეწოდება.

შესაბამისობის სერტიფიკატი ადასტურებს, რომ საქონელი დამზადებულია რომელიმე სახის ტექნიკურ რეგლამენტის, სტანდარტის ან სხვა დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დაცვით. იგი გაიცემა საქონლის უშუალო მწარმოებლის ან მოცემული ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ან აკრედიტებული არასამთავრო ორგანოების მიერ.

საქონლის იმპორტის დროს ქვეყნები საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად აღიარებენ ერთმანეთის ტექნიკურ რეგლამენტებს, სხვა სტანდარტებს ან წესებს და ღებულობენ მას ეროვნული ეკვივალენტად. შესაბამისად, მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის იმპორტის დროს საბაჟო ან სხვა კომპენტენტური ორგანოს მიერ ხორციელდება საქონლის ტექნიკური

სტანდარტებისადმი შესაბამისობის კონტროლი, რაც, როგორც წესი, გამოიხატება საბაჟო დოკუმენტების კამერალური შემოწმებით.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად ხელშემკვრელი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები იმ შემთხვევაშიც მიიღება ეკვივალენტად, როდესაც იგი განსხვავდება ანალოგიური საქონლის ადგილობრივი ტექნიკური რეგლამენტისაგან. ამასთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ადგილობრივი ტექნიკური რეგლამენტები, როგორც წესი, ავტომატურად მიიღება ამ ქვეყნების მიერ ეკვივალენტურ ტექნიკურ რეგლამენტებად.

### §13.6. სავალუტო კონტროლი

სავალუტო კონტროლი ფართო ცნებაა და ზოგადად გულისხმობს ფულადი ნაკადების მოძრაობის კანონიერების შესწავლასა და მონიტორინგს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. იგი დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ე.წ. „შავი ფულის“ ან სხვანაირად „ჭუჭყიანი ფულის“ „გათეთრებასთან“ ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან (მაგ. ტერორიზმის დაფინანსება და სხვა).

საბაჟო ორგანო დაკავშირებულია სავალუტო ნაკადების მოძრაობასთან საერთაშორისო სასაქონლო ვაჭრობის დროს გადარიცხული თანხების ან ფიზიკური პირების მიერ უშუალოდ საბაჟო საზღვარზე გადატანილი ფულის ნიშნების ან ფასიანი ქაღალდების სახით.

უნაღლო ანგარიშსწორების საბაჟო კონტროლი ყველა ქვეყანაში არ ხორციელდება და იგი დელეგირებულია საბანკო ორგანოებისადმი. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში უნაღლო ანგარიშსწორების წესით საქონლის ექსპორტისა და იმპორტის დროს კონტრაგენტების მიერ გადარიცხული თანხების წარმომავლობა და მიზნობრიობა ექვემდებარება პირდაპირ საბაჟო კონტროლს. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ითხოვს გადასარიცხი ან გადარიცხული თანხების წარმოშობის დოკუმენტებს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ატყობინებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.



ამასთან, როგორც მომდევნო, მე-14-ე თავში ვნახეთ, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა პირდაპირ უკავშირდება სავალუტო კონტროლის პრობლემებს, რადგანაც „ფულის გათეთრება“ შესაძლებელია გამოწვეული იყოს საბაჟო ღირებულების ხელოვნურად ზრდის ფაქტორით.

რაც შეეხება სავალუტო კონტროლის ისეთ სახეს, რომელიც უშუალოდ საქონლის მოძრაობასთან არ არის დაკავშირებული და ხორციელდება მგზავრების მიერ ფულადი სახსრების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების ფორმით—იგი წარმოადგენს საბაჟო ორგანოს სპეციალური კონტროლის არეალის პირდაპირ სფეროს ყველა ქვეყანაში.

ქვეყნები, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ადგენენ იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის ზევით ფულადი თანხების ან ფასიანი ქაღალდების გადაადგილება ექვემდებარება საბაჟო კონტროლს. დადგენილი ლიმიტის ზემოთ მგზავრის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი ვალუტა და ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება აუცილებელ საბაჟო დეკლარირებას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო ორგანო ითხოვს ფულის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. რიგ ქვეყნებში დადგენილი ლიმიტის ზემოთ საბაჟო ორგანოს მიერ აღმოჩენილი ან დეკლარანტის მიერ დეკლარირებული თანხების შესახებ ინფორმაცია ეგზავნებათ ქვეყნის შესაბამის სამსახურებს, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ამ სფეროს მონიტორინგისათვის.

სასაზღვრო—საბაჟო ორგანოებში არსებობს ვიზუალური ან წერილობითი ინფორმაცია მგზავრების მათ მიერ გადაადგილებული და სავალდებულოდ დასადეკლარირებელი ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ოდენობის შესახებ. ეს ინფორმაცია საჯაროა სხვადასხვა სახელმწიფოს ენებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო კონტროლის შედეგად მგზავრს აღმოაჩნდება დაუდეკლარირებელი და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ფული და ფასიანი ქაღალდები, საბაჟო ორგანოს მხრიდან, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეს საქონელი (ფული და ფასიანი ქაღალდები საქონელია საბაჟო კონტროლის ასპექტით) საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტია და ექვემდებარება კონფისკაციას ან გარკვეულ საჯარიმო სანქციას.

რაც შეეხება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ფულის

ან ფასიანი ქაღალდების ოდენობას იგი განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით და განსხვავებული სიდიდეა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. მაგ. საქართველოსათვის ასეთ თანხად განსაზღვრულია 30 000 ლარზე მეტი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტა ან ფასიანი ქაღალდი.

### **§13.7. ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლი**

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და გზების დაცვის მიზნით ქვეყნები ზღუდავენ საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაადგილების დროს ამ ტრანსპორტის მოძრაობას გარკვეული პარამეტრების მიხედვით. ეს პარამეტრებია: ზენორმატიული დატვირთვა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გაბარიტები.

ზემოაღნიშნული შეზღუდვა რიგ ქვეყნებში საბაჟო საზღვარზე სატვირთო ავტომანქანების გადაადგილების დროს ზორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ.

ზენორმატიული დატვირთვა ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილი ტვირთამწეობის ზევით ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვას საქონლით, როგორც ზოგადად, ასევე ცალკეული ღერძების მიხედვით, რაც საფრთხეს უქმნის როგორც სატრანსპორტო მოძრაობას, ასევე აზიანებს გზების საფარს. შესაბამისად, როგორც წესი, შემოსასვლელ საბაჟო ორგანოებში სპეციალური სასწორების საშუალებით საბაჟო ორგანო ახდენს შემომსვლელი დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალების აწონვას და მიღებული მონაცემების შედარებას ამ სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ პასპორტში არსებულ ან სხვა შესაბამის ინფორმაციასთან.

რაც შეეხება გაბარიტების კონტროლს, აქ იგულისხმება ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული პარამეტრები, კერძოდ, სიმაღლე, სიგანე და სიგრძე, რაც არ უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილ მაჩვენებლებს.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანო დაადგენს ზენორმატიულ ან გაბარიტებთან დაკავშირებით, რაიმე კანონშესაბამობას, იგი დადგენილი წესით გამოწერს საბაჟო სამართალდარღვევის(აღმინისტ

რაციული სამართალდარღვევის) შესაბამის ოქმს, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს ან სატრანსპორტო საშუალების სათანადო კორექტირებას(მაგ. საქონლის ნაწილის გადმოტვირთვა და ჩატვირთვა სხვა სატრანსპორტო საშუალებაში ან მოთავსება საბაჟო საწყობში) ან გადასცემს ამ სატრანსპორტო საშუალებას კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გასატარებლად შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.

სხვადასხვა ქვეყნები ადგენენ ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების სხვადასხვა პარამეტრებს, რომლის გადაჭარბება ითვლება დარღვევად. მოვიყვანთ ერთ-ერთი ქვეყნის (საქართველო) მაგალითს შესაბამისი პარამეტრების მიხედვით:

ა) ზენორმატიული დატვირთვის მიხედვით:

—თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას (ერთწამყვანღერძიან ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე—11.5 ტონას);

—სრული მასა არ უნდა აღემატებოდეს 44 ტონას;

—გადასაზიდი საქონლის მასა არ უნდა აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს.

ბ) გაბარიტების მიხედვით ავტოსატრანსპორტო საშუალების:

—სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს—4 მეტრს;

—სიგანე არ უნდა აღემატებოდეს—2,55 მეტრს(რეფრეჟერატორის შემთხვევაში—2,6 მეტრს);

—სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 12 მეტრს(ერთი მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის შემთხვევაში და 20 მეტრს—ორი ან მეტი მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის შემთხვევაში).

საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ქვეყნებმა შესაძლებელია ზენორმატიული და გაბარიტების კონტროლი საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის ან საზოგადოდ მოცემული ქვეყნიდან საქონლის გატანის დროს(როდესაც საქონელი ავტოსატრანსპორტო საშუალებაში იტვირთება მოცემულ ექსპორტიორ ქვეყანაში) განახორციელონ გასასვლელ საბაჟო ორგანოში ან იმ საბაჟო ორგანოში, სადაც ხორციელდება საქონლის გატანის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

## §13.8. ინტელექტუალური საკუთრების კონტროლი

ინტელექტუალური საკუთრების კონტროლს შესაბამისი საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს ახორციელებენ საბაჟო ორგანოები. საბაჟო კონტროლი ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე.

ინტელექტუალური საკუთრების საბაჟო კონტროლი გამოხატულებას პოულობს შესაბამის საქონელთან მიმართებით გასატარებელი სპეციფიკური ღონისძიებებით. კერძოდ, არსებობს სამი სახის პროდუქცია, რომელიც ითვლება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად:

ა) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია—ანუ ნებისმიერი ისეთი საქონელი, რომელიც წარმოებულია უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე;

ბ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია—ანუ ნებისმიერი საქონელი, რომელზეც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

გ) კონტრაფაქციული პროდუქცია—ანუ ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზეც უნებართვოდ არის მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტიური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან და შესაბამისად არღვევს კანონმდებლობით დადგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

ზემოაღნიშნული სამი სახის საქონლის იდენტიფიცირების მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს რამდენიმე ცნება, რომელიც მოხსენიებულია ამ საქონელთა განსაზღვრების დროს. კერძოდ, ესენია:

ა) საავტორო უფლება—უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური—შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს

საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

—ლათინური ასო C წრეწირში;

—განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი(დასახელება);

—ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

ბ) მომიჯნავე უფლება—საავტორო უფლებისაგან წარმოებული განსაკუთრებული უფლების სახესხვაობა. შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები, რომლებიც ხორციელდება ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი, ან ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მომიჯნავე უფლების განცხადებისათვის გამოიყენება მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან მის ფუტლიარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

—ლათინური ასო P წრეწირში;

—განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი(დასახელება);

—ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

გ) ადგილწარმოშობის დასახელება—გეოგრაფიული ადგილის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამ ადგილიდან წარმოშობილ საქონელს და მისი ხარისხი და თვისებები ამ ადგილით არის გაპირობებული(მაგ. კონიაკი, შამპანური, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის გეოგრაფიულ ადგილებს);

დ) გეოგრაფიული აღნიშვნა—ანალოგიურად ადგილწარმოშობისა, სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამ ადგილიდან წარმოშობილ საქონელს და მისი ხარისხი და თვისებები ამ ადგილით არის გაპირობებული;

ე) სასაქონლო ნიშანი(სავაჭრო მარკა)—დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ტექსტური ან სხვაგვარი ნიშანი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საწარმოთა მიერ წარმოებული ერთგვაროვანი ნაწარმის ერთმანეთისაგან გასამიჯნავად.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი შესაბამისი პირის მოთხოვნით რეგისტრირდება, როგორც ამ უფლების დამადასტუ-

რებელ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, ასევე საბაჟო ორგანოს შესაბამის რეესტრში. შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევით შემოტანილი საქონლის საბაჟო კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს მიერ როდესაც ამის შესახებ საბაჟო ორგანოს მიმართავს პირი, რომელსაც მისი აზრით ეკუთვნის შესაბამისი ინტელექტუალური საკუთრება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო გარკვეული დროით აკავებს იმ საქონელს, რომელიც განმცხადებელი პირის აზრით დამზადებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევით.

საბაჟო ორგანოში შესაბამისი საქონლის შეჩერების პერიოდში განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და საბაჟო ან სხვა შესაბამის ორგანოში წარადგინოს შესაბამისი ფინანსური გარანტია იმის შესახებ, რომ, თუ მისი სარჩელი უსაფუძვლო აღმოჩნდა, მაშინ იგი ანაზღაურებს საქონელთან დაკავშირებული მესამე მხარის (მაგ. ექსპორტიორის) ან იმპორტიორის იმ ზარალს, რომელიც მათ მიაღვათ საქონლის უსაფუძვლო შეჩერების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მფლობელი (ექსპორტიორი, იმპორტიორი) უარს განაცხადებს შესაბამის საქონელზე ან დადგენილ ვადაში არ განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის რეაგირებას, საბაჟო ორგანო ანადგურებს ამ საქონელს. განადგურების ხარჯები ეკისრება ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელს ანუ განმცხადებელს. ამასთან, განმცხადებლის თანხმობით შეჩერებული საქონელი შეიძლება არ განადგურდეს და გამოყენებული იქნეს ჰუმანიტარული მიზნებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევაზე საბაჟო ორგანო რეაგირებას ახორციელებს იმ საქონლის მიმართ, რომელიც საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება კომერციული მიზნებისათვის. რაც შეეხება მგზავრის მიერ გადაადგილებულ მცირე რაოდენობის არაკომერციული დანიშნულების საქონელს, რომელიც, თუმცა, შეიძლება იყოს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის საგანი—მასზე არ გავრცელდება საბაჟო კონტროლის ზემოაღნიშნული ღონისძიებები. ასეთი საქონლის მგზავრის ბარგით ან მცირე კონტეინერით შემოტანას „დე-მინიმის“ იმპორტი ეწოდება, რომელიც გათავისუფლებულია ინტელექტუალური საკუთრების კონტროლისაგან.

## თავი 14. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

### §14.1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპები

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მსოფლიო პრაქტიკის ეტაპები შესაბამისი წყაროების მიღების ასპექტით შეიძლება შემდეგ ნაწილებად დაიყოს:

ა) 1947 წლის „გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე“;

ბ) 1950 წელს მიღებული და 1953 წელს ძალაში შესული ბრიუსელის კონვენცია „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შექმნის შესახებ“ (ე.წ. „ბრიუსელის კონვენცია“);

გ) 1979 წლის „შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“ (იგივე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კოდექსი);

დ) 1994 წლის რედაქციის „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“;

ე) 1994 წლის რედაქციის „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“.

1950 წლის ბრიუსელის კონვენციას შეუერთდა 70-ზე მეტი სახელმწიფო, თუმცა მისი გამოყენების არეალი თანდათან შესუსტდა იმ მიზეზების გამო, რომ მას ხელი არ მოაწერეს აშშ-მა და კანადამ.

ამის შედეგად, ეკონომიკურ-პოლიტიკური მოტივაციების გამო, 1973-79 წლებში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ ჩატარდა მრავალმხრივი მოლაპარაკებები ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რითაც განისაზღვრა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ახალი მეთოდიკა.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძველია 1994 წლის რედაქციის „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების“ მე-7 მუხლი, რომლის სათაურია „საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის“. ეს შეთანხმება დეკლარაციულად აყალიბებს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს, რამაც

წარმოშვა უფრო დეტალური და ინსტრუქციული ხასიათის კონვენციის(შეთანხმების) მიღების აუცილებლობა. შესაბამისად 1994 წელს ურუგვაის ქალაქ მარაკეში სხვა შეთანხმებებთან ერთად მიღებულ იქნა „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“, სადაც საკმაოდ ვრცლად და სათანადო კომენტარებით არის გადმოცემული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძალიან რთული ნიუანსები.

რა განსხვავება არსებობს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის „ბრიუსელისა“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის(შემდგომში-ემო) წესებს შორის?

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ამ ორ წესს შორის სხვაობა ძირითადად მაინც ცნებით აპარატში მდგომარეობს. კერძოდ, ბრიუსელის კონვენცია იყენებს „ნორმალური ფასის“ ცნებას, ხოლო ემო-ს კონვენცია „გარიგების ფასის“ ცნებას. თავის მხრივ „ნორმალური ფასი“ ნიშნავს ურთიერთდამოუკიდებელ მყიდველსა და გამყიდველს შორის ჩამოყალიბებულ ფასს თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამასთან იგულისხმება, რომ ნორმალურ ფასზე გავლენას ვერ ახდენს კონტრაქტით ან სხვა პირობებით განსაზღვრული ფაქტორები. რაც შეეხება „გარიგების ფასს“, იგი აღნიშნავს ასევე თავისუფალი კონკურენციის პირობებში ორ დამოუკიდებელ კონტრაგენტს შორის კონკურენტულ გარემოში ჩამოყალიბებულ ფასს მხოლოდ სხვადასხვა საკონტრაქტო პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, „გარიგების ფასი“ განიმარტება, როგორც „ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი“. მაგ. „გარიგების ფასმა“ შეიძლება გაითვალისწინოს ფასდაკლება (ე.წ. „დისკუნტი“), ხოლო ბრიუსელის კონვენციამ-არა, რადგანაც იგი ეყრდნობა მხოლოდ ნორმალურ საბაზრო ფასს.

აღსანიშნავია, რომ 1995 წელს შვეიცარიაში შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ორგანიზაციულად და თეორიულად ეფუძნება „1994 წლის გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“. ამ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის სრულყოფილებიანი წევრია საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან, როდესაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციის ბევრ მნიშვნელოვან



შეთანხმებას და, მათ შორის, ზემოაღნიშნულ იმ ორ შეთანხმებას, რომლითაც ხდება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირება ცივილიზებულ მსოფლიოში. („1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ და „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“).

## §14.2. საბაჟო ღირებულების ცნება და ფუნქციები

საბაჟო ურთიერთობების დროს საბაჟო პროცედურებს შორის ყველაზე რთული საკითხი არის კონკრეტული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ზოგჯერ ამ თემას უწოდებენ საჯილდო ქვას საბაჟო ორგანოსა და ბიზნესს შორის.

საბაჟო ღირებულება არის საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონელზე იმპორტიორის მიერ რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. ამ ფასში შედის, როგორც საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის იმ ადგილიდან საიდანაც მოხდა საქონლის რეალიზაცია—იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე, ხოლო ექსპორტის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს—საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვართან. ამ შემთხვევაში საბაჟო საზღვარში იგულისხმება არა რეალური საბაჟო საზღვარი, რომელიც ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს, არამედ ვირტუალური საბაჟო საზღვარი, რომელიც ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის შიგნით მდებარეობს (სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ფიზიკური განლაგების ადგილი).

საზოგადოდ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, სადაც საბაჟო ღირებულებაზე დაუსრულებლად შეიძლება იკამათო და იკამათო. რაც შეეხება ცივილიზებულ ქვეყნებს, იქ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრობლემებზე მსჯელობა ზედმეტია. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის ეს პრობლემა აქტუალურია.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით „განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბაჟო ღირებულების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის მოპოვების გამო, შეინიშნება შემოსავლების დანაკარგი. ამის გამო ისინი მოითხოვენ საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, მათ შორის იგულისხმება საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის უშუალოდ, რათა მოხდეს დეკლარირებული ღირებულების შემოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის საექსპორტო ღირებულება არ უნდა იყოს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველი, რადგან საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაცია ხშირად მწირია და ბევრ ქვეყანაში არ ხდება ამ მონაცემთა სისტემატური კონტროლი და შემოწმება. საბაჟო ღირებულების სისტემაში ხშირია გაყალბება, რის გამოც საბაჟოს ენიჭება მისი კონტროლისათვის შესაბამისი ძალაუფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ღირებულების წარმატებული კონტროლისათვის აუცილებელია საბაჟო ადმინისტრაციების რეფორმები და მოდერნიზაცია. საბაჟო ადმინისტრაციები უნდა ეყრდნობოდნენ კონტროლის მექანიზმს, რომელიც იყენებს რისკის ანალიზსა და დამუშავების შემდგომი აუდიტის სისტემებს, რაც ფუნდამენტალურია საბაჟო ღირებულების საკონტროლო რეჟიმის გაუმჯობესებისათვის“.

საბაჟო ღირებულების არსიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს საბაჟო ღირებულების დადგენის პრინციპები არ უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ორგანოს მიერ დემპინგური ფასის წინააღმდეგ, ამ ფასის აწვევის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო პრაქტიკაში განსაზღვრული წესით დადგენილია საქონლის იმპორტის ფაქტი მოცემულ ქვეყანაში დემპინგური ანუ ხელოვნურად შემცირებული ფასებით, მაშინ საბაჟო ორგანო იყენებს არა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესაბამის მეთოდებს, არამედ ანტიდემპინგურ საბაჟო გადასახადს, რომელიც მაღლა წევს ამ საქონლის სარეალიზაციო ფასს იმპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე.

საბაჟო ღირებულების ფუნქციებიდან გამოიყოფა შემდეგი:

- ა) ფისკალური ფუნქცია;
- ბ) სავალუტო კონტროლის ფუნქცია;

- გ) არასატარიფო ღონისძიებების კონტროლის ფუნქცია;
- დ) საგარეო სავაჭრო ბალანსის ფორმირების ფუნქცია;
- ე) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია.

საბაჟო ღირებულების უპირველესი ფუნქცია არის ფისკალური მიზნების განხორციელების შესაბამისი ადვალური ბაზის შექმნა. კერძოდ, სწორად გაანგარიშებული საბაჟო ღირებულება არის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. როგორც წესი, არაპირდაპირი გადასახადების (საბაჟო გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი) აკრება იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილ საქონელზე ხდება საბაჟო ორგანოების მიერ. ამასთან ეს გადასახადები, ძირითადად არის ადვალური ხასიათის და დაკავშირებულია საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან. ამდენად, საგადასახადო ბაზის ზრდა საბაჟო ღირებულების შემცირების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გზით განაპირობებს შესაბამის ფისკალურ ეფექტს, მიუხედავად ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადის ჩათვლის სისტემის არსებობისა. აღნიშნული ფისკალური ეფექტი დამოკიდებულია ჩათვლილი და ჩაუთვლელი გადასახადების, მოგების ან ზოგიერთ ქვეყანაში საშემოსავლო(კორპორაციული) გადასახადებისა და საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანაფარდობაზე და, როგორც წესი, საბოლოო ჯამში ფისკალური ეფექტი უფრო მაღალია მაღალი საბაჟო ღირებულების შემთხვევაში.

საბაჟო ღირებულების მნიშვნელოვანი ფუნქციაა სავალუტო კონტროლის განხორციელების დროს რეალური ღირებულებითი მონაცემების ბაზის ფორმირება. კერძოდ, ექსპორტ-იმპორტის დროს სავალუტო თანხების ნაკადების მოძრაობა ყოველთვის დაკავშირებულია ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის რეალურ საბაჟო ღირებულებებთან. აქედან გამომდინარე საექსპორტო ამონაგების ან საიმპორტო თანხების სიდიდის განსაზღვრისათვის საბაჟო ღირებულების სწორ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბაჟო ღირებულების ერთ-ერთ ფუნქციად განიხილება ისეთი არასატარიფო ღონისძიების განხორციელების მექანიზმის კონტროლი, როგორიც არის საქონლის იმპორტის კვოტირება. იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ქვეყანას შორის ხორციელდება გარკვეული სახის და განსაზღვრული ღირებულების საქონლის კვოტირება ანუ

ღირებულებითი შეზღუდვა, მაშინ ღირებულების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს დადგენილი კვოტის ფარგლების დაცვის თვალსაზრისით. მაგ. ვთქვათ, შეთანხმებულია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის ვაჭრობის დროს ჩინეთიდან საფეიქრო ნაწარმის ექსპორტმა და შესაბამისად აშშ-ში იმპორტმა არ უნდა გადააჭარბოს წელიწადში 500 მილიონ აშშ დოლარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კვოტას გადაცილებული საქონელი არ იქნება შეშვებული აშშ-ს საბაჟო ტერიტორიაზე ან მასზე იქნება გადასახდელი იმ ოდენობის საბაჟო გადასახადი, რომელიც არაკონკურენტუნარიანს გახდის მას აშშ-ს ბაზარზე. ამდენად ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია საბაჟო ღირებულების სწორი განსაზღვრა.

ქვეყნის საგარეო საეკონომიკური ბალანსის (რაც თავის მხრივ საგარეო საგადასახდლო ბალანსის შემადგენელი ნაწილია) გაანგარიშება და ფორმირება პირდაპირ არის დაკავშირებული ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელთა საბაჟო ღირებულებებთან. კერძოდ, რეალური ექსპორტ-იმპორტის სალდოს განსაზღვრა ეყრდნობა საქონელთა მოძრაობის სწორად განსაზღვრულ ღირებულებით მონაცემებს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური (მათ, შორის მონეტარული და საბაჟო) პოლიტიკის კორექტირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

რაც შეეხება ე.წ „შავი ფულის“ გათეთრებას, მრავალ ფორმათაგან ერთ-ერთად მოიაზრება საქონლის იმპორტის ან ექსპორტის დროს საბაჟო ღირებულების შეგნებულად მრავალჯერადი ზრდა იმ ზომით, რომლის დროსაც იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანხა შესაბამისი ფულის ლეგალიზაციით მიღებულ თანხაზე ნაკლებია (ოფშორის შემთხვევაში საერთოდ ნულის ტოლია), ხოლო ექსპორტის დროს ინვოისში ან საბაჟო დეკლარაციაში ნაჩვენები საქონლის ღირებულების სახით ამონაგები თანხები „ღირს“ შემოსავლების სახით ამ თანხებზე გადახდილ გადასახადებად. მაგ. საქართველოს რეზიდენტ ოფშორულ კომპანიას აქვს შვილობილი კომპანია ინდოეთში და შესაბამისად ოფშორულ ბანკში აქვს „შავი ფული“. ამ შემთხვევაში ოფშორული კომპანია ყიდულობს ინდოეთიდან (შვილობილი კომპანიიდან) გარკვეულ საქონელს და კონტრაქტის მიხედვით იხდის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე 50-ჯერ მეტ თანხას. თუ, ექსპორტიორი ქვეყნის

(ინდოეთის) საბაჟო ორგანო, ფისკალური მიზნებიდან გამომდინარე, დაეთანხმება წარმოდგენილ ანუ 50-ჯერ გაზრდილ საბაჟო ღირებულებას, მაშინ განხორციელდება ფულის გათეთრება, რომლის ფასიც იქნება შვილობილი კომპანიის მიერ გადასახდელი შესაბამისი მოგების, თუ საშემოსავლო გადასახადების თანხა.

### §14.3. საბაჟო ღირებულების დეკლარირება და საბაჟო კონტროლი

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და ასევე, მისი სისწორის დადგენა ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით. ეს მეთოდებია:

- ა) გარიგების ფასის მეთოდი;
- ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
- გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
- დ) საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი;
- ე) საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი;
- ვ) სარეზერვო მეთოდი.

ზემოაღნიშნული მეთოდები გამოიყენება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს თანმიმდევრულად ანუ რიგითობის დაცვით. გამონაკლის წარმოადგენს ერთეულის ფასისა და შედგენილი ღირებულების მეთოდების რიგითობა, რაც დაკავშირებულია შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სპეციფიკასთან. კერძოდ, თუ დეკლარანტი და ექსპორტიორი, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებული პირებია, მაშინ დეკლარანტს შეუძლია საბაჟო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი კონფიდენციალური დოკუმენტები, რომელიც ასახავს საქონლის კალკულაციურ ღირებულებას.

საბაჟო ღირებულებას, როგორც წესი, განსაზღვრავს დეკლარანტი. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მიზეზების გამო საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარანტის მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას, მაშინ საბაჟო ორგანო საზღვრავს მას ან ახდენს მის კორექტირებას. საბაჟო ღირებულების კორექტირება შეუძლია დეკლარანტსაც. სხვადასხვა ქვეყანაში კორექტირების სხვადასხვა წესები არსებობს, რომელიც ძირითადად საბაჟო დეკლარაციის კო-

რექტირებასთან არის დაკავშირებული.

სხვადასხვა ქვეყანაში დეკლარანტის მიერ საბაჟო ღირებულების დეკლარირების წესები განსხვავებულია და ძირითადად ორი ფორმით ხორციელდება. პირველი, როდესაც საბაჟო ღირებულება დეკლარირდება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით სპეციალურ დოკუმენტში (მაგ. საბაჟო ღირებულების დეკლარაცია) და შემდგომ საბაჟო დეკლარაციაში და, მეორე, როდესაც საბაჟო ღირებულების დეკლარირება ხდება პირდაპირ საბაჟო დეკლარაციით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეკლარანტის მიერ საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში ფიქსირდება საბაჟო ღირებულების აბსოლუტური თანხა.

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი შეთანხმებებით განსაზღვრულია საბაჟო ორგანოს შეუზღუდავი უფლება, რომელიც საშუალებას აძლევს მას ნებისმიერ მომენტში ეჭვი შეიტანოს დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სიდიდეში. ამასთან, წარმოშობილი ეჭვი უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ინფორმაციას და დეკლარანტის მიერ ამ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა მიეწოდოს მას.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტის მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულების სიდიდეს არ ეთანხმება საბაჟო ორგანო, ეს მომენტი არ შეიძლება გახდეს საქონლის გაშვების შეფერხების საფუძველი. კერძოდ, საბაჟო ღირებულების სიდიდეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, დეკლარანტს გარკვეული ვადის განმავლობაში შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო საქონელი გაიტანოს საბაჟო ორგანოდან და გაუშვას თავისუფალ მიმოქცევაში, თუ იგი წარადგენს საბაჟო ორგანოში შესაბამის გარანტიას.

გარანტიის ფორმები ყველა ქვეყანაში ერთნაირია და იგი შეიძლება იყოს ძირითადად სამი სახის: საბანკო გარანტია, სადაზღვევო გარანტია ან საბაჟო გადასახდელების შეტანა საბაჟო ორგანოს ანგარიშზე. გამოიყენება აგრეთვე გირაოს ფორმები, როგორც იმავე საქონლის, ასევე სხვა ქონების სახით. ამასთან გარანტიის თანხა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდოლოგიით იანგარიშება. კერძოდ, გარანტიის თანხა შეიძლება იყოს ორი სიდიდე: პირველი, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების ოდენობის თანხა და მეორე, საბაჟო ორგანოსა და დეკლარანტის მიერ

განსაზღვრული საბაჟო ღირებულებების სხვაობის საფუძველზე გაანგარიშებული შესაბამისი საბაჟო გადასახდელების თანხა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეკლარანტმა უნდა გადაიხადოს მის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელები.

## §14.4 გარიგების ფასის მეთოდი

როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასის მეთოდით. გარიგების ფასი არის საქონლის შესაძენად რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. იგი შეიძლება დაემთხვეს საბაჟო ღირებულებას ან არ უდრიდეს მას, რაც თავის მხრივ გაპირობებულია საქონლის მიწოდების პირობებით (საქონლის მიწოდების პირობებზე იხ. მე-15 თავი). ამასთან, რეალურად გადახდილი ფასი ნიშნავს იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისადმი იმპორტის განხორციელების და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს უკვე გადახდილ საქონლის ფასს, ხოლო რეალურად გადასახდელი ფასი—ჯერ კიდევ გადაუხდელ, მაგრამ დროის გარკვეულ პერიოდში აუცილებლად გადასახდელ ფასს.

რაც შეეხება გადახდის ფორმას გარიგების ფასის განსაზღვრის ასპექტით, იგი შეიძლება იყოს მრავალნაირი და მას მნიშვნელობა არა აქვს. კერძოდ, გარიგების ფასი შეიძლება გადახდილ იქნას საბანკო გადარიცხვით, ინკასოთი, აკრედიტივით, ძველი ვალების ჩამოწერით, ნაღდი ფულით და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისთავად გარიგების ფასი არ არის საბაჟო ღირებულება, მაგრამ იგი წარმოადგენს სწორედ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველს და ორიენტირს.

### §14.4.1 გარიგების ფასის გამოყენების წინაპირობები

გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს უნდა სრულდებოდეს შემდეგი აუცილებელი წინაპირობები:

ა) გარიგება უნდა შესრულდეს ფულადი ანგარიშსწორების ფორმით;

ბ) წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტი გარიგების შესახებ, როგორც წესი, კონტრაქტი ან ინვოისი;

გ) წარმოდგენილ დოკუმენტებში (ერთ-ერთში) მითითებულ უნდა იყოს ინკოტერმის მიწოდების პირობები;

დ) წარმოდგენილ უნდა იქნეს საქონლის ტრანსპორტირების დოკუმენტი;

ე) არ უნდა არსებობდეს რაიმე შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია მყიდველის მიერ საქონლის განკარგვა-გამოყენებასთან. ამასთან დადგენილია შეზღუდვის სამი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დასაშვებია გარიგების ფასის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ეს შემთხვევებია:

—როდესაც კანონმდებლობით იზღუდება რომელიმე საქონლის განკარგვა ან გამოყენება;

—როდესაც დადგენილია გეოგრაფიული რაიონების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება საქონელი ხელმეორედ გაიყიდოს;

—როდესაც რაიმე სახის შეზღუდვა არსებით გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე;

ვ) საქონლის გაყიდვა ან ფასი არ უნდა წარმოადგენს ისეთი პირობის საგანს, რომლის გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელს გახდის შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას. აქ შეიძლება განვიხილოთ სამი შემთხვევა:

—საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ მყიდველი ძირითად საქონელთან ერთად სხვა საქონელსაც იყიდის გარკვეული რაოდენობით;

—საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ იმპორტირებული საქონლის მყიდველი (იმპორტიორი) ამ საქონლის გამყიდველს (ექსპორტიორს) პარალელურად მიყიდის სხვა საქონელს შეღავათიანი ფასით;

—საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ ექსპორტიორის მიერ მიწოდებული საქონელი ნახევარფაბრიკატია, ხოლო კონტრაქტით გათვალისწინებულია შესაბამისი მზა პროდუქციის მიწოდება უკან მყიდველის (იმპორტიორის) მიერ. ზემოაღნიშნულ „ვ“ პუნქტში მითითებულ სამივე შემთხვევის დროს, თუ ვერ დგინდება ამ პირობებით დადგენილი რაოდენობრივ-ღირებულებითი



გავლენა გარიგების ფასზე, მაშინ გარიგების ფასი არ მიიღება;

ზ) იმპორტირებული საქონლის განკარგვის შედეგად მყიდველის (იმპორტიორის) მიერ მიღებული მოგების ან შემოსავლის არანაირი ნაწილი პირდაპირ ან ირიბად არ უნდა გადავიდეს გამყიდველის(ექსპორტიორის) საკუთრებაში ისე, რომ შეუძლებელი იყოს საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი თანხების იდენტიფიკაცია. (მაგ. კონტრაქტით გათვალისწინებულია, რომ ექსპორტიორი საქონელს მიაწვდის იმპორტიორს 100 ევროდ, ხოლო იმპორტიორი დაუბრუნებს ექსპორტიორს ამ საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების 10%-ს. ამ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოსათვის გაურკვეველია, თუ რა თანხას შეადგენს მოგების 10%, ამდენად საბაჟო ორგანო არ მიიღებს გარიგების ფასს. იმ შემთხვევაში, თუ 10%-ის ნაცვლად კონტრაქტში მითითებული იქნებოდა აბსოლუტური ციფრი, მაგ. 10 ევრო, მაშინ ეს თანხა დაემატებოდა გარიგების ფასს და მას მიიღებდა საბაჟო ორგანო);

თ) მყიდველი და გამყიდველი არ უნდა იყოს ურთიერთ-დაკავშირებული ან ურთიერთკავშირმა არსებითი გავლენა არ უნდა იქონიოს გარიგების ფასზე. ურთიერთკავშირი აპრიორულად არ იძლევა გარიგების ფასის მიუღებლობის საფუძველს. საბაჟო ორგანო ამოწმებს ურთიერთკავშირის ყველა გარემოებას და, თუ დადგენს, რომ ამ კავშირს გავლენა არ მოუხდენია საქონლის ფასზე, მაშინ გარიგების ფასი მიღებულ იქნება. („ურთიერთდაკავშირებულ პირებად“ ითვლებიან პირები, თუ:

–ისინი არიან ერთმანეთის ბიზნესის ხელმძღვანელი პირები ან დირექტორები;

–ისინი არიან ბიზნესში კანონიერად აღიარებული პარტნიორები ანუ ორგანიზაციის თანამფლობელები;

–ისინი არიან ამ სამუშაოს მიმცემი(დამქირავებელი) და დასაქმებული(დაქირავებული);

–ესა, თუ ის პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, აკონტროლებს ან აქვს ორივე მათგანის ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 5 ან მეტი პროცენტი;

–ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორეს;

–ორივეს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

–ისინი ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ პირს;

–ისინი არიან ნათესავები;

–ისინი არიან ბიზნესით დაკავშირებული პირები, რომელთაგან ერთი არის მეორის აგენტი, დისტრიბუტორი ან კონცესიონერი, თუკი ეს პირები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებულ ერთ-ერთ პირობას);

ი) გარიგების ფასის კორექტირების დროს წარმოდგენილ უნდა იყოს შესაბამისი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) წარმოდგენილი ინვოისი და საბანკო საგადამხდელო დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს კონტრაქტის მონაცემებს.

#### §14.4.2 გარიგების ფასის ან საბაჟო ღირებულების კორექტირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწოდების სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით (ინკოტერმსი) გარიგების ფასი ხშირად არ ემთხვევა საბაჟო ღირებულებას. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით საჭირო ხდება განხორციელდეს გარიგების ფასის ან დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება.

გარიგების ფასის კორექტირებას ახორციელებს დეკლარანტი, ხოლო საბაჟო ღირებულებისას, როგორც წესი, საბაჟო ორგანო.

გარიგების ფასის ან დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიზეზების და გარემოებების გამო სხვადასხვა დროს. კერძოდ:

ა) დეკლარანტის მიერ საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირების დროს;

ბ) დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კონტროლის დროს;

გ) საბაჟო გარანტიით საქონლის გაშვების დროს;

დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემდეგ.

პირველი: საბაჟო ღირებულების დეკლარირების პროცესში დეკლარანტმა შეიძლება გარკვეული ხარჯები დაამატოს ინვოისში დაფიქსირებულ გარიგების ფასს. მაგ. თუ, ინვოისში მითითებულია

გარიგების ფასი „EXW-10000 ევრო“, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსპორტირების ხარჯი არ არის შეტანილი გარიგების ფასში, მაშინ წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტის(ზედნადები, კონოსამენტი) მიხედვით დეკლარანტი ამატებს სატრანსპორტო მომსახურების თანხებს გარიგების ფასს და შეაქვს საბაჟო დეკლარაციაში.

მეორე: დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება ხდება შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ. თუ, აღმოჩნდა, რომ დეკლარირებული საბაჟო ღირებულება არ შეესაბამება წარმოდგენილ დოკუმენტებს ან სხვადასხვა გარემოებების გამო დაფიქსირებული თანხა არ წარმოადგენს რეალურად გადახდილ ან გადასახდელ თანხას, მაშინ საბაჟო ორგანო ახორციელებს მის კორექტირებას ან სხვა მეთოდით განსაზღვრას.

მესამე: საბაჟო გარანტიით საქონლის გაშვების დროს (რომლის მექანიზმი განვიხილეთ 14.3 პარაგრაფში) საბაჟო ორგანო გარკვეულ ვადას აძლევს დეკლარანტს, რათა მან წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები (მაგ. საბანკო დოკუმენტები). თუ, დეკლარანტი წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომლის მიხედვით მტკიცდება, რომ დეკლარირებული საბაჟო ღირებულება არ საჭიროებს კორექტირებას, მაშინ ხდება საბაჟო გარანტიის გაუქმება და გარიგების ფასის მიღება საბაჟო ორგანოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ მტკიცდება საბაჟო ღირებულების უტყუარობა ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ასეთი დოკუმენტი, მაშინ საბაჟო ორგანო ახორციელებს შესაბამის კორექტირებას ან საზღვრავს საბაჟო ღირებულებას სხვა მეთოდით.

მეოთხე: საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, რისკის სისტემის საფუძველზე და შესაბამისი შერჩევითობის პრინციპით განახორციელონ უკვე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის საბაჟო ღირებულებების შემოწმება. ასეთ შემოწმებას პოსტაუდიტური კონტროლი ეწოდება. ანალოგიური შემოწმება შეიძლება თვითონ დეკლარანტებმაც განახორციელონ და ახლად აღმოჩენილი გარემოებებიდან გამომდინარე მიმართონ საბაჟო ორგანოს საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ.

### §14.4.3 გარიგების ფასის ან საბაჟო ღირებულების კორექტირების ელემენტები

გარიგების ფასს ან უკვე დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს მთელი რიგი ხარჯები, რაც რეალურად არის გაწეული ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ და, რაც არ არის შეტანილი გარიგების ფასში ან გამოსაქვითია მისგან. ამ ხარჯებს საბაჟო ღირებულების კორექტირების ელემენტები ეწოდება.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს კორექტირების ელემენტების ორი სახე: გარიგების ფასზე დასამატებელი და მისგან გამოსაქვითი.

გარიგების ფასს შეიძლება დაემატოს:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შეძენის საკომისიო ხარჯებისა. შეძენის საკომისიო ხარჯი ნიშნავს იმპორტიორის მიერ თავისი აგენტისათვის გადახდილ თანხებს, რომელიც დაკავშირებულია სასურველი საქონლის მოძიებასა და მარკეტინგულ საქმიანობასთან. მაგ. როდესაც იმპორტიორი ავალებს აგენტს ამა, თუ იმ საქონლის მოძიებას და შეძენას მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება ექსპორტიორის მიერ გაწეულ ანალოგიურ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით აგენტისათვის გადახდილ თანხებთან, იგი შედის საბაჟო ღირებულებაში. საბაჟო ღირებულებაში შედის აგრეთვე იმპორტიორის მიერ გაწეული ის საკომისიო ხარჯები, რომელიც გადახდილია იმპორტიორის მიერ ექსპორტიორის აგენტის სასარგებლოდ ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის დადებული კონტრაქტის საფუძველზე;

ბ) კონტეინერების ღირებულება. აქ უნდა განვიხილოთ ორი სიტუაცია: პირველი, როდესაც საქონელი იყიდება ერთდროულად კონტეინერთან ერთად, ხოლო იმპორტი ხორციელდება ერთხელ, და მეორე, როდესაც საქონელი იყიდება ერთდროულად კონტეინერთან ერთად ხოლო იმპორტი ხორციელდება ნაწილ-ნაწილ ამავე მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერის საშუალებით.

პირველ შემთხვევაში კონტეინერის ღირებულება შევა საქონლის ღირებულებაში და დეკლარირდება, როგორც საქონლის საბაჟო ღირებულება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუ კონტრაქტი ითვალისწინებს კონტეინერის მრავალჯერად გამოყენებას ერთი

სასაქონლო პარტიის ან მრავალი სასაქონლო პარტიის შემთხვევაში, მაშინ კონტინენტის ღირებულება პროპორციულად გადანაწილდება ამ კონტინენტით შემოტანილ საქონელთა საბაჟო ღირებულებებში;

გ) საქონლის შეფუთვის ღირებულება. შეფუთვის ღირებულებაში იგულისხმება ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ გაწეული ხარჯები შესაფუთი მასალებისა და შეფუთვის შრომის ანაზღაურების სახით. ამ შემთხვევაში საქონლის შეფუთვა უნდა განხორციელდეს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე. აქ იგულისხმება არა ვირტუალური, არამედ რეალური საბაჟო საზღვარი, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში რეალური საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში(პორტში) გაწეული დანახარჯები შედის საბაჟო ღირებულებაში;

დ) საქონლის ჩამოტვირთვის, ჩატვირთვის, შენახვის ხარჯები. ეს პროცედურები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდოლოგიით ემატება ან არ ემატება გარიგების ფასს. ასეთ მიდგომას უზრუნველყოფს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ქვეყნებს შეუძლიათ საბაჟო საზღვარზე ანუ ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე (საზღვაო პორტში ან აეროპორტში) გაწეული ზემოაღნიშნული ხარჯები შეიტანონ ან არ შეიტანონ საბაჟო ღირებულებაში. როგორც წესი, რეალური საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე გაწეული აღნიშნული ხარჯები ემატება გარიგების ფასს, ხოლო რეალური საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომი ხარჯები—არა;

ე) ტრანსპორტირების ხარჯები ვირტუალურ საბაჟო საზღვრამდე ანუ სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე;

ვ) დაზღვევის ღირებულება. დაზღვევის თანხა იმ შემთხვევაში შეიტანება საბაჟო ღირებულებაში, თუ იგი სავალდებულოა ინკოტერმსის მიწოდების პირობების მიხედვით და რეალურად არის გადახდილი ან გადასახდელი. მაგ. —მიწოდების პირობა არ მოითხოვს საქონლის დაზღვევას, ხოლო ჩI -პირობა ამას ითვალისწინებს. შესაბამისად ჩI -პირობით შემოტანილი საქონლის დროს,თუ დადგინდა,რომ დაზღვევის ღირებულება არ არის შეტანილი გარიგების ფასში, იგი უნდა დაემატოს მას;

ზ) მოგების ნაწილი, რომელიც კონტრაქტის მიხედვით უნდა გადაუხადოს საქონლის იმპორტიორმა ექსპორტიორს. თუ, იმპორტიორის მიერ გაყიდული საქონლის მოგების ნაწილი

აბსოლუტური ციფრით არის დაფიქსირებული კონტრაქტში(მაგ. 100000 ევრო), მაშინ იგი დაემატება გარიგების ფასს(ამის შესახებ იხ. 14.4.1-ის „ზ“ პუნქტი);

თ) იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული და მყიდველის (იმპორტიორის) მიერ გამყიდველისადმი (ექსპორტიორისადმი) ან მწარმოებლისადმი უფასოდ ან ფასდაკლებით გადაცემული საქონლის ღირებულება, თუ ეს ღირებულება არ არის ჩართული გარიგების ფასში. აქ საქმე გვაქვს იმ ვითარებასთან, როდესაც იმპორტიორი წინასწარ აწვდის ექსპორტიორს ან მწარმოებელს შემდეგ საქონელს:

–იმპორტირებულ საქონელში ჩართული მასალები, კომპონენტები, ნაწილები და მსგავსი ელემენტები;

–ინსტრუმენტები, შტამპები, ფორმები და მსგავსი ელემენტები, რომელიც გამოყენებულია იმპორტირებული საქონლის წარმოების დროს;

–იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალები;

–იმპორტიორი ქვეყნის ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-ღიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები და ესკიზები, რაც საქონლის წარმოებისათვის არის განკუთვნილი;

ი) იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო თანხა, რომელიც მყიდველმა (იმპორტიორმა) უნდა გადაიხადოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც კონტრაქტში დაფიქსირებული საქონლის გაყიდვის პირობა. ამასთან ეს თანხები უნდა უკავშირდებოდეს იმპორტირებულ საქონელს და განიხილებოდეს ერთობლიობაში.

სალიცენზიო ხასიათის გადასახდევებს, რომელიც უნდა დაემატოს გარიგების ფასს მიეკუთვნება:

–საქონლის, სამრეწველო ნიმუშების, „ნოუ-ჰაუს“ დამზადების უფლების საფასური;

–სასაქონლო ნიმუშების, სამრეწველო ნიმუშების გაყიდვის უფლების საფასური;

–პატენტების, საავტორო უფლების, სამრეწველო ტექნოლოგიების გამოყენების ან გაყიდვის უფლების საფასური;

გარიგების ფასს შეიძლება გამოაკლდეს:

ა) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, აწყობის, მომსახურების ან გაწეული ტექნიკური დახმარების ხარჯები, რასაც ადგილი ჰქონდა საქონლის შემოტანის შემდეგ, ხოლო ეს იმპორტირებული საქონელი წარმოადგენს საწარმოო დანადგარებს, მანქანებს ან მოწყობილობებს. ეს ხარჯები გამოყოფილ უნდა იყოს ინვოისში ან შესაბამის დოკუმენტში ცალკე;

ბ) შემოტანის ტრანსპორტირების ხარჯები. ეს ხარჯებიც გამოყოფილ უნდა იყოს ცალკე;

გ) იმპორტიორი ქვეყნის გადასახადები და მოსაკრებლები. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდების პირობა არის (მიწოდება საბაჟო გადასახდელის გადახდით მითითებულ დანიშნულების ადგილზე);

დ) ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია, შემოტანილი საქონლის მიმოქცევასთან;

ე) იმპორტიორის მიერ საქონლის ყიდვასთან დადებული საფინანსო შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტები, თუ:

— ეს პროცენტები გამოყოფილია საქონლის ფასიდან;

— საფინანსო შეთანხმება შედგენილია წერილობითი ფორმით;

— საჭიროების შემთხვევაში იმპორტიორს შეუძლია დაადასტუროს, რომ საქონელი ფაქტობრივად გაყიდულია დეკლარირებული ფასით და საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება საშუალო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დაფინანსების მომენტში მოქმედებს იმ ქვეყანაში, რომელშიც იმყოფება დამფინანსებელი პირი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გარიგებას აფინანსებს გამყიდველი, ბანკი, თუ მესამე პირი. კერძოდ აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპური სიტუაცია:

— იმპორტიორს არა აქვს საქონლის შესყიდვის შესაბამისი თანხა და იგი იღებს კრედიტს ბანკიდან შესაბამისი საბანკო პროცენტით;

— იმპორტიორი განვადებით ანუ კომერციული კრედიტით ყიდულობს საქონელს ექსპორტიორისაგან, რაც კონტრაქტით გულისხმობს ყოველ შესაბამის დღეზე შესაბამის პროცენტს;

— ექსპორტიორი, მესამე პირისგან, იმპორტიორის სასარგებლოდ იღებს კრედიტს შესაბამისი პროცენტით;

ვ) წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნის შიდა გადასახადები. იმპორტიორ ქვეყანას არ შეაქვს გადასახადები გარიგების ფასში, თუ ეს გადასახადები ექსპორტის დროს უბრუნდება ექსპორტიორს

და შესაბამისად კონტრაქტის მიხედვით—იმპორტიორს. ამასთან ზოგიერთ იმპორტიორ ქვეყანას საერთოდ არ შეაქვს სხვა ქვეყანაში ექსპორტის დროს ექსპორტიორის მიერ გადახდილი და იმპორტიორის მიერ ანაზღაურებული ირიბი გადასახადები საბაჟო ღირებულებაში იმ მოტივით, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპორტი არ უნდა იბეგრებოდეს ირიბი გადასახადებით, რადგანაც ირიბი გადასახადი მომხმარებლის გადასახადია და შესაბამისად ექსპორტის ირიბი გადასახადის ჩართვა საბაჟო ღირებულებაში ხელოვნურად ზრდის იმპორტის დროს ირიბი გადასახადებით დასაბეგრ ბაზას და ექსპორტის დროს დაბეგრული საქონლის ფასი არ შეესაბამება ანალოგიური საქონლის მსოფლიო ბაზრის ფასებს. აქ შეიძლება პარალელი გავაულოთ იმ ხარჯებთან, რომელიც რეალურად გასწია იმპორტიორმა, მაგრამ არ შეიტანება საბაჟო ღირებულებაში. მაგ. იმპორტიორის მიერ გაწეული შესაბამისი საკომისიო ხარჯი ან მის მიერ საქონლის შესყიდვისთან დაკავშირებით გაწეული წარმომადგენლობითი ან მგზავრობისა და საყოფაცხოვრებო ხარჯები.

#### **§14.4.4 ფასდაკლება (დისქაუნტი) გარიგების ფასის დროს**

საბაჟო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის საქონელი საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის მნიშვნელოვანი ფასდაკლებით(და არა დემპინგით), რაც დაფიქსირებულია ინვოისში ან კონტრაქტში. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დადგინდეს, არიან თუ არა გამყიდველი და მყიდველი ურთიერთდაკავშირებული პირები. ამასთან უნდა დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროცენტული ფასდაკლება.

იმისათვის, რომ დადგინდეს ფასდაკლების გამომწვევი მიზეზები, საჭიროა ვიცოდეთ შესაბამისი მოტივაციები.

ჩვეულებრივ განასხვავებენ ხუთი სახის ფასდაკლებას:

- ა) საქონლის რაოდენობის მიხედვით;
- ბ) ექსკლუზიური აგენტის ფაქტორის მიხედვით;
- გ) მუდმივი (რეგულარული) მყიდველის ფაქტორის მიხედვით;
- დ) ახალი საქონლის ან სეზონის ფაქტორის მიხედვით;



ე) გადახდის დროის ფაქტორის მიხედვით.

საქონლის რაოდენობის მიხედვით ფასდაკლების დროს, გამყიდველი მყიდველს უკლებს საქონლის ფასს, თუ იგი იყიდის განსაზღვრული რაოდენობის საქონელს. მაგ. თუ, მყიდველი შეიძენს 10 ერთეულ საქონელს, მაშინ ამ საქონლის საბითუმო ფასი იქნება ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებით განსაზღვრული, ხოლო, თუკი მყიდველი შეიძენს 20 ერთეულ საქონელს, მაშინ გამყიდველი აკეთებს 5%-იან ფასდაკლებას, 50—ერთეულის ყიდვის დროს—8%-იან ფასდაკლებას, 200 ერთეულის ყიდვის დროს 10%-იანს.

ექსკლუზიური აგენტის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს, შესაბამის კონტრაქტში დაფიქსირებულია, რომ მყიდველი არის გამყიდველის ექსკლუზიური აგენტი (დისტრიბუტორი, დილერი, ბროკერი და ა. შ). ამ შემთხვევაში ექსკლუზიურობის მონოპოლიური ფაქტორი საშუალებას იძლევა მყიდველმა გამყიდველისაგან ფასდაკლებით შეიძინოს საქონელი. ამასთან ექსკლუზიური აგენტობა ავტომატურად არ ნიშნავს „ურთიერთდაკავშირებულობას“ და ამდენად შესაძლებელია ფასდაკლების გათვალისწინება (გამორიცხვა ღირებულებიდან). აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რათა ექსკლუზიური აგენტი ავტომატურად ჩაითვალოს ურთიერთდაკავშირებულ პირად საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის.

მუდმივი (რეგულარული) მყიდველის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს მყიდველი შეიძლება არ იყოს ექსკლუზიური აგენტი, მაგრამ იყოს მუდმივი მყიდველი. ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ფასდაკლება, რადგანაც საქონლის რეგულარული (გარანტირებული) გაყიდვა განაპირობებს საბოლოო ჯამში იგივე რაოდენობრივი ფასდაკლებით გამოწვეულ ეფექტს, რაც მისაღებია გამყიდველისათვის.

ახალი საქონლის ან სეზონის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს გამყიდველმა მყიდველს შეიძლება მისცეს ფასდაკლება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ გამყიდველი დაინტერესებულია რათა მის მიერ წარმოებული (შეძენილი) ახალი საქონელი შევიდეს სხვა ქვეყნის ბაზრებში და მოიპოვოს შესაბამისი სეგმენტი. ასევე გაითვალისწინება სეზონური ფასდაკლება (მაგ. ქურქის ფასი ზაფხულში).

გადახდის დროის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს

გამყიდველი მყიდველს აძლევს ფასდაკლებას, თუ მყიდველი წინასწარ გადაუხდის საქონლის ფასს, ან, მაგ. მისცემს 3%-იან ფასდაკლებას, თუ გადახდა განხორციელდება საქონლის მიღების დღეს, ხოლო 1%-იან ფასდაკლებას—საქონლის მიღებიდან ერთ თვეში.

#### §14.4.5 ინფორმაციის მატარებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს აღირიცხება და იბეგრება (ანუ შესაბამისად განისაზღვრება საბაჟო ღირებულება) ისეთი საქონელი, რომელსაც ვიზუალურად ხილული, მატერიალური ფორმა აქვს, და რომლის აღრიცხვაც ფიზიკურად შესაძლებელია.

არამატერიალური ქონების მოძრაობა (მაგ. ფულადი გადარიცხვა, სატელეფონო კავშირი, გლობალური კომპიუტერული კავშირი ანუ ე.წ ინტერნეტი და სხვა) საბაჟო მოზნებისათვის მოუხელთებელია და შესაბამისად მისი ფიქსაცია—განსაზღვრა შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ინფორმაციის მოძრაობა, რომლის გადატანა საბაჟო საზღვარზე მატერიალური მატარებლების გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება გარკვეული მონაცემები და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუქციები, რომლებიც ჩაწერილია ინფორმაციის მატარებელ ტექნიკურ საშუალებებზე. ასეთი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება საკუთრივ ინფორმაციის ღირებულება, თუ შესაბამისი თანხა გამოყოფილია ინვოისში ცალკე—ინფორმაციის მატარებლის ღირებულებიდან. აქედან გამომდინარე საბაჟო ღირებულება ემყარება მხოლოდ ინფორმაციის მატარებლის, მაგ. კომპიუტერული დისკეტის ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან ინფორმაციის მატარებელი არ შეიძლება განხილულ იქნას ზემოაღნიშნულ კატეგორიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ზოგიერთი სახის მატარებლის იმპორტის დროს ან ზოგიერთი სახის ინფორმაციის არსებობის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხდება მთლიანი ღირებულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ღირებულება არ გამოირიცხება მატარებლის საბაჟო ღირებულებიდან. ასეთ მატარებელს და ინფორმაციას განეკუთვნება:

- ა) მიკროსქემები და ნახევარგამტარები;
- ბ) მიკროსქემებისა და ნახევარგამტარების მსგავსი მოწყობილობები და საგნები, რომლებიც შეიცავენ ზემოაღნიშნულ მიკროსქემებსა და ნახევარგამტარებს;
- გ) ხმოვანი, კინემატოგრაფიული ან ვიდეო ჩანაწერები (მაგ. მაგნიტურ დისკეტებზე, ფირებზე, მაგნიტურ ლენტებზე, კომპაქტდისკებზე, აუდიო-ვიდეო დისკეტებზე და სხვა).

## §14.5 იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

თუ, შეუძლებელია იმ პირობებიდან, თუნდაც ერთ-ერთის შესრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საბაჟო ღირებულება გარიგების ფასის მიხედვით, მაშინ იყენებენ მეორე მეთოდს ანუ იდენტური საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს.

იმისათვის, რომ ამ მეთოდის საფუძველზე განისაზღვროს შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს გააჩნდეს ინფორმაცია იდენტური საქონლის გარიგების ფასების შესახებ. ამასთან უნდა განისაზღვროს იდენტური საქონლის ცნება.

### §14.5.1 იდენტური საქონლის ცნება

იდენტური საქონელი ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომელიც თავისი მახასიათებლებით ზუსტად ისეთივეა, როგორც შესაფასებელი იმპორტირებული საქონელი. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავება, მაგ. ზომა, ეტიკეტი, ფერი მხედველობაში არ მიიღება. მახასიათებლებს, რომლის მიხედვითაც ხდება შესაფასებელი საქონლისა და იდენტური საქონლის შედარება შეიძლება ეწოდოს საიდენტიფიკაციო ნიშნები.

საქონელი ჩაითვლება იდენტურად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:

- ა) ერთნაირი ფიზიკური მახასიათებლები;
- ბ) ერთნაირი ხარისხი;
- გ) ერთნაირი რეპუტაცია;
- დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;
- ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი იდენტური საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

ფიზიკურ მახასიათებლებში შედის: საქონლის ზომა, ფორმა, ტექნიკური ნიშნები, სტანდარტი ანუ ყველა ის მახასიათებელი, რომლითაც მოცემულმა საქონელმა თავისი სამომხმარებლო ფუნქცია უნდა შეასრულოს.

საქონლის ხარისხი არის ის მახასიათებელი, რომლის საფუძველზეც მოცემულ საქონელს შეუძლია მეტ-ნაკლებად შეასრულოს თავისი სამომხმარებლო ფუნქციები. შეიძლება არსებობდეს ხარისხის გრადაცია: უმაღლესი, პირველი და ა.შ. აქვე შეიძლება გათვალისწინებულ იქნას კონსერვანტების შემცველობა და ეკოლოგიური სისუფთავე.

რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება მოცემული საქონლის სავაჭრო ნიშანი. სხვადასხვა სავაჭრო ნიშნის მქონე ორი საქონელი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთნაირი რეპუტაციის საქონლად.

საქონლის წარმოშობის ნიშნის მიხედვით იდენტური და შესაფასებელი საქონელი, ორივე წარმოშობილი უნდა იყოს ერთი და იგივე ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ზუსტად იგივე საქონელი, იმავე სავაჭრო მარკის მფლობელი ფირმის მიერ არის წარმოებული სხვა ქვეყანაში და იგი ითვლება ამ ქვეყანაში წარმოშობილად, ვიდრე შესაფასებელი საქონელი, მაშინ მოცემული საქონელი არ იქნება იდენტური.

ერთი და იგივე მწარმოებელი პირი ნიშნავს იურიდიულად იგივე პირს. მაგრამ შესაძლებელია, რომ იმპორტის ქვეყანაში ასეთი პირის მიერ წარმოებული საქონელი საერთოდ არ იყოს შემოტანილი. მაშინ გამოიყენება სხვა პირის მიერ წარმოებული იდენტური საქონელი.

## §14.5.2 იდენტური საქონლის გარიგების ფასის გამოყენების დამატებითი პირობები

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს აუცილებელია ერთდროულად შესრულდეს ორი პირობა. კერძოდ:

ა) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად უნდა ჩაითვალოს იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა იმავე ან თითქმის იმავე დროს, როგორც წესი, არაუადრეს 90 დღისა (შესაძლებელია სხვა ვადების გამოყენებაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით) შესაფასებელი საქონლის იმპორტიდან. ( ემონ-ის შეთანხმების მიხედვით თარიღი აითვლება არა შესაფასებელი საქონლის იმპორტიდან, არამედ ექსპორტიორ ქვეყანაში ექსპორტიდან, რაც, ცხადია ტრანსპორტირების დროსაც მოიცავს, რის შედეგადაც, რთულია ვადების დადგენის ადმინისტრირება შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე. ამის გამო მრავალი ქვეყანა ხელმძღვანელობს იმპორტის თარიღით, რაც არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას). რაც შეეხება, 90 დღიან ვადას, იგულისხმება, რომ კვარტლის შუალედი ნაკლებად განაპირობებს იდენტურ საქონელთა ფასების რყევას;

ბ) ქვეყანაში იმპორტირებული საქონელი იმპორტიორს უნდა მიეყიდებოდეს ექსპორტიორისაგან იმავე კომერციულ (ფასების) და რაოდენობრივ დონეებზე, როგორც შესაფასებელი საქონელი. ამ შემთხვევაში საქონელთა ფასებისა და რაოდენობათა სიდიდე დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს. თუ, ასეთ ფაქტს არ ექნება ადგილი, მაშინ შემდგომი კორექტირების პირობით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იდენტური საქონლის შემდეგი გარიგების ფასები (გაყიდვები):

— გაყიდვა მიმდინარეობს იმავე კომერციულ დონეზე, მაგრამ სხვა ოდენობით;

— გაყიდვა მიმდინარეობს განსხვავებულ კომერციულ დონეზე, მაგრამ ძირითადად იმავე ოდენობით;

— გაყიდვა მიმდინარეობს განსხვავებულ კომერციულ დონეზე და საქონლის სხვა ოდენობით;

ზემოაღნიშნული სამი ფაქტორიდან ერთ-ერთის არსებობის დროს შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი სამი სახის

კორექტირება;

– მხოლოდ რაოდენობრივი ფაქტორის კორექტირება;

– მხოლოდ კომერციული დონის ფაქტორის კორექტირება;

– კომერციული დონისა და რაოდენობრივი ფაქტორის კორექტირება.

### **§14.5.3 იდენტური საქონლის გარიგების ფასის უმცირესი ღირებულების ამორჩევის პრინციპი.**

თუ, საბაჟო ღირებულების დადგენა ხდება მეორე მეთოდით, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ გამოვლინდეს იდენტური საქონლის გარიგების მრავალი ფასი. რომელი ფასი უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად— ყველაზე მაღალი, დაბალი, თუ საშუალო?

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს იდენტური საქონლის გარიგების უმცირესი ფასი. ეს მოთხოვნა მეტად პრინციპულია და იგი მიმართულია მეწარმეობის სასარგებლოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აფრიკულმა ქვეყნებმა ემო-ში წარადგინეს წინადადება, რათა ამ მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად მიღებულ იქნას, არა უმცირესი, არამედ უდიდესი ღირებულება.

### **§14.6 მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი**

თუ, შეუძლებელია იმ პირობებიდან, თუნდაც ერთ-ერთის შესრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საბაჟო ღირებულება იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით, მაშინ იყენებენ მესამე მეთოდს ანუ მსგავსი საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს.

იმისათვის, რომ ამ მეთოდის საფუძველზე განისაზღვროს შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს გააჩნდეს ინფორმაცია მსგავსი საქონლის გარიგების ფასების შესახებ. ამასთან უნდა განისაზღვროს მსგავსი საქონლის ცნება.

## §14.6.1 მსგავსი საქონლის ცნება

მსგავსი საქონელი ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომელიც თავისი მახასიათებლებით ზუსტად ისეთივე არ არის, როგორც შესაფასებელი იმპორტირებული საქონელი, მაგრამ აქვს მსგავსი საიდენტიფიკაციო ნიშნები და ამავე დროს კომერციულად ჩანაცვლებადია. კომერციულად ჩანაცვლებადი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მსგავსი საქონლის და შესაფასებელი საქონლის ფასები დაახლოებით ერთნაირია.

საქონელი ჩაითვლება მსგავსად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:

- ა) მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები;
- ბ) მსგავსი ხარისხი;
- გ) მსგავსი რეპუტაცია;
- დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;
- ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი მსგავსი საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

დამატებითი პირობები, რაც აუცილებელია მსგავსი საქონლის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის—იდენტურია იმ პირობების და პრინციპების, რაც მოითხოვება მეორე მეთოდის—იდენტური საქონლის გარიგების ფასის გამოყენების დროს. ამასთან, როგორც იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს, ამ შემთხვევაშიც მსგავსი საქონლის მრავალი გარიგების ფასის არსებობისას, გამოიყენება უმცირესი ღირებულება.

## §14.7 საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი

როდესაც, შეუძლებელია საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე, მაშინ იმპორტიორის სურვილის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთეულის ან შედგენილი ღირებულების მეთოდები. ეს თანმიმდევრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნო ინფორმაცია

აქვს იმპორტიორს ექსპორტიორისაგან შედგენილი ღირებულების მიზნებიდან გამოძღინარე.

საქონლის ერთეულის ფასის მეთოდს ხშირად ლიტერატურაში უწოდებენ აგრეთვე გამოკლების მეთოდს.

ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების დადგენის დროს იმპორტირებული შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ერთეულის ფასის საფუძველზე, მაგრამ იგი არ შეიძლება დაემთხვეს ერთეულის ფასს. ერთეულის ფასი შეიძლება მიღებულ იქნეს საბაჟო ღირებულებად, მხოლოდ მისი კორექტირების შემდეგ.

საქონლის ერთეულის ფასი არის იმპორტირებული (იდენტური ან მსგავსი საქონელი მხოლოდ იმ აზრით, როდესაც შესაბამისი იდენტური ან მსგავსი საიდენტიფიკაციო ნიშნების მქონე საქონელი ვერ აკმაყოფილებს იდენტური ან მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმებს, აგრეთვე „იგივე კლასისა და ტიპის საქონელი“) საქონლის საბაზრო ფასი იმპორტის ქვეყანაში, რომელიც ყალიბდება იმპორტის შემდეგ ურთიერთდაუკავშირებელ გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონლის მაქსიმალურად დიდ პარტიებად პირველი გაყიდვის დროს.

ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა უკავშირდება გარკვეული პირობების შესრულებას (რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა), ხოლო შემდეგ უნდა განხორციელდეს ერთეულის ფასის კორექტირება ანუ მოცემულ ფასს უნდა გამოაკლდეს მყიდველისა და გამყიდველის მიერ გაწეული შესაბამისი ხარჯები.

#### **§14.7.1 საქონლის ერთეულის ფასის მეთოდის გამოყენების პირობები**

იმისათვის, რომ განხორციელდეს ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

ა) საქონელი, რომლის ერთეულის ფასიც გამოიყენება შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად, უნდა



იყოს იმპორტირებული(და არა ადგილობრივი წარმოების);

ბ) მყიდველი და გამყიდველი არ უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული იმპორტის შემდგომ პირველ კომერციულ დონეზე ანუ პირველი საბითუმო მყიდვის დროს;

გ) საქონელი, რომლის საფუძველზეც გაითვლება ერთეულის ფასი, შესაფასებელი საქონლის შემოტანის იმავე ან თითქმის იმავე დროს(არაუადრეს 90 დღე) უნდა მიეყიდებოდეს მყიდველს უდიდესი ერთობლივი ოდენობით ანუ მაქსიმალურად დიდ საბითუმო პარტიებად;

დ) საქონელი, რომლის საფუძველზეც გაითვლება ერთეულის ფასი უნდა იყოს უცვლელ მდგომარეობაში, ე.ი უნდა იყიდებოდეს იგივე სასაქონლო სახით რა სახითაც იქნა იმპორტირებული, თუმცა შესაძლებელია მოცემული საქონელი არ იყიდებოდეს უცვლელი მდგომარეობით ანუ იგი შეიძლება იყოს ადგილობრივი გადამუშავების პროდუქტი. ამ შემთხვევაში ერთეულის ფასის დადგენის მიზნით გადამუშავების პროდუქტის ღირებულებას უნდა დააკლდეს ის დამატებული ღირებულება, რაც წარმოიშვა გადამუშავების შედეგად. ამასთან ერთეულის ფასი უნდა დადგინდეს იმ პირობით, რომ გადამუშავების პროდუქტები ქვეყანაში იყიდება ურთიერთდაუკავშირებელ მყიდველსა და გამყიდველს შორის მაქსიმალურად დიდ პარტიებად;

ე) თუ, შესაბამისი საქონელი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს საქონლის ერთეულის ფასი, არ შეიცავს იდენტური ან მსგავსი საქონლის საიდენტიფიკაციო ნიშნებს, მაშინ ერთეულის ფასი და შესაბამისად საბაჟო ღირებულება შეიძლება დადგინდეს „იგივე კლასისა და ტიპის“ საქონლის საფუძველზე. „იგივე კლასისა და ტიპის“ საქონელი არ არის, არც იდენტური და არც მსგავსი. იგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს შესაფასებელი საქონლის მახასიათებლებთან და უნდა მიეკუთვნებოდეს შესაფასებელი საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგს და ნომენკლატურას. ამასთან აქ, წარმოშობის ქვეყანა შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული, როგორც ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშანი. (მაგ. „იგივე კლასისა და ტიპის“ საქონელი შეიძლება იყოს კარაქი და მარგარინი, ერობო და ზეთი და ა.შ).

## §14.7.2 საქონლის ერთეულის ფასის კორექტირება

საქონლის ერთეულის ფასის კორექტირება ნიშნავს იმ ფაქტს, რომ შესაბამისი საქონელი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს საბაჟო ღირებულება, „გაყვინდლოთ“ იმ ხარჯებისაგან და დამატებებისაგან, რაც მან განიცადა ქვეყანაში იმპორტის შემდეგ.

ხარჯები და დამატებები, რომელიც გამოიქვითება ერთეულის ფასიდან, შემდეგია:

ა) ყველა ხარჯი, რაც გასწია გამყიდველმა (იმპორტიორმა) იმპორტის ქვეყანაში საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით (მიმოქცევის ხარჯები);

ბ) გამყიდველის (იმპორტიორის) სავაჭრო მოგება, რაც ჩართულია რეალიზებული საქონლის ფასში;

გ) სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები, რაც უკავშირდება ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ ხარჯებს;

დ) ყველა გადასახადი (პირდაპირი და ირიბი) და მოსაკრებელი, რაც დაწესებულია იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით;

ე) საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი (იხ. 14.4.3);

ვ) გადამუშავების შედეგად შექმნილი ზედმეტი ღირებულება.

## §14.8 საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი

შედგენილი ღირებულების მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც შეუძლებელია საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით, რადგანაც ერთეულისა და შედგენილი ფასების გამოყენების თანმიმდევრობა იმპორტიორის პრეროგატივაა.

შედგენილი ღირებულების მეთოდს, ზოგჯერ შეჯამების მეთოდს უწოდებენ.

შედგენილი ღირებულება არის ექსპორტიორის, საექსპორტო საქონლის მწარმოებლის ან/და იმპორტიორის ხარჯებისა და დანამატების ჯამი. მარტივად, რომ ვთქვათ შედგენილი ღირებულება არის საქონლის წარმოებისა და ექსპორტირების ხარჯები იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ექსპორტიორის მოგების გათვალისწინებით.

შედგენილი ღირებულებისა და ერთეულის ფასის მეთოდები დიაგნოსტიკურად საწინააღმდეგო მეთოდებია ხარჯების კალკულაციის თვალსაზრისით. კერძოდ, ერთეულის ფასის გამოყენების დროს შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება დგინდება იმპორტიორ ქვეყანაში საქონლის შიდა მიწოდების დროს ამ საქონლის ფასზე შესაბამისი ელემენტების გამოკლებით, ხოლო შედგენილი ღირებულების გამოყენების დროს—იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე საქონლის შემოტანის ელემენტების შეჯამებით. პირველ შემთხვევაში ხარჯები და მოგება (შიდა გადაყიდვის) აკლდება საქონლის ერთეულის ფასს, ხოლო მეორე შემთხვევაში—პირიქით, ხარჯები და მოგება(ექსპორტიორის) იკრიბება და ხდება „ღირებულების შედგენა ანუ შეჯამება“ შესაბამისი ელემენტების მიხედვით.

#### §14.8.1 შედგენილი ღირებულების მეთოდის გამოყენების პირობები

არსებობს რამოდენიმე პირობა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შედგენილი ღირებულების მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს. ეს პირობებია:

ა) როგორც წესი, მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან. ვინაიდან საქონლის მწარმოებლის მიერ საბაჟო ორგანოში მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, საბაჟო ორგანო ვერ დააყვანებს მწარმოებელს (მითუმეტეს სხვა ქვეყნის რეზიდენტს) მიაწოდოს ეს ინფორმაცია. ამდენად, თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდაკავშირებულნი არიან, მაშინ იმპორტიორს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია პარტნიორი ექსპორტიორი პორისაგან საწარმოო დანახარჯებისა და მოგების შესახებ;

ბ) შედგენილი ღირებულების დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი საქონლის მწარმოებლის შესაბამისი ინფორმაცია, არამედ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ მოპოვებული სხვა მწარმოებლის ინფორმაციაც. ასეთ შემთხვევაში იმპორტიორს, თუკი მან მოითხოვა, ეცნობება ინფორმაციის წყაროსა და შესაბამისი

ელემენტების შესახებ;

გ) სხვა მწარმოებლისაგან მიღებული ინფორმაციის დროს შესაბამისი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს „იგივე კლასისა და ტიპის საქონლის“ მოთხოვნებს;

დ) „იგივე კლასისა და ტიპის საქონელი“ უნდა იყოს იმ ქვეყანაში წარმოშობილი, რომელშიც არის წარმოშობილი შესაფასებელი საქონელი.

## §14.8.2 შედგენილი ღირებულების ელემენტები

შედგენილი ღირებულების ელემენტებია:

ა) იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, ნედლეულისა და დაზადების ღირებულება;

ბ) ექსპორტიორის მოგება და გაყიდვის ხარჯები;

გ) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შექმნის საკომისიო ხარჯებისა;

დ) კონტეინერების ღირებულება, თუ საქონელი განიხილება კონტეინერთან ერთობლიობაში;

ე) საქონლის შეფუთვის ღირებულება;

ვ) საქონლის ჩამოტვირთვის, ჩატვირთვის, შენახვის ხარჯები;

ზ) ტრანსპორტირების ხარჯები ვირტუალურ საბაჟო საზღვრამდე ანუ სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე;

თ) დაზღვევის ღირებულება;

ი) მოგების ნაწილი, რომელიც კონტრაქტის მიხედვით უნდა გადაუხადოს საქონლის იმპორტიორმა ექსპორტიორს;

კ) იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული და მყიდველის (იმპორტიორის) მიერ გამყიდველისადმი (ექსპორტიორისადმი) ან მწარმოებლისადმი უფასოდ ან ფასდაკლებით გადაცემული საქონლის ღირებულება, თუ ეს ღირებულება არ არის ჩართული გარიგების ფასში;

ლ) იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო პონორარი ან სალიცენზიო თანხარომელიც მყიდველმა (იმპორტიორმა) უნდა გადაიხადოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც კონტრაქტში დაფიქსირებული საქონლის გაყიდვის პირობა.

## §14.9 სარეზერვო მეთოდი

სარეზერვო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია საქონლის ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენება.

სარეზერვო მეთოდის გამოყენების დროს დეკლარანტი ან საბაჟო ორგანო უნდა ეყრდნობოდეს ადრე უკვე განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებებს.

სარეზერვო მეთოდის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საბაჟო ორგანოს შესაბამისი საინფორმაციო წყაროები ადრე უკვე განსაზღვრული საბაჟო ღირებულებების შესახებ, ასევე მსოფლიო საბირჟო, სააუქციონო და სხვა ხელმისაწვდომი და გამოქვეყნებული ფასები. ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური საბაჟო ორგანოები უგზავნიან მათდამი დაქვემდებარებულ ადგილობრივ საბაჟო ორგანოებს შესაბამისი ფასების სისტემას, რომელიც დგინდება სარეზერვო მეთოდის გამოყენებისათვის და, რომელიც მიახლოებულია ადრე უკვე გაშვებული საქონლის საბაჟო ღირებულებებთან. თავის მხრივ ადგილობრივი საბაჟო ორგანოები ამ ინფორმაციას უგზავნიან დეკლარანტებს.

სარეზერვო მეთოდის გამოყენების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საექსპორტო დასკვნების საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

### §14.9.1 სარეზერვო მეთოდის დროს სხვა მეთოდების მოქნილად გამოყენების პირობები

სარეზერვო მეთოდის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი წინა მეთოდის პრინციპები მოქნილად ანუ ლიბერალურად რიგი ფაქტორების და პრინციპების დარღვევით (გაუთვალისწინებლად). ქვემოთ განვიხილოთ ეს შემთხვევები:

ა) იდენტური საქონლის დროს:

—მხედველობაში არ მიიღება იდენტური საქონლის ექსპორტის (იმპორტის) ვადა. მაგ. იდენტური საქონელი შეიძლება იმპორტირებულ იქნეს არა 90, არამედ 180 დღის წინ, ვიდრე სარეზერვო მეთოდით შესაფასებელი საქონელი;

–მხედველობაში არ მიიღება იდენტური საქონელი წარმოშობილია, თუ არა შესაფასებელი საქონლის წარმოშობის ქვეყანაში;

–შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, იდენტური იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ადრე უკვე განსაზღვრულია ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით;

ბ) მსგავსი საქონლის დროს:

–მხედველობაში არ მიიღება მსგავსი საქონლის ექსპორტის (იმპორტის) ვადა. მაგ. მსგავსი საქონელი შეიძლება იმპორტირებულ იქნეს არა 90, არამედ 180 დღის წინ, ვიდრე სარეზერვო მეთოდით შესაფასებელი საქონელი;

–მხედველობაში არ მიიღება მსგავსი საქონელი წარმოშობილია, თუ არა შესაფასებელი საქონლის წარმოშობის ქვეყანაში;

–შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, მსგავსი იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ადრე უკვე განსაზღვრულია ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით;

გ) ერთეულის ფასის დროს:

–შემოტანილი, საქონელი (რომლის ერთეულის ფასიც უნდა დადგინდეს) შეიძლება არ იყიდებოდეს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა შემოტანის დროს;

–90-დღიანი შეზღუდვაც თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული (მაგ. 200 დღე).

## §14.9.2 ფასები, რომელიც არ გამოიყენება სარეზერვო მეთოდის დროს

სარეზერვო მეთოდის გამოყენების დროს არ შეიძლება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად აღებულ იქნეს შემდეგი პარამეტრები:

ა) იმპორტიორ ქვეყანაში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;

ბ) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო მიზნებისათვის ორ ღირებულებას შორის უფრო დიდი ღირებულების მიღებას;

გ) საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე;

- დ) წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით;
- ე) სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი;
- ვ) მინიმალური საბაჟო ღირებულებები;
- ზ) თვითნებურად შერჩეული ან ფიქტიური ღირებულებები.

## თავი 15. საქონლის მიწოდების პირობები (ინკოტერმს-2000)

### §15.1 ზოგადი მიმოხილვა

ტერმინი „ინკოტერმსი“ აბრევიატურაა (INCOTERMS-International Commerce Terms) და ნიშნავს „საერთაშორისო კომერციულ ტერმინებს“.

არსებობს საქონლის მიწოდების 13 საერთაშორისო პირობა, რომელიც შესაბამისად ასახულია 13 ტერმინში.

ინკოტერმსს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- ა) საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველსა და მყიდველს შორის ხარჯებისა და მიწოდების ადგილის თვალსაზრისით ვალდებულებათა მკაფიო გამიჯვნა;
- ბ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს ღირებულების კორექტირება;
- გ) ადვალური კრიტერიუმის მიხედვით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს საქონლის ღირებულებითი ხვედრითი წილის დადგენა;
- დ) საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ღირებულებითი აღრიცხვა.

ინკოტერმსი პირველად მიღებულ იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1936 წელს მყიდველსა და გამყიდველს შორის სავაჭრო დავების მოწესრიგებისა და მათ შორის სავაჭრო გარიგებების უნიფიცირების და საქონლის მიწოდების ერთიანი სტანდარტების განსაზღვრის მიზნით. შემდგომში საერთაშორისო

ვაჭრობის განვითარების საფუძველზე ინკოტერმსმა განიცადა ცვლილება 1953, 1967, 1976, 1980, 1990 და 2000 წლებში. აქ წარმოდგენილია „ინკოტერმს-2000“ (იხ. დანართი №1).

მიწოდების დასახელებული პირობები ხელს აძლევს მყიდველსა და გამყიდველს კონტრაქტში გამოიჯნონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებები. მაგ. EXW-მიწოდების პირობის დროს გამყიდველის ძირითადი ვალდებულებაა საქონელი მიაწოდოს მყიდველს (ან მის წარმომადგენელს) თავის საწარმოში, ხოლო მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა გამყიდველის საწარმოში მიღებული საქონელი თავისი ხარჯებით და რისკით ჩაიტანოს დანიშნულების ადგილამდე.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თვალსაზრისით მიწოდების პირობა გულისხმობს გარკვეული ხარჯების დაფიქსირებას გამყიდველის მხრიდან, რაც საფუძველი ხდება გაანგარიშებულ იქნეს მყიდველის ხარჯები. მაგ. ინვოისში ან კონტრაქტში დაფიქსირებულია მიწოდების პირობა—EXW-მიწოდება ქარხნიდან. ამ შემთხვევაში გარიგების ფასში არ არის დაფიქსირებული ქარხნის შემდგომი საქონლის ტრანსპორტირების და სხვა ხარჯები, რომელიც გაწეული აქვს მყიდველს. ამდენად, EXW-მიწოდებით განსაზღვრულ გარიგების ფასს უნდა დაემატოს მყიდველის მიერ გაწეული შემდგომი ხარჯები, რათა დადგინდეს საქონლის საბაჟო ღირებულება. ამასთან, მიწოდების პირობების საშუალებით შესაძლებელია, არა მხოლოდ ხარჯების დამატება გარიგების ფასზე, არამედ—გამოკლებაც. მაგ. DDP გულისხმობს საქონლის მიწოდებას მითითებულ დანიშნულების ადგილზე იმპორტის საბაჟო გადასახდელების გადახდით. ვინაიდან, იმპორტის საბაჟო გადასახდელები არ შეიძლება ჩართულ იქნეს საქონლის საბაჟო ღირებულებაში, იგი უნდა დაიქვითოს გარიგების ფასიდან და ასეთ საფუძველზე განხორციელდეს საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს მიწოდების პირობების გამოყენებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება წარმოშობის ქვეყნის დადგენა ადვალური წილის კრიტერიუმის დროს. ამ შემთხვევაში საქონლის საერთო



ღირებულებაში იმპორტირებული შუა პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება EXW-ღირებულების ან ექსპორტის საბაჟო ღირებულების მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ღირებულებითი აღრიცხვა, როგორც წესი, ხორციელდება ინკოტერმის ორი პირობის გამოყენებით: იმპორტის დროს CIF, ხოლო ექსპორტის დროს FOB-ღირებულების მიხედვით.

## **§15.2 EXW (EX Works(... named place))** **ფრანკო ქარხანა (... დასახელებული ადგილი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი მყიდველს საქონელს გადასცემს თავის საწარმოში—ქარხანაში, ფაბრიკაში, საწყობში და ა.შ. ამ დროს გამყიდველი პასუხს არ აგებს გადაცემის შემდეგ საქონლის ჩატვირთვაზე სატრანსპორტო საშუალებაში. ამასთან საქონლის გადაცემის შემდეგ ყველა ვალდებულება (ტრანსპორტირება, რისკები, საბაჟო პროცედურები) ეკისრება მყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდებიან მიწოდების ამ პირობის ფარგლებში გამყიდველმა გაწიოს ჩატვირთვის ხარჯები, მაშინ ეს დამატებულ უნდა იქნეს შესაბამის კონტრაქტში.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება მყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს არ შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ განახორციელოს ექსპორტის საბაჟო პროცედურები, მაშინ ეს ტერმინი არ გამოიყენება და მის ნაცვლად მიწოდება უნდა განხორციელდეს FCA პირობით, ხოლო გამყიდველმა უნდა გასწიოს საქონლის გადატვირთვის ხარჯები.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს დასახელებულ ადგილზე;

ბ) ვალდებულია მყიდველის თხოვნით და მისი ხარჯებით დაეხმაროს მყიდველს ექსპორტის დეკლარაციის ან სხვა აუცილებელი დოკუმენტის მოპოვებაში;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის გადაცემაზე;

ვ) ვალდებულია აცნობოს მყიდველს საქონლის გადაცემის დროისა და ადგილის შესახებ;

ზ) არ არის ვალდებული წარადგინოს მიწოდების მტკიცებულებები, სატრანსპორტო დოკუმენტები ან ეკვივალენტური ელექტრონული ცნობები;

თ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთვის საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ი) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სახვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს ექსპორტის (იმპორტის) ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს ექსპორტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია თავისი ხარჯით გადაზიდის საქონელი გადაცემის ადგილიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დასახელებულ ადგილზე მისი გადაცემის მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი (მათ შორის ექსპორტის საბაჟო გადასახდელები) და რისკი დასახელებულ ადგილზე საქონლის

გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების თარიღის შესახებ, თუ წინასწარ შეთანხმებული იყო მიღების გარკვეული ვადა;

თ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების შესახებ;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ექსპორტის დროს საქონლის დათვლიერებასთან(მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), თუ, გამყიდველთან კონტრაქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (ანუ შეიძლება ეს ხარჯები გამყიდველმა გაწიოს კონტრაქტის მიხედვით);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ექსპორტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის(ლიცენზია, საბაჟო დეკლარაცია, წარმოშობის სერტიფიკატი და სხვა).

### §15.3 FCA (Free Carrier(... named place))

#### ფრანკო გადამზიდველი(... დასახელებული ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადასცემს მყიდველის მიერ დასახელებულ გადამზიდველს, დასახელებულ ადგილზე საქონელს, რომელსაც უკვე გავლილი აქვს საბაჟო პროცედურები.

იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება ხორციელდება გამყიდველის შენობაში, მაშინ ჩატვირთვის ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, ხოლო, თუ სხვა ადგილზე ხდება საქონლის მიწოდება მაშინ—არა.

გადამზიდველის ტერმინი ამ შემთხვევაში ნიშნავს მყიდველის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პირს, რომელსაც მყიდველთან დადებული აქვს გადაზიდვის ხელშეკრულება.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს დასახელებულ ადგილზე;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი, თუმცა საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით შეიძლება გამოიღველმა დადოს გადაძიდეველთან გადაზიდვის კონტრაქტი მყიდველის ხარჯებით და რისკებით;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის გადაცემამდე;

ვ) ვალდებულია აცნობოს მყიდველს საქონლის გადაცემის დროისა და ადგილის შესახებ;

ზ) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს მიწოდების მტკიცებულების სახით სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

თ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ი) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში;

კ) ვალდებულია გადაიხადოს ექსპორტის საბაჟო გადასახდელები.

**მყიდველი:**

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებული თავისი ხარჯებით გადაზიდოს საქონელი გადაცემის ადგილიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დასახელებულ ადგილზე მისი გადაცემის მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი (მათ შორის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო გადასახდელები) და რისკი დასახელებულ ადგილზე საქონლის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების თარიღის შესახებ, თუ წინასწარ შეთანხმებული იყო მიღების გარკვეული ვადა, აგრეთვე გადამზიდველისა და საქონლის მიღების ადგილის შესახებ;

თ) ვალდებულია მიიღოს გამყიდველისაგან საქონლის მიწოდების შესახებ მტკიცებულებები (სატრანსპორტო ზედღებული და სხვა);

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალთვრებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალთვრება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## **§15.4 CPT (Carriage Paid To (... named place of destination))**

**ფრაზტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე  
(... მითითებული დანიშნულების ადგილი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადამზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკს ეწევა საქონლის მყიდველი.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

### გამყიდველი:

- ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;
- ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;
- გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გაწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;
- დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;
- ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს იმ გადამზიდველს, რომელთანაც მას აქვს დადებული გადაზიდვის ხელშეკრულება;
- ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემის მომენტამდე;
- ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემამდე (ტრანსპორტირება, გადატვირთვა და გადმოტვირთვა დანიშნულების ადგილას), აგრეთვე ექსპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;
- თ) გამყიდველი ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადამზიდველისათვის მიწოდების შესახებ;
- ი) გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;
- კ) გამყიდველი ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;
- ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

### მყიდველი:

- ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;
- ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენ-

ზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გადაზიდველისათვის მისი გადაცემის მომენტიდან და მიიღოს ის მითითებულ დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადაზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადაზიდველის მიერ დანიშნულების ადგილამდე მიტანიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## **§15.5 CIP (Carriage and Insurance Paid To (... named place of destination))**

**ფრანსტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე  
(... მითითებული დანიშნულების ადგილი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადაზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადაზიდველისათ-

ვის საქონლის გადაცემის მომენტიდან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას გამყიდველი ახდენს საქონლის დაზღვევას.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გაწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) ვალდებულია თავისი ხარჯით გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება (ხელშეკრულებამ უნდა დაფაროს საქონლის საკონტრაქტო ფასის მინიმუმ 110%);

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს იმ გადამზიდველს, რომელთანაც მას აქვს დადებული გადაზიდვის ხელშეკრულება;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემამდე (ტრანსპორტირება, გადატვირთვა და გადმოტვირთვა დანიშნულების ადგილას), აგრეთვე ექსპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადამზიდველისათვის მიწოდების შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა



შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

**მყიდველი:**

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გადამზიდველისათვის მისი გადაცემის მომენტიდან და მიიღოს ის მითითებულ დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველის მიერ დანიშნულების ადგილამდე მიტანიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## §15.6 DAF (Delivered At Frontier(... named place))

მინოდება საზღვრამდე(... მითითებული  
მინოდების ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს აწვდის მყიდველს ნებისმიერი მითითებული ქვეყნის (მათ შორის ექსპორტიორი ქვეყნის) საზღვარზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.  
გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ან ტრანზიტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გაწიოს ტრანსპორტირების ხარჯები მიწოდების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს საზღვარზე მიწოდების ადგილას დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელეები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა,

ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

**მყიდველი:**

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში საზღვარზე მიწოდების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## **§15.7 DDU (Delivered Duty Unpaid (... named place of destination))**

**მინოდება გადასახადელების გადახდის გარეშე  
(... მითითებული დანიშნულების ადგილი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს აწვდის მყიდველს მითითებულ დანიშნულების ადგილზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში, ექსპორტის საბაჟო პროცედურების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს, ხოლო იმპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება და საბაჟო გადასახადელების გადახდა—მყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ან ტრანზიტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გასწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს დანიშნულების ადგილას გადმოუტვირთავ მდგომარეობაში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახადელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის დანიშნულების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## §15.8 DDP (Delivered Duty Paid (... named place of destination))

მინოდება გადასახადელების გადახდით  
(... მითითებული დანიშნულების ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს იმპორტის საბაჟო გადასახადელების გადახდით აწვდის მყიდველს მითითებულ დანიშნულების ადგილზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში, ექსპორტის და იმპორტის საბაჟო პროცედურების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

ამასთან, თუ ღღგ-ს ან აქციზს იმპორტის დროს იხდის მყიდველი, მაშინ ეს მითითებული უნდა იყოს კონტრაქტში.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის და იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გასწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს დანიშნულების ადგილას გადმოუტვირთავ მდგომარეობაში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახადელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის დანიშნულების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია გამყიდველის თხოვნით და ამ უკანასკნელის ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალისწინებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალისწინება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გამყიდველის თხოვნით და უკანასკნელის ხარჯითა და რისკით მოიპოვოს ნებისმიერი საბაჟო დოკუმენტი.

## **§15.9 FAS (Free Alongside Ship (... named port of shipment))**

**ფრანკო გემის ბორტთან  
(... ჩატვირთვის მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტის გასწვრივ ანუ პორტის ნავმისადგომთან(ან ლიხტერებზე). ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს. ამასთან, თუ მყიდველი იკისრებს ექსპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელების ვალდებულებას, მაშინ ეს დაფიქსირებული უნდა იყოს კონტრაქტში.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;



თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი ჩატვირთვის საზღვაო პორტიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ბორტთან მიწოდების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ (ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

### **§15.10 FOB (Free On Board(... named port of shipment)) ფრანკო გემის ბორტი(... ჩატვირთვის მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტზე ჩატვირთვის მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

#### **გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს (ჩატვირთოს) მყიდველს გემის ბორტზე საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან

დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი გემის ბორტზე ჩატვირთვის საზღვაო პორტიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ბორტზე მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალისწინებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა,

გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვლიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## **§15.11 CFR (Cost and Freight (... named port of destination))**

**ღირებულება და ფრახტი**

**(... დანიშნულების მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო (საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება მითითებულ დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტიდან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდებლები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში საზღვაო პორტში მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

## **§15.12 CIF (Cost, Insurance and Freight (... named port of destination))**

**ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი  
(... დანიშნულების მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება მითითებულ დანიშნულების ადგილამდე;

დ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება(დაზღვევამ უნდა დაფაროს საქონლის საკონტრაქტო ღირებულების 110%);

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტი-

დან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტიამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში საზღვაო პორტში მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

### **§15.13 DES (Delivered Ex Ship (... named port of destination))**

**მინოდება გემიდან**

**(... დანიშნულების მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტზე დანიშნულების მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო (საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება დანიშნულების პორტამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;



ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტზე დანიშნულების საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტიამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ბორტზე მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურე-

ბელი სატრანსპორტო ან სხვა ლოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალეირებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალეირება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო ლოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

### **§15.14 DEQ (Delivered Ex Quay (... named port of destination))**

**მიწოდება ნავმისადგომიდან  
(... დანიშნულების მითითებული პორტი)**

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ნავმისადგომიდან დანიშნულების მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

**გამყიდველი:**

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება დანიშნულების ნავმისადგომამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის

ნავმისადგომიდან დანიშნულების საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტიამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

#### მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ნავმისადგომიდან მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურე-

ბელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალეირებასთან (მაგ. განსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალეირება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

დანართი №1

„ინკოტერმს-2000“-ის სტრუქტურა

ნებისმიერი ტრანსპორტი
EXW- ფრანკო ქარხანა(... დასახელებული ადგილი)
FCA- ფრანკო გადამზიდველი(... დასახელებული ადგილი)
CPT- ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი)
CIP- ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი)
DAF- მიწოდება საზღვრამდე (... მითითებული მიწოდების ადგილი)
DDU- მიწოდება გადასახადების გადახდის გარეშე(... მითითებული დანიშნულების ადგილი)
DDP- მიწოდება გადასახადების გადახდით (... მითითებული დანიშნულების ადგილი)
მხოლოდ საზღვაო(სანყლოსნო) ტრანსპორტი
FAS- ფრანკო გემის ბორტთან(... ჩატვირთვის მითითებული პორტი)
FOB- ფრანკო გემის ბორტი(... ჩატვირთვის მითითებული პორტი)
CFR- ღირებულება და ფრახტი(... დანიშნულების მითითებული პორტი)
CIF- ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (... დანიშნულების მითითებული პორტი)
DES- მიწოდება გემიდან(... დანიშნულების მითითებული პორტი)
DEQ- მიწოდება ნავმისადგომიდან(... დანიშნულების მითითებული პორტი)

## თავი 16. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

### §16.1. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის არსი და ფუნქციები

ტერმინი „საქონლის წარმოშობა“ არ ემთხვევა „საქონლის წარმოებას“. საქონელი შეიძლება წარმოებულ იყოს მოცემულ ქვეყანაში და არ იყოს წარმოშობილი ამ ქვეყანაში. სწორედ ის განსხვავებები და კრიტერიუმები, რაც შეადგენს ამ ორი ცნების დიფერენცირების საფუძველს, წარმოადგენს აგრეთვე მათ შორის ფუნქციონალურად პრინციპული და არსებითი სხვადასხვაობის საფუძველსაც. მაგ. თუ საქართველოში ვაწარმოებთ ჩაის, როგორც მზა დაფასოებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ინდური ჩაი, ხოლო 49 % ქართული, მაშინ ჩაითვლება, რომ საქონელი დამზადებულია (წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილია ინდოეთში.

თეორიასა და პრაქტიკაში საქონლის წარმოშობის ცნების მიმოქცევაში შეტანა გაპირობებულია იმ ფუნქციებით, რაც მას რეალურად გააჩნია საგარეო ეკონომიკური და, სახელდობრ საბაჟო ურთიერთობების ასპექტით. ეს ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ა) სატარიფო ფუნქცია;
- ბ) არასატარიფო ფუნქცია.

სატარიფო ფუნქცია მოიცავს:

- საბაჟო გადასახადისაგან საქონლის გათავისუფლებას;
- საბაჟო გადასახადით საქონლის ნაწილობრივ ანუ შეღავათიანი განაკვეთით დაბეგვრას;
- საბაჟო გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთით საქონლის დაბეგვრას;
- ანტიდემპინგური, საკომპენსაციო ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადით საქონლის დაბეგვრას.

არასატარიფო ფუნქცია მოიცავს:

- კვოტირებას;
- ლიცენზირებას;
- ემბარგოს;

—ყველა იმ მექანიზმს, რომელიც მიმართულია საქონლის ექსპორტის ან იმპორტის არასაგადასახადო ხასიათის შეზღუდვისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოები საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ფუნქციებს იყენებენ სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით. სატარიფო ფუნქცია გამოიყენება ორ ან სხვადასხვა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების ან შეკვეცის მიზნით ან შიდა ბაზრის დაცვის ან ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება არასატარიფო ფუნქციას იგი გამოიყენება, როგორც ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე განსაკუთრებით პოლიტიკური მოტივაციებით ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისადმი ეკონომიკური ზეწოლის მისაღწევად. ამის მაგალითია, თავის დროზე საქართველოში წარმოშობილი ღვინის ან მინერალური წყლების იმპორტზე ემბარგოს შემოღება რუსეთის ფედერაციის მიერ.

## §16.2. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება კომპენტენტური ორგანოების მიერ შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით. ამ ხერხებსა და მეთოდებს კრიტერიუმები ეწოდებათ.

სხვადასხვა ქვეყანები განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებენ. ძირითადად, შესაბამისი კრიტერიუმები ოთხ სახედ შეიძლება დაიყოს. ესენია:

- ა) მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული(ან მიღებული) საქონლის კრიტერიუმი;
- ბ) ადვალური(ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი;
- გ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი;
- დ) აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი.

## §16.2.1. მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული (მიღებული)

### საქონლის კრიტერიუმი

მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებულად(მიღებულად) მიიჩნევა შემდეგი საქონელი:

ა) სასარგებლო წიაღისეული, რომელიც მოპოვებულია მოცემული ქვეყნის წიაღიდან ან მისი ტერიტორიული ზღვიდან ან ზღვის ფსკერიდან;

ბ) მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, რომელიც მოყვანილია ან შეგროვებულია ამ ქვეყანაში;

გ) მოცემულ ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველები;

დ) მოცემულ ქვეყანაში ბინადარი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები;

ე) მოცემულ ქვეყანაში ნადირობისა და თევჭერის შედეგად მიღებული პროდუქცია;

ვ) საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქცია, რომელიც მოპოვებულია ამ ქვეყნის გემის მიერ;

ზ) მოცემული ქვეყნის სარეწ გემზე მიღებული პროდუქცია, რომელიც მხოლოდ „ვ“ პუნქტში აღნიშნული პროდუქციისაგან არის წარმოებული;

თ) პროდუქცია, რომელიც მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის წიაღიდან არის მიღებული, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლება;

ი) ჯვართი და წარმოებისა და გადამუშავების ნარჩენები, აგრეთვე ნახმარი ნაკეთობები, რომელთა შეგროვება განხორციელდა მოცემულ ქვეყანაში და, რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნედლეულად გადამუშავებისათვის.

## §16.2.2. ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი

ადვალური ანუ ღირებულებითი წილის კრიტერიუმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით და საქონლის საწარმოებლად გამოიყენება, როგორც სხვა ქვეყანაში წარმოშობილი მასალები და ნედლეული, ასევე ადგილობრივი საქონელი. ამასთან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მზა საქონელიც.

ეროვნული კანონმდებლობა აწესებს იმ საქონლის ნუსხას, რომლის მიმართაც შეიძლება იყოს გამოყენებული ადვალური წილის კრიტერიუმი ან ამ და სხვა კრიტერიუმებს ავრცელებს ნებისმიერ საქონელზე.

როგორც წესი, ადვალური წილის კრიტერიუმის დროს საქონელი ითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც არის წარმოშობილი ის მასალები და ნედლეული (ან გამოყენებული მზა პროდუქტი), რომელთა ღირებულების წილი საქონლის მთლიან ღირებულებაში შეადგენს არანაკლებ 51%-ს. მაგ. თუ საქართველოში ვაწარმოებთ ღვინოს, როგორც მზა დაფასოებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ფრანგული ყურძენი, ხოლო 49% ქართული, მაშინ ჩაითვლება, რომ საქონელი დამზადებულია (წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილია საფრანგეთში.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წარმოების დროს გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის წარმოშობის ქვეყნები სხვადასხვაა და მათი საერთო ღირებულება აჭარბებს წარმოებული საქონლის ღირებულების 51%-ს, მაშინ ამ საქონლის წარმოშობის ქვეყნად ჩაითვლება ის ქვეყანა, სადაც არის წარმოშობილი უდიდესი ღირებულების მასალა ან ნედლეული. მაგ. საქართველოში ნაწარმოებია რუხი პური, რომელშიც გამოყენებულია საქართველოში და თურქეთში წარმოშობილი ფქვილი და უკრაინაში წარმოშობილი მზესუმზირა. საქართველოში, თურქეთში და უკრაინაში წარმოშობილი ნედლეულის საერთო ღირებულება შეადგენს წარმოებული პურის ღირებულების 75%-ს, ხოლო დანარჩენი ინგრედიენტების ღირებულება შეადგენს 25%-ს. ამ შემთხვევაში, დაეუშვათ, რომ ადგილი აქვს შემდეგ პროპორციას:



- ა) საქართველოში წარმოშობილი ფქვილი—30%;
- ბ) თურქეთში წარმოშობილი ფქვილი—25%;
- გ) უკრაინაში წარმოშობილი მზესუმზირა—20%;
- დ) დანარჩენი ინგრენდიენტების ღირებულება—25%.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად, ვინაიდან ქართული ფქვილის ღირებულება პროცენტულად აღემატება სხვა ელემენტებს.

როგორ უნდა განისაზღვროს თვით გამოყენებული მასალების და მზა პროდუქტის ღირებულებები? ამ შემთხვევაში ღირებულებები შემდეგი მეთოდოლოგიით უნდა იყოს გაანგარიშებული:

ა) შემოტანილი მასალისათვის:

—იმპორტის საბაჟო ღირებულება, თუ ცნობილია მასალის წარმოშობის ქვეყანა;

—საქონლის წარმოების ქვეყანაში მასალის შიდა ბაზარზე პირველი მიწოდების ღირებულება, თუ ცნობილი არ არის მასალის წარმოშობის ქვეყანა;

ბ) მზა საქონლისათვის:

—ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-ქარხნის ფასი(EXW);

—ან ექსპორტის საბაჟო ღირებულება.

### **§16.2.3. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი**

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა ანუ ეროვნული მასშტაბით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა(სესსნ) საფუძვლად უდევს საქონლის წარმოშობის ქვეყნის ამ კრიტერიუმს.

ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქონლის კოდის პირველი ოთხი ნიშანი არის არსებითი ამ საქონლის მახასიათებლის თვალსაზრისით. მაგ. 2204 სასაქონლო კოდი აღნიშნავს ყურძნის ნატურალურ და შემაგრებულ ღვინოებს და ყურძნის ტკბილს, ხოლო თუ შევცვლით ამ სასაქონლო პოზიციიდან თუნდაც ერთს, ვთქვათ ბოლო ციფრს, მაშინ მივიღებთ ალკოჰოლური სასმელის მნიშვნელოვნად შეცვლილ თვისობრიობას, კერძოდ

ვერბუტებს და ყურძნის სხვა ნატურალურ ღვინოებს მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანა სადაც, მოხდება პირველი ოთხნიშნა სასაქონლო პოზიციიდან თუნდაც ერთი ნიშნის (ციფრის) ცვლილება, ის ქვეყანა ჩაითვლება ამ საქონლის წარმოშობის ქვეყნად.

#### **§16.24. აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი**

აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი არის საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმის სახე, თუმცა უმჯობესია კრიტერიუმების კლასიფიკაციის დროს იგი ცალკე იქნას გამოყოფილი, რამდენადაც ადვალური წილის და ოთხნიშნა კრიტერიუმებიც საკმარისი დამუშავების კრიტერიუმის სახეებს წარმოადგენენ.

აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი ნიშნავს, რომ მოცემული საქონლის მიმართ განხორციელდა ბოლო გარკვეული საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაცია, რომელმაც ამ საქონელს მიანიჭა განსაზღვრული მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ასეთი ოპერაციების ზუსტი აღწერილობა დგინდება ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით. მაგ. თუ დადგენილია, რომ ყავის მოხალვის ტექნოლოგიური ოპერაცია წარმოადგენს აუცილებელ საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციებს, მაშინ ჩაითვლება, რომ ბრაზილიური ყავა, რომელიც მოიხალა, ეთქვათ, საქართველოში და ექსპორტირებულია უკრაინაში არის საქართველოში წარმოშობილი.

ზოგიერთი საქონლის დროს აუცილებელ საწარმოო და ტექნოლოგიურ ოპერაციებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ღვინის დროს—კუპაჟირება, ფილტრაცია, დეაერგება და სხვა;
- კოქსისა და ბიტუმის დროს—რაფინირების ოპერაციები;
- ხეტყის მასალების დროს—ხერხვა, რანდვა, გაშალაშინება და სხვა;
- ფანერის დროს—შეერთება, მიწება.

### §16.3. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს გაუთვალისწინებელი ფაქტორები

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს არ გაითვალისწინება ისეთი საწარმოო ფაქტორები, რომლებიც არსებით და მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენენ ამ საქონელზე. ასეთი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში ისინი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ეს ფაქტორებია:

ა) საქონლის ტრანსპორტირების ან შენახვის უზრუნველმყოფი ოპერაციები;

ბ) საქონლის გარეგანი სახის ან კომერციული ხარისხის გაუმჯობესების ან მისი ტრანსპორტირებისათვის მომზადების ოპერაციები, რომლებშიც შედის საქონლის პარტიის დაყოფა, შეფუთვების დაჯგუფება, სორტირება, მარკირება, მეორადი შეფუთვა;

გ) მარტივი აწყობითი ოპერაციები;

დ) სხვადასხვა წარმოშობის საქონლის შერევა იმ პირობით, რომ მიღებული პროდუქციის მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება იმ პროდუქტების მახასიათებლებისაგან, რომელთა შერევაც ხდება;

ე) ენერჯის, მოწყობილობების, მანქანა-იარაღების წარმოშობის ქვეყანა.

### §16.4. განსაკუთრებული შემთხვევები საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს გამოიყოფა განსაკუთრებული შემთხვევები, რომელიც განსხვავდება ორდინალური სიტუაციებისაგან და, რომელსაც ითვალისწინებენ საბაჟო ორგანოები და შესაბამისი კომპენტენტური ორგანოები. ეს შემთხვევებია:

ა) აუწყობელი ან დაშლილი საქონელი, რომლის შემოტანა ხდება ორი ან მეტი პარტიით, მათი ერთი პარტიით მიზანშეუწონლობის გამო, საწარმოო ან სატრანსპორტო ხასიათის მიზეზით, იმპორტიორის მოთხოვნით მიჩნეულ უნდა იქნეს ერთ ნაკეთობად მისი წარმოშობის დადგენის მიზნებისათვის;

ბ) წარმოშობის განსაზღვრის მიზნით საქონლის შეფუთვა უნდა ჩაითვალოს იმავე ქვეყანაში წარმოშობილად, როგორც შეფუთული საქონელი;

გ) როდესაც ითვლება, რომ შეფუთვა იმავე წარმოშობისაა, როგორც საქონელი, გაითვალისწინება მხოლოდ ის შეფუთვა, რომელშიც ჩვეულებრივ ხდება საქონლის რეალიზაცია საცალო ვაჭრობაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება ადვალური წილის კრიტერიუმი;

დ) თუ, იმპორტის ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია, რომ დაბეგვრის მიზნებისათვის მიზანშეწონილია ტარისა და საქონლის ცალკე დეკლარირება, მაშინ ტარისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნები ცალ-ცალკე უნდა იქნეს განსაზღვრული;

ე) მანქანების, მოწყობილობების, აგრეგატების, სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები, საკუთნობი და სამარჯვები იმ პირობით, რომ ისინი ერთდროულად იქნება შემოტანილი.

## §16.5. საქონლის წარმოშობის დადასტურება

საქონლის წარმოშობის დადასტურება ხორციელდება დოკუმენტალურად. მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება სამის სახის დოკუმენტი, თუმცა, ძირითადად მაინც იყენებენ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც წარმოშობის სერტიფიკატი ეწოდება.

საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად გამოიყენება შემდეგი სახის დოკუმენტები:

- ა) წარმოშობის სერტიფიკატი;
- ბ) წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია;
- გ) წარმოშობის დეკლარაცია.

საქონლის წარმოშობის დადასტურება შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით ხორციელდება სხვადასხვა პირის (ორგანოს) მიერ. როგორც წესი, მრავალ ქვეყანაში წარმოშობის სერტიფიკატების დადასტურებას ახორციელებენ სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ასევე სახელმწიფო ორგანოები.

წარმოშობის სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ცალსახად ადას-

ტურებს შესაბამისი საქონლის მოცემულ ქვეყანაში წარმოშობას. სერტიფიკატს გააჩნია წინასწარ დადგენილი განსაზღვრული ფორმა და შევსების გრაფები.

წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია არის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებულა უფლებამოსილი ორგანოს, თუ ორგანიზაციის მიერ.

წარმოშობის დეკლარაცია, როგორც ასეთი, ცალკე დოკუმენტს არ წარმოადგენს. წარმოშობის დეკლარირება ანუ გაცხადება ხდება ინვოისით, სატრანსპორტო ზედღებულთ ან სხვა ნებისმიერი საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტით. ამ დოკუმენტზე შესაბამის აღნიშვნას და ხელმოწერას ახორციელებს ექსპორტიორი ან მწარმოებელი ან სხვა კომპენტენტური პირი, რითაც დასტურდება საქონლის წარმოშობა.

### §16.5.1 წარმოშობის სერტიფიკატი

როგორც, აღვნიშნეთ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ფუნქციები გამოიხატება სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარებით. აქედან გამომდინარე წარმოშობის სერტიფიკატი საბაჟო ორგანოს წარედგინება სავალდებულოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოითხოვება სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებების გატარების მიზნით. მაგ. საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება ან ემბარგო.

წარმოშობის სერტიფიკატი არ წარედგინება საბაჟო ორგანოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქონლები წვრილი პარტიების სახით მიეწოდება ფიზიკურ პირებს ან ეს საქონლები იმყოფება მგზავრის ბარგში, ზოლო ისინი არის არაკომერციული დანიშნულების და მათი მთლიანი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა იყოს 100 აშშ დოლარზე ნაკლები;

ბ) როდესაც კომერციული დანიშნულების საქონელთა ერთობლივი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა

იყოს 60 აშშ დოლარზე ნაკლები;

გ) როდესაც საქონელი შემოდის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში;

დ) როდესაც საქონელი გადაიზიდება ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით;

ე) საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

წარმოშობის სერტიფიკატი შევსებულ უნდა იყოს ექსპორტიორი ქვეყნის ენაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ენა არ ემთხვევა ინგლისურ ან ფრანგულ ენებს, მაშინ სერტიფიკატი ასევე უნდა შეივსოს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. მაგ. საქართველოდან საქონლის ექსპორტის დროს სერტიფიკატი უნდა შეივსოს ქართულ და ინგლისურ(ან ფრანგულ) ენებზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოშობის სერტიფიკატის შევსების ენა არ ემთხვევა იმპორტიორი ქვეყნის ენას, საბაჟო ორგანოს უფლება არა აქვს მოითხოვოს მისი თარგმანი ანუ ინგლისური და ფრანგულ ენაზე შევსებული სერტიფიკატები მისაღები და გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი ცივილიზებული საბაჟოსათვის.

როდესაც ერთ ქვეყანაში წარმოშობილი საქონელი შედის მეორე ქვეყანაში მესამე ქვეყნიდან, მაშინ მესამე ქვეყანას უფლება აქვს გასცეს წარმოშობის სერტიფიკატი ადრე უკვე არსებული წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე. როგორც წესი, ეს შეიძლება განხორციელდეს მესამე ქვეყნიდან, სხვა ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის დროს.

წარმოშობის სერტიფიკატებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით მოქმედების სხვადასხვა ვადები გააჩნია. საერთაშორისო საბაჟო კონვენციებით ეს ვადა მისი გაცემიდან მინიმუმ სამ წელს უნდა შეადგენდეს, თუმცა წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანო წარმოშობის სერტიფიკატის სათანადო ეგზემპლარს უნდა ინახავდეს მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

## §16.5.1.1 წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა და მისი შევსების წესი

ექსპორტიორი ქვეყანა გასცემს წარმოშობის სერტიფიკატს ექსპორტიორის განცხადების საფუძველზე. სერტიფიკატი უნდა იყოს სტანდარტული და უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ბლანკს (ზომები A4 ფორმატი (210x297მ)).

წარმოშობის სერტიფიკატი, როგორც წესი, ივსება ოთხ ეგზემპლარად, რომლის სამი ეგზემპლარი გადაეცემა ექსპორტიორს, ხოლო ერთი რჩება სერტიფიკატის გამცემ ორგანოს.

იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგა ან დაზიანდა წარმოშობის სერტიფიკატი უფლებამოსილი ორგანოები გასცემენ შესაბამის დუბლიკატს.

წარმოშობის სერტიფიკატი შედგება რვა დანომრილი და ერთი დაუნომრავი ბოლო გრაფისაგან.

№1 გრაფაში მიეთითება ექსპორტიორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება, იურიდიული მისამართი და ქვეყანა;

№2 გრაფაში ჩაიწერება სიტყვა „ორიგინალი“. თუ წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა დაკარგული ან დაზიანებული ორიგინალის სანაცვლოდ, ახალ სერტიფიკატზე სათაურთან მიეთითება სიტყვა „დუბლიკატი“. სერტიფიკატის ორიგინალისა და დუბლიკატის ასლებზე სათაურის გვერდით მიეთითება სიტყვა „ასლი“. ეს გრაფა ასევე განკუთვნილია იმ ორგანიზაციის დასახელების (ლოგოტიპი, ემბლემა) მითითებისათვის, რომელიც გასცემს სერტიფიკატს და უნდა მოიცავდეს ადგილს სხვა ოფიციალური ხასიათის ინფორმაციის შესატანად;

№3 გრაფაში მიეთითება იმპორტიორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება, იურიდიული მისამართი და ქვეყანა. ამ გრაფაში გათვალისწინებული ცნობები შეიძლება შეიცვალოს წარწერით „ორდერული“ და, თუ ეს შესაძლებელ იქნა, დანიშნულების ქვეყნის სახელით;

№4 გრაფაში მიეთითება დამატებითი ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების, მისი მარშრუტის შესახებ და ა.შ;

№5 გრაფაში მიეთითება საქონლის ადგილების რაოდენობა და საქონლის დასახელება სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით;

№6 გრაფაში მიეთითება საქონლის ბრუტო წონა;

№7 გრაფა არის უსათაურო და მასში შეიძლება მიეთითოს სხვადასხვა მონაცემები. მაგ. საქონლის ზომის ერთეული(კგ, ცალი და ა. შ) ან ინვოისის ნომერი და სხვა;

№8 ამ გრაფაში შეიძლება ჩაიწეროს სხვადასხვა ცნობები. მაგ. რეექსპორტის დროს წინმსწრები სერტიფიკატის რეკვიზიტები, ექსპორტიორის შენიშვნები და ბოლოს, სერტიფიკატის გამცემი ორგანოს ბეჭედი, შტამპი და სხვადასხვა აღნიშვნები.

რაც შეეხება სერტიფიკატის უნომრო გრაფას, მასში მიეთითება საქონლის წარმოშობის ქვეყანა, სერტიფიკატის გამცემი ორგანოს დასახელება, სერტიფიკატის გაცემის თარიღი და სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა იხ. ქვემოთ დანართი №1 და №2(შესაბამისად ქართულ და ინგლისურ(ფრანგულ) ენებზე.

დანართი №1

1. ექსპორტიორი(დასახელება, მისამართი, ქვეყანა)	2. ნომერი წარმოშობის სერტიფიკატი	
3. მიმღები(დასახელება, მისამართი, ქვეყანა)		
4. მონაცემები ტრანსპორტის შესახებ (აუცილებლობის შემთხვევაში)		
5. მარკირება და ნუმერაცია: აღვილების რაოდენობა და ხასიათი: საქონლის აღწერა	6. ბრუტო წონა	7.
8. დამატებითი ინფორმაცია	ამასთან დადასტურებულია, რომ საქონლის წარმოშობის ქვეყანა არის:  სერტიფიკატის გამცემი ორგანო  გაცემის თარიღი და დრო  უფლებამოსილი პირის ხელმოწერა	



<p>1. Exporter(name, address, country) Exportateur(nom, adresse, pays)</p>	<p>2. Number-Numéro</p> <p><b>CERTIFICATE OF ORIGIN CERTIFICAT D, ORIGINE</b></p>	
<p>3. Consignee(name, address, country) Destinataire(nom, adresse, pays)</p>		
<p>4. Particulars of transport(where required) Renseignements relatifs au transport (le cas echeant)</p>		
<p>5. Marks &amp; numbers: Number and kind of paskages:Description of the goods Marques et numéros: Nombre et nature des colis: Désignation des marchandises</p>	<p>6. Groos weight Poids brut</p>	<p>7.</p>
<p>8. Other information-Autres renseignements</p> <p style="text-align: center;">Stamp-Timbre</p> <div data-bbox="138 1065 557 1178" style="border: 1px solid black; width: 400px; height: 76px; margin: 20px auto;"></div>	<p>It is hereby certified that the above-mentioned goods originate in: Il st certifié par la présente que les marchandises mentionnées-dessus sont originaires de:</p> <hr/> <p style="text-align: center;">Certifying body Organisme ayant delivre le certificat</p> <hr/> <p style="text-align: center;">place and date of issue-Lieu et date de délivrance</p> <hr/> <p style="text-align: center;">Authorised signature- Signature autorisée</p> <hr/>	

## **§16.5.2 წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია და წარმოშობის დეკლარაცია**

როგორც აღენიშნეთ წარმოშობის სერტიფიკატთან ერთად გამოიყენება წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია და წარმოშობის დეკლარაცია (იხ. §16.5).

ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარედგინება საბაჟო ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში და მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქონლები წვრილი პარტიების სახით მიეწოდება ფიზიკურ პირებს ან ეს საქონლები იმყოფება მგზავრის ბარგში, ხოლო ისინი არის არაკომერციული დანიშნულების და მათი მთლიანი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა იყოს 500 აშშ დოლარზე ნაკლები;

ბ) როდესაც კომერციული დანიშნულების საქონელთა ერთობლივი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა იყოს 300 აშშ დოლარზე ნაკლები.

## **§16.5.3 წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების კონტროლი საბაჟო ორგანოს მიერ**

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე რიგი ქვეყნები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმებული პირების ფაქსიშემოებისა და ბეჭდების შესახებ. ამასთან ხშირია შემთხვევები, როდესაც წარმოშობის სერტიფიკატი წარმოადგენს საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების ან შეღავათიანი დაბეგვრის საფუძველს, რაც თავის მხრივ წარმოშობის სერტიფიკატების გაყალბების პოტენციური საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს უფლება აქვთ მიმართონ განცხადებით ექსპორტიორი ქვეყნის წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ექსპორტიორის (იმპორტიორის) თაღლითობაში ეჭვის შეტანის მოტივით.

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანო შესაბამისი შეკითხვით მიმართავს ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის ორგანოს შემდეგ

შემთხვევებში:

ა) წარმოშობის სერტიფიკატის ნამდვილობაში საფუძვლიანი ეჭვის შეტანის შემთხვევაში;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატის მონაცემების სისწორეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში;

გ) შერჩევითი შემოწმების საფუძველზე.

საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი კომპენტენტური ორგანოსადმი გაგზავნილ წერილში მითითებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

ა) ის მიზეზები, რომლის გამოც საბაჟო ორგანო ეჭვქვეშ აყენებს წარმოდგენილი წარმოშობის სერტიფიკატის ნამდვილობას ან მასში არსებული მონაცემების სისწორეს;

ბ) შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები წარმოდგენილი სერტიფიკატის მიმართ, რის გამოც საეჭვოა შესაბამისი სერტიფიკატი;

გ) წერილს საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა დაერთოს წარმოშობის სერტიფიკატის ან სხვა დოკუმენტის ქსეროასლები.

წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანო ვალდებულია ჩაატაროს შესაბამისი შემოწმება და პასუხი გასცეს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს შეკითხვას ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, თუ ექვსი თვის ვადაში სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ორგანოს არ შეუძლია პასუხი გასცეს შესაბამის საბაჟო ორგანოს, მაშინ ამის შესახებ საბაჟო ორგანოს უნდა ეცნობოს წერილობით.

ამასთან საყურადღებოა, რომ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანომ, რომელმაც მიიღო წარმოშობის სერტიფიკატი, შესაბამისი წერილობითი შეკითხვა უნდა გაუგზავნოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს სერტიფიკატის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. ამასთან, თუ არის განსაკუთრებული შემთხვევა, მაშინ შესაძლებელია ამ ვადის გადაწევა.

წარმოშობის სერტიფიკატის საბაჟო კონტროლმა არ უნდა გააჭიანუროს საქონლის გაშვება. კერძოდ, აქ გამოიყოფა ორი შემთხვევა:

ა) როდესაც საქონელზე ვრცელდება სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები;

ბ) როდესაც ადგილი აქვს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებებს.

პირველი შემთხვევის დროს, დავუშვათ, რომ წარმოშობის სერტიფიკატი იძლევა საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების ან შეღავათიანი განაკვეთით დაბეგვრის საფუძველს. ამ შემთხვევაში საქონელი გაშვებული იქნება იმ პირობით, თუ:

—მთლიანად იქნება ის საბაჟო გადასახადი გადახდილი, რაც ეკუთვნის მოცემულ საქონელს წარმოშობის სერტიფიკატის წარმოდგენის გარეშე;

—წარმოდგენილ იქნება საბაჟო გარანტია საბაჟო გადასახადის იმ ნაწილზე, რომელიც უნდა გადაეხადა პირს წარმოშობის სერტიფიკატის გარეშე.(მაგ. საბაჟო გადასახადის განაკვეთია 12%, ხოლო წარმოშობის სერტიფიკატის წარმოდგენის დროს გერმანიაში წარმოშობილ საქონელზე—2%. ამ შემთხვევაში, პირმა უნდა გადაიხადოს 2 %-ის ოდენობის საბაჟო გადასახადი, ხოლო დანარჩენილ 10%-ზე წარმოადგინოს გარანტია).

მეორე შემთხვევის დროს, ანუ არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქონელი არ შეიძლება გაშვებულ იქნას. იგი უნდა განთავსდეს დროებით შენახვის საწყობში ან მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციის ქვეშ).

### **§16.5.4 წარმოშობის პრეფერენციული და არაპრეფერენციული სერტიფიკატები**

წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატი ეწოდება ისეთ წარმოშობის დოკუმენტს, რომელიც იძლევა სატარიფო შეღავათებს, ხოლო არაპრეფერენციულია—სხვა დანარჩენი.

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა ქვეყნებს შორის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების, მრავალმხრივი ხელშეკრულების და საბაჟო ავტონომიების მიხედვით. მაგ. პრეფერენციული სერტიფიკატის კლასიკური სახეა „წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა A“, რომელსაც გასცემენ ის ექსპორტიორი ქვეყნები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ევროკავშირისაგან, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან ე. წ. „პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა“(GSP). ეს სისტემა მიენიჭა საქართველოსაც ევროსაბჭოს 2005 წლის 27 ივნისის №980/2005 რეგლამენტის მიხედვით.

ქვემოთ გთავაზობთ „წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა

1. Goods consigned from (Exporter's business name, address, country)		Reference No			
		<b>GENERALIZED SYSTEM OF PREFERENCES CERTIFICATE OF ORIGIN (Combined declaration and certificate) Form A</b>			
2. Goods consigned to (consignee's name, address, country)		Issued in .....			
		(country)			
3. Means of transport and route (as far as known)		ca Notes overleaf			
3. Means of transport and route (as far as known)		4. For official use			
5. Item number	6. Marks and numbers of packages	7. Number and kind of packages: description of goods	8. Origin criterion (see Notes overleaf)	9. Gross weight or other quantity	10. Number and date of invoices
11. Certification It is hereby certified, on the basis of control carried out, that the declaration by the exporter is correct  Place and date, signatures and stamp of certifying authority		12. Declaration by the exporter The undersigned hereby declares that the above details and statements are correct; that all the goods were produced in			
		(country)  and that they comply with the origin requirements specified for those goods in the Generalised System of Preferences for goods exported to ..... (importing country) ..... Place and date, signature of authorised signatory			

## თავი 17. საბაჟო გადასახდელები

### §17.1 საბაჟო გადასახდელების დარიცხვა

საბაჟო გადასახდელები ეწოდება ყველა იმ გადასახდელების ერთობლიობას, რომელიც გადაიხდებინება საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების დროს. ასეთ გადასახდელებს მიეკუთვნება:

- ა) საბაჟო მოსაკრებელი;
- ბ) საბაჟო ტარიფი (საბაჟო გადასახადი);
- გ) აქციზი;
- დ) დამატებული ღირებულების გადასახადი;
- ე) აგრარული საბაჟო გადასახადი (მაგ. ევროკავშირში)

ვიდრე განვიხილავდეთ კონკრეტულად თითოეულ საბაჟო გადასახდელს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯერ გაანალიზებულ იქნეს ისეთი ზოგადი საკითხები, როგორც არის საბაჟო გადასახდელების დარიცხვა, გადახდა და დაბრუნება.

როგორც წესი, საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საქონლის გაშვების საბაჟო პროცედურების დამთავრებამდე. თუმცა, შესაძლებელია, რომ საქონელი გაშვებულ იქნეს, ხოლო გადახდელს მიეცეს საბაჟო გადასახდელების გადახდის გადავადება. ასეთი გადავადება, როგორც წესი ხორციელდება საქონლის გაშვებიდან ერთ თვეში, მაგრამ არანაკლებ 10 დღისა.

საბაჟო გადასახდელების დარიცხვა ხდება საბაჟო დეკლარაციის წარდგენიდან, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში, ხოლო საბოლოო დარიცხვის დროს მიეთითება საბაჟო გადასახდელების მთელი თანხა. აქ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ რიგ ქვეყნებში დარიცხვას აწარმოებს საბაჟო ორგანო, ხოლო რიგ ქვეყნებში თვითონ დეკლარანტი.

საბაჟო გადასახდელების დარიცხვა ეწოდება გადახდას დაქვემდებარებული გადასახდელების განსაზღვრას. თავის მხრივ დარიცხვა ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. ეს ფაქტორებია:

- ა) სატარიფო კლასიფიკაცია;
- ბ) საბაჟო ღირებულება ან შესაბამისი ზომის ერთეული (ლიტრი,

კილოგრამი, მ<sup>3</sup> და ა. შ.);

გ) საქონლის წარმოშობის ქვეყანა.

დაბეგერის მიზნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს საქონლის კოდი ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურა მიღებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ (რომელსაც შემდგომ ღებულობენ ცალკეული ქვეყნები), ხოლო შესაბამისი განაკვეთები თანხმდება—ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან (რასაკვირველია, თუ ქვეყანა არის ამ ორგანიზაციის წევრი).

დარიცხვა ზორციელდება შემდეგი სახის განაკვეთების საფუძველზე:

ა) ადვალური;

ბ) სპეციფიკური;

გ) კომბინირებული.

ადვალურია ისეთი განაკვეთი, რომელიც დაერიცხება საბაჟო ღირებულებას პროცენტულად. მაგ. 1000 ევროს 12%.

სპეციფიკურია ისეთი განაკვეთი, რომელიც დაბეგერის ზომის ერთეულების მიხედვით გამოიანგარიშება არაღირებულებითი საფუძველიდან. მაგ. 1000 ლიტრ ბენზინზე 100 ევრო;

კომბინირებულია ისეთი განაკვეთი, რომელიც მოიცავს ადვალური და სპეციფიკური განაკვეთების კომბინაციას. მაგ. 1000 ევროს 12%, მაგრამ არანაკლებ 50 ევროსი ან 1000 ევროს 12%, ხოლო 1000 ევროზე ზემოთ ყოველ ევროზე—0,2 ევრო და ა.შ.

ქვეყნები ადგენენ საბაჟო გადასახდელების გამოყენების დროს. მარტივად, რომ ვთქვათ, კანონმდებლობით დგინდება საბაჟო გადასახდელების განაკვეთების მოქმედების და გამოყენების მომენტი. ასეთ მომენტად დგინდება შემდეგი სიტუაციებიდან ერთ-ერთი:

ა) საქონლის წარდგენის მომენტი;

ბ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენის მომენტი;

გ) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტი;

დ) საბაჟო გადასახდელების გადახდის მომენტი;

როგორც წესი, უმრავლეს ქვეყნებში გამოიყენება საბაჟო გადასახდელების ის განაკვეთები, რომელიც მოქმედებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის.

საბაჟო გადასახდელების დარიცხვა ადვალური პრინციპის მიხედვით ხორციელდება ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში ფიქსირებული მომენტების დროს არსებული ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით. ეროვნული ვალუტის კურსი, როგორც წესი, დგინდება ყოველდღიურად ცენტრალური ბანკების მიერ.

## §17.2 საბაჟო გადასახდელების გადახდა

საბაჟო გადასახდელების გადახდა ნიშნავს მის ჩარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში დადგენილი წესით. გადახდაზე პასუხისმგებელი პირი დგინდება ეროვნული კანონმდებლობით და იგი არის უშუალოდ იმპორტიორი ან ექსპორტიორი ან არაპირდაპირი წარმომადგენელი. ამასთან შესაძლებელია, ზოგჯერ პასუხისმგებლობა დაეკისროთ სოლიდარულად, როგორც საქონლის მესაკუთრეს (ექსპორტიორი, იმპორტიორი), ასევე არაპირდაპირ წარმომადგენელს.

საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადა დგინდება ეროვნული კანონმდებლობით. როგორც წესი, საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე ან საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემდეგ ან საქონლის გაშვების დროს. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როდესაც გადახდა ხორციელდება საქონლის გაშვების შემდეგ.

საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო გადასახდელების გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება ერთი თვის ვადაში. თუ, ქვეყანა ადგენს საქონლის გაშვების შემდეგ გადახდის გარკვეულ ვადას, მაშინ იგი არ უნდა იყოს 10 სამუშაო ან 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან ამ ვადაში საურავი არ დაერიცხება, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ გადაუხდელ თანხებზე დაერიცხება შესაბამისი საურავი.

ვადაში გადაუხდელ საბაჟო გადასახდელების თანხაზე დაერიცხება, არა მხოლოდ საურავი, არამედ—ჯარიმაც. ჯარიმის გადახდა გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ გადაუხდელობა მოხდა საბაჟო ორგანოს მიზეზით. მაგ. თუ საბაჟო ორგანომ შეცდომით არ მიიღო დოკუმენტები ან დაგვიანებით განახორციელა გადაწყვეტილების მიღება.

საბაჟო ორგანოს შეუძლია ხელშეკრულება დადოს დეკლარანტთან საბაჟო გადასახდელების გადახდის გადავადების



გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, თუ გაგრძელებული ვადის განმავლობაშიც არ იქნა გადახდილი გადასახადები, მაშინ საურავი უნდა დაერიცხოს ვადის გაგრძელების დღის მეორე დღიდან.

საბაჟო გადასახდელები გარკვეულ ზღვარს ქვემოთ არ ამოიღება. ქვეყნები ადგენენ საბაჟო გადასახდელებით დაუბეგრავ მინიმუმს ან თავად მინიმალურ საბაჟო გადასახდელების თანხას. ვთქვათ, 500 ევროს ღირებულების საქონლის იმპორტი არ იბეგრება ან 100 ევრომდე თანხის საბაჟო გადასახდელების არსებობის დროს ეს გადასახდელები არ გადაიხდებიან. ეს იმით არის გაპირობებული, რომ უმნიშვნელო თანხების აღმინისტრირება გაცილებით ძვირი ჯდება, როგორც საბაჟო ორგანოების, ასევე დეკლარანტების მხრიდანაც.

აღსანიშნავია, რომ თუ, საბაჟო ორგანო აღმოაჩენს საბაჟო გადასახდელების არასრულად გადახდის შემთხვევას და გადაუხდელი თანხა არ აღემატება შესაბამის მინიმალურ თანხას, მაშინ საბაჟო ორგანო ასეთ თანხებს არ ახდევინებს.

განასხვავებენ საბაჟო გადასახდელების თანხების გადახდის გადავადებას და გადავადებული გადასახდელების გადახდის ვადის გაგრძელებას. პირველ შემთხვევაში საურავი არ დაერიცხება, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება დარიცხვა. მაგ. საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადა იყო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღე, ხოლო გადახდა გადავადდა 10 დღით, რომელსაც თავის მხრივ გაუგრძელდა ვადა 5 დღით. ბოლო 5-დღიან ვადას დაერიცხება საურავი გადახდის გადავადების დღის მეორე დღიდან ანუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მეორე დღიდან.

აღსანიშნავია, რომ როდესაც საურავი არ ერიცხება გადავადებულ გადასახდელებზე, იგი შეიძლება მაინც დაარიცხოს საბაჟო ორგანომ ინფლაციის მოტივის გათვალისწინებით. ეს შემთხვევები კანონმდებლობით არის გაწერილი.

საბაჟო გადასახდელების გადახდისაგან, როგორც წესი, ქვეყნები ათავისუფლებენ შემდეგ საქონელს:

ა) ადამიანური წარმოშობის სამკურნალო პრეპარატები, სისხლისა და კანის ჯგუფის განმსაზღვრელი რეაქტივები, იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი განკუთვნილია კომპენტენტური ორგანოების მიერ უფლებამოსილი ორგანიზაციებისა და ლაბორატორიებისათვის;

ბ) არაკომერციული ღირებულების ნიმუშები, რომელთაც საბაჟო ორგანო განიხილავს, როგორც მცირედი ღირებულებისას და, რომლებიც, გამოიყენება მხოლოდ ამ სახის საქონლის შეკვეთების მისაღებად;

გ) მოძრავი ქონება(გარდა სამრეწველო, კომერციული და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დანადგარებისა და მოწყობილობებისა), რომელიც განკუთვნილია პირის ან მისი ოჯახის წევრების მიერ პირადი და პროფესიონალური მიზნებისათვის, რომელიც შემოდის ქვეყანაში ამ პირთან ერთად ან ცალკე, ამ ქვეყანაში მუდმივ გადასვლის მიზნით;

დ) პირის მიერ მემკვიდრეობით მიღებული საგნები, როდესაც წინა მფლობელის გარდაცვალების დღისათვის, მემკვიდრის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის შემოტანის ქვეყანა, იმ პირობით, რომ პირადი მოხმარების ეს საგნები გამოიყენებოდა ადრე მფლობელის მიერ პირადი მიზნებისათვის;

ე) პირადი საჩუქრები(გარდა სპირტის, ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს ნაწარმისა), რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სიდიდეს საცალო ფასებში;

ვ) ისეთი საქონელი, როგორიც არის საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, ტანსაცმელი და საბანი ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ზ) შემოტანის ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირთა მიერ საზღვარგარეთ მიღებული პრიზები საბაჟო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ;

თ) სამხედრო სასაფლაოების მშენებლობის, შენახვის და გაფორმების მასალები; კუბოები, დასაკრძალი ურნები და დაკრძალვის მოწყობილობები, რომლებიც შემოაქვთ კომპენტენტური ორგანოებისაგან უფლებამოსილ ორგანიზაციებს;

ი) არაკომერციული ღირებულების დოკუმენტები, ბლანკები, პუბლიკაციები, ანგარიშები და სხვა საგნები;

კ) რელიგიური კულტის საგნები;

ლ) პროდუქტები, რომელიც შემოტანილია ტესტირებისათვის, იმ პირობით, რომ მათი რაოდენობა არ აღემატება აუცილებელ რაოდენობას, ხოლო ტესტირების დროს იგი გამოყენებულ იქნება მთლიანად

ან გატანილ იქნება უკან ან განადგურდება საბაჟო კონტროლქვეშ კომერციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოყვანით.

### §17.3 საბაჟო გადასახდელების დაბრუნება

საბაჟო გადასახდელების დაბრუნების ქვეშ იგულისხმება:

- ა) გადახდილი საბაჟო გადასახდელების სრული დაბრუნება;
- ბ) გადახდილი საბაჟო გადასახდელების ნაწილობრივი დაბრუნება;
- გ) გადაუხდელი საბაჟო გადასახდელებისაგან სრული გათავისუფლება;
- დ) გადაუხდელი საბაჟო გადასახდელებისაგან ნაწილობრივი გათავისუფლება.

გადახდილი საბაჟო გადასახდელების სრული დაბრუნება ნიშნავს ყველა სახის საბაჟო გადასახდელების დაბრუნებას, ხოლო ნაწილობრივი დაბრუნება—მხოლოდ ზოგიერთი მათგანის დაბრუნებას.

ანალოგიურად, მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლება ნიშნავს ყველა გადასახადისაგან გათავისუფლებას ან ზოგიერთი მათგანისაგან გათავისუფლებას.

საბაჟოზე გადახდილი გადასახადები შეიძლება დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ შემოტანილი საქონელი დაზიანებული ან გაფუჭებულია და საბაჟო კონტროლის შედეგად ეს ფაქტი საფუძვლიანად არის იდენტიფიცირებული.

საბაჟო გადასახდელები ბრუნდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი შეცდომით ზედმეტად არის დარიცხული. ეს შეცდომა შეიძლება მოუვიდეს დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს. ამ შემთხვევაში მიზეზი შეიძლება იყოს რეალურზე უფრო მაღალი საბაჟო ღირებულება, არასწორი სავალუტო კურსი, საქონლის წარმოდგენილი რაოდენობა, ხარისხი და სხვა.

საბაჟო გადასახდელები შეიძლება დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემოტანის ან გატანის დროს დაფიქსირებულია საქონლის ღირებულებები ან იგი არ შეესაბამება შესაბამის სერტიფიცირებას და ეს საქონელი უბრუნდება ექსპორტიორს. ამ შემთხვევაში

უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები:

ა) საქონელი არ უნდა გამოიყენებოდეს და არ უნდა იყოს გარემონტებული შემოტანის ქვეყანაში და რეექსპორტირებულ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში;

ბ) საქონელი არ უნდა გამოიყენებოდეს და არ უნდა იქნეს გარემონტებული იმ ქვეყანაში საიდანაც იგი იქნა ექსპორტირებული და შემდგომ ამ ქვეყანაში რეიმპორტირებული გონივრულ ვადაში.

აღსანიშნავია, რომ საბაჟოზე გადახდილი გადასახადები შეიძლება დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გამოიყენებოდა ექსპორტის ან იმპორტის ქვეყანაში, მაგრამ გამოყენების პროცედურები მიმართული იყო დეფექტების აღმოჩენისათვის. მაგ. მაცივრის ჩართვა.

საბაჟო გადასახდელები შეიძლება დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ დაუძლეველი ძალის შედეგად მოხდა საქონლის განადგურება.

ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები გარკვეულწილად იღება ელექტრონული ფორმით კომპიუტერის საშუალებით. ამდენად ეს კონტრაქტები ოფიციალურად არ ფორმდება, რაც გამორიცხავს დეფექტების გათვალისწინებას წერილობითი ფორმით. ამიტომ საბაჟო ორგანოს დეფექტების დადგენის დროს შეიძლება წარედგინოს შესაბამისი ფაქტობრივი მტკიცებულებები.

გადასახდელები შეიძლება დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი საბაჟო რეჟიმი იცვლება მეორე საბაჟო რეჟიმით. მაგ. იმპორტი იცვლება ექსპორტით. ამ შემთხვევაში კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ერთი რეჟიმის მეორე რეჟიმით შეცვლის მოკლე ვადები ანუ შეცვლის ვადები, რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს.

საბაჟო გადასახდელების დაბრუნება ხორციელდება დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზოგიერთ ქვეყანაში ზედმეტად გადახდილი გადასახდელის დაბრუნება ითვალისწინებს პროცენტების დარიცხვასაც.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება, რომ ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელები წარმოიშვა საბაჟო ორგანოს მიზებით, მაშინ ხდება შესაბამისი თანხების დაბრუნება პრიორიტეტუ-

ლი წესით, რაც ითვალისწინებს დაბრუნების შესაბამის ვადებსაც.

აღსანიშნავია, რომ, როგორც 17.2 პარაგრაფში ვნახეთ არსებობს დაუბეგრავი მინიმუმი, რომლის ამოღება არ ხდება. ანალოგიურად გადასახადების დაბრუნების დროს, თუ დასაბრუნებელი თანხა კანონმდებლობით დადგენილ თანხაზე ნაკლებია, მაშინ იგი არ დაბრუნდება. მაგ. თუ, დადგენილია, რომ დაუბრუნებელი მინიმუმი შეადგენს 300 ევროს, ხოლო ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 250 ევრო, მაშინ ეს თანხა არ დაბრუნდება.

## §17.4 საბაჟო მოსაკრებლები

საბაჟო მოსაკრებლები წარმოადგენს საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარანტისადმი გაწეული მომსახურების საფასურს. ამასთან, საბაჟო მოსაკრებელი მაშინ უნდა იქნეს გადახდივნიებული საბაჟო ორგანოების მიერ, როდესაც საბაჟო პროცედურები ხორციელდება არასამუშაო დღეს ან კანონმდებლობით გაუთვალისწინებულ სხვა ადგილზე. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო ორგანოს მიერ გადაიხდივნიება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის;
- ბ) სხვა ადგილზე საქონლის გადმოტვირთვისათვის;
- გ) საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის გადმოტვირთვისათვის.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით განვითარებადი ქვეყნები (მაგ. დსთ-ის ქვეყნები) საბაჟო მოსაკრებელს ახდენივენ საბაჟო ორგანოს სამუშაო დროსაც, ფიქსირებული ან ადვალური განაკვეთებით, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო საბაჟო კონვენციებს.

საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები დგინდება გონივრულ ფარგლებში და იგი არ შეიძლება იყოს ფისკალური ან პროტექციონისტური ფუნქციის მატარებელი. მოსაკრებლის განაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარანტისადმი გაწეული მომსახურების საფასურს.

საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთის შემოღების ტიპურ

მაგალითის წარმოადგენს შემდეგი სქემა: 2000 ევროზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის შემთხვევაში—60 ევრო ერთ საბაჟო დეკლარაციაზე, ხოლო 2000 ევროზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის შემთხვევაში—10 ევრო ერთ დეკლარაციაზე.

## §17.5 საბაჟო ტარიფი (საბაჟო გადასახადი)

საბაჟო ტარიფი(Customs tariff) არის მრავალპარამეტრიანი საბაჟო გადასახადი(Customs duty). კერძოდ, საბაჟო ტარიფი, როგორც წესი, შეიცავს შემდეგ ფუნქციონალურ პარამეტრებს:

- ა) საბაჟო გადასახადის განაკვეთი;
- ბ) სასაქონლო ნომენკლატურა;
- გ) საბაჟო პრეფერენციები.

ამასთან განასხვავებენ ინტეგრირებული ტარიფის ცნებას. ეს ისეთ მაჩვენებელთა სისტემაა, რომელიც საბაჟო გადასახადის განაკვეთს, სასაქონლო ნომენკლატურასა და პრეფერენციებთან ერთად მოიცავს სხვა გადასახდელების განაკვეთსაც, სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებს (სერტიფიკატი, კვოტა, ლიცენზიები, ნებართვები და ა.შ), აკრძალული საქონლის ნუსხას და ყველა იმ დოკუმენტალურ და შეზღუდვით რეგულაციას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების(დამუშავების ოპერაციების) მიხედვით მოცემულ საქონელს.

ზემოაღნიშნული პარამეტრები დაბეგვრის ასპექტით ყოველთვის განიხილება ერთობლივად და კომპლექსურად.

საბაჟო გადასახადი (ხშირად ერევათ საბაჟო გადასახდელებში. ავტ) არის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების დროს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა.

საბაჟო გადასახადი, გადახდის შინაარსით და დაბეგვრის სუბიექტიდან გამომდინარე ისეთივე არაპირდაპირი გადასახადია, როგორც სხვა ირიბი გადასახადები, მაგალითად, აქციზი ან დღგ. იგი შედის მიწოდებული იმპორტირებული საქონლის სარეალიზაციო საბითუმო ან საცალო საქონლის ფასში, აძვირებს მას გადასახადის თანხის ოდენობით და მისი საბოლოო გადამხდელი არის ამ საქონლის მომხმარებელი.

საბაჟო გადასახადის თანხა თავის მხრივ განიხილება დამატებულ ღირებულებად და იგი არის დამატებული ღირებულების გადასახადით(დღგ) დაბეგერის არეალის სფერო, რაც კიდევ უფრო აძვირებს საქონლის ფასს.

საინტერესოა თვითონ სიტყვა „ტარიფის“ ეტიმოლოგიური წარმოშობა. იგი ორ სხვადასხვა მოვლენას უკავშირდება. ჩ.წ.ა. მე-2 საუკუნის რომის იმპერიაში ქვაზე(ანუ ტარიფზე) ამოკვეთილი იყო ქალაქ-ოაზისის-პალმირის მთელი საგადასახადო სისტემა. არსებობს სხვაგვარი ახსნაც: მე-7 საუკუნეში სამხრეთ ესპანეთის კუნძული დაიპყრეს არაბებმა, რომლებიც გადასახადს იღებდნენ გიბრალტარის სრუტეში გამავალი გემებიდან. არაბების მეთაურს ერქვა ტარიფ ბენ გალიკი და კუნძულსაც მისი სახელი დაერქვა, რომლისგანაც მომდინარეობს ტერმინი „ტარიფიც“.

საბაჟო გადასახადი, როგორც განაწილებითი ურთიერთობის მექანიზმი განიხილება დიფერენციალური რენტის ნაირსახეობად. კერძოდ, დიფერენციული რენტა (მიწის ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით) ეფუძნება წარმოების ხარჯებს შორის სხვაობას(მაგ. მაღალი ნაყოფიერების და ბაზრებთან ახლომდებარე მიწებს სჭირდებათ დაბალი წარმოების ხარჯები). ანალოგიურად, საბაჟო გადასახადს, თუ ჩავთვლით ინტერნაციონალურ რენტად, მაშინ მისი დაწესების მეთოდოლოგიური საფუძველი იქნება ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის ანალოგიურ საქონელთა ფასთა შორის სხვაობა, რაც თავის მხრივ წარმოების ხარჯებს შორის სხვაობას ეფუძნება და, რაც არის სწორედ რენტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლასიკური გაგებით, საბაჟო გადასახადის განაკვეთი თეორიულად და პრაქტიკულად ეფუძნება ფასების სისტემას. ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ანალოგიური საქონლის ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს ამ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადის დაწესების მეთოდოლოგიურ საქონელს. კერძოდ, არსებობს საბაჟო გადასახადის შემოღების მიზანშეწონილობის სამი კლასიკური ფაქტორი, როცა:

- ა) გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას;
  - ბ) გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას;
  - გ) გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე.
- განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ შემდეგი მომენტები:

- ა) როცა ფასთა სხვაობა ნულის ტოლია;
- ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებულზე;
- გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებულზე.

ფასთა სხვაობა ნულის ტოლია და საბაჟო გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას ანუ ნულს. ამ შემთხვევაში საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონელი ერთნაირი დაბეგერის რეჟიმშია მოქცეული და ამდენად საბაჟო გადასახადის განაკვეთი შემზღუდველ გავლენას ვერ ახდენს მოცემული საქონლის იმპორტზე.

ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებული საქონლის ფასზე და საბაჟო გადასახადი უდრის მათ შორის სხვაობას. ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადს მაკომპენსირებელი ფუნქცია აქვს ანუ ადგილობრივი წარმოების საქონლის მაღალი ფასი გადაიფარება საბაჟო გადასახადის იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება ფასთა სხვაობას და ზღბა იმპორტირებული საქონლის ფასის კომპენსირება და ჩანაცვლება—აწვეა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასის ღონემდე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელოვნურად ზრდის იმპორტირებული საქონლის ფასს, რათა თანაბარ პირობებში ჩააყენოს კონკურენცია.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებულ, ანალოგიური საქონლის ფასზე და საბაჟო გადასახადი უდრის მათ შორის სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საქონელი სახელმწიფოს ორმაგი პროტექციის საგანი ზღბა, რადგანაც დაბეგერის შემდგომ ფასთა შორის სხვაობა ორჯერ იზრდება.

საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. აქაც უნდა განვასხვავოთ სამი შემთხვევა:

- ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია;
- ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია ვიდრე იმპორტირებულის;



გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებულის.

ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივ წარმოებას სახელმწიფო იცავს იმ დოზით, რაც გათვალისწინებულია ფასთა სხვაობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის ფასი აღემატება ადგილობრივი წარმოების ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტირებულ საქონელს.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასები მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში იმპორტირებული საქონლის დაბალი ფასი არა მარტო კომპენსირდება ფასთა სხვაობით, არამედ უსწრებს ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში, არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტს და, შესაბამისად, იწვევს ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია იმ ზომით, რაც აისახება ფასთა სხვაობასა და, შესაბამისად, საბაჟო გადასახადის განაკვეთის სიდიდეში.

საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე. აქაც უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა:

ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია;

ბ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა;

გ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა.

ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე. ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად არ არსებობს, რადგანაც არ შეიძლება იმპორტირებულ საქონელს გადასახადებისაგან გათავისუფლებაზე უკეთესი პირობები შეუქმნან (თუმცა, თეორიულად „უკეთესი პირობა“ ის იქნებოდა, თუ სახელმწიფო მონოპოლიურად უფრო მაღალ ფასად შეისყიდოდა იმპორტირებულ საქონელს, ვიდრე ანალოგიურ ადგილობრივ საქონელს).

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთან სხვაობაზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საბაჟო გადასახადის განაკვეთი არ წარმოადგენს ნულს, არამედ იგი მერყეობს ნულიდან იმ სიდიდედღე, რაც ფასთან სხვაობის მაქსიმუს შეადგენს. ეს ის მომენტი, როდესაც ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია შესაბამისი სატარიფო ბარიერით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მხედველობაშია მისაღები იმპორტირებული საქონლის „CIF“ ღირებულება და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონლის საბითუმო ფასები ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც სტრუქტურულად შეესაბამება „EXW“ ფასებს. მსგავს მეთოდოლოგიურ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფასთან სხვაობის დადგენის სიზუსტისათვის.

### §17.5.1 საბაჟო გადასახადის ფუნქციები

ყველა არაპირდაპირ გადასახადს გააჩნია მთლიანი შიდა პროდუქტის განმანაწილებელი ფუნქცია. ამდენად, საბაჟო გადასახადთან მიმართებით ამ საკითხზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

საბაჟო გადასახადს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

- ა) პროტექციონისტური;
- ბ) ფისკალური.

პროტექციონისტური ფუნქცია ნიშნავს მაღალი სატარიფო ბარიერის „აღმართვას“ საბაჟო საზღვარზე, რის შედეგადაც იმ ზომით სუსტდება იმპორტირებული საქონლის კონკურენტუნარიანობა, რა ზომითაც იზრდება საბაჟო გადასახადის განაკვეთი. ამ შემთხვევაში მაღალი საბაჟო გადასახადის განაკვეთი ასახვას პოულობს იმპორტირებული საქონლის სარეალიზაციო ფასში და ადგილობრივ ანალოგიურ საქონელთან მიმართებით მასზე მოთხოვნა მცირდება. შესაბამისად ადგილობრივი წარმოება გარკვეულ „სასათბურე“ პირობებს იღებს უცხოურ საქონელთან მიმართებით.

საბაჟო გადასახადის პროტექციონისტური ფუნქციის ზრდა პირდაპირპროპორციულია მისი ფისკალური ფუნქციის ზრდისა და პირიქით, საბაჟო გადასახადის ფისკალური ფუნქციის შემცირება

იწვევს მისი პროტექციონისტური ფუნქციის შემცირებას.

ქვეყნები საბაჟო გადასახადის განაკვეთებთან მიმართებით პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი, განვითარებული ქვეყნები, მაგ. აშშ და ევროკავშირი და მეორე, განვითარებადი ქვეყნები.

რაც უფრო ეკონომიკურად დაწინაურებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში საქონლის აბსოლუტური ფასები და პირიქით, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს დაბალი აბსოლუტური ფასები. აქედან გამომდინარე დაბალფასიანი საქონლის იმპორტისაგან თავდასაცავად განვითარებული ქვეყნები იყენებენ მაღალ სატარიფო ბარიერს(სხვა არასატარიფო ღონისძიებებთან ერთად), ხოლო განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ საერთოდ გააუქმონ საბაჟო გადასახადები და მიმართონ ადგილობრივი წარმოების სუბსიდიზირებას, რაც გაცილებით ეფექტურია ვიდრე სატარიფო ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე სკეპტიკურად უყურებდა პროტექციონიზმის იდეას, როდესაც წერდა: „რა გზით ნდომულობენ ბედნიერების ჩამოვარდნას პროტექციონელი? ამისათვის ერთადერთი ღონეა „ტამოჟნა“, ესე იგი საბაჟო. რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით კხლართავს საქონლის გატან-გამოტანის საქმეს და ამეებით იმოდენად ჰზრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ველარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა.“

ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდამ დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა, და იქნება ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისთვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იფიჩემ-შენობის განურჩევლად“.

ცნობილი რუსი ქიმიკოსი დ. მენდელეევი პროტექციონიზმის მომხრე იყო და ამაში აწრმუნებდა ნიკოლოზ-II-ს. ამასთან, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მან შექმნა რუსეთის იმპერიის საბაჟო

ტარიფები XIX-ის ბოლოს.

პროტექციონისტურ საბაჟო ტარიფთან დაკავშირებით აღსანიშნავია პეტრე პირველის მიერ 1724 წელს შემოღებული დაცვითი ტარიფების საინტერესო სისტემა. კერძოდ, თუ შიდა წარმოების პროდუქტების რაოდენობა შეადგენდა იმპორტირებულის 25%-ს, მაშინ საბაჟო გადასახადი იყო იმპორტირებული საქონლის ღირებულების 25%; თუ, იგი შეადგენდა მესამედს, მაშინ განაკვეთი იქნებოდა  $1/3$  (ერთი მესამედი), ხოლო, თუ 50%-ს, მაშინ საბაჟო გადასახადიც იზრდებოდა 50%-მდე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი წარმოება იქნებოდა 75%-საბაჟო გადასახადის განაკვეთიც იქნებოდა 75%. ეს იყო მზარდი პროტექციონიზმი.

თანამედროვე ღია ეკონომიკის პირობებში, სადაც კოსმოპოლიტური ხასიათის კაპიტალს ეროვნება და სამშობლო არა აქვს, საქონელთა ნაკადების შეკავება საბაჟო საზღვარზე საბაჟო გადასახადის პროტექციონისტური ფუნქციის გამოყენებით შეუძლებელია და მაკროეკონომიკურად მიზანშეუწონელიც, რაც გამოიხატება მრავალ სინთეზურ და კაზუალურ ეკონომიკურ ფაქტორში. ფაქტობრივად საბაჟო გადასახადებს ქვეყნების ეკონომიკათა შორის ხიდის ფუნქცია აკისრიათ. ისინი აერთებენ ბაზრებს ან თიშავენ მათ.

ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ საბაჟო გადასახადის ე.წ მარეგულირებელ ფუნქციას, რაც პროტექციონისტური ფუნქციის ნაირსახეობად შეიძლება განვიხილოთ. მარეგულირებელი ფუნქციის არსი გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ დიფერენცირებული განაკვეთების მიხედვით ზდება იმპორტირებული ნედლეულისა, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის დაბეგვრა, ხოლო ექსპორტის დროს ისეთი საქონლის ექსპორტის შეზღუდვა, რომლის დიდი ოდენობით გატანა ქვეყნიდან მაკროეკონომიკური ასექტებით არ არის მიზანშეწონილი. პირველ შემთხვევას, როდესაც ნედლეულის იმპორტი დაბალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე ნახევარფაბრიკატის, ხოლო ნახევარფაბრიკატის შედარებით დაბალით, ვიდრე მზა პროდუქციის—ეწოდება სატარიფო ესკალაცია.

## §17.6 ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არის ხელოვნურად შემცირებული ფასით საქონლის იმპორტის დროს იმპორტიორი ქვეყნის მიერ შესაბამისი ზარალისაგან თავის არიდების მეთოდი. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ცნება მომდინარეობს დემპინგის ცნებიდან. დემპინგს მაშინ აქვს ადგილი: თუ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ფასი:

ა) ნაკლებია ექსპორტიორ ქვეყანაში ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში მოხმარებისათვის განკუთვნილი ანალოგიური საქონლის შესადარ ფასზე;

ბ) ასეთი ადგილობრივი ფასის არარსებობის შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე:

– ანალოგიური საქონლის ყველაზე მაღალი შესადარი ფასი ნებისმიერ მესამე ქვეყანაში ექსპორტისას ვაჭრობის ჩვეულებრივი პირობების დროს;

– წარმოშობის ქვეყანაში საქონლის წარმოების ღირებულებას დამატებული შესაბამის ფარგლებში გაყიდვის ხარჯები და მოგება. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსხვავება ვაჭრობის პირობებში, დაბეგვრის სისტემაში, ასევე სხვა განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფასების შედარებაზე.

ანტიდემპინგური გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დემპინგურ სხვაობას, ხოლო დემპინგური სხვაობა გამოიანგარიშება ზემოთ აღნიშნულ „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დებულებების მიხედვით დადგენილ ფასთა შორის სხვაობით. მაგალითად, დემპინგურ ფასს, მაშინ აქვს ადგილი, თუ საქართველოში თურქეთიდან შემოტანილი ფქვილის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე ამავე ფქვილის ფასი(სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგ. ტრანსპორტირება ან შიდა გადასახადები) თურქეთის შიდა ბაზარზე. დემპინგურია საქონლის ფასი მაშინაც, თუ თურქული ფქვილის ფასი, რომელიც საქართველოშია შეტანილი, უფრო დაბალია, ვიდრე ამავე ფქვილის ფასი, რომელიც თურქეთიდან სხვა ქვეყანაშია შეტანილი (ეს პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის შიდა ბაზარზე აღნიშნული საქონელი არ იყიდება). და, ბოლოს დემპინგს აქვს ადგილი, მაშინაც, როდესაც თურქეთიდან საქართველოში შეტანილი

ფქვილის ფასი უფრო დაბალია ვიდრე თურქეთში ამ ფქვილის წარმოების ხარჯებს დამატებული მიმოქცევის ხარჯები და მოგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დემპინგური სხვაობა იქნება სწორედ ჩამოთვლილ ფასებს შორის სხვაობა

დაკუშვით, რომ დემპინგური სხვაობა ერთეულ პროდუქციაზე შეადგენს 10 აშშ დოლარს. მაშინ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხას ანუ პროცენტულად ან ფიქსირებულად შემოღებულ უნდა იქნეს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი, რომელიც ზემოაღნიშნული სიდიდის ტოლი ან ნაკლები იქნება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღება არ აუქმებს ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის მოქმედებას. მაგალითად, ფქვილის იმპორტი საქართველოში იბეგრება 12%-იანი საბაჟო გადასახადით. ამასთან, ეს ფქვილი შემოვიდა 10 აშშ დოლარით შემცირებული ფასით ანუ შემოღებულ უნდა იქნეს 10 აშშ დოლარის ოდენობის ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი. ამ შემთხვევაში ეს საქონელი ჯერ უნდა დაიბეგროს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადით, ხოლო შემდეგ დემპინგური ფასისა და ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ჯამში — ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არ შემოიღება, თუ დემპინგური სხვაობა არის მინიმალური ან დემპინგური იმპორტი უმნიშვნელო ზარალს აყენებს სამამულო წარმოებას. დემპინგური სხვაობა განხილულ უნდა იქნას, როგორც დე მინიმის, თუ იგი შეადგენს პროდუქციის საექსპორტო ფასის 2 პროცენტზე ნაკლებს. დემპინგური იმპორტის მოცულობა ჩვეულებრივ ითვლება უმნიშვნელოდ, თუკი ირკვევა, რომ გარკვეული ქვეყნიდან დემპინგური იმპორტის მოცულობა შეადგენს მსო-ს იმპორტიორი წევრი სახელმწიფოს მსგავსი პროდუქციის იმპორტის 3 პროცენტზე ნაკლებს, იმ პირობით, რომ ქვეყნებზე, რომელთა ინდივიდუალური წილი მსო-ს იმპორტიორი სახელმწიფოს მსგავსი პროდუქციის იმპორტში შეადგენს 3 პროცენტზე ნაკლებს, ჯამში მოდის ასეთი იმპორტის არაუმეტეს 7 პროცენტისა.

ისევე, როგორც საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის დროს, ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი მხოლოდ იმ პერიოდის

განმავლობაში უნდა მოქმედებდეს, რომელიც საჭიროა დემპინგის, როგორც ზარალის გამომწვევი ფაქტორის გასანეიტრალებლად. ამასთან, მისი მოქმედების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

## §17.7 საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი შიდა ბაზრის დაცვის ერთ-ერთი ლეგალური საშუალებაა. იგი გათვალისწინებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის(ვმო) შესამაგისი შეთამხმებით.

ქვემოთ კომპაქტურად მიმოვიხილოთ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის არსი, მისი შემოღების პირობები და სუბსიდიების მნიშვნელობა ამ გადასახადის დაწესების დროს.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი არის ისეთი საბაჟო გადასახადი, რომელიც ანეიტრალებს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის ექსპორტიორისადმი მიცემული სუბსიდიის საფუძველზე ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ხელოვნურად შემცირებული საბაჟო ღირებულების, და შესაბამისად, ამ საქონლის იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე შემცირებული ფასებით რეალიზაციით გამოწვეულ ზარალს.

ვმო-ის შეთანხმებების შესაბამისად ვმო-ის წევრმა ქვეყნებმა, თუ ისინი გადაწყვეტენ ექსპორტის სუბსიდირებას წინასწარ უნდა შეათანხმონ ერთმანეთთან სუბსიდირების აუცილებლობის გამომწვევი მიზეზები. ამასთან ეს ეხება აგრეთვე იმ სამამულო საქონლის სუბსიდირებასაც, რომელიც მართალია არ გადის ექსპორტზე, მაგრამ ამცირებს ანალოგიური საქონლის იმპორტს წვერი ქვეყნიებიდან. თუ, შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარე გასცემს ან ინარჩუნებს ნებისმიერი სახის სუბსიდიას, შემოსაუღების ან ფასების მხარდაჭერის ნებისმიერი ფორმის ჩათვლით, რომლის პირდაპირი ან ირიბი შედეგია მისი ტერიტორიიდან ნებისმიერი სახის საქონლის ექსპორტის ზრდა ან მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საქონლის იმპორტის შემცირება, მან შეთანხმების მონაწილე მხარეებს წერილობით უნდა აცნობოს სუბსიდიის ოდენობის და ფორმის შესახებ, სუბსიდირების გავლენის მის ტერიტორიაზე იმპორტირებული ან

მისი ტერიტორიიდან ექსპორტირებული სუბსიდირებული საქონლის ან საქონლის ჯგუფის რაოდენობის მიახლოებითი გაანგარიშება, აგრეთვე იმ გარემოებების შესახებ, რომელთა შედეგადაც წარმოიშვა სუბსიდირების აუცილებლობა.

ამასთან, ემო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს არ განახორციელონ ნედლეულის ექსპორტის სუბსიდირება, ხოლო, თუ მაინც განხორციელდება სუბსიდირება, მაშინ ექსპორტიორმა ქვეყანამ ამ სუბსიდიის შედეგად მსოფლიო ბაზრის შესაბამის სეგმენტში იმაზე მეტი წილი არ უნდა დაიკავოს ვიდრე იგი დაიკავებდა ამას სუბსიდიის გარეშე. ქვეყნები უნდა ეცადნენ თავიდან აიცილონ სანედლეულო საქონლის ექსპორტის სუბსიდირება. მაგრამ, თუ შეთანხმების მონაწილე მხარე გასცემს სუბსიდიას პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი ფორმით, რაც გამოიწვევს მისი ტერიტორიიდან სანედლეულო საქონლის ექსპორტის ზრდას, ეს სუბსიდია არ უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ შეთანხმების მონაწილე მხარემ ამ საქონლით მსოფლიო ექსპორტში დაიკავოს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი, ვიდრე მას, რეალურად ეკუთვნის.

ერთმანეთისაგან განასხვავდება სუბსიდიის განსაზღვრება და საექსპორტო სუბსიდიის ჩასმონათვალი. სუბსიდიის განსაზღვრება მოიცავს ზოგადად, როგორც სამამულო წარმოების მხარდაჭერას, ასევე იმ სამამულო საქონლის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. კერძოდ, სუბსიდირებას მაშინ აქვს ადგილი, როცა:

ა) ემო-ის წევრი ქვეყნის მთავრობის ან მის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან არსებობს ფინანსური დახმარება, რომლის დროსაც:

– მთავრობის საქმიანობა ამ სფეროში ითვალისწინებს ფონდების (გრანტები, სესხები და აქციების შესყიდვა) პირდაპირ ტრანსფერს ან ფონდებისა და ვალდებულებათა პოტენციურ პირდაპირ ტრანსფერს (ე.წ. სესხების გარანტიები);

– მთავრობის მოსალოდნელი შემოსავალი დაიხარჯა ან არ იქნა ამოღებული (ე.წ. ფისკალური წახალისება, როგორცაა საგადახადო კრედიტი);

– მთავრობა უზრუნველყოფს ზოგადი ინფრასტრუქტურის გარდა სხვა სახის პროდუქციითა თუ მომსახურებით, ან თავად



იძენს პროდუქციას;

– მთავრობა უხდის დამფინანსებელ ორგანიზაციას, ან უფლებამოსილებას გადასცემს ან უშუალოდ ავალებს კერძო იურიდიულ პირს განახორციელოს ზემოთ განსაზღვრული ფუნქციები, რომელთა აღსრულება ჩვეულებრივ შედის მთავრობის კომპეტენციაში და საზოგადოდ არ სცდება მთავრობის მიერ წარმოებული საქმიანობის ფარგლებს ან ადგილი აქვს რაიმე ფორმით დახმარებას საშემოსავლო თუ ფასების სფეროში;

ბ) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიიღება მოგება.

### §17.7.1 საექსპორტო სუბსიდიების ჩამონათვალი

საექსპორტო სუბსიდიებს, შემდეგი ფორმები აქვს:

ა) მთავრობის მიერ საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი ფირმებისა და წარმოებების პირდაპირი სუბსიდირება;

ბ) ვალუტის დატოვება და ექსპორტის წახალისების სხვა მსგავსი პრაქტიკა;

გ) მთავრობის მიერ ან მისი ნებართვით საექსპორტო პროდუქციის შიდა სატრანსპორტო გადაზიდვებზე და ფრახტზე უფრო შეღავათიანი პირობების დაწესება, ვიდრე ეს მოქმედებს დანარჩენი შიდა გადაზიდვებისათვის;

დ) მთავრობის ან მისი ორგანოების მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ საექსპორტო წარმოების უზრუნველყოფა საჭირო იმპორტირებული ან შიდა წარმოების პროდუქციითა თუ მომსახურებით უკეთესი პირობებით, ვიდრე იგივე ან მსგავსი კონკურენტი პროდუქციისა და მომსახურების შიდა მოხმარების წარმოებისათვის, თუ (პროდუქციის შემთხვევაში) ეს პირობები უკეთესია ვიდრე, ექსპორტიორებისათვის ბაზარზე არსებული კომერციულად ხელმისაწვდომი პირობები;

ე) ექსპორტის პირდაპირი გადასახადებისაგან ან სოციალურ ფონდებში გადარიცხვებისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება, რემისია და გადახდის გადავადება, რაც დაწესებულია სხვა კომერციული და სამრეწველო საწარმოებისათვის;

ვ) სპეციალური დაქვითვები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ექსპორტთან ან საექსპორტო საქმიანობასთან,

აღმატება ან საგრძობლად აღმატება მთავრობის მიერ შიდა მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქციისათვის დაწესებულ დაქვითვებს და გამოითვლება იმავე საფუძველზე, რომელზეც გამოითვლება პირდაპირი გადასახადები;

ზ) საექსპორტო წარმოების პროდუქციის ან დისტრიბუციის არაპირდაპირი გადასახადებისაგან გათავისუფლება ან რემისია უფრო მეტად, ვიდრე იმავე სახის შიდა მოხმარების პროდუქციის წარმოებისა და დისტრიბუციის მიმართ არის გათვალისწინებული;

თ) საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პროდუქციის ან მომსახურების წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადებისაგან გათავისუფლება, რემისია, გადახდის გადავადება უფრო მეტად, ვიდრე ამას ითვალისწინებს შიდა მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქციის მიმართ მოქმედი წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადების ანალოგიური შეღავათები; იმ პირობით, რომ წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადისაგან გათავისუფლება, რემისია ან გადახდის გადავადება ექსპორტირებულ პროდუქციაზე მოხდება მაშინაც, როდესაც გადასახადისაგან არ თავისუფლდება, არ რემისირდება და გადახდა არ გადავადდება მსგავსი შიდა მოხმარების პროდუქციის მიმართ, თუ წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადი ამოიღება იმ შუალედური წარმოების პროდუქციიდან, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოების დროს;

ი) საიმპორტო გადასახადების რემისია და დროუბეჭი უფრო მეტი მეტად, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული იმ იმპორტირებული შუალედური პროდუქციის მიმართ, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში (ნორმალური საწარმოო დანაკარგების გათვალისწინებით) იმ პირობით, რომ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფირმას შეუძლია იმპორტირებული შუალედური პროდუქცია ჩაანაცვლოს იმავე ხარისხისა და რაოდენობის შიდა წარმოების შუალედური პროდუქციით, რათა მან ისარგებლოს მოცემული დებულებით, თუ იმპორტსა და შესაბამის ექსპორტს ადგილი აქვს გონივრულად მისაღები დროის განმავლობაში, რომელიც ორ წელს არ უნდა აღმატებოდეს;

კ) მთავრობის (ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანოების) მიერ გაცემული საექსპორტო გარანტიები ან სადაზღვევო პროგრამები,

საექსპორტო ხარჯების გაზრდის საწინააღმდეგო და ორმხრივი რისკების დაზღვევისა და გარანტიის პროგრამები, რომლებსაც პრემიალური ხასიათი აქვთ და ვერ ფარავენ ხანგრძლივ საოპერაციო ხარჯებსა და სხვა დანაკარგებს;

ლ) მთავრობების (ან მათი კონტროლის ქვეშ მყოფი და/ან მათი სახელით მოქმედი დაწესებულებების) მიერ გაცემული საექსპორტო კრედიტები უფრო ნაკლები პროცენტით, ვიდრე მათ უნდა გადაეხადათ ასეთი დანიშნულების ფონდებზე (ან რომლის გადახდაც მოუწევდათ საერთაშორისო ბაზარზე რომ ესესხათ იმავე კატეგორიის ფონდებიდან და სხვა საკრედიტო პირობებით, დენომინირებული იმავე ვალუტაში, რომელშიც საექსპორტო კრედიტი) ან ექსპორტიორებისა და ფინანსური დაწესებულებების მიერ აღებული კრედიტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა იმდენად, რამდენადაც ისინი გამოიყენება საექსპორტო კრედიტების სფეროში მატერიალური უპირატესობის მისაღებად;

მ) ნებისმიერი სხვა დახმარება საზოგადოებრივი შემოსავლების ხარჯზე, რომელიც წარმოადგენს საექსპორტო სუბსიდიას.

## **§17.7.2 სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო სუბსიდიების ჩამონათვალი**

სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის სუბსიდირების დროს მხარეები იყენებენ შემდეგი სახის სუბსიდიებს:

ა) მთავრობების ან მათი ორგანოების მიერ უშუალო სუბსიდიების უზრუნველყოფა, მათ შორის ნატურალური სახით, ფირმების, მრეწველობის დარგების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებლების, კოოპერატივებისათვის და მწარმოებლების სხვა ასოციაციებისათვის, ან მარკეტინგული ორგანიზაციებისთვის საექსპორტო ოპერაციებზე გაცემული გადახდების ჩათვლით;

ბ) მთავრობების ან მათი ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არაკომერციული მარაგების გაყიდვა ან შეთავაზება საექსპორტოდ ანალოგიურ პროდუქტზე შიდა ბაზარზე არსებულზე დაბალი ფასით;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთავრობის მხარდაჭე-

რით ექსპორტის დროს გათვალისწინებული გადახდები, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ეს სახელმწიფო ფონდებიდან, იმ გადახდების ჩათვლით, რომლებიც დაფინანსდება მოსაკრებლებისგან შესაბამის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ან საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე;

დ) სუბსიდიები, რომლებიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტინგული ექსპორტის ხარჯების შესამცირებლად (გარდა ფართოდ გავრცელებული ექსპორტის განვითარების ხელშეწყობისა და საკონსულტაციო მომსახურებისა), ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, პროდუქციის ხარისხის ამოღების და გადამუშავების ხარჯების, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებთან და ფრახტთან დაკავშირებული დანახარჯების ჩათვლით;

ე) საექსპორტო პროდუქციის ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება, რისთვისაც მთავრობების მიერ დადგენილია უფრო შეღავათიანი პირობები, ვიდრე ქვეყნის შიგნით ჩვეულებრივი გადაზიდვებისთვის;

ვ) სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საექსპორტო პროდუქციაში მათი ჩართვის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჰონგონგის სამმიტმა მიიღო გადაწყვეტილება 2013 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირების გაუქმების შესახებ.

### **§17.7.3 სუბსიდიის სახეები და აკრძალული სუბსიდიის გასაჩივრება**

სუბსიდია არის ორი სახის: სპეციფიკური და არასპეციფიკური. სპეციფიკური ეწოდება იმ სუბსიდიებს, რომელსაც მთავრობა აძლევს კონკრეტულ საწარმოებს ან დარგებს, ხოლო არასპეციფიკური იხსენიებს სუბსიდიას, რომელსაც მთავრობა გასცემს არა კონკრეტულ საწარმოებზე ან დარგებზე, არამედ, საზოგადოდ წინასწარ კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აგრარული საქონლის სუბსიდირების გარდა იკრძალება ყველა სხვა სუბსიდია, რომელიც არაკონკურენტულ პირობებში ამყოფებს

სამამულო ან იმპორტირებულ საქონელს.

იმ შემთხვევაში, თუ ვმო-ს წევრი ქვეყანა მაინც იყენებს აკრძალულ სუბსიდიას, მაშინ, ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

ა) შესაბამისი(მოსარჩელე) ქვეყანა საკონსულტაციოდ მიმართავს მეორე ქვეყანას(მოპასუხეს) და წარუდგენს მას სუბსიდიის დამადასტურებელ მტკიცებულებებს;

ბ) თუ, კონსულტაციების შესახებ მოსარჩელე ქვეყნის მიერ მოპასუხე ქვეყნისადმი თხოვნის მიღებიდან 30 დღეში მათ შორის არ იქნა მიღებული შეთანხმება, მაშინ ორივე მხარეს შეუძლია მიმართოს ვმო-ის დავების მომწესრიგებელ ორგანოს, რათა მოწვეულ იქნეს საარბიტრაჟო სასამართლო;

გ) საარბიტრაჟო სასამართლო მაშინათვე მიმართავს ე.წ „ექსპერტთა მუდმივ ჯგუფს“, რომელიც არის შექმნილი ვმო-ში, რათა დადგინდეს სუბსიდიის არსებობა;

დ) „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი“ დაუყონებლივ იხილავს სუბსიდიების არსებობა-არარსებობის შესახებ მტკიცებულებებს და მიმართავს მოპასუხე ქვეყანას, რათა ამ უკანასკნელმა დაამტკიცოს, რომ აკრძალულ სუბსიდირებას ადგილი არა აქვს;

ე) „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი“ სუბსიდირების შესახებ დასკვნას გადასცემს საარბიტრაჟო სასამართლოს იმ ვადაში, რა ვადაც წინასწარ დაადგინა საარბიტრაჟო სასამართლომ;

ვ) საარბიტრაჟო სასამართლო მასზე ამ საქმის გადაცემიდან 90 დღის ვადაში, „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფის“ დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და უგზავნის მას მხარეებს(მოსარჩელე და მოპასუხე ქვეყნებს);

ზ) თუ, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ადგილი აქვს აკრძალულ სუბსიდირებას, მაშინ სასამართლო რეკომენდაციით მიმართავს მოპასუხე ქვეყანას და უნიშნავს აკრძალული სუბსიდიის გაუქმების ვადას;

თ) ამ პროცედურების შემდეგ დავების მომწესრიგებელი ორგანო ამტკიცებს სასამართლო გადაწყვეტილებას მხარეებისადმი შესაბამისი შეტყობინებიდან 30 დღის ვადაში;

ი) თუ, რომელიმე მხარე გადაწყვეტს, რომ მოახდინოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, მაშინ იგი აცნობებს ამის შესახებ დავების მომწესრიგებელ ორგანოს, ხოლო

ეს უკანსკნელი არ დაამტკიცებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;

კ) ამის შემდეგ სააპელაციო ორგანოს მიმართავს შესაბამისი მხარე, ზოლო სააპელაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში;

ლ) თუ, სააპელაციო ორგანოს არ შეუძლია 30 დღეში გამოიტანოს გადაწყვეტილება, იგი ამის შესახებ აცნობებს დავების მომწესრიგებელ ორგანოს და უთითებს გადაწყვეტილების წარდგენის საბოლოო ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს;

მ) სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს დავების მომწესრიგებელი ორგანო და იგი უპირობოდ უნდა შესრულდეს, თუ სხვა შეთანხმება არ მოხდა მხარეებს შორის;

ნ) თუ, მხარე დადგენილ ვადაში არ შეასრულებს მიღებულ გადაწყვეტილებას, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი კონტრზომა, რაც გამოიხატება საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღებაში.

### §17.7.4 სერიოზული ზარალის მიყენების შემთხვევები სუბსიდირების დროს

სუბსიდირების შედეგად, რომელიმე მხარეს შეიძლება მიადგეს სერიოზული ზარალი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალდა რომელიმე ქვეყნის შიდა ბაზარი ან ექსპორტი და იმპორტი.

სერიოზულ ზარალს ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სუბსიდირების შედეგად მოხდა სუბსიდიის გამცემი წევრი ქვეყნის ბაზრიდან სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი პროდუქციის იმპორტის შევიწროება ან გამოძევება;

ბ) სუბსიდირების შედეგად მოხდა სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი პროდუქციის ექსპორტის შევიწროება ან გამოძევება მესამე ქვეყნის ბაზრიდან;

გ) სუბსიდირების შედეგად მოხდა სუბსიდირებული პროდუქციის ფასის შემცირება სხვა წევრი ქვეყნის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქციის ფასთან შედარებით ერთი და იგივე ბაზარზე, ან ფასების მნიშვნელოვანი შეკავება და ფასების დეპრესია ან ამ

უკანასკნელის პროდუქციის ჩაწოლა ერთი და იმავე ბაზარზე;

დ) სუბსიდირების შედეგად მოხდა წვერი ქვეყნის მიერ სუბსიდირებული გარკვეული პროდუქციის, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და საგნებს, ხვედრითი წილის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე ბოლო სამი წლის განმავლობაში მის ხვედრით წილთან შედარებით. ამასთან ერთად აღნიშნული წილის ზრდის ტენდენცია ემთხვევა მწარმოებლის მიერ სუბსიდირების მიღების პერიოდს.

### **§17.7.5 საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღება და მისი ოდენობის განსაზღვრა**

როდესაც დადასტურდება, რომ ადგილი აქვს სუბსიდირებას, რომელიც ზარალს აყენებს მეორე მხარის სამამულო წარმოებას, მაშინ მოცემულ ქვეყანას შეუძლია შემოიღოს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი მოცემული ქვეყნის მოცემულ კონკრეტულ საქონელზე.

იმპორტირებულ და სუბსიდირებულ საქონელზე დაწესებული საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის ოდენობა არ უნდა იყოს სუბსიდიის თანხაზე მეტი. ემო-ის მიხედვით სასურველია, რომ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი იყოს სუბსიდირებულ თანხაზე ნაკლები, თუ ის საკმარისი იქნება შიდა წარმოებისათვის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, თუ სუბსიდირებული თანხა ერთეულ საქონელში (ცალი, კგ და ა.შ) შეიცავს სუბსიდიას 5 ევროს, მაშინ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის პროცენტის შესაბამისი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 ევროს. განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა: ვთქვათ, საქართველოში იმპორტირებულია სუბსიდირებული ფქვილი, სადაც 50 კილოგრამზე (ერთი ტომარა) ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობის სუბსიდია შეადგენს 5 ევროს. ამ საქონლის ერთი ტომარის საბაზრო ფასი (საბაჟო ღირებულება) საქართველომდე მოტანით შეადგენს 15 ევროს, მაგრამ ვინაიდან საქონელი სუბსიდირებულია 5 ევროთი, მისი საქართველომდე მოტანის ფასი შეადგენს—10 ევროს(15-5). შესაბამისად, იგი საქართველოს შიდა ბაზარზე იყიდება საერთო საბაზრო ფასზე 5 ევროთი ნაკლები ფასით, და ამდენად

აკორებს ადგილობრივ მწარმოებლებს და აგრეთვე, ამ საქონლის სხვა ქვეყნიბიდან იმპორტიორებს. სწორედ, ამ თანხის(5 ევროს) საკომპენსაციოდ, საბაჟო ორგანო ბეგრავს თითოეულ ტომარას 5 ევროთი(ან ნაკლები თანხით), რაც ალადგენს საბაზრო ფასის წონასწორობას. ამ შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი შეიძლება დადგინდეს, როგორც პროცენტული სახით, ასევე ფიქსირებული ფორმით.

აღსანიშნავია, რომ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი შემოღებულ უნდა იქნეს იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სუბსიდირებული საქონელი შემოდის და ზარალს აყენებს სამამულო ან სხვა იმპორტირებული საქონლის რეალიზაციას. ამის შემდეგ იგი დაუკონებლივ უნდა გაუქმდეს. ამასთან, ნებისმიერი საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის მოქმედების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

### §17.8 სპეციალური საბაჟო გადასახადი

სპეციალური საბაჟო გადასახადი განსხვავდება ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადებისაგან. არსებითი განსხვავება მდგომარეობს ამ გადასახადების შემოღების საფუძვლებში. რაც შეეხება ფუნქციონალურ დანიშნულებას, ეს ფაქტორი სამივე სახის გადასახადისათვის ერთი და იგივეა, რაც ასახვა პოულობს შიდა ბაზრის დაცვაში.

სპეციალური საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძველია არა ფასების შემცირება დემპინგის ან სუბსიდირების შედეგად, არამედ განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის შემოტანა, რომელიც ისეთივე საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ბაზარს, როგორც დემპინგი ან მაღალი სუბსიდირება.

საბოლოო ჯამში დიდი ოდენობით საქონლის წინასწარ-განზრახული შემოტანა შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბაზრის ზედმეტად გაჯერებისა და მიწოდების ფასების შემცირების საფუძველი, რამაც თავის მხრივ სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს ადგილობრივ ბაზარს.

სპეციალური საბაჟო გადასახადი შეიძლება შევადაროთ



სატარიფო კვოტას. სატარიფო კვოტა ნიშნავს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის საქონლის დაბეგვრას დაბალი საბაჟო გადასახადის განაკვეთით, ხოლო კვოტის ანუ საქონლის გარკვეული რაოდენობის ზევით საქონლის იმპორტის დაბეგვრას შედარებით მაღალი განაკვეთებით. განსხვავება სპეციალურ გადასახადსა და სატარიფო კვოტას შორის მდგომარეობს იმაში, რომ სატარიფო კვოტის დროს მაღალი(განსაკუთრებული) განაკვეთით იბეგრება იმპორტირებული საქონლის გარკვეული რაოდენობრივი სეგმენტი, ხოლო სპეციალური საბაჟო გადასახადის დროს—არა მხოლოდ საქონლის რაოდენობის ნაწილი, არამედ საქონლის მთელი რაოდენობა.

### §17.9 სეზონური საბაჟო გადასახადი

სეზონური საბაჟო გადასახადი წარმოადგენს შიდა ბაზრის დაცვის ბერკეტს. იგი ძირითადად გამოიზნულია აგრარული საქონლის იმპორტის შესაზღვრად წელიწადის იმ პერიოდებში, როდესაც ხდება ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის აღება.

სეზონური საბაჟო გადასახადის დროს ჩერდება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის განაკვეთი და მოქმედებას იწყებს უფრო მაღალი განაკვეთის საბაჟო გადასახადი. ჩვეულებრივ ეს პროცედურა ხორციელდება შეზღუდული პერიოდის(თვეების) განმავლობაში.

ქვემოთ გთავაზობთ აგრარულ საქონელზე სეზონური საბაჟო გადასახადის შემოღების ტიპურ მაგალითებს:

ა) კარტოფილი—ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი—12%, ხოლო 16 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით—16%;

ბ) პომიდორი—ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი—12%, ხოლო 1 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით—14%, 1 ივნისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით—16%, 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით—14%;

გ) კომბოსტო—ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი—12%, ხოლო 15 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით—16%;

დ) ნიახური—ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი—12%, ხოლო 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით—17%;

ე) კიტრი—ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი—12%, ხოლო 1 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით—15%, 16 მაისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით—17%, 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით—14%;

ვ) ბარდა-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით-17%;

ზ) ფორთოხალი-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით-17%;

თ) მანდარინი-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით-17%;

ი) ლიმონი-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით-17%, 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით-17%;

კ) გრეიპფრუტი-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით-17%, 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით-16%;

ლ) მსხალი-ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი-12%, ხოლო 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით-17%, 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით-15%, 1 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით- 16%, 16 ივლისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით-17%.

ზემოაღნიშნული დიფერენცირებული სეზონური საბაჟო გადასახადის განაკვეთები მოქმედებდა საქართველოში 2003 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

## §17.10 აგრარული საბაჟო გადასახადი

აგრარული საბაჟო გადასახადი ევროკავშირის მოვლენაა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირში აგრარული სექტორის სუბსიდირების მძლავრ სისტემასთან, რაც ფაქტობრივად, რიგ შემთხვევებში, ჭარბწარმოებასაც იწვევს.(მაგ. ევროკავშირში არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა, ვენახების მასობრივი ჩეხვა ღვინის ჭარბწარმოების წინააღმდეგ).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში წარმოშობილი და ამ ქვეყნებში ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონელი არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს და არ იბეგრება საბაჟო გადასახდელეებით.

ევროკავშირის ბიუჯეტი, მაგ. 2002 წლისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბიუჯეტების ჯამის მხოლოდ 2,5%-ს შეადგენდა, რისი მნიშვნელოვანი ნაწილი საბაჟო გადასახადის ხარჯზე ფორმირდებოდა. ამასთან ევროკავშირში მესამე ქვეყნიდან

შემოტანილ საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახადის 100% მიიმართება ევროკავშირის ბიუჯეტში, რომელიც შემდგომ დადგენილი წესით ნაწილდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. სწორედ ეს თანხები იხარჯება შემდგომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირებაზე.

საკუთრივ აგრარული გადასახადი დგინდება, როგორც აგრარული საქონლის იმპორტზე, ასევე—ზოგიერთი საქონლის ექსპორტზეც.

აგრარული გადასახადები არის სასოფლო-სამეურნეო ზოგადი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. იგი დგინდება, როგორც ავტონომიურად, ევროკავშირის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, როგორც შიდა ბაზრის დაცვის სატარიფო ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ აგრარული საბაჟო გადასახადები დგინდება, არა მხოლოდ წმინდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, არამედ სხვა საქონელზეც, მასში ზოგიერთი აგრარული კომპონენტის შემცველობის მიხედვით (მაგ. პროდუქტში შაქრის, ფქვილის, გლუკოზის, სახამებლის შემცველობის გათვალისწინებით).

### **§17.10.1 აგრარულ საქონელზე დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღების თეორიული საფუძვლები**

აგრარული საქონლის იმპორტის დროს შესაძლებელია შემოღებულ იქნეს დამატებითი საბაჟო გადასახადის განაკვეთი, თუ ე. წ. „ტრიგერული ღონე“ გარკვეულ მაჩვენებელს შეესაბამება. ტრიგერული ღონე ნიშნავს საქონლის იმპორტის მოცულობის შეფარდებას ასეთი საქონლის შესაბამისი შიდა მოხმარების მოცულობასთან. მაგალითად, თუ, კარაქის იმპორტის მოცულობა არის 10 ერთეული, ხოლო სამამულო და იმპორტული კარაქების შიდა მოხმარება—100, მაშინ ტრიგერული მაჩვენებელი იქნება 10%. შესაბამისად დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღება ხდება შემდეგნაირად:

ა) თუ ეროვნულ ვალუტაში გამოსახულ გადმოტვირთული საქონლის საიმპორტო ჩი ფასს(შემდგომში)—„საიმპორტო ფასი“) და

„ტრიგერულ“ ფასს შორის სხვაობა, „ტრიგერულ“ ფასზე ნაკლებია ან 10%-ის ტოლია, დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღება არ ხდება;

ბ) თუ, იმპორტულ ფასსა და „ტრიგერულ“ ფასს შორის სხვაობა აჭარბებს 10%-ს, მაგრამ ტრიგერულ ფასზე ნაკლებია ან 40%-ის ტოლია, მაშინ დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ მოცულობის 30%, რომლითაც სხვაობა აღემატება 10%-ს;

გ) თუ, სხვაობა აღემატება 40%-ს, მაგრამ „ტრიგერული“ ფასის 60%-ზე ნაკლებია ან ტოლია, დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ თანხის 50%, რომლითაც სხვაობა აღემატება 40%-ს, დამატებული „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საბაჟო გადასახადი;

დ) თუ სხვაობა აჭარბებს 60%-ს, მაგრამ 75%-ზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ თანხის 70%, რომლითაც სხვაობა აღემატება „ტრიგერული“ ფასის 60%-ს დამატებული „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დამატებითი საბაჟო გადასახადები.

## §17.11 აქციზი

აქციზი (Eccise) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ჩამოჭრას“. იგი ისტორიულად გამოიყენებოდა ე.წ. „ფუფუნების საგნების“ დასაბეგრად, ასევე ზოგიერთი ფართო მოხმარების საგნებიდან ბიუჯეტში თანხების ამოსაღებად (მაგ. ასანთი, მარილი და სხვა).

აქციზი მსგავსად საბაჟო გადასახადისა და დღგ-ისა არის არაპირდაპირი გადასახადი. იგი შედის საქონლის ფასში და მისი გადამხდელი არის საქონლის ბოლო მომხმარებელი. მაგრამ განსხვავებით დღგ-ისაგან აქციზი ერთჯერადი გადასახადია ანუ იგი არ ამოიღება საქონლის მიწოდების ყველა სტადიაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში აქციზი ძირითადად შემოღებულია შემდეგ საქონელზე: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, შაქარი, მარილი, ასანთი, ჩაი, ყავა, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, მინერალური წყლები, ძვირფასი მეტალების ნაწარმი, მსუბუქი ავტომანქანები, ელექტროენერგია, ბანანი, სამშენებლო

მასალები, სათამაშო კარტი, თევზეული, ბეწვეული, საბურავები, ხალიჩები და ცეცხლსასროლი იარაღი.

აქციზის განაკვეთების სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. განსხვავებულია იგი თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც. ამასთან დიფერენცირებულია თვითონ აქციზის განაკვეთის ფორმები. იგი სამის სახის არის: ადვალური, ფიქსირებული და კომბინირებული.

ზემოაღნიშნული აქციზის განაკვეთების ფორმებიდან ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით ყველაზე სტაბილურია აქციზის ფიქსირებული განაკვეთი, რადგანაც იგი არ არის დაკავშირებული საქონელთა ფასების საბაზრო რყევასზე.

როგორც, სხვა არაპირდაპირი გადასახადები, აქციზიც საქონლის იმპორტის დროს გადაიხდევინება საბაჟო ორგანოების მიერ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს აქციზი ზოგიერთი საქონლის ექსპორტის დროს.(მაგ. საქართველოში შავი ან ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი 2008 წლის მდგომარეობით იბეგრება 1 ტონა—25 ლარის ოდენობით).

რიგ განვითარებად ქვეყნებში ზოგიერთი სახის აქციზური საქონლის იმპორტის დროს მოითხოვება აქციზური მარკების გამოყენება. აქციზური მარკების შეძენა წინასწარ ხდება იმპორტიორი ქვეყნის ფიკალური სამსახურებიდან, ხოლო შემდეგ მარკები გაიტანება ექსპორტიორ ქვეყანაში და იქ დაეკრის შესაბამის საქონელს. შესაძლებელია, რომ აქციზური მარკა დაეკრას არა ექსპორტიორ ქვეყანაში, არამედ იმპორტიორ ქვეყანაშიც, იმ პირობით, რომ იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე და აქციზური მარკის დაკრამდე საქონელი მოთავსდება საბაჟო საწყობში ან დროებითი შენახვის საწყობში. ამასთან, ამ შემთხვევაშიც აქციზის გადახდა ხდება აქციზური მარკების შეძენის დროს.

## §17.12 დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

დამატებული ღირებულების გადასახადი(დღგ), როგორც დაბეგრის მექანიზმი შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1958 წელს (საქართველოში დღგ შემოღებულ იქნა 1992 წელს). იგი შეიმუშავა

ფრანგმა ეკონომისტმა ლორემ 1954 წელს.

დღგ, ისევე, როგორც აქციზი თავისი არსით მიწოდების გადასახადია, მაგრამ რიგი ქვეყნები მას ახდევინებენ საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანის დროს ანუ ამ საქონლის მიწოდებამდე წინასწარ, აენსად. ასეთი დაბეგერის მოტივად მიჩნეულია საბაჟო საზღვარზე ადმინისტრირების მეტი გამჭვირვალობა და მოქნილობა, ვიდრე ქვეყნის შიდა სივრცეში.

დღგ ნიშნავს საქონლის (ასევე მომსახურების, მაგრამ ვინაიდან მომსახურება არ არის საბაჟო ადმინისტრირების საგანი, ჩვენ მას არ განვიხილავთ) გარკვეული ნაწილის ღირებულებაზე, კერძოდ დამატებულ ღირებულებაზე დაწესებულ გადასახადს. მაგ. მრეწველობის სფეროში საქონლის ღირებულება შედგება წარმოების ხარჯებისა და მოგებისაგან. წარმოების ხარჯები, თუ მოვხდენთ შესაბამის აბსტრაგირებას, შედგება მასალებისა და ნედლეულის ღირებულების, ამორტიზაციული ანარიცხების და ხელფასისაგან. ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულება იქნება ხელფასი და მოგება. რაც შეეხება მიმოქცევის (ვაჭრობის) სფეროს, აქ მიწოდების დროს დამატებული ღირებულება იქნება მიმოქცევის ხარჯებს დამატებული საევაჭრო მოგება. შესაბამისად, დამატებულ ღირებულებაში მოიაზრება საქონლის მიწოდების შედეგად მიღებულ ამონაგებსა და ამ ამონაგების მისაღებად გაწეულ შესაბამის ხარჯებს შორის სხვაობა. თუმცა, დაბეგერის ადმინისტრირების გაიოლების მიზნით, რომელიც ემყარება ადრე გადახდილი დღგ-ის ჩათვლების სისტემას, დღგ-ის დარიცხვა, ხორციელდება არა დამატებული ღირებულების მიხედვით, არამედ მიწოდებული საქონლის მთლიანი ღირებულების მიხედვით.

საქონლის იმპორტის დროს შემოტანილი ღირებულება განიხილება, როგორც მთლიანად დამატებული ღირებულება და იგი მთლიანად იბეგრება დღგ-ით. (თუმცა, რეალურად, შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება და მის შესაძენად დახარჯული ღირებულება ტოლია).

დღგ-ის, როგორც არაპირდაპირი გადასახადის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მას იხდის საქონლის მიმწოდებელი ან იმპორტიორი ოღონდ—ირიბად, მომხმარებელზე მისი გადაკისრების გზით, რაც იმას ნიშნავს, რომ დღგ-ის რეალური გადამხდელია საქონლის მომხმარებელი. მაგ. საქონლის იმპორტიორი საბაჟო ორგანოში

იხდის დღგ-ს და აწვედის ამ საქონელს ვთქვათ, საბოლოო მომხმარებელს (სიმარტივისათვის, აბსტრაგირების გზით შუალედური მიწოდებები გამოვრიცხოთ). ამ შემთხვევაში იმპორტიორს (მიმწოდებელს) მის მიერ მიწოდების დროს ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხა შეაქვს საქონლის ფასში და შესაბამისად მის მიერ ბიუჯეტში გადასახდელ დღგ-ს იგი ახდევინებს მომხმარებელს საქონლის ფასის მეშვეობით. საბოლოოდ იმპორტიორი (მიმწოდებელი) ბიუჯეტში შეიტანს მის მიერ ამ საქონლის მიწოდების დროს მომხმარებელზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ამ საქონლის იმპორტის დროს საბაჟო ორგანოში გადახდილ თანხას შორის სხვაობას.

დღგ-ის არსის გაგების დროს მნიშვნელოვანი პრინციპია ორმაგი დაბეგვრის გამოვრიცხვა. კერძოდ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თვითონ დღგ-ის ადრე გადახდილი თანხა არ შეიძლება იყოს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი (თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობები). აქედან გამომდინარე დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ უნდა შევიდეს გადახდილი დღგ-ის თანხა. მაგ. იმპორტიორმა გადაიხადა დღგ საბაჟო ორგანოში და მიაწოდა საქონელი. ასეთ შემთხვევაში საბაჟოში გადახდილი დღგ-ის თანხა არ უნდა შევიდეს მიწოდების დროს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი იმპორტის დროს, როგორც წესი, გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით: საბაჟო ღირებულებას ემატება ყველა საბაჟო გადასახდელის თანხა და მიღებული თანხის შესაბამისი პროცენტული განაკვეთის სათანადო თანხა წარმოადგენს დღგ-ის გადასახდელ თანხას. მაგ. ვთქვათ დღგ-ის განაკვეთი შეადგენს 18%-ს, ხოლო საბაჟო ღირებულება 10000 ევროს. ამასთან საბაჟო მოსაკრებელი არის 60 ევრო, საბაჟო გადასახადი 1200 ევრო, ხოლო აქციზი—200 ევრო. ამ შემთხვევაში საბაჟოზე გადასახდელი დღგ იქნება 2062,8 ევრო.

თანამედროვე მსოფლიოში დღგ-ის განაკვეთები სხვა-დასხვანაირია (თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც). ზოგიერთ ქვეყანაში იგი საერთოდ არ არის (მაგ. აშშ, სადაც ნაცვლად დღგ-ისა არის ე.წ. „გაყიდვის გადასახადი“, რომელიც სხვა პრინციპებს ეფუძნება, ვიდრე დღგ). საზოგადოდ, ევროპაში დღგ-ის საშუალო განაკვეთი 18-20 %-ის ფარგლებში მერყეობს.

## თავი 18. საბაჟო გარანტიები

### § 18.1 საბაჟო გარანტიის არსი და ფორმები.

საბაჟო გარანტია არის საბაჟო გადასახდელების გადახდის ან სხვა საბაჟო ვალდებულების შესრულების პირობების დაზღვევის უზრუნველყოფა.

საბაჟო გარანტიის წარდგენა, როგორც წესი ხდება დეკლარანტის მიერ. თუმცა, იგი სხვადასხვა საბაჟო პროცედურების მიხედვით შეიძლება წარდგენილ იქნეს სხვა პირის მიერაც, რომელსაც ზოგჯერ დეკლარანტის ფუნქციები არ აქვს (მაგ. საქონლის გადამზიდველი).

ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო გარანტიის ფორმებს, რომელიც განირჩევა გარანტიის ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. კერძოდ, საბაჟო ოპერაციების მიხედვით გარანტია შეიძლება იყოს ორი სახის:

- ა) ერთჯერადი;
- ბ) გენერალური.

ერთჯერადია გარანტია, რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინება მხოლოდ ერთი საბაჟო ოპერაციის განსახორციელებლად. მაგ. საქონლის მხოლოდ ერთი პარტიის შემოტანის დროს.

გენერალურია გარანტია, რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინება მრავალი საბაჟო ოპერაციის განსახორციელებლად. მაგ. ყველა საბაჟო ოპერაციისათვის, რომელსაც პირი განახორციელებს ერთი წლის განმავლობაში. ასეთი გარანტიის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება კანონმდებლობით წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული თანხის გარანტია.

პირების საბაჟო ვალდებულებების მიხედვით საბაჟო გარანტია შეიძლება იყოს:

- ა) საერთო ვალდებულების;
- ბ) სპეციფიკური ვალდებულების.

საერთო ვალდებულების არის გარანტია, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს რაიმე სახის საქმიანობის განსახორციელებლად გარკვეული ვადის განმავლობაში. მაგ. საბაჟო საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის ობიექტის მფლობელის მიერ წარსადგენი გარანტია.



სპეციფიკური ვალდებულების არის გარანტია, რომელიც წარედგინება კონკრეტული საბაჟო ოპერაციის მიხედვით ერთჯერადი გარანტიის ფარგლებში. მაგ. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს წარსადგენი გადაადგილებასთან დაკავშირებული საქონლის დაკარგვის დროს გადასახდელი საბაჟო გადასახდელების უზრუნველყოფი საბაჟო გარანტია.

გარანტიის გამცემი სუბიექტების მიხედვით საბაჟო გარანტია შეიძლება იყოს:

- ა) საბანკო გარანტია;
- ბ) სადაზღვევო გარანტია;
- გ) სადეპოზიტო გარანტია;
- დ) საქონლის გირაო;
- ე) უძრავი ქონების გირაო;
- ვ) ფასიანი ქაღალდების გირაო.

საბანკო გარანტია წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ გაცემულ დოკუმენტს რომლის საფუძველზეც ბანკი იღებს ვალდებულებას დეკლარანტის მიერ შესაბამისი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში გადაიხადოს დადგენილი საბაჟო გადასახდელები ან შეასრულოს სხვა საბაჟო ვალდებულება.

სადაზღვევო გარანტია არის სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი რომლის საფუძველზეც კომპანია იღებს ვალდებულებას დეკლარანტის მიერ შესაბამისი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში გადაიხადოს დადგენილი საბაჟო გადასახდელები ან შეასრულოს სხვა საბაჟო ვალდებულება.

სადეპოზიტო გარანტია არის უშუალოდ დეკლარანტის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ საბაჟო ორგანოს შესაბამის ანგარიშებზე სათანადო თანხების შეტანა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების სახით, რომელიც გულისხმობს დეკლარანტის მიერ შესაბამისი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში დადგენილი საბაჟო გადასახდელების გადახდას ან სხვა საბაჟო ვალდებულებების შესრულებას. ამასთან სადეპოზიტო თანხებს შესაბამისი პროცენტი არ დაერიცხება.

საქონლის გირაო წარმოადგენს საბაჟო გარანტიის ისეთ

ფორმას, რომლის დროსაც დეკლარანტი გარანტიის სახით საბაჟო ორგანოს საბაჟო კონტროლქვეშ უტოვებს იმ რაოდენობის საქონელს(როგორც წესი, მის მიერ შემოტანილი საქონლიდან), რომლის ღირებულება ან რაოდენობა უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდას ან სხვა საბაჟო ვალდებულებების შესრულებას.

უძრავი ქონების გირაო საქონლის გირაოს ანალოგიურად წარმოადგენს საბაჟო გარანტიის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც დეკლარანტი გარანტიის სახით საბაჟო ორგანოს დროებით განკარგულებაში გადასცემს იმ რაოდენობის უძრავ ქონებას, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდას ან სხვა საბაჟო ვალდებულებების შესრულებას.

ფასიანი ქაღალდების გირაო ზემოაღნიშნული გირაოების ანალოგიურად წარმოადგენს საბაჟო გარანტიის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც დეკლარანტი გარანტიის სახით საბაჟო ორგანოს დროებით განკარგულებაში გადასცემს იმ რაოდენობის ფასიან ქაღალდს, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდას ან სხვა საბაჟო ვალდებულებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო გარანტიის გამცემი პირი უნდა იყოს მოცემული ქვეყნის რეზიდენტი, რაც გაპირობებულია შესაბამისი საბაჟო ვალდებულებების შესრულების ოპერატიული განხორციელების მოთხოვნებით.

დეკლარანტის მიერ ზემოაღნიშნული საბაჟო გარანტიების წარდგენის შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყნის საბაჟო ორგანო გასცემს ე.წ საგარანტიო მოწმობას ან ვაუჩერს, რომელიც უნდა დაერთოს საბაჟო დეკლარაციას, როგორც თანმხლები დოკუმენტი.

დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო ორგანოს წარუდგინოს ზემოაღნიშნული გარანტიის ფორმებიდან ნებისმიერი ერთ-ერთი. ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შეზღუდოს დეკლარანტის სურვილი გარანტიის ფორმების ამორჩევის ასპექტით. მაგ. თუ, საქონელი წარმოადგენს მაღალი რისკის კატეგორიას, მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საბანკო ან სა-

დაზღვევო გარანტიის ან სხვა ფორმების ნაცვლად წარმოადგენინოს დეკლარანტს გარანტიის სადეპოზიტო ფორმა, როგორც გარანტიის ყველაზე უფრო მოქნილი და ლიკვიდური ფორმა.

## § 18.2 საბაჟო გარანტიის წარდგენის შემთხვევები და საგარანტიო თანხების განსაზღვრა

საბაჟო გარანტია, როგორც წესი, წარედგინება საბაჟო ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი ან იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო ორგანო არ არის დარწმუნებული, რომ დეკლარანტი შეასრულებს შესაბამის საბაჟო ვალდებულებას. ეს უკანასკნელი უფლება საბაჟო ორგანოს მინიჭებული აქვს კანონმდებლობით, როგორც დისკრეციული უფლება.

საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, როგორც წესი, საბაჟო გარანტია წარედგინება:

ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დროს;

ბ) ღროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დროს;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დროს (შემცვლელი პროდუქტის შემოტანისას);

დ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს;

ე) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების დროს;

ვ) საბაჟო გადასახდელების გადახდის გადავადების დროს;

ზ) საბაჟო საწყობის (მათ შორის ღროებითი შენახვის) დაარსების დროს;

თ) უბაჟო ვაჭრობის ობიექტის დაარსების დროს.

საბაჟო გარანტიის წარდგენისაგან, როგორც წესი, თავისუფლდება:

ა) საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონელი;

ბ) საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონელი;

გ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონელი;

დ) მილსადენით გადაადგილებული საქონელი (გაზი, ნავთობი, წყალი);

ე) ელექტროსადენით გადაადგილებული საქონელი (ელექტროენერჯია);

ვ) არაპროპორციული საბაჟო ვალდებულება (როდესაც საბაჟო გადასახდელი გაცილებით მცირეა ვიდრე წარსადგენი საბაჟო გარანტია);

ზ) სახელმწიფო ორგანო;

თ) კანონმდებლობით განსაზღვრული დაბალი რისკის მატარებელი პირები ან საქონელი.

საბაჟო გარანტიისაგან გათავისუფლება ამცირებს დეკლარანტიის საწარმოო დანახარჯებს და ხელს აძლევს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. ამასთან დაბალი რისკის საქონელთა ან პირების გათავისუფლება საბაჟო გარანტიისაგან ამცირებს არა მხოლოდ დეკლარანტების დანახარჯებს, არამედ საბაჟო ორგანოების ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

საბაჟო გარანტიის შესაბამისი თანხის განსაზღვრა დამოკიდებულია საბაჟო გარანტიის წარდგენის იმ შემთხვევებზე, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. შესაბამისად იგი დამოკიდებულია აგრეთვე საბაჟო გარანტიის ფორმებზე.

როგორც წესი, ერთჯერადი საბაჟო გარანტიის დროს გარანტიის თანხა უნდა შეესაბამებოდეს საბაჟო ოპერაციის შესაბამის ზუსტ თანხას ანუ იმ საბაჟო გადასახდელების თანხას, რომელიც გადასახდელია ამ საბაჟო რეჟიმის (საბაჟო დამუშავების ოპერაციის) დროს. ამ შემთხვევაში შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით გამოყენებულ იქნას სხვა ოდენობის თანხაც.

გენერალური საბაჟო გარანტიის დროს გარანტიის თანხა უნდა იყოს ერთგვაროვანი განაკვეთი ანუ ფიქსირებული თანხა, რომელიც საკმარისი იქნება დროის გარკვეულ პერიოდში მაქსიმალური საბაჟო გადასახდელების გადახდის უზრუნველსაყოფად.

საერთო ვალდებულებების გარანტიის დროს შესაბამისი გარანტიის თანხა დგინდება იმ გონივრული ფიქსირებული პარამეტრების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო ვალდებულებების დაფარვას.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ფორმის საბაჟო გარანტიის თანხის დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროს გადასახდელი

საბაჟო გადასახდელების თანხა ან მხოლოდ იმ ვალდებულებების თანხა, რომელიც მოიცავს საბაჟო სამართალდარღვევების დროს გადასახდელ ჯარიმებს და საურავებს. ამასთან საბაჟო გადასახდელების უზრუნველსაყოფად წარდგენილი საბაჟო გარანტია არ უნდა ითვალისწინებდეს ჯარიმებისა და საურავების თანხებს.

საგარანტიო მოწმობები ან შესაბამისი სხვა საგარანტიო დოკუმენტები გაიცემა გარკვეული ვადით. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არ შესრულდა შესაბამისი საგარანტიო ვალდებულება, მაშინ საბაჟო ორგანო სათანადო საგარანტიო თანხებს მიმართავს სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ, საგარანტიო ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ, მაშინ საგარანტიო თანხის შესაბამისი პროპორცია მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

საგარანტიო მოწმობა ან საგარანტიო დოკუმენტი უქმდება ან დაბრუნდება იმ შემთხვევაში, როდესაც საგარანტიო ვადაში შესრულდება საგარანტიო ვალდებულებით გათვალისწინებული პირობები ან, როდესაც უქმდება თვით საბაჟო გარანტიის წარდგენის საფუძვლები. მაგ. უქმდება საბაჟო საწყობი ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტი.

## **თავი 19. საბაჟო რეჟიმები (დამუშავების ოპერაციები)**

### **§19.1 ზოგადი პრინციპები**

საბაჟო თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება ორი ცნება: საბაჟო რეჟიმი (ინგლ. Customs regime ან Customs regulation; ფრანგ. Regime douanier; გერმ. Zollvorschriften; ესპან. Regimen aduanero) და საბაჟო დამუშავების ოპერაცია. ორივე ცნება აღნიშნავს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების განსაზღვრულ წესებსა და მექანიზმებს. კერძოდ, საბაჟო დამუშავების ოპერაცია უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს საბაჟო რეჟიმის ცნებასაც. მათ შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს დეკლარირების ფორმებში. მაგ. საბაჟო რეჟიმი მოითხოვს აუცილებელ დეკლარირებას საბაჟო დეკლარაციის სახით, ხოლო საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომელიც არ

წარმოადგენს საბაჟო რეჟიმს, როგორც წესი, არ მოითხოვს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას.

სხვადასხვა ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა სახის საბაჟო რეჟიმებსა და საბაჟო დამუშავების ოპერაციებს. ზოგჯერ განსხვავებული სახის საბაჟო რეჟიმებს ერთი და იგივე შინაარსი აქვს. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საერთაშორისო საბაჟო კონვენციების დებულებების მიხედვით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი საბაჟო რეჟიმები და საბაჟო დამუშავების ოპერაციები:

- ა) იმპორტი;
- ბ) ექსპორტი;
- გ) რეიმპორტი;
- დ) რექსპორტი;
- ე) ტრანზიტი;
- ვ) საბაჟო საწყობი
- ზ) უბაჟო ვაჭრობის პუნქტი;
- თ) გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
- ი) გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
- კ) ღროებით შემოტანა;
- ლ) თავისუფალი საბაჟო ზონა ან თავისუფალი საბაჟო საწყობი;
- მ) საქონელზე უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ;
- ნ) განადგურება;
- ო) მარაგების გადაადგილება;

ზემოაღნიშნული საბაჟო დამუშავების ოპერაციებიდან საბაჟო რეჟიმებს განეკუთვნება: იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, საბაჟო საწყობი, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ და ღროებით შემოტანა. დანარჩენი ოპერაცია განეკუთვნება საკუთრივ საბაჟო დამუშავების ოპერაციას.

ამასთან სხვადასხვა კონვენციებსა და ზოგიერთი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობაში გვხვდება სხვადასხვა სახის საბაჟო რეჟიმები და დამუშავების ოპერაციები; რომლებიც შეიძლება გაერთიანებულ და მოაზრებულ იქნეს ზემოაღნიშნულ საბაჟო რეჟიმებსა და დამუშავების ოპერაციებში. კერძოდ, ესენია: თავისუფალ მომოქცევაში გაშვება, შიდა მოხმარებისათვის გაშვება, შიდა საბაჟო ტრანზიტი, საერთაშორისო საბაჟო ტრანზიტი, გადამუშავება საბაჟო კონტროლ-

ქვეშ, გადაბუშავება შიდა მოხმარებისათვის, დროებით გატანა, საბოლოო გატანა, გადატვირთვა, საქონლის კაბოტაჟური ტრანსპორტირება, დაბრუნების რეჟიმი და საქონლის გადაბუშავება თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად.

## §19.2 იმპორტის საბაჟო რეჟიმი

იმპორტი (importare) ლათინური სიტყვაა და შემოტანას ნიშნავს. ამ შემთხვევაში საბაჟო ურთიერთობათა ასპექტით იმპორტის ქვეშ იგულისხმება საქონლის შემოტანა ქვეყანაში.

იმპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რომელიც არ მოითხოვს საქონლის ექსპორტის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხვანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში ან საქონლის შიდა მოხმარებისათვის გაშვებასაც უწოდებენ.

იმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

- ა) საქონელი უნდა იყოს უცხოური;
- ბ) საქონელზე განსაზღვრულ ვადაში გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელები;
- გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს იმპორტის საბაჟო დეკლარაცია;
- დ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;
- ე) საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული და გაშვებული უცხოური საქონელი კარგავს უცხოური საქონლის სტატუსს და ღებულობს იმპორტიორი ქვეყნის საქონლის სტატუსს (მაგ. საქართველოდან გერმანიაში შეტანილი საქართველოს საქონელი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის და გაშვების დროს იქცევა გერმანიის საქონლად, ხოლო გერმანიის საქონელი, გერმანიიდან ექსპორტისა და საქართველოში იმპორტის დროს გახდება საქართველოს საქონელი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვანაირად იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ და გაშვებულ საქონელს თავისუფალ მიმოქცევაში ან შიდა მოხმარებისათვის გაშვებულ საქონელსაც უწოდებენ. სიტყვა „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება“ ამ კონტექსტში აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოცემული საქონელი თავისუფალია საბაჟო კონტროლისა და ფორმალუბებისაგან და მისი განკარგვა შესაძლებელია შესაბამისი პირის მიერ ამ პირის სურვილის მიხედვით, თავისუფლად. თუმცა, თავისუფლებაც ფარდობითი სიტყვაა და ზოგჯერ, იგი გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. კერძოდ, თუ საქონელი მოქცეულია იმპორტის საბაჟო რეჟიმში და გაშვებულია ამ რეჟიმის შესაბამისად მიზნობრივი დანიშნულებით, მაშინ ამ საქონლის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში შეზღუდულია შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულების ჩარჩოებით. მაგ. თუ საქონელი შემოტანილია კუმანიტარული მიზნით, მაშინ იგი მხოლოდ ამ მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იგი არამიზნობრივად იქნება მიმართული, მაშინ ამ საქონელზე უნდა მოხდეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა და სათანადო საბაჟო სანქციების განხორციელება. ამასთან თავისუფალ მიმოქცევაში შეიძლება მოექცეს არა მხოლოდ იმპორტის, არამედ რეიმპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მოქცეული საქონელიც.

იმპორტის საბაჟო რეჟიმი უნივერსალური რეჟიმია საბაჟო რეჟიმების კონვერსიის თვალსაზრისით. კერძოდ, პირის სურვილით შესაძლებელია ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი (გარდა ექსპორტისა და ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა) და ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაცია შეიცვალოს იმპორტის საბაჟო რეჟიმით. კერძოდ, ეს რეჟიმები და დამუშავების ოპერაციები: ტრაზიტი, საბაჟო საწყობი, უბაჟო ვაჭრობის პუნქტი, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, დროებითი შემოტანა, თავისუფალი საბაჟო ზონა ან თავისუფალი საბაჟო საწყობი, განადგურება ან უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, რეექსპორტი. ამასთან, ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული დამუშავების ოპერაციები, რომ შეიცვალოს იმპორტის საბაჟო რეჟიმით, ისინი, გარკვეული აზრით, არ უნდა იყოს დასრულებული.



### §19.3 ექსპორტის საბაჟო რეჟიმი

ექსპორტი (exportare) ლათინური სიტყვაა და გამოზიდვას, გამოტანას ნიშნავს. ამ შემთხვევაში საბაჟო ურთიერთობათა ასპექტით ექსპორტის ქვეშ იგულისხმება საქონლის გატანა ქვეყნიდან მისი ამ ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულების გარეშე.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს მოცემული ქვეყნის (გერმანიის, საქართველოს) საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რომელიც არ მოითხოვს საქონლის ამავე ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხეანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის საბოლოო გატანას ან დაბრუნების რეჟიმსაც უწოდებენ. კერძოდ, საბოლოო გატანა ნიშნავს, თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლის გატანას საბაჟო ტერიტორიიდან მისი ამ ტერიტორიის გარეთ დარჩენის მიზნით. რაც შეეხება დაბრუნების რეჟიმს, იგი ასევე წარმოადგენს ექსპორტის საბაჟო რეჟიმის ნაირსახეობას განსაზღვრული საბაჟო გადასახდელების დაბრუნების ასპექტით და საქონლის გადამუშავების სპეციფიკის გათვალისწინებით. სახელდობრ, დაბრუნების რეჟიმის დროს ექსპორტიორს უბრუნდება ამ საქონლის შემოტანის ან ამ საქონლისაგან სხვა საქონლის წარმოების დროს მოცემულ საქონლზე გადახდილი განსაზღვრული გადასახდელები (დღგ, აქციზი ან საბაჟო გადასახადი). ამასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელების დაბრუნების თვალსაზრისით საქონელი შეიძლება ჯერ მოთავსებულ იქნეს საბაჟო საწყობში ან თავისუფალ ზონაში, ხოლო შემდეგ იქნეს გატანილი საბაჟო ტერიტორიიდან.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) საქონელი უნდა იყოს არა უცხოური, არამედ ექსპორტიორი ქვეყნის;

ბ) საქონელზე განსაზღვრულ ვადაში გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელები (როგორც წესი, ექსპორტის დროს საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდებიან);

გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია;

დ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;

ე) საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული და გაშვებული კონკრეტული ქვეყნის საქონელი კარგავს ამ ქვეყნის საქონლის სტატუსს და ღებულობს უცხო ქვეყნის საქონლის სტატუსს. მაგ. საქართველოდან გერმანიაში ექსპორტირებული საქართველოს საქონელი ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის და გაშვების დროს კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იქცევა უცხოურ საქონლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის გაშვების დროს ექსპორტიორს უნდა დაუბრუნდეს განსაზღვრული გადასახდელები. კერძოდ, გადასახდელების დაბრუნებას შემდეგი სქემა აქვს:

ა) იმპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებული საქონლის ექსპორტი—ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა დაუბრუნდეს საქონლის ექსპორტიორს ამ საქონლის იმპორტის დროს გადახდილი საბაჟო გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა). ამ დროს, ზოგიერთი ქვეყანა აქცისსა და საბაჟო გადასახადს არ აბრუნებს, რაც ეწინააღმდეგება არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საბაჟო გადასახადი, აქციზი და დღგ გადახდილ უნდა იქნეს არა საქონლის წარმოების, არამედ ამ საქონლის მოხმარების ქვეყანაში საბოლოო მომხმარებლის მიერ;

ბ) ექსპორტიორ ქვეყანაში იმპორტირებული ნედლეულისა და მასალისაგან წარმოებული საქონლის ექსპორტი—ამ შემთხვევაში ექსპორტიორს უნდა დაუბრუნდეს მასალებსა და ნედლეულზე იმპორტის დროს გადახდილი საბაჟო გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა);

გ) ექსპორტიორ ქვეყანაში ექსპორტიორის მიერ შექმნილი სამამულო ნედლეულისა და მასალებისაგან წარმოებული საქონლის ან შექმნილი სამამულო მზა პროდუქციის ექსპორტი—ამ შემთხვევაში ექსპორტიორს უბრუნდება მის მიერ საქონლის ან ნედლეულის შექმნის დროს გადახდილი აქციზი ან დღგ, ან მის მიერ სამამულო მზა პროდუქციის შექმნის დროს გადახდილი აქციზი ან დღგ.

ამასთან, მოცემულ საქონელზე ადრე გადახდილი გადასახდელების დაბრუნების ვადა რეგლამენტირებულ უნდა იქნეს. მაგ.

არ შეიძლება დაბრუნდეს იგივე ოდენობის საბაჟო გადასახდელები იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის იმპორტირებიდან 10 წლის შემდეგ ამ მანქანის ექსპორტის დროს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია 10 წლის წინ იმპორტის დროს გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხამ გადააჭარბოს ამორტიზირებული მანქანის ღირებულებას.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი შეზღუდულია საბაჟო რეჟიმების კონვენსიის თვალსაზრისით. კერძოდ პირის სურვილით შესაძლებელია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის საქონელი (ანუ არაუცხოური სტატუსის მქონე საქონელი). ასეთ საქონელს განეკუთვნება მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილი ან ამ ქვეყანაში გარკვეული გადამუშავების ოპერაციების შედეგად მიღებული საქონელი. მაგ. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს საქართველოში წარმოებული საქონელი ან საქართველოში იმპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გაშვებული საქონელი.

### **§19.3.1 უცხოური ინვესტიციების სტიმულირების საფუძველი საექსპორტო საქონლის წარმოების ასპექტით**

უცხოური ინვესტიციების სტიმულირება, რომელიც საექსპორტო პროდუქციის დამზადებასთან არის დაკავშირებული, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რომელიც გულისხმობს უცხოური ინვესტორის მიერ ადგილობრივი საწარმოს აქციების შეძენას ან ახალი საწარმოს გახსნას. ეს თუზა გამოძინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ექსპორტის ზრდა უცხო ქვეყნიდან, მაგალითად, განვითარებად ქვეყანაში (საქართველოში (იმპორტი) ასტიმულირებს იმ ფაქტს, რომ ანალოგიური საქონელი უცხოური ინვესტორის (ან ექსპორტიორის) მიერ იწარმოებოდეს არა ექსპორტიორ ქვეყანაში, არამედ იმპორტიორ ქვეყანაში (საქართველოში). ასეთი სტიმულირების საფუძველად შეიძლება განვიხილოთ იაფი მუშახელი, იაფი ნედლეული და ადგილობრივი ფასების დაბალი დონე ინვესტორ ქვეყანასთან შედარებით. ეს თავის მხრივ იწვევს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო

ტენდენციას: საქართველოში უცხოური ინვესტიციების ზრდით გაიზრდება ექსპორტი და აგრეთვე ადგილობრივი ბაზრის გაჯერება, ხოლო შესაბამისად შემცირდება ანალოგიური საქონლის ექსპორტი ინვესტორის ქვეყნიდან და შესაბამისად იმპორტი საქართველოში. ამასთან შესაძლებელია საქართველოში დამზადებული საქონლის ექსპორტი განხორციელდეს უშუალოდ იმ ინვესტორ ქვეყანაში, სადაც მზადდება ანალოგიური საქონელი და უკვე ადგილზე გაუწიოს კონკურენცია ამ საქონელმა „თანამომხმე“ საქონელს. მეორეს, მხრივ გაიზრდება ინვესტორის ქვეყნიდან იმ საქონლის (მოწყობილობები, დანადგარები და სხვა) ექსპორტი საქართველოში, რომელიც სჭირდება მოცემული კონკრეტული საქონლის მწარმოებელ ქარხანას.

### §19.3.2 ზოგიერთი საბანკო ოპერაცია ექსპორტის დროს

ექსპორტიორთან ურთიერთობის დროს იმპორტიორმა შეიძლება საქონლის საფასური გადაიხადოს არა ნაღდი ფულით ან ანგარიშსწორების სხვა ფორმებით, არამედ დრაფტის სახით. დრაფტი არის გადასაცემი თამასუქი უცხოურ ვალუტაში (მაგ. კანადის დოლარებში). ასეთ დრაფტებს, როგორც წესი, ყიდულობენ ექსპორტიორი ქვეყნის ბანკები და შესაბამისად ახდენენ ანგარიშსწორებას ექსპორტიორებთან.

ბანკს შეუძლია საკორესპოდენტო ანგარიში გახსნას უცხოეთის კომერციულ ბანკში. ეს აადვილებს ექსპორტის დროს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ანგარიშსწორების საკითხებს. ასეთ ანგარიშებს ჰქვია „ნოსტრო“ და „ვოსტრო“ ანგარიშები და იგი ეხება საერთაშორისო კონვერტირებად ვალუტებს. ნოსტრო ანგარიში ნიშნავს „ჩვენს ანგარიშს სხვა ბანკებში“, ხოლო, ვოსტრო— „თქვენს ანგარიშს ჩვენთან“. ამდენად ასეთი საბანკო არხებით იმპორტიორებს ტექნიკურად საშუალება ეძლევათ გადარიცხონ ფულადი სახსრები ექსპორტიორის მომსახურე ბანკში.

ექსპორტის მომსახურება ბანკებმა შესაძლებელია განახორციელონ აკრედიტივის საშუალებით. აკრედიტივი არის იმპორტიორი ქვეყნის ბანკის მიერ ექსპორტიორი ქვეყნის ბანკში გახსნილი „გაყინული ანგარიში“, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც კი

მოხდება საქონლის მიწოდება ექსპორტიორის მიერ იმპორტიორისადმი გარკვეული მიწოდების პირობების შესრულებით, აკრედიტივზე არსებული თანხები გადავა ექსპორტიორის განკარგულებაში.

მაგ. აკრედიტივი გახსნილია იმ პირობით, რომ ექსპორტიორს საქონლის საფასური გადაეცემა მაშინ, როდესაც საქონელი მის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული იქნება იმპორტიორისადმი, მაგ. „DAF“—სარფის პირობით, ან „CIP“—თბილისის პირობით, ან „EXW“—ბერლინი, ქარხანა“ პირობით. შესაბამისად, როგორც კი საქონელი მოაღწევს სარფს ან თბილისს ან გადაეცემა იმპორტიორს ბერლინში საწარმოდან—მაშინათვე მოიხსნება შესაბამისი ანგარიშები აკრედიტივიდან ექსპორტიორის სასარგებლოდ.

იმ ექსპორტიორებს, რომლებიც უშუალოდ არ აწარმოებენ კონკრეტულ საექსპორტო საქონელს შეიძლება მიეცეთ საექსპორტო საბანკო კრედიტი საექსპორტო საქონლის შესაძენად. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრარული საქონლის ექსპორტის დაფინანსება. როგორც წესი, აგრარული საქონლის ექსპორტის დროს გასაცემი კრედიტის დაბრუნების ვადა არ აღემატება ექვს თვეს. თუმცა, ზოგჯერ აუსილებელია ამ ვადის გაზრდა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ჯერ აგრარული საქონლის იმპორტთან, ხოლო შემდეგ ამ საქონლის გამოყენებით სხვა აგრარული საქონლის წარმოებასა და ამ საქონლის ექსპორტთან. ასეთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ საკვები ხორბლის იმპორტი, რომლითაც ხორციელდება ღორების გასუქება და შემდგომ ღორის კონსერვის ექსპორტი. ამ შემთხვევაში ღორების გასუქების ციკლი შეადგენს 2 წელს, ამდენად საბანკო კრედიტის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო უფრო მეტი ვადა (მაგ. სამი წელი) უკვე განიხილება გარკვეულ საექსპორტო სუბსიდიად.

### §19.3.3 საქონლის ექსპორტი და ეროვნული ვალუტის დევალვაცია

ეკონომიკაში ისევე, როგორც სინამდვილის ყველა სფეროში, არსებობს ურთულესი და უფაქიზესი კაზუალური ხასიათის კავშირები, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზედაპირზე ჩანს ისეთი გარეგანი მოვლენების სახით, როგორიც არის, ვთქვათ,

ინფლაცია, დეფლაცია, დევალვაცია, რევალვაცია, ექსპორტისა და იმპორტის, უმუშევრობისა თუ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ან შემცირება და ა.შ. ამ მიმართულებით რეალურ და მონეტარულ ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიზეზ—შედგობრივი კავშირი არსებობს ეროვნული ვალუტის დევალვაციასა და საქონლის ექსპორტის მასშტაბებს შორის.

ეროვნული ვალუტის დევალვაციის შემთხვევაში შესაბამისი პროპორციით (დევალვაციის პროცენტულად) იზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობა, რადგანაც დევალვაციის მომენტიანათვის სამამულო საქონლის წარმოების ხარჯები მკვეთრად ჩამორჩება დევალვაციის შემდგომი პერიოდის ანალოგიური საქონლის წარმოების ხარჯებს. შესაბამისად, მოცემული საექსპორტო სამამულო საქონელი კონკურენტუნარიანი ხდება საგარეო ბაზარზე, რამდენადაც ამ საქონლის სარეალიზაციო ფასი უცვლელია. ეს ფაქტორები განაპირობებს სავაჭრო და სამრეწველო მოგების მნიშვნელოვან ზრდას დევალვაციის ფარგლებში, რაც თავის მხრივ, ფისკალური შემოსავლების პარალელური ზრდის საფუძველია.

ამასთან ეროვნული ვალუტის დევალვაციას დადებითთან ერთად ახლავს მედიკამენტის მიღების დარი „უკუჩვენებები“. კერძოდ, ეროვნული ვალუტის დევალვაცია იმავდროულად იწვევს ადგილობრივ ბაზარზე საქონლის ფასების ნომინალურ ზრდას ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც სავაჭრო მოგების ნორმა ინდიფერენტულია მონეტარულ-დევალვაციური პოლიტიკისადმი. ამას შედეგად მოსდევს საქონლის იმპორტის შეზღუდვა, რასაც მოჰყვება საქონლის მიწოდების შემცირება ბაზარზე. საქონელზე მოთხოვნა ანუ, ამ შემთხვევაში, მოსახლეობის შემოსავლები რჩება იგივე-დევალვაციამდელ დონეზე, ხოლო ფასები იზრდება დევალვაციის პროცენტის პროპორციულად. დროებით იქმნება ხელოვნური „ინფლაციური ვაკუუმი“, რამდენადაც კლასიკური გაგებით ინფლაცია არის ჭარბი ფულის მიწოდება ბაზარზე საქონლის მიწოდების უცვლელობის ან შემცირების პარალელურად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოქნილი მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალებით დროის მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლით, შესაძლებელია საქონლის ექსპორტის სტიმულირება და საექსპორტო ამონაგების დაბეგვრით სათანადო ფისკალური უწყვეტის მიღება.

## §19.4 რეიმპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია

საქონლის რეიმპორტი ეწოდება ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას (ზოგ ქვეყანაში საბაჟო რეჟიმს), რომლის დროსაც ქვეყნიდან ადრე გატანილი ამ ქვეყნის საქონელი ბრუნდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელ მდგომარეობაში საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად.

საქონლის რეიმპორტს ზოგჯერ საქონლის დაბრუნებას უწოდებენ, ხოლო რეიმპორტირებულ საქონელს—დაბრუნებულ საქონელს.

რეიმპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციაში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) საქონელი საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დროს არ უნდა იყოს უცხოური სტატუსის;

ბ) განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებულ უნდა იქნეს ამ საქონლის ექსპორტის დროს ექსპორტიორისათვის ანაზღაურებული გადასახდელები (საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ), ხოლო, თუ ექსპორტი დაიბეგრა ექსპორტის საბაჟო გადასახდელე-ბით, იგი დაბრუნებულ უნდა იქნეს შესაბამისი პირისათვის;

გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო დოკუმენტები;

დ) საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანის დროს არ უნდა დაექვემდებაროს გადამუშავების ოპერაციებს ანუ იგი უნდა იყოს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა ბუნებრივი ცვეთისა, რომელიც გულისხმობს ექსპლოატაციის დროს საწარმოო ცვეთასაც;

რეიმპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცეული და გაშვებული უცხოური საქონელი კარგავს უცხოური საქონლის სტატუსს და ღებულობს იმპორტიორი ქვეყნის საქონლის სტატუსს. ამასთან რეიმპორტში მოსაქცევი საქონელი ქვეყნის ტერიტორიიდან გატანის დროს კარგავს ამ ქვეყნის საქონლის სტატუსს და იქცევა უცხოურ საქონლად.

რეიმპორტში შეიძლება მოექცეს არა მხოლოდ საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი მთელი საქონელი (სასაქონლო პარტია), არამედ მისი ნაწილიც, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ამ საქონლის იდენტიფიკაცია ადრე გატანილ საქონელთან.

რეიმპორტი შეიძლება განახორციელოს არა მხოლოდ იმ პირმა (ექსპორტიორმა), რომელმაც ადრე მოცემული საქონელი გაიტანა საბაჟო ტერიტორიიდან, არამედ სხვა ნებისმიერმა პირმაც. ამდენად საბაჟო ოპერირების სუბიექტს მნიშვნელობა არა აქვს.

რეიმპორტში შეიძლება მოექცეს ის საქონელიც, რომელმაც საბაჟო ტერიტორიის გარეთ განიცადა გარკვეული ოპერაციები ამ საქონლის დაცულობისა და ექსპლოატაციის შენარჩუნებისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ ამის შედეგად საქონლის თავდაპირველი (ექსპორტის დროინდელი) ღირებულება არ გაზრდილა.

რეიმპორტში შეიძლება მოექცეს ის საქონელი, რომელიც წინასწარ იყო გაცხადებული გატანის დროს რეიმპორტისათვის და, აგრეთვე ის საქონელიც, რომელიც არ იყო ამისათვის გაცხადებული. ამასთან აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს რეიმპორტის დადგენილ ვადებს. ყველა ქვეყანა ადგენს გარკვეულ ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ადრე გატანილი საქონელი მოექცეს რეიმპორტში. როგორც წესი, ასეთ სტანდარტულ ვადად მიღებულია საქონლის ექსპორტიდან სამი წელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქონელი არ შეიძლება მოექცეს რეიმპორტში და თავისუფალი მიმოქცევისათვის იგი შემოტანილ უნდა იქნეს მხოლოდ იმპორტის საბაჟო რეჟიმით.

რეიმპორტში მოსაქცევი საქონელი შეიძლება წარედგინოს საბაჟო დამუშავებისათვის არა მხოლოდ იმ საბაჟო ორგანოს, საიდანაც მოხდა ამ საქონლის ექსპორტი, არამედ დეკლარანტის სურვილის მიხედვით, ნებისმიერ საბაჟო ორგანოს, რომელსაც აქვს საქონლის რეიმპორტის საბაჟო დამუშავების უფლება.

როგორც აღენიშნავდით, საბაჟო რეჟიმსა და საბაჟო დამუშავების ოპერაციას შორის მხოლოდ პირობითი განსხვავება არსებობს, რომელიც ძირითადად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა-წარუდგენლობის ვალდებულებით გამოიხატება. რეიმპორტის დროს, იმ ქვეყნებში სადაც ის საბაჟო რეჟიმი, საბაჟო დეკლარაცია წარედგინება, ხოლო სხვა ქვეყნებში, მხოლოდ შესაბამისი საბაჟო დოკუმენტები. ამასთან, რეიმპორტის დროს წერილობითი დეკლარაცია არ წარედგინება ადრე, გატანის დროს თავისუფალ მიმოქცევაში მყოფ კონტეინერებზე, შეფუთვაზე, ქვესადგამებზე და კომერციულ ანუ ტვირთების გადამზიდ სატრანსპორტო საშუალებებზე.



როგორც აღნიშნეთ, რეიმპორტში ექცევა, როგორც გატანის დროს დაბრუნებისათვის წინასწარ გაცხადებული, ასევე საბოლოო გატანისათვის განკუთვნილი საქონელი. ამასთან პირველ შემთხვევაში, თუ საქონელი გადის საბაჟო ტერიტორიიდან წინასწარ განზრახულად დროებით (ზოგ ქვეყანას აქვს დროებით გატანის საბაჟო რეჟიმი დროებით შემოტანასთან ერთად), მაშინ იგი ექცევა ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საბაჟო დეკლარაციაში დაბრუნების გადის აღნიშვნით და ეს საქონელი პირობითად თავისუფლდება ექსპორტის საბაჟო გადასახდელებისაგან (თუ, ასეთი არსებობს). ამასთან, საქონლის წინასწარგაცხადებული დროებითი გატანა საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება შეიცვალოს საბოლოო გატანით, რასაც შეიძლება მოყვეს შესაბამისი საბაჟო ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ თუ საქონელი წინასწარ გაცხადებულია დროებით გასატანად და შესაბამისად, დასაბრუნებლად და ეს ოპერაცია ხდება არაერთგზის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაშინ ამ საქონლის პირველი ექსპორტის დროს წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია ძალაში იქნება ყველა შემდგომი გატანისათვის.

### §19.5 რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია

საქონლის რეექსპორტი არის საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, როგორც წესი, უცხოური საქონელი გადის ამ ტერიტორიიდან საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე ან ზოგიერთ შემთხვევაში შემოტანის დროს გადახდილი გადასახდელების დაბრუნებით. იგი ხელს აძლევს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ ქვეყნებს შორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას და ძირითადად მას იყენებენ განვითარებადი ქვეყნების იმპორტიორები (შესაბამისად, შემდგომ ექსპორტიორები).

რეექსპორტში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

- ა) საქონელი უნდა იყოს უცხოური;
- ბ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს რეექსპორტის საბაჟო დეკლარაცია მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში;

გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;

დ) საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს ზოგიერთი სახის არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიება.

იმ ქვეყნებში, სადაც რეექსპორტი საბაჟო რეჟიმს წარმოადგენს აუცილებელია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც იგი არ არის საბაჟო რეჟიმი (მაგ. ევროკავშირი) საბაჟო დეკლარაციის წარდგენა აუცილებელია განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ, რეექსპორტის დროს საბაჟო დეკლარაცია წარედგინება სამ შემთხვევაში:

ა) საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს;

გ) დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს.

რაც შეეხება შემოტანილი და დროებით შენახვის საწყობში მოთავსებული საქონლის რეექსპორტს ან უკვე იმპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებულ დეფექტურ ან სარეკლამაციო საქონელს, იგი შეიძლება განხორციელდეს საბაჟო დეკლარაციის წარდგენის გარეშე თანმხლები დოკუმენტების ან საბაჟო ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე.

როდესაც საქმე გვაქვს დეფექტურ ან რეკლამაციას დაქვემდებარებულ და უკვე იმპორტის საბაჟო რეჟიმით გაშვებულ საქონელთან, იგი შეიძლება გატანილ იქნას არა ექსპორტით (მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე არ არის უცხოური საქონელი), არამედ რეექსპორტით, რაც ამარტივებს საბაჟო პროცედურებს იდენტიური, ახალი საქონლის ოპერატიულად შემოტანის მიზნით.

ამასთან დეფექტური საქონლის რეექსპორტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

ა) საქონელი არ უნდა იყოს ექსპლოატაციაში ნამყოფი იმპორტის შემდგომ. აქ მხედველობაში არ მიიღება საქონლის გამოყენება დეფექტის და ნაკლოვანებების აღმოსაჩენად;

ბ) საქონელი უნდა იყოს ცალსახად იდენტიფიცირებადი საბაჟო ორგანოების მიერ;

გ) უნდა იყოს დაწესებული გარკვეული ვადა იმპორტის თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ამ საქონლის რეექსპორტი (მაგ. 6 თვე).

რეექსპორტის ნაირსახეობად შეიძლება განვიხილოთ ზოგიერთ საბაჟო კონვენციაში აღწერილი ე.წ. „გადატვირთვის“ საბაჟო რეჟიმი. ამ შემთხვევაში გადატვირთვის უწოდებენ ისეთ საბაჟო პროცედურას, რომლის დროსაც ერთი საბაჟო ორგანოდან, ერთი სატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი უცხოური საქონელი, ამავე საბაჟო ორგანოში შემოსვლისთანავე და გარკვეულ ვადაში გადაიტვირთება პირდაპირ მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე და საბაჟო ტერიტორიის ტოვებს ამავე საბაჟო ორგანოდან.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აღილი აქვს უცხოური საქონლის შემოტანას საბაჟო ტერიტორიაზე და მის გატანას ამ ტერიტორიიდან შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც სწორედ საქონლის რეექსპორტს წარმოადგენს და, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. მაგ. აკრძალული საქონლის შემოტანა ან შემოტანილი საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებით სხვა ქვეყანაში გადამისამართება და ა.შ.

რეექსპორტის სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც აღილი აქვს ზემოაღნიშნულ გადატვირთვის, საბაჟო ორგანოს საკმარისია წარედგინოს საქონლის თანმხლები დოკუმენტები, რომელზეც იგი ახორციელებს შესაბამის აღნიშვნას საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ.

## §19.6 ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი

საბაჟო ტრანზიტი არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც უცხოური საქონელი საბაჟო კონტროლქვეშ გადაადგილდება ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზიტი ორი სახისაა: საერთაშორისო ტრანზიტი და შიდა საბაჟო ტრანზიტი. ორივე სახის ტრანზიტს ერთობლიობაში ეწოდება საბაჟო ტრანზიტი.

ჩვეულებრივ მსჯელობაში, როდესაც მხედველობაში აქვთ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი გულისხმობენ მხოლოდ საერთაშორისო ტრანზიტს ანუ უცხოური საქონლის გადაადგილებას მოცემული

ქვეყნის ორ საბაჟო ორგანოს შორის, როდესაც საწყისი გაგზავნისა და საბოლოო დანიშნულების საბაჟო ორგანოები ორ სხვადასხვა ქვეყანაში მდებარეობს (ანკლავის შემთხვევაში შესაძლებელია ისინი მდებარეობდეს ერთი და იგივე ქვეყანაში. მაგ. კალინინგრადიდან რუსეთის დანარჩენი ტერიტორიისკენ საქონლის გადაადგილება ლიტვის რესპუბლიკის გავლით).

რაც შეეხება შიდა საბაჟო ტრანზიტს, იგი გულისხმობს საქონლის გადაადგილებას მხოლოდ შიდა საბაჟო ორგანოებს შორის, ამ საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაუსვლელად. ამ შემთხვევაში საქონელი განკუთვნილია სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. მაგ. იმპორტისათვის შემოტანილი საქონელი სასაზღვრო საბაჟო ორგანოში ჯერ ექცევა შიდა საბაჟო ტრანზიტში, რათა საქონელი გადაადგილდეს საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში მდებარე საბაჟო დამუშავების ორგანოში, სადაც მოხდება იმპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელება და დასრულდება ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი. ეს პრაქტიკა ფართოდ არის მიღებული ევროკავშირის ქვეყნებში.

საბაჟო ტრანზიტს კონკრეტული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილების ასპექტით შემდეგი მარშრუტი გააჩნია:

- ა) შემოტანის პუნქტიდან გატანის პუნქტამდე;
- ბ) შემოტანის პუნქტიდან შიდა საბაჟო ორგანომდე;
- გ) შიდა საბაჟო ორგანოდან გატანის პუნქტამდე;
- დ) ერთი შიდა საბაჟო ორგანოდან მეორე შიდა საბაჟო ორგანომდე.

საზოგადოდ, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს იმ საბაჟო ორგანოს საიდანაც იწყება ტრანზიტის ოპერაცია ეწოდება გაგზავნის საბაჟო ორგანო, ხოლო იმ საბაჟო ორგანოს სადაც მთავრდება ეს ოპერაცია—დანიშნულების საბაჟო ორგანო. აქ იგულისხმება ერთი, კონკრეტული ქვეყნის საბაჟო ორგანოები.

საბაჟო ტრანზიტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდევებისაგან, თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი გადაადგილების პირობები და განსაზღვრულ შემთხვევებში წარმოდგენილია შესაბამისი საბაჟო გარანტია.

სხვადასხვა ქვეყანაში საბაჟო ტრანზიტის დროს საბაჟო

ორგანოს წარედგინება ან საბაჟო დეკლარაცია ან საქონლის თანმხლები დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო არსებითი ნიშნები. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო ორგანო საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად ღებულობს საქონლის თანმხლებ დოკუმენტებს, იგი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ამ დოკუმენტებზე.

საბაჟო ტრანზიტის დროს უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება ანუ მათზე პლომბებისა და სხვა სამაგრი მოწყობილობების დადება.

როგორც წესი, პლომბების დადებას ახორციელებს გამგზავნი საბაჟო ორგანო იმისათვის, რომ დანიშნულების საბაჟო ორგანომ ადვილად შეძლოს საქონლის ვიზუალური იდენტიფიცირება ან სხვა დარღვევების აღმოჩენა. ამასთან, საბაჟო ორგანო, როგორც წესი, არ ახდენს საქონლის იდენტიფიცირებას საბაჟო პლომბის სახით, თუ ეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ექვემდებარება საბაჟო პლომბის დადებას ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე (კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი, ვაგონები და სხვა), ეს სატრანსპორტო საშუალებები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საბაჟო პლომბები სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა იდებოდეს მარტივი და საიმედო წესით;

ბ) საქონლის ამოღება სატრანსპორტო საშუალებიდან შეუძლებელი უნდა იყოს საბაჟო პლომბების დარღვევის გარეშე;

გ) სატრანსპორტო საშუალებაში არ უნდა იყოს საქონლის სამალაგები;

დ) სატრანსპორტო საშუალების ყველა ადგილი, სადაც შეიძლება საქონლის განთავსება ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო დათვალიერებისათვის.

როდესაც, საბაჟო დოკუმენტები ცალსახად იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, მაშინ არ არსებობს საბაჟო პლომბების დადების აუცილებლობა, მაგრამ საბაჟო ორგანომ შეიძლება მაინც მოახდინოს პლომბების დადება შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) საბაჟო რისკებიდან გამომდინარე საბაჟო ორგანო ამას

აუცილებლობად მიიჩნევს;

ბ) ეს პროცესი ხელს აძლევს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის განხორციელების პროცედურას;

გ) ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო საბაჟო კონვენციებით.

ტრანზიტის დროს არის შემთხვევები, როდესაც საქონელი გადაადგილდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომელზეც შესაბამისი კონსტრუქციის გამო შეუძლებელია საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება. ასეთ პირობებში საბაჟო ორგანო მიმართავს შემდეგ საბაჟო პროცედურებს:

ა) საქონლის სრული საბაჟო დათვალიერება და დათვალიერების შედეგების შედარება საქონლის თანმხლები დოკუმენტების მონაცემებთან;

ბ) საბაჟო პლომბების ან სამაგრი მოწყობილობების დადება ინდივიდუალურ შეფუთვებზე;

გ) საქონლის სრული აღწერა იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით (ნიმუშები, სქემები, ნახატები, ფოტოგრაფია, შტამპები, ლუქები, ბეჭდები, ილუსტრაციები, იარლიყები და სხვა);

დ) მკაცრი მარშრუტებისა და ვადების დადგენა;

ე) საბაჟო გაცილება.

საბაჟო ტრანზიტი უნდა დასრულდეს გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში. ყველა ქვეყანა ადგენს შესაბამის ვადებს საქონლის დანიშნულების საბაჟო ორგანოში მიტანის გონივრული და მიზანშეწონილი ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ზოგჯერ ასეთი ვადები დგინდება აბსოლუტურ ციფრებში (მაგ. 10 დღე) ან ტრანზიტის მარშრუტის მანძილის გათვალისწინებით (მაგ. 100 კმ-ერთი დღე-ღამე). ამასთან, გარკვეულ პირობებში გადამზიდვის მოთხოვნით საბაჟო ორგანო აგრძელებს გადაადგილების ვადას.

ტრანზიტის ქვეყანა, შესაბამისი საბაჟო კონვენციების საფუძველზე, როგორც წესი, ცნობს სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოების მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე ან საქონელზე დადებულ პლომბებს და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის საბაჟო პლომბს ისეთივე სამართლებრივი დატვირთვა აქვს, როგორც მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ დადებულს. გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები, როდესაც:

ა) საიდენტიფიკაციო საშუალება საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე არასაკმარისად არის მიჩნეული;

ბ) საიდენტიფიკაციო საშუალება საბაჟო ორგანოს მიერ არასაიმედოდ არის მიჩნეული;

გ) საბაჟო ორგანო ახორციელებს საქონლის საბაჟო კონტროლს.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ ტრანსპორტირებისას ან მანამდე შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

ა) საქონლის განთავსება საბაჟო საწყობში ან დროებით შენახვის საწყობში;

ბ) საბაჟო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო საშუალებების ან საქონლის შემოწმების შედეგების დაფიქსირება სატრანზიტო დოკუმენტებში (ტრანზიტის დეკლარაცია, სატრანსპორტო ზედღებულები, თქვ-კარნეტი და სხვა);

გ) დანიშნულების საბაჟო ორგანოს შეცვლა გადამზიდველის მიერ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. კერძოდ, თუ დადგენილია, რომ დანიშნულების საბაჟო ორგანო შეიძლება შეცვლილ იქნეს გამგზავნი საბაჟო ორგანოს თანხმობით და ა.შ;

დ) საქონლის გადატვირთვა ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, მხოლოდ იმ პირობით, თუ საიდენტიფიკაციო საშუალებები დაზიანებული და დარღვეული არ არის;

ე) საბაჟო ორგანოს თანხმობით, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელთან ერთად კონტეინერში სხვა საქონლის მოთავსება, თუ ამ საქონელთა იდენტიფიკაცია შესაძლებელია;

ვ) გადამზიდვის ან დაინტერესებული პირის მიერ ფორსმაჟორული სიტუაციის შესახებ აუცილებელი შეტყობინება უახლოესი საბაჟო ორგანოსადმი ან სხვა კომპენტენტური ორგანოებისადმი.

საბაჟო ტრანზიტი სრულდება დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლისა და საბაჟო დეკლარაციის ან საქონლის თანხმლები დოკუმენტების წარდგენით. ამასთან, საბაჟო ტრანზიტი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციით (გარდა ექსპორტისა, რეიმპორტისა და ტერიტორიის გარეთ გადამუშავ-

ბისა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ტრანზიტში მოქცეული საქონელი შეიძლება მოექცეს ტეროტორიაზე გადამუშავების რეჟიმში, ხოლო მისი ნაწილი ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმში ან, როდესაც ტრანზიტში მოქცეული საქონელი ადრე წარმოდგენდა ტრანზიტის ქვეყნის საქონელს და იგი შეიძლება მოექცეს რეიმპორტში).

ქვემოთ გთავაზობთ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟო ტრანზიტის დროს შესაბამისი საიდენტიფიკაციო საშუალებები:

ა) საიდენტიფიკაციო საშუალებები უნდა იყოს მყარი და ცვეთამედეგი;

ბ) მათი დადება საქონელზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელი უნდა იყოს მარტივი და სწრაფი წესით;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი შემოწმებისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;

დ) შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა და მოშორება დაზიანების ნიშნების გარეშე;

ე) ისინი უნდა იყოს ერთჯერადი, გარდა მრავალჯერადი გამოყენების პლომბებისა (მაგ. ელექტრონული პლომბები);

ვ) ისინი უნდა იყოს ისეთნაირად კონსტრუირებული, რომ მაქსიმალურად გაძნელებული იყოს მათი კოპირება ან გაყალბება;

ზ) პლომბების ფორმა და ზომა უნდა უზრუნველყოფდეს განსხვავებას სხვა საიდენტიფიკაციო მარკირებებთან;

თ) პლომბის ყველა ღრმული უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ სამაგრ მოწყობილობას და ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ პლომბის დადების დროს სამაგრი მოწყობილობა მკვეთრად ფიქსირდებოდეს;

ი) გამოყენებული მასალა უნდა იყოს მყარი და მედეგი პლომბის შემთხვევითი დარღვევის, ადრეული ცვეთის (ატმოსფერული მოვლენები, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) ან უცაბედი დაზიანების მიმართ;

კ) პლომბის გამოყენებული მასალა შერჩეულ უნდა იქნეს პლომბირების სისტემის გათვალისწინებით;

ლ) სამაგრი მოწყობილობა უნდა იყოს მყარი, ცვეთამედეგი და მდგრადი ატმოსფერული მოვლენებისა და კოროზიის მიმართ;



მ) სამაგრი მოწყობილობის სივრცე შეუძლებელს უნდა ხდოდეს პლომბის შესაბამისი გარე მოწყობილობის გახსნას პლომბის ან სამაგრი მოწყობილობის დაზიანების გარეშე;

ნ) სამაგრი მოწყობილობის გამოყენებული მასალა შერჩეულ უნდა იქნეს პლომბირების სისტემის გათვალისწინებით;

ო) პლომბზე ან სამაგრი მოწყობილობაზე ამოტივფრული უნდა იყოს სიტყვა „საბაჟო“ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე;

პ) პლომბზე ან სამაგრი მოწყობილობაზე უნდა იყოს მარკირება იმ ქვეყნის საცნობარო ნიშნის შესახებ, სადაც ზორციელდება მოცემული საიდენტიფიკაციო საშუალების დადება;

ჟ) პლომბზე ან სამაგრი მოწყობილობაზე უნდა იყოს მარკირება იმ ქვეყნის საბაჟო ორგანოს საცნობარო ნიშნის შესახებ, სადაც ზორციელდება მოცემული საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (შესაბამისი იდენტიფიკაცია შესაძლებელია ციფრული ან ასოითი კოდით).

საბაჟო ტრანზიტის ნაირსახეობად გვევლინება ზოგიერთ საბაჟო კონვენციაში ცალკე საბაჟო რეჟიმად დაფიქსირებული ე.წ. „საქონლის კაბოტაჟური ტრანსპორტირების“ საბაჟო რეჟიმი.

კაბოტაჟური ტრანსპორტირება ხდება ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც, თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი გადაადგილდება საზღვაო (საწყლოსნო) გზით, ერთი საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოდან მეორე საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოში, როგორც წესი, იმავე საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) როდესაც საზღვაო (საწყლოსნო) გზით შემოტანილი და არადეკლარირებული უცხოური საქონელი შემოტანის სატრანსპორტო საშუალებიდან გადაიტვირთება საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოში სხვა საზღვაო (საწყლოსნო) სატრანსპორტო საშუალებაზე და გადაადგილდება სხვა საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოში, როგორც წესი, იმავე საბაჟო ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნული კაბოტაჟური გადაზიდვა, როგორც შიდა საბაჟო ტრანზიტის სპეციალური სახე დაკავშირებულია სასაზღვრო საზღვაო (სამდინარო) გეოგრაფიასთან. კერძოდ, საზღვაო სასაზღვრო საბაჟო ორგანო მდებარეობს ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე, ხოლო რეალური საბაჟო საზღვარი განლაგებულია ტერიტორიულ წყლების ხაზებზე ანუ ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს. ვინაიდან

ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია წყლის სივრცეში საბაჟო ორგანოს განლაგება და ფუნქციონირება, ამდენად არსებობს რისკი, რომ თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი, რომელიც არ არის საბაჟო კონტროლქვეშ და, რომელიც უნდა გადაადგილდეს საზღვაო ტრანსპორტით ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში საბაჟო ტერიტორიიდან გაუსვლელად (მაგ. ფოთიდან—ბათუმში), ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოუქცევლად გავიდეს გაგზავნის საბაჟო ორგანოდან საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ამდენად, კაბოტაჟური გადაადგილების პირველ შემთხვევაში ზორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლის (რომელიც არ არის საბაჟო კონტროლქვეშ) აყვანა საბაჟო კონტროლქვეშ საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით, რაც არ ხდება სხვა ანალოგიურ შემთხვევაში სახმელეთო ტრანსპორტის დროს (მაგ. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის გადაადგილება სახმელეთო ტრანსპორტით ბათუმიდან—ფოთში).

კაბოტაჟური გადაზიდვის მეორე შემთხვევაში, განსხვავებით თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლისა, საზღვაო ტრანსპორტით გადაიზიდება უცხოური საქონელი ერთი და იგივე საბაჟო ტერიტორიის ორ სხვადასხვა საბაჟო ორგანოს შორის, რაც არ განსხვავდება შიდა საბაჟო ტრანზიტისაგან ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით უცხოური საქონლის გადაადგილების შემთხვევაში.

როგორც აღვნიშნეთ, კაბოტაჟური ტრანსპორტირება, როგორც წესი, ხდება ერთი და იმავე საბაჟო ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს გამონაკლისიც. გამონაკლისად, საბაჟო ორგანოს თანხმობით ჩაითვლება საზღვაო ტრანსპორტის არა პირდაპირი სვლა ერთი და იმავე საბაჟო ტერიტორიაზე ერთი საბაჟო ორგანოდან მეორეში, არამედ უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს გავლით ჩასვლა შესაბამის დანიშნულების საბაჟო ორგანოში. (მაგ. ბათუმი—ილიჩევსკი—ფოთი). ეს შემთხვევა დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, როდესაც გემზე კაბოტაჟურ საქონელთან ერთად იმყოფება სხვა საქონელიც, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნისათვის ან გეოგრაფიული მდებარეობის ან ფორსმაჟორული სიტუაციის გამო აუცილებელია გემი ჯერ შევიდეს სხვა სახელმწიფოს ნავსადგურში და ისევ შემოვიდეს მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე.

კაბოტაჟური საქონელი, თუ სხვა სახის საქონელი არ არის შესაბამის ტრანსპორტზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება გადაიტვირთოს არა მხოლოდ დანიშნულების საბაჟო ორგანოში, არამედ ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს.

კაბოტაჟური ტრანსპორტირების დროს გემის კაპიტანი ვალდებულია გაგზავნის საბაჟო ორგანოს წარუდგინოს მხოლოდ ერთი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება მონაცემები გემის შესახებ, საქონლის ჩამონათვალი და დანიშნულების (გადატვირთვის პორტის) დასახელება. ამ დოკუმენტზე აღნიშვნით ხდება საბაჟო ორგანოს მიერ კაბოტაჟურ ტრანსპორტირებაზე თანხმობის მიცემა. ამასთან საბაჟო ორგანოს შეუძლია გასცეს გენერალური ნებართვა იმ გემებზე, რომლებიც ასრულებენ რეგულარულ კაბოტაჟურ გადაზიდვებს. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ითხოვს გემის დატვირთვის წინ მხოლოდ საქონლის ჩამონათვალის წარმოდგენას.

რაც შეეხება დანიშნულების საბაჟო ორგანოში კაბოტაჟური საქონლის გადატვირთვას, ამ დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება გაგზავნის საბაჟო ორგანოს მიერ დამოწმებული ერთჯერადი ნებართვის დამადასტურებელი გემის კაპიტნის დოკუმენტის ასლი, ხოლო გენერალური ნებართვის შემთხვევაში—მხოლოდ გადასატვირთი საქონლის სია.

აღსანიშნავია, რომ თუ კაბოტაჟურ ტრანსპორტირებას ექვემდებარება თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი და ამ საქონლის ექსპორტი იბეგრება საბაჟო გადასახდევლებით ან მის მიმართ ხორციელდება გატანის არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები (კვოტირება, აკრძალვა და სხვა) მაშინ, საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს საბაჟო გარანტიის წარმოდგენა.

## §19.7 საბაჟო სანყობის საბაჟო რეჟიმი

საბაჟო საწყობი არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც შემოტანილი უცხოური საქონელი ინახება განსაზღვრული წესით მოწყობილ შენობა-ნაგებობებში საბაჟო კონტროლქვეშ და საბაჟო გადასახდევლების გადახდის გარეშე.

საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმის ფუნქციას წარმოად-

გენს მეწარმე იმპორტიორი პირების ხელშეწყობა დაუბეგრავად შემოიტანონ საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონელი და შესაბამისი საბრუნავი სახსრების მოპოვების შემთხვევაში პერიოდულად აწარმოონ მოცემული საქონლის გაშვება იმპორტის საბაჟო რეჟიმში ან განახორციელონ სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისება ამ საქონლის საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის გზით.

საბაჟო საწყობი ორი სახის არის: ღია და დახურული.

ღია საბაჟო საწყობი ეწოდება ისეთ საწყობს, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს ნებისმიერმა პირმა ან სადაც შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი (შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით).

დახურული საბაჟო საწყობი ეწოდება ისეთ საწყობს, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს მხოლოდ ერთმა პირმა ან, სადაც შეიძლება განთავსდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის საქონელი.

საბაჟო საწყობები იქმნება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. იგი შეიძლება შექმნას მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტმა პირმა. რეზიდენტ პირში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, იურიდიული და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი პირები, ასევე საბაჟო ორგანოები.

საბაჟო საწყობების შექმნაზე ნებართვებს გასცემს საბაჟო ორგანო. ამასთან ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით რეგულირდება ნებართვის გაცემის პირობები.

საბაჟო საწყობი წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ტერიტორიაზე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო კონტროლით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურა.

საბაჟო საწყობის შექმნის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) საბაჟო საწყობი ისე უნდა იყოს დაცული, რომ იქ არ შეეძლოს მოხვედრა ნებისმიერ პირს;

ბ) საბაჟო საწყობს უნდა ჰქონდეს იზოლირებული სათავსები ან ღია ადგილი სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისათვის;

გ) საბაჟო საწყობის მფლობელმა ნებართვის მისაღებად საბაჟო ორგანოში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საბაჟო გარანტია.

საბაჟო საწყობში მოთავსებულ საქონელზე საბაჟო ორგანოს წინაშე პასუხისმგებლობა და საბაჟო ვალდებულებები ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დაიკარგება საბაჟო საწყობიდან, განადგურდება ან დაზიანდება საბაჟო საწყობის

მფლობელის მიზეზით, შესაბამისი საბაჟო გადასახდევლების გადახდის ვალდებულება ეკისრება დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის მფლობელს. შესაბამისად, საბაჟო საწყობის დაარსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი საბაჟო გარანტიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ საბაჟო გადასახდევლების მინიმალურ ოდენობას, რომელიც იქნებოდა გადახდილი საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს.

საბაჟო საწყობის მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აქვს საბაჟო გადასახდევლების გადახდის ვალდებულება, თუ საქონელი განადგურდა ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, როგორც არის წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ომი და სხვა მსგავსი დაუძლეველი ძალა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციად და დაუძლეველ ძალად არ განიხილება ისეთი მოვლენა, როგორც არის დროებით შენახვის საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ქურდობა ან ძარცვა-ყაჩაღობა, რაც საბაჟო გადასახდევლების გადახდისაგან თავის არიდების პრევენციად განიხილება იმ ასპექტით, რომ გამოირიცხოს საქონლის ზემოაღნიშნული მეთოდით დაკარგვის ინსცენირება.

საბაჟო საწყობში სხვადასხვა სახის, ხასიათის და დანიშნულების საქონლის განთავსების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, ის ფაქტორი, რომ არ უნდა მოხდეს საქონელთა დაზიანება ან გაფუჭება. მაგ. სახიფათო საქონელი ან ისეთი საქონელი, რომელიც დასვრის, შეერევა, გააფუჭებს ან შეუცვლის სხვა საქონელს სასაქონლო სახეს იზოლირებულად უნდა იქნეს განთავსებული.

საბაჟო საწყობში საქონლის განთავსების დროს დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად. ამასთან საქონლის განთავსების შემდეგ საბაჟო საწყობის მფლობელი აწარმოებს საქონლის შემოტანის და გატანის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში და ამის შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სათანადო ინფორმაციას აწვდის შესაბამის საბაჟო ორგანოს.

ღია ტიპის საბაჟო საწყობებში შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი, მათ შორის ის საქონელიც, რომელიც ექვემდებარება სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებებს. ამასთან საბაჟო საწყობში არ შეიძლება ისეთი საქონლის განთავსება,

რომელიც საზოგადოებრივი მორალის და წესის, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი ჰიგიენის, ჯანმრთელობის, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული ან პატენტების, სავაჭრო მარკების და საავტორო უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს ქვეყანაში შემოტანილი.

საბაჟო საწყობში შეიძლება მოთავსებული იყოს საქონელი შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე:

ა) საქონელი, რომელიც უნდა მოექცეს კანონმდებლობით დასაშვებ სხვა რეჟიმებსა და საბაჟო დამუშავების ოპერაციებში. ამ შემთხვევაში საბაჟო საწყობიდან შეიძლება განხორციელდეს საქონლის მოქცევა ფაქტობრივად ყველა სახის საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში), მათ შორის ტრანზიტის ჩათვლით, თუ ადრე საქონელი ტრანზიტისათვის იყო გაცხადებული;

ბ) საქონელი, რომელიც საბაჟო საწყობში უნდა მოექცეს ამ საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან გატანისა და გადახდილი საბაჟო გადასახდელების დაბრუნების მიზნით;

გ) საქონელი, რომელიც მოქცეულია ტრანზიტის ან დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმებით ამ რეჟიმების დროებით შეჩერების ან დამთავრების მიზნით.

საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი ოპერაციები, რომელიც ემსახურება ამ საქონლის დაცულობას უცვლელ მდგომარეობაში. ასეთი ოპერაციებს განეკუთვნება:

ა) გასუფთავება;

ბ) განიავება;

გ) გაშრობა;

დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება);

ე) დამცავ შესაფუთში მოთავსება;

ვ) დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება;

ზ) ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა;

თ) დამცავი მოწყობილობის შეყვანა;

ი) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

კ) პარტიის დანაწილება;

ლ) გზავნილების ფორმირება;

- მ) დახარისხება;
- ნ) შეფუთვა;
- ო) მარკირება (სპეციალური მარკების, აქციზური მარკების დაკვრა და სხვა);
- პ) საქონლის მოთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;
- ჟ) დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა;
- რ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;
- ს) საქონლის გადაადგილება საწყობში მისი რაციონალურად განლაგების მიზნით;
- ტ) ტესტირება (გამოცდა);
- უ) საქონლის დემონსტრირება საბაჟო კონტროლის ზონაში;
- ფ) გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო სხვა ოპერაციები.

ეროვნული კანონმდებლობა აწესებს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადას ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ობიექტური მოტივაციის არსებობის პირობებში. ცალკეულ მალფუჭებად ან სხვა განსაკუთრებული სახის საქონელზე საბაჟო ორგანო ადგენს შენახვის განსაზღვრულ ვადას. ამასთან არამალფუჭებად საქონელზე საბაჟო საწყობში შენახვის მინიმალური ვადა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები.

ზემოაღნიშნულ დადგენილ ვადებში საქონლის სხვა საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში) მოუქცევლობის შემთხვევაში საქონელი ექვემდებარება საბაჟო სანქციებს, მათ შორის ჩამორთმევას და რეალიზაციას სასყიდლით ან უსასყიდლოდ ეროვნული კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესით.

საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონელი, რომელიც დაზიანდა, გაფუჭდა ან გახდა უვარგისი მოხმარებისათვის ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, ამ მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იქნეს მოქცეული შესაბამის საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში). შესაბამისად, თუ ეს საქონელი მოექცევა იმპორტის საბაჟო რეჟიმში, მაშინ საბაჟო გადასახდელები გადაიხდება საქონლის დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით და, ბუნებრივია შემცირებული ოდენობით. ამასთან ეს ფაქტი უნდა იყოს

დადასტურებული დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადაეცეს საკუთრებაში იმპორტიორის ან კონსიგნაციის შემთხვევაში ექსპორტიორის მიერ, სხვა პირს. საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა არ ნიშნავს საქონლის გასვლას საბაჟო საწყობის რეჟიმიდან. ამ შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული საქონელი იცვლის მესაკუთრეს და არა საბაჟო სტატუსს.

### §19.8 უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია

უბაჟო ვაჭრობის პუნქტი(Duty free) არის საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც უცხოური ან/და მოცემული ქვეყნის საქონელი შეაქვთ სასაზღვრო საბაჟო ორგანოს საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ საცალო ვაჭრობის ობიექტში საბაჟო გადასახდელების (მოცემული ქვეყნის საქონლის შემთხვევაში შიდა არაპირდაპირი გადასახდელის) გადახდის გარეშე, საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელ მგზავრებზე მიწოდების მიზნით.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის შეტანა საბაჟო გადასახდელების გარეშე გაპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მგზავრი, რომელიც შეიძენს ამ საქონელს და გადის საბაჟო ტერიტორიიდან ითვლება, რომ იგი ამ საქონელს მოიხმარს საბაჟო ტერიტორიის გარეთ. მიღებული პრინციპის თანახმად, ირიბი საბაჟო გადასახდელები(საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ) გადახდილი არ უნდა იქნეს იმ ქვეყანაში(ანუ უბაჟო ვაჭრობის პუნქტის ქვეყანაში), სადაც არ ხდება საქონლის საბოლოო მოხმარება.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტი, როგორც წესი, განხილულია აეროპორტებში, ნავსადგურებში და საზოგადოდ ისეთ ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის და მასში დაიშვება მხოლოდ საქონლით საცალო ვაჭრობა საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელ მგზავრებზე.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტში სარეალიზაციოდ საბაჟო ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს ისეთი საქონელი, რომლის



შემოტანა, გაყიდვა ან საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის. ამასთან უბაჟო ვაჭრობის პუნქტებში უნდა გაიყიდოს ისეთი საქონელი, რომელიც განკუთვნილი იქნება ფიზიკური პირების მიერ მოხმარებისათვის (როგორც წესი, სურსათი, სასმელი, მცირე გაბარიტების მქონე საყოფაცხოვრებო საგნები საგნები).

უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის შეტანაზე ვრცელდება არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის დაარსება, ისევე, როგორც საბაჟო საწყობისა, საჭიროებს სპეციალურ ნებართვას შესაბამისი ორგანოების მხრიდან. როგორც წესი, ასეთ ორგანოდ გვევლინება საბაჟო ორგანო. ასეთი პუნქტის გახსნის უფლება აქვს ადგილობრივ საგადასახადო იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ პირს. ამასთან სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებთან ერთად ასეთი პუნქტის საქმიანობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია უბაჟო ვაჭრობის პუნქტის მომავალმა მფლობელმა საბაჟო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი საბაჟო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება ამ პუნქტის საქმიანობის მთელ პერიოდში.

წარმოდგენილი საბაჟო გარანტია უზრუნველყოფს უბაჟო ვაჭრობის პუნქტსა ან მის საწყობში არსებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის უკანონო განკარგვის ან დაკარგვის შედეგად გადასახდელი საბაჟო გადასახდელების გადახდას. ასეთ გადახდაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უბაჟო ვაჭრობის პუნქტის მფლობელს.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ იქ შესული მგზავრი, რომელიც შეიძენს საქონელს ვერ მოხვდეს შესაბამისი საბაჟო კონტროლის ზონის გარეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ შეძენილი და საბაჟო გადასახდელებით დაუბეგრავი საქონელი არ გავიდეს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში.

ზემოაღნიშნული საქონლის საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით უბაჟო ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს პუნქტში შეტანილი და მისგან გატანილი საქონლის აღრიცხვა.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტში განთავსებული საქონელი შეიძლება მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმებში და დამუშავების ოპერაციებში (გარდა ტრანზიტისა), იმავე პრინციპებით, როგორც ეს

არის საბაჟო საწყობში მოქცეული საქონლის შემთხვევაში. ამასთან ამ საქონელს შეიძლება ჩაუტარდეს ის ოპერაციები, რაც ასევე შეიძლება განხორციელდეს საბაჟო საწყობში მოქცეული საქონლის მიმართ(იხ. §19.7).

### **§19.9 საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი**

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი წარმოადგენს ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რომლის დროსაც შემოტანილი უცხოური საქონელი პირობითად თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან, ხოლო ამ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი განკუთვნილია საბაჟო ტერიტორიიდან გასატანად ან იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

სხვადასხვა ქვეყანაში ეს რეჟიმი პირობითად იყოფა ორად: გადამუშავება ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის რეჟიმში მოსაქცევად და გადამუშავება თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად ანუ სხვანაირად—გადამუშავება საბაჟო კონტროლქვეშ.

თავისი შინაარსით ეს რეჟიმი მეწარმე იმპორტიორის სასარგებლოდ „გამოგონილი“ საბაჟო რეჟიმიცაა, რადგანაც შესაბამისი შემოტანილი მასალების, ნედლეულის და სხვა მზა პროდუქტის გადამუშავება ხდება საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე. ამიტომ მას ზოგჯერ ეკონომიკური ხასიათის საბაჟო რეჟიმსაც უწოდებენ.

ამასთან საინტერესოა გადამუშავების პროდუქტების იმპორტის ან ექსპორტის საბაჟო რეჟიმებში მოქცევის დაბეგვრის მეთოდის პრინციპული სხვაობა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების დროს უნდა განვასხვავოთ სამი კატეგორიის საქონლის გადამუშავების შემთხვევა:

ა) გადამუშავებისათვის შემოტანილი უცხოური საქონლის გადამუშავება;

ბ) სხვა საბაჟო რეჟიმებში მოქცეული უცხოური საქონლის გადამუშავება;

გ) ეკვივალენტური საქონლის გადამუშავება.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის გადამუშავება ნიშნავს ამ საქონლიდან სხვა საქონლის წარმოებას ან მონტაჟს, აწყობას, სხვა საქონელზე მორგებას ან ამ საქონლის შეკეთებას, რემონტს, აღდგენას.

პირველი შემთხვევა, როდესაც ხდება სპეციალურად გადამუშავებისათვის შემოტანილი უცხოური საქონლის გადამუშავება, წარმოადგენს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების კლასიკურ მოდელს. ამ დროს შემოტანილ უცხოურ საქონელზე არ გადაიხდებიან საბაჟო გადასახდელები, საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამისი საბაჟო გარანტია, რომელიც უდრის გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს გადასახდელ საბაჟო გადასახდელების ოდენობას.

მეორე შემთხვევა, არსებითად არ განსხვავდება პირველი შემთხვევისაგან, რამდენადაც საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში შესაძლებელია მოექცეს არა მხოლოდ უშუალოდ ამ რეჟიმისათვის შემოტანილი საქონელი, არამედ სხვა საბაჟო რეჟიმებში მოქცეული უცხოური საქონელი. მაგ. საბაჟო საწყობში და სხვა.

მესამე შემთხვევა გულისხმობს ისეთ არსებით და განსხვავებულ მომენტს, როგორც არის სამამულო ან შემოტანილი უცხოური საქონლის გამოყენება გადამუშავების დროს, გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი შემოსატანი უცხოური საქონლის ნაცვლად. ამ დროს ხდება ისეთი ეკვივალენტური საქონლის გამოყენება შემოსატანი უცხოური საქონლის ნაცვლად, რომელიც თავისი აღწერილობით, ხარისხით და ტექნიკური მახასიათებლებით იდენტურია შემოსატანი და გადამუშავების რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მიმართ. ამასთან ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების პროდუქტები(თუ, განზრახულია მათი გატანა) გატანილ უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული, მაგრამ ჯერ შემოუტანელი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე. ანალოგიურად, უნდა განხორციელდეს ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების პროდუქტების იმპორტის დროსაც. ამ

შემთხვევაში, შემოსატანი საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს გადა-  
მუშავების პროდუქტის იმპორტის შემდეგ.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენების დროს ეკვივალენტურ,  
მოცემული ქვეყნის საქონელს ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი,  
ხოლო შემოტანილ უცხოურ საქონელს მოცემული ქვეყნის საქონლის  
სტატუსი. რაც შეეხება ეკვივალენტურ უცხოური საქონლის  
გამოყენებას შემოსატანი საქონლის ნაცვლად, მას რჩება უცხოური  
საქონლის სტატუსი, ხოლო შემოსატან საქონელს ენიჭება უცხოური  
საქონლის სტატუსი.

გადამუშავების შედეგად მიიღებულ საქონელს საკომპენსა-  
ციო საქონელი ეწოდება. იგი შედგება გადამუშავების პროდუქტის  
და ნარჩენებისაგან. გადამუშავების პროდუქტი არის საკუთრივ  
გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი, ხოლო ნარჩენი—ამ  
საქონლის მიღების დროს წარმოების ტექნოლოგიური ციკლის  
შედეგად წარმოქმნილი მასალა, რომელიც არის წარმოების პროცესის  
აუცილებელი თანმდევი. მაგ. ყურძნის გადამუშავების შედეგად მიიღება  
გადამუშავების პროდუქტი ღვინომასალა და ნარჩენი პროდუქტი—  
ჭაჭა.

გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელს  
გადასამუშავებელი საქონელი ეწოდება, ხოლო გადაუმუშავებლად  
დარჩენილ მის ნაწილს—ნაშთი.

საბაჟო დაბეგვრის თვალსაზრისით არსებობს საგულისხმო და  
მნიშვნელოვანი განსხვავება გადამუშავების პროდუქტების იმპორტის  
ან ექსპორტის საბაჟო რეჟიმებში მოქცევის ასპექტით. კერძოდ,  
იმპორტის საბაჟო რეჟიმში გადამუშავების პროდუქტის მოქცევის  
დროს ამ საქონელზე გადასახდელი საბაჟო გადასახდელების თანხა  
უნდა იყოს წარმოდგენილ საბაჟო გარანტიაზე ანუ გადასამუშავებელი  
საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების დროს  
გადასახდელ საბაჟო გადასახდელებზე ნაკლები. ეს ასტიმულირებს  
ცალკეული საქონლის წარმოებას ადგილობრივ ბაზარზე. ამასთან,  
კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს არა ნებისმიერი საქონლის  
მოქცევა გადამუშავების საბაჟო რეჟიმში გადამუშავების პროდუქტის  
იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის მიზნით, არამედ გარკვეული  
კატეგორიის საქონლის მოქცევა ამ მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში,  
თუ გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების

პროდუქტი წინასწარ არ ექცევა იმ კატეგორიაში, რომელიც განკუთვნილია იმპორტის საბაჟო რეჟიმისათვის და იგი არ გაიტანება საბაჟო ტერიტორიიდან, მაშინ მასზე საბაჟო გადასახდელის ოდენობა არ უნდა იყოს წარმოდგენილ საბაჟო გარანტიასზე ანუ შემოტანილ გადასამუშავებელი საქონლის იმპორტის დროს გადასახდელ საბაჟო გადასახდელებზე მეტი. მაგ. კანონმდებლობით დაშვებულია, რომ კაკოს გადამუშავების დროს მიღებული შოკოლადის მოქცევა შესაძლებელია იმპორტის საბაჟო რეჟიმში იმ პირობით, რომ შოკოლადის საბაჟო გადასახდელები უფრო ნაკლები იქნება ვიდრე—კაკოსი. მეორე შემთხვევა: რძის ფხვნილის გადამუშავების დროს მიღებული ნაყინის მოქცევა შესაძლებელია იმპორტის საბაჟო რეჟიმში იმ პირობით, რომ ნაყინის საბაჟო გადასახდელები არ იქნება უფრო მეტი ვიდრე—რძისა. მოცემულ შემთხვევაში შოკოლადის წარმოება სტიმულირებულია არაპირდაპირი სუბსიდირების ფორმით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ, როდესაც გარკვეული კატეგორიის საქონელი უნდა მოექცეს გადამუშავების რეჟიმში, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი—იმპორტის რეჟიმში, ამ შემთხვევაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ის ფაქტი, რომ შეუძლებელი უნდა გადამუშავების პროდუქტის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში ეკონომიკურად მომგებიანი გზებით. ეს დაკავშირებულია იმ ზემოაღნიშნულ ფაქტთან, რომლის მიხედვით გადამუშავების პროდუქტი იმპორტის რეჟიმში მოქცევის დროს უნდა დაიბეგროს უფრო ნაკლები საბაჟო გადასახდელებით, ვიდრე შესაბამისი გადასამუშავებელი საქონელი. მაგ. თუ, შოკოლადი, უფრო ნაკლები გადასახდელებით დაიბეგრება ვიდრე კაკო და, თუ შესაძლებელია შოკოლადის ისევ კაკოდ აღდგენა, მაშინ გამოდის, რომ დეკლარანტმა ლეგალური გზებით თავი აარიდა უფრო მეტი საბაჟო გადასახდელების გადახდას, რადგანაც თავისუფალ მიმოქცევაში ფაქტობრივად შევიდა არა შოკოლადი, არამედ კაკო, რომელზეც მას უნდა გადაეხადა მეტი საბაჟო გადასახდელები, ვიდრე შოკოლადის იმპორტის დროს. ამასთან საქონლის ეს „აღდგენა“ „მომგებიანი გზებით“ უნდა ზორციელდებოდეს ანუ აღდგენაზე გაწეული ხარჯი არ უნდა იყოს შესაბამისი ზემოაღნიშნული საბაჟო გადასახდელების სხვაობის ტოლი ან მასზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ეკონომიკურად აზრს კარგავს.

რაც შეეხება გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევას, აქ ზემოაღნიშნული სტიმულირების მექანიზმი ჩადებული არ არის გამოძინარე იქედან, რომ ექსპორტი, როგორც წესი, საბაჟო გადასახდლებით არ იბეგრება.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის გადამუშავების დროს ამ რეჟიმში საქონლის მოქცევა შეუძლია, როგორც ამ საქონლის მესაკუთრეს და იმპორტიორს, ასევე სხვა პირს, რომელსაც შეიძლება იგი გადაეცეს გადასამუშავებლად. ამასთან ამ რეჟიმში საქონლის მოსაქცევად საბაჟო ორგანო გასცემს ნებართვას, ხოლო იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ამ რეჟიმში საქონლის რეგულარულ მოქცევას—მიეცემათ გენერალური ლიცენზია.

საქონლის გადაცემა სხვა პირისათვის გადასამუშავებლად შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ამ საქონლის საკუთრების უფლების გადაცემით ან ამ საქონლის მხოლოდ გადამუშავების უფლების გადაცემით. ორივე შემთხვევაში ახალი ნებართვები არ გაიცემა, თუ საქონლის მიძღები პირი კისრულობს იმ ვალდებულებებს, რა ვალდებულებაც ეკისრება ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში მოქცევა პირს.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში საქონლის მოქცევის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორებია საქონლის იდენტიფიცირება და გამოსავლიანობის ნორმის დადგენა.

საქონლის იდენტიფიცირება შეიძლება განხორციელდეს დაზარჯულ ნედლეულზე დაწერილებითი მონაცემების და საკომპენსაციო საქონლის წარმოების მონაცემების წარმოდგენით, ასევე გადამუშავების ოპერაციების დროს საბაჟო კონტროლის განხორციელების გზით. ამასთან გადასამუშავებელი საქონლის შემოტანის დროს, როგორც წესი, იდენტიფიცირება შეიძლება განხორციელდეს ყველა იმ საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენებით, რაც გააჩნია საბაჟო ორგანოს (მარკირება, შტამპები, ბეჭდები და ა.შ.).

რაც შეეხება საქონლის გამოსავლიანობის ნორმას, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გადამუშავების პროდუქტის დაბეგვრის თვალსაზრისით. გამოსავლიანობის ნორმა წარმოადგენს გადამუშავების პროდუქტის ფიზიკურ ან პროცენტულ რაოდენო-

ბას, რომელიც მიღებულია გარკვეული ოდენობის გადასამუშავებელი საქონლის გადამუშავების შედეგად. მაგ. ერთი ტონა ყურძნის გამოსავლიანობის ნორმა არის 50% ანუ ერთი ტონა ყურძნიდან მიიღება დაახლოებით 500 ლიტრი ღვინო.

გამოსავლიანობის ნორმას ადგენს, როგორც წესი, დეკლარანტი. ამასთან, გამოსავლიანობის სტანდარტულ ნორმებს ადგენენ კომპენტენტური ექსპერტული ორგანოები იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გადასამუშავებელ საქონელს აქვს პრაქტიკულად მუდმივი მაზასიათებლები;

ბ) გადამუშავება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული ტექნიკური პირობებით;

გ) მიღებული გადამუშავების პროდუქტი არის უცვლელი ხარისხის.

საქონლის გადამუშავება ხორციელდება საბაჟო ორგანოსთან წინასწარ დადგენილ ვადებში. ასეთი ვადები ღვინდება კონკრეტული საქონლის სპეციფიკის მიხედვით. ამასთან დეკლარანტის (ან შესაბამისი პირის) მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო აგრძელებს გადამუშავების ვადას.

გადამუშავების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ნაშთები, თუ ისინი მოექცევა იმპორტის საბაჟო რეჟიმში, უნდა დაიბეგროს იმ საბაჟო გადასახდელბით, როგორც იმ დროისათვის იმპორტირებული ასეთი საქონელი. ამასთან ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს დაბეგვრის რეტროსპექტულ წესს, რომლის მიხედვით, ასეთი საქონლის დაბეგვრა ხორციელდება გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის დროს მოქმედი საბაჟო გადასახდელბით. იგივე შეიძლება ითქვას გადამუშავების პროდუქტზეც.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება მთავრდება გადამუშავების პროდუქტების, ნარჩენების ან ნაშთების სხვა, კანონმდებლობით დაშვებულ საბაჟო რეჟიმებში(დამუშავების ოპერაციებში) მოქცევის გზით. მაგ. გადამუშავების პროდუქტი და ნარჩენი შეიძლება მოექცეს რეექსპორტისა და ტრანზიტის გარდა, ნებისმიერ დამუშავების ოპერაციაში, ხოლო გადამუშავების ნაშთი-ექსპორტის გარდა, სხვა ნებისმიერ დამუშავების ოპერაციაში.

## §19.10 საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი წარმოადგენს ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რომლის დროსაც მოცემული ქვეყნის საქონელი გაიტანება დროებით საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად, ხოლო გადამუშავების პროდუქტი განკუთვნილია საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად საბაჟო გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით.

ეს რეჟიმი გამოიყენება მაშინ, როდესაც ქვეყნის შიგნით შეუძლებელია შესაბამისი საქონლის გადამუშავება ან ასეთი გადამუშავება უფრო ძვირია ვიდრე საზღვარგარეთ.

გადამუშავების შედეგად მიიღებულ საქონელს საკომპენსაციო საქონელი ეწოდება. იგი შედგება გადამუშავების პროდუქტის და ნარჩენებისაგან. გადამუშავების პროდუქტი არის საკუთრივ გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი, ხოლო ნარჩენი—ამ საქონლის მიღების დროს წარმოების ტექნოლოგიური ციკლის შედეგად წარმოქმნილი მასალა, რომელიც არის წარმოების პროცესის აუცილებელი თანმდევი. მაგ. ყურძნის გადამუშავების შედეგად მიიღება გადამუშავების პროდუქტი ღვინომასალა და ნარჩენი პროდუქტი—ჭაჭა.

გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელს გადასამუშავებელი საქონელი ეწოდება, ხოლო გადაუმუშავებლად დარჩენილ მის ნაწილს—ნაშთი.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის გადამუშავების დროს ამ რეჟიმში საქონლის მოქცევა შეუძლია, როგორც ამ საქონლის მესაკუთრეს, ასევე სხვა პირს, რომელსაც შეიძლება იგი გადაეცეს გადასამუშავებლად. ამასთან ამ რეჟიმში საქონლის მოსაქცევად საბაჟო ორგანო გასცემს ნებართვას, ხოლო იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ამ რეჟიმში საქონლის რეგულარულ მოქცევას—მიეცემათ გენერალური ლიცენზია.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში საქონლის მოქცევის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორებია საქონლის იდენტიფიცირება და გამოსავლიანობის ნორმის დადგენა.



საქონლის იდენტიფიცირება შეიძლება განხორციელდეს დახარჯულ ნედლეულზე ან საქონელზე დაწერილებითი მონაცემების და საკომპენსაციო საქონლის წარმოების მონაცემების წარმოდგენით. ამასთან გადამუშავებული საქონლის გატანის დროს, როგორც წესი, იდენტიფიცირება შეიძლება განხორციელდეს ყველა იმ საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენებით, რაც გააჩნია საბაჟო ორგანოს (მარკირება, შტამპები, ბეჭდები და ა.შ).

რაც შეეხება საქონლის გამოსავლიანობის ნორმას, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გადამუშავების პროდუქტის დაბეგერის თვალსაზრისით. გამოსავლიანობის ნორმა წარმოადგენს გადამუშავების პროდუქტის ფიზიკურ ან პროცენტულ რაოდენობას, რომელიც მიღებულია გარკვეული ოდენობის გადასამუშავებელი საქონლის გადამუშავების შედეგად. მაგ. ერთი ტონა ყურძნის გამოსავლიანობის ნორმა არის 50% ანუ ერთი ტონა ყურძნიდან მიიღება დაახლოებით 500 ლიტრი ღვინო.

გამოსავლიანობის ნორმას ადგენს, როგორც წესი, დეკლარანტი. ამასთან, გამოსავლიანობის სტანდარტულ ნორმებს ადგენენ კომპენტენტური ექსპერტული ორგანოები იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გადასამუშავებელ საქონელს აქვს პრაქტიკულად მუდმივი მახასიათებლები;

ბ) გადამუშავება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული ტექნიკური პირობებით;

გ) მიღებული გადამუშავების პროდუქტი არის უცვლელი ხარისხის.

საქონლის გადამუშავება ხორციელდება საბაჟო ორგანოსთან წინასწარ დადგენილ ვადებში. ასეთი ვადები ღვინდება კონკრეტული საქონლის სპეციფიკის მიხედვით. ამასთან დეკლარანტის (ან შესაბამისი პირის) მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო აგრძელებს გადამუშავების ვადას.

საინტერესოა საკომპენსაციო საქონლის, მათ შორის, გადამუშავების პროდუქტის ან გადაუმუშავებელი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის საბაჟო დაბეგერის მექანიზმი. აქ გამოიყოფა რამდენიმე შემდეგი შემთხვევა:

ა) როდესაც გადამუშავების პროდუქტი შემოდის საბაჟო ტერიტორიაზე იგი იბეგრება ნაწილობრივ ანუ ამ პროდუქტის საბაჟო ღირებულება გაიანგარიშება გადამუშავების პროდუქტების საბაჟო

ღირებულებასა და საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობით. პირველი სიდიდე ყოველთვის მეტი იქნება მეორეზე, რამდენადაც გატანილ ღირებულებას დაემატება გადამუშავების ღირებულება და უკან შემოტანის ხარჯები. ამდენად უნდა დაიბეგროს ის ნამეტი ღირებულება, რომელიც შემოდის საბაჟო ტერიტორიაზე. ამასთან ასეთი გათავისუფლების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადასამუშავებელი საქონლის გატანის დროს ჩათვლილი ან დაბრუნებული არაპირდაპირი გადასახადები. კერძოდ, გათავისუფლება არ შეეხება იმ გადასახადებს, რომელიც ჩათვლილია ან დაბრუნებულია ამ საქონლის გატანის დროს;

ბ) გადამუშავების პროდუქტი შეიძლება გათავისუფლდეს საბაჟო გადასახდლებისაგან სრულად. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც გადასამუშავებლად გადის ისეთი საქონელი, რომელიც ექვემდებარება უსასყიდლო გადამუშავებას. უსასყიდლოდ გადამუშავებულად, როგორც წესი, ითვლება საქონელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საგარანტიო ვალდებულების ან საწარმოო დეფექტების დროს. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქონლის გატანის დროს ანაზღაურებული გადასახადები;

გ) გადამუშავების ნარჩენების შემოტანა იმპორტის საბაჟო რეჟიმში იბეგრება საბაჟო გადასახდლებით ისეთნაირად, როგორც დაიბეგრებოდა ამ საქონლის იმპორტი ჩვეულებრივი წესით;

დ) გადაუმუშავებელი საქონელი მთლიანად ან გადამუშავების ნაშთი საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს სრულად თავისუფლდება საბაჟო გადასახდლებისაგან, თუ გათვალისწინებულია საქონლის გატანის დროს ანაზღაურებული გადასახადები;

ე) საკომპენსაციო საქონლის შემოტანისას ამ საქონლის იმპორტისაგან განსხვავებულ საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცევის დროს, ეს საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახდლებისაგან.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების პროდუქტი შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური საქონლით (ზოგჯერ მას სტანდარტული გაცვლის სისტემასაც უწოდებენ). ეს შეცვლა შეიძლება განხორციელდეს ორი მეთოდით:

ა) როდესაც ეკვივალენტური უცხოური საქონლის შემოტანა ხდება წინასწარ, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის ამ ტერიტორიიდან გატანამდე, ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს წარედგინება საბაჟო გარანტია წინასწარ შემოტანილი ეკვივალენტური საქონლის იმპორტის საბაჟო გადასახდელების ოდენობით და იმ პირობით, რომ ეკვივალენტური საქონლის შემოტანის შემდეგ განსაზღვრულ ვადაში, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი გატანილ იქნება ამ საბაჟო ტერიტორიიდან;

ბ) როდესაც ეკვივალენტური უცხოური საქონლის შემოტანა ხდება საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის ამ საბაჟო ტერიტორიიდან გატანის შემდეგ, იმ პირობით, რომ გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონელი არ დაბრუნდება გატანის საბაჟო ტერიტორიაზე. ამ საქონლის დაბრუნების შემთხვევაში იგი დაიბეგრება იმპორტის შესაბამისი გადასახდელებით, იმ შემთხვევაში, თუ მოექცა იმპორტის საბაჟო რეჟიმში.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება მთავრდება გადამუშავების პროდუქტების, ნარჩენების ან ნაშთების სხვა, კანონმდებლობით დაშვებულ საბაჟო რეჟიმებში (დამუშავების ოპერაციებში) მოქცევის გზით. მაგ. გადამუშავების პროდუქტი და ნარჩენი შეიძლება მოექცეს რეექსპორტის და ექსპორტის გარდა, ნებისმიერ დამუშავების ოპერაციაში, ხოლო გადამუშავების ნაშთი-რეექსპორტის გარდა, სხვა ნებისმიერ დამუშავების ოპერაციაში.

### **§19.11 დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი**

საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შემოტანას გარკვეული ვადით საბაჟო გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით. ამასთან ეს საქონელი გატანილ უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიიდან უცვლელ მდგომარეობაში (გარდა ბუნებრივი ცვეთი-სა, მათ შორის საწარმოო ექსპლოატაციით გამოწვეული ცვეთისა) წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი ხელს აძლევს მეწარმე სუბიექტებს და მგზავრებს. კერძოდ, საქონელი შეიძლება დროებით იქნეს შემოტანილი და სრულად ან ნაწილობრივ საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლებული ამ საქონლის შემდეგი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე:

ა) წარმოების საშუალებები შემოტანილია იჯარით;

ბ) საქონელი შემოტანილია გამოფენებისათვის, დემონსტრაციისათვის, რეკლამისათვის და ა.შ;

გ) საქონელი შემოტანილია ექსპერიმენტების, ცდების, კვლევების და ა.შ ჩასატარებლად;

დ) საქონელი შემოტანილია ფიზიკური პირების, მგზავრების (ტურისტების) მიერ მათი პირადი საჭიროებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო გადასახდელებისაგან თავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ.

სრული გათავისუფლება ნიშნავს გარკვეული კატეგორიის საქონლის ან გარკვეული პირების გათავისუფლებას ყველა საბაჟო გადასახდელისაგან. ძირითადად ეს ეხება არასაწარმოო მიზნებით შემოტანილ საქონელს. ასეთი საქონლის ნუსხა განსაზღვრულია „დროებით შემოტანის შესახებ“ სტამბულის 1990 წლის 26 ივნისის საბაჟო კონვენციით და მისი ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) საქონელი, რომელიც გამოიყენება დემონსტრაციების, გამოფენების, ბაზრობების, კონფერენციების და მსგავსი ღონისძიებებისათვის;

ბ) პროფესიული მოწყობილობები;

გ) კონტეინერები, სათავსები, შეფუთვები, ნიმუშები და სხვა სახის საქონელი, რომელიც შემოტანილია კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებით;

დ) საქონელი, რომელიც შემოტანილია განათლების, მეცნიერების და კულტურის მიზნებისათვის;

ე) მგზავრების პირადი საქონელი და ის საქონელი, რომელიც შემოტანილია სპორტული მიზნებისათვის;

ვ) ტურიზმის სარეკლამო მასალები;

ზ) საქონელი, რომელიც შემოტანილია სასაზღვრო ვაჭრობის ფარგლებში;

თ) კუმანიტარული საქონელი;

ი) სატრანსპორტო საშუალებები;

კ) ცხოველები.

ნაწილობრივი გათავისუფლება ნიშნავს ზემოაღნიშნული საქონლის გარდა ყველა სხვა საქონლის დაბეგვრას ნაწილობრივ ანუ არასრულად, რაც გამოიხატება ძირითადად საბაჟო გადასახდელების პერიოდულად გადახდით შემცირებული გადასახდელების ოდენობით. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს იმპორტის საბაჟო გადასახდელების ოდენობის საბაჟო გარანტია. მაგ. დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმით ორი წლის ვადით შემოტანილია ჩარხი, რომლის იმპორტი ერთბაშად უნდა დაბეგრილიყო 12%-იანი საბაჟო გადასახდლით და 18%-იანი დღგ-ით. ვინაიდან ჩარხი ექცევა დროებით შემოტანის და არა იმპორტის რეჟიმში, ამდენად იგი დაიბეგრება შემდეგი შეღავათიანი მექანიზმით და ნაწილობრივ: ორი წლის განმავლობაში ყოველთვე იმპორტის გადასახდელების თანხის 3%-იანი განაკვეთის ოდენობით, რაც საბოლოო ვადის ამოწურვის დროს არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახდელების თანხას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი თანხა აღემატება იმპორტის გადასახდელებს მოხდება ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოქცეს არა მხოლოდ სპეციალურად ამისათვის შემოტანილი უცხოური საქონელი, არამედ უკვე სხვა საბაჟო რეჟიმებში მოქცეული და უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსის მქონე საქონელი. მაგ. საბაჟო საწყობში არსებული უცხოური საქონელი.

დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონელი, როგორც წესი, ექცევა საბაჟო დეკლარაციის წარდგენით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით მგზავრების მიერ პირადი ნივთების შემოტანის დროს საქონელზე შეიძლება არ იქნეს მოთხოვნილი წერილობითი საბაჟო დეკლარაცია საქონლის რაოდენობისა და ღირებულებიდან გამომდინარე, რადგანაც ამ საქონლის ქვეყანაში დარჩენის საბაჟო რისკი არის მინიმალური, ხოლო შედეგები უმნიშვნელო.

საბაჟო დეკლარაცია და საბაჟო გარანტია ასევე არ წარედგინება საბაჟო კონვენციებით განსაზღვრულ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმით შემოდის ე.წ. „ATA-კარნეტით“. ამ შემთხვევაში, თვით ეს დოკუმენტი

წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციას. („დროებით შემოტანის“ კონვენციაზე საუბარი გვაქვს 22-ე თავში).

დროებითი შემოტანის დროს, ისევე, როგორც სხვა საბაჟო რეჟიმების დროს უმნიშვნელოვანესი საკითხია შემოტანილი საქონლის იდენტიფიცირების საკითხი გასატან ამავე საქონელთან. ასეთ შემთხვევაში საქონლის შემოტანის დროს საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ საქონლის იდენტიფიცირებას ნებისმიერი მოსახერხებელი საიდენტიფიკაციო ნიშნებით(მაგ. შტამპები, ფოტოგადაღება, უნიკალური ნომრების დაფიქსირება და ა.შ).

დროებითი შემოტანის დროს საბაჟო ორგანოს მიერ განისაზღვრება კონკრეტული საქონლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში საბაჟო ტერიტორიაზე ამ საქონლის ყოფნის ვადა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთან დროებით შემოტანის ვადა შეიძლება შეჩერდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ, საქონელი დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმიდან მოექცა საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში გარკვეული ვადით;
- ბ) თუ, საქონელზე დადებულია ყადაღა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყადაღა დადებულია კერძო პირების სარჩელის საფუძველზე.

დროებითი შემოტანის დროს ზოგიერთი ქვეყანა გასცემს დროებითი შემოტანის ნებართვას, რაც საერთაშორისო ნორმების მიხედვით მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ამასთან ასეთი ნებართვა უნდა გაიცეს იმ პირზეც, რომელსაც საქონლის შესაკუთრისაგან დროებით გადაეცემა საქონელი, იმ პირობით, რომ ეს პირი დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი სრულდება, როგორც წესი, ამ საქონლის რეექსპორტით, თუმცა, იგი შეიძლება დასრულდეს სხვა კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი საბაჟო რეჟიმით(საბაჟო დამუშავების ოპერაციით), გარდა ექსპორტისა, ტრანზიტისა და რეიმპორტისა.

## §19.12 თავისუფალი საბაჟო ზონის ან თავისუფალი საბაჟო სანჯოხის საბაჟო დამუშავების ოპერაცია

თავისუფალი საბაჟო ზონასა და თავისუფალ საბაჟო საწყობს შორის მხოლოდ პირობითი განსხვავება არსებობს, რაც იმაში გამოიხატება საბაჟო ზონა გულისხმობს საბაჟო ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს, ხოლო საბაჟო საწყობი—საბაჟო ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებს. სიმარტივისთვის შემდგომში ორივეს ვუწოდოთ თავისუფალი საბაჟო ზონა, რამდენადაც აბსოლუტურად ყველა საბაჟო პროცედურა ერთნაირად ზორციელდება.

თავისუფალი საბაჟო ზონა არის საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც ამ ზონაში მოთავსებული საქონელი საბაჟო გადასახდელების გადახდის თვალსაზრისით განიხილება საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალ ზონაში შეტანილ საქონელზე საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდებიან.

თავისუფალი საბაჟო ზონა შეიძლება იყოს ისეთი უფრო დიდი წარმონაქმნების შემადგენელი ნაწილი და ერთ-ერთი მიმართულება, როგორც არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ოფშორული ზონა (offshore-ინგ. ნაპირს მიღმა, გარეთ), თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საგადასახადო ოაზისი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პირველი თავისუფალი საბაჟო ზონა (პორტო ფრანკო) შეიქმნა ზმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მე-16 საუკუნის ბოლოს, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ბათუმში არსებობდა, ასევე თავისუფალი საბაჟო ზონა (პორტო ფრანკო).

თავისუფალი ზონა წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას და შესაბამისად იქ მოთავსებული საქონელი შეიძლება შემოწმებულ იქნეს საბაჟო ორგანოს მიერ ნებისმიერ დროს.

თავისუფალ ზონაში შეიძლება აკრძალულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი საქონლის განთავსება. მაგ. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით თავისუფალ ზონაში აკრძალულია აქციზური საქონლის მოთავსება.

ამასთან თავისუფალ ზონაში აკრძალულია ისეთი საქონლის განთავსება, რომელიც საზოგადოებრივი მორალის და

წესის, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი ჰიგიენის, ჯანმრთელობის, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული ან პატენტების, სავაჭრო მარკების და საავტორო უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს ქვეყანაში შემოტანილი.

თავისუფალ ზონაში მოთავსებული იმ საქონელზე, რომელიც ექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის არის განკუთვნილი, ისევე ვრცელდება გადასახადების ჩათვლის, დაბრუნებისა და ანაზღაურების მექანიზმი, როგორც ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დროს.

საბაჟო ზონაში მოთავსებული საქონლის მიმართ საბაჟო დეკლარირების სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. კერძოდ:

ა) საბაჟო ზონაში უშუალოდ საზღვარგარეთიდან შეტანილ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება. ამ შემთხვევაში დეკლარაციის ნაცვლად საკმარისია საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენა, თუ ისინი მოიცავს საკმარის ინფორმაციას საქონლის შესახებ (მაგ. კონოსამენტი, ინვოისი, სატრანსპორტო ზედღებული და სხვა);

ბ) საბაჟო ზონიდან უშუალოდ საზღვარგარეთ გატანილ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება. ამ შემთხვევაში დეკლარაციის ნაცვლად საკმარისია საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენა, თუ ისინი მოიცავს საკმარის ინფორმაციას საქონლის შესახებ (მაგ. კონოსამენტი, ინვოისი, სატრანსპორტო ზედღებული და სხვა);

გ) საბაჟო ზონიდან ქვეყნის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე შესატანად ან ამ ტერიტორიის გავლით მის გარეთ გასატანად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია შესაბამისი საბაჟო რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად.

თავისუფალი საბაჟო ზონა იქმნება ქვეყნის შესაბამისი კომპენტენტური ორგანოს ნებართვით. ასეთი ორგანო, როგორც წესი, არის საბაჟო ორგანო. ამასთან თავისუფალი საბაჟო ზონა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეიძლება იყოს უფრო დიდი ერთეულის— თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იქმნება მთავრობის ნებართვით.

თავისუფალი ზონების შექმნა ითვალისწინებს გარკვეული ტერიტორიის შემოფარგვლას და იზოლირებას საბაჟო ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან. შემოფარგლული ტერიტორიის პერიმეტრი



წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონის პერიმეტრს და საკუთრივ თავისუფალი საბაჟო ზონის შემთხვევაში (განსხვავებით თავისუფალი საბაჟო საწყობისა) ამ პერიმეტრზე ზღედა შესასვლელი და გასასვლელი საბაჟო პუნქტების მოწყობა შესაბამისი საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად.

თავისუფალი საბაჟო ზონის შექმნის ნებართვის მისაღებად სხვა ტექნიკურ პირობებთან ერთად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი საბაჟო გარანტია. ეს პროცედურები და კრიტერიუმები შინაარსობრივად არ განსხვავდება საბაჟო საწყობის შექმნის დროს დასაკმაყოფილებელი შესაბამისი კრიტერიუმებისაგან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ გარეგან, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

თავისუფალ ზონაში საქონლის მოთავსების შემდეგ მასზე შეიძლება ჩატარდეს მისი შენახვის ან რეალიზაციის უზრუნველყოფი ღონისძიებები, რაც ანალოგიურია საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებებისა(იხ. §19.7).

ამასთან თავისუფალ ზონაში, საბაჟო ორგანოს ნებართვის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს საქონლის გადამუშავების ოპერაციები. ეს ოპერაციები ზუსტად იმ ტიპის მოქმედებებია, რომელსაც ადგილი აქვს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების დროს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფალ ზონაში საქონლის გადამუშავების დროს გადამუშავების პროდუქტის საბაჟო ღირებულებაში ამ პროდუქტის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის დროს არ შედის ზონაში ამ საქონლის გადამუშავებაზე გაწეული ხარჯები, გარდა უცხოური მასალებისა და ნედლეულისა. ეს გაპირობებულია იმით, რომ თავისუფალი ზონა წარმოადგენს მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიას. ანალოგიური პრინციპი შეიძლება გავრცელდეს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლისაგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის, ამავე ქვეყნის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის დროს.

თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსების ვადა, განსხვავებით ჩვეულებრივი საბაჟო საწყობისაგან, შეზღუდული არ არის. ასეთი შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს იშვიათად,

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამასთან, ისევე, როგორც საბაჟო საწყობში, დაშვებულია საკუთრების უფლების გადაცემა თავისუფალ ზონაში მოთავსებულ საქონელზე.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ზონის ფარგლებში არ შეიძლება უცხოური საქონელი მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში, გარდა იმ საქონლისა, რომელიც განკუთვნილია იქ მომუშავე პერსონალის პირადი მოხმარებისათვის.

თავისუფალ საბაჟო ზონაში განთავსებული უცხოური საქონელი შეიძლება მოქცეულ იქნეს ნებისმიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციაში, გარდა ექსპორტისა.

### **§19.13 სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების ოპერაცია**

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის ისეთი საბაჟო პროცედურა, რომლის დროსაც უცხოური საქონელი საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა საბაჟო ორგანოს (სახელმწიფოს) დეკლარანტის მიერ საბაჟო გადასახდელების გადაუხდელოდ.

ბუნებრივია, რომ წარმატებული ბიზნეს-სიტუაციების დროს არცერთი იმპორტიორი არ გადასცემს საქონელს უსასყიდლოდ ანუ საჩუქრად სხვა პირს. თუმცა, ბიზნესი და მათ შორის საქონლის იმპორტი ზოგჯერ დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ რისკებთან, რომლის დროსაც დეკლარანტისათვის არ არის ეკონომიკურად მომგებიანი შემოტანილი საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევა და შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა. აქ შეიძლება განვიხილოთ მრავალი შესაძლო სიტუაციიდან ორი მაგალითი:

ა) საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილია კომპიუტერები. ნავსადგურში შემოსვლისა და გადმოტვირთვის დროს აღმოჩნდა, რომ გემის ტრიუმებში განთავსებული კომპიუტერები ნესტისა და კლიმატური გარემოს გამო გაფუჭებული აღმოჩნდა, თუმცა მათ გარკვეული ღირებულება გააჩნია. ამასთან მათი ღირებულება იმდენად დაბალია, რომ საბაჟო გადასახდელების გადახდის შემთხვევაში მისი

რეალიზაცია ხარჯების ზრდის გამო შეუძლებელია. ასეთ სიტუაციაში დეკლარანტი იძულებულია საქონელი გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ ან გაანადგუროს იგი. ამასთან განადგურების ოპერაცია თავის მხრივ შესაბამის ხარჯებს მოითხოვს დეკლარანტისაგან, ხოლო ასეთი საქონლის დიდხანს საბაჟო კონტროლქვეშ ყოფნა ანუ მისი განთავსება საბაჟო საწყობში დაკავშირებულია დეკლარანტის მიერ საწყობში შენახვის ხარჯებთან. ასეთ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალია საქონელზე უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ;

ბ) იმპორტიორმა თავის ბიზნეს გეგმის მიხედვით გადაწყვიტა შემოეტანა კონკრეტული საქონელი. ამ საქონლის შემოტანას სჭირდება მინიმუმ ორი თვე. ამ ხნის განმავლობაში საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად იმდენად გაიზარდა ამ საქონლის იმპორტის საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, რომ მისი შემდგომი რეალიზაცია უფრო მეტ ზარალს იწვევს, ვიდრე ეს სახელმწიფოსათვის საქონლის გადაცემით არის მოსალოდნელი.

„ლირიკული გადახვევისათვის“ მოვიყვანოთ ერთ კურიოზულ ფაქტს, რომელიც რეალურად მოხდა რუსეთის ერთ-ერთ საზღვაო საბაჟოში. ერთ-ერთი კომპანია ნავმისადგომში შემოსული საკრუიზო გემებიდან რეგულარულად სპეციალური ტექნიკის საშუალებით ქაჩავდა გემში დაგროვილ ფეკალურ მასას და ყოველგარი საბაჟო ფორმალობების განხორციელების გარეშე შემოქონდა საბაჟო ტერიტორიაზე და იყენებდა მას სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების საწარმოებლად. გარკვეული ხნის შემდეგ საბაჟო ორგანომ ასეთ ოპერაციაზე მოითხოვა იმპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა, რასაც დეკლარანტებმა უპასუხეს სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით (ეს ოპერაცია რუსეთში საბაჟო რეჟიმს წარმოადგენს).

სახელმწიფოსათვის საქონლის გადაცემა არ მოითხოვს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას. იგი შეიძლება განხორციელდეს საბაჟო ორგანოს თანხმობით და საქონლის თანხლები დოკუმენტების საფუძველზე. ამასთან სახელმწიფოსათვის საქონლის გადაცემის ყველა ხარჯი (გადმოტვირთვა, მიტანა, გადატვირთვა და ა.შ) გაწეულ უნდა იქნეს დეკლარანტის მიერ.

საქონლის სახელმწიფოზე გადაცემის დროს დეკლარანტი არ იხდის საბაჟო გადასახდლებს. ამასთან ამ საქონლის მიერ საბაჟო ორგანოს მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან იგი ითვლება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულად და სახელმწიფო ასევე არ იხდის საბაჟო გადასახდლებს. საბოლოოდ საბაჟო ორგანოს მიერ საქონელი გადაეცემა შესაბამის კომპენტენტურ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც განახორციელებს ამ საქონლის განკარგვას მიწოდების სხვადასხვა, კანონმდებლობით დადგენილი ფორმებით.

აღნიშნული საბაჟო დამუშავების ოპერაცია მთავრდება სახელმწიფოსათვის საქონლის გადაცემის შესაბამისი დოკუმენტით(აქტი, ოქმი).

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცეული საქონელი არ შეიძლება დეკლარანტის სურვილით მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში).

### **§19.14 საქონლის განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაცია**

საქონლის განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაცია ნიშნავს უცხოური საქონლის ისეთ უეარგის მდგომარეობაში მოყვანას საბაჟო გადასახდლებების გადახდის გარეშე, როდესაც შეუძლებელია მოცემული საქონლის აღდგენა თავდაპირველ მდგომარეობაში ეკონომიკურად მომგებიანი გზით (თუ რას ნიშნავს ეკონომიკურად მომგებიანი გზით აღდგენა ჩვენ განმარტებული გეაქვს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დროს).

საქონლის განადგურების მოტივაცია იგივე ფაქტორებით არის გაპირობებული, რაც ჩვენ ვნახეთ სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების ოპერაციის დროს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ გასანადგურებლად წარმოდგენილი საქონელი იმდენად არის დაზიანებული, რომ მისი რაიმე მიზნით გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია და ამდენად სახელმწიფო უარს ამბობს მის მიღებაზე.

განადგურება ხორციელდება დეკლარანტის ხარჯებით და

სხვადასხვა საქონლის ფიზიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე სხვადასხვა ფორმებით. მაგ. დაწვით, დამარხვით, ჩაძირვით, დანგრევით, დაშლით, მექანიკური დაზიანებით და სხვა შესაძლო ფორმებით.

განადგურება არ მოითხოვს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას და იგი ხორციელდება თანმხლები დოკუმენტების საშუალებით. ამასთან განადგურების ოპერაცია მოითხოვს არა მხოლოდ საბაჟო ორგანოს, არამედ ეკოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის პროფილის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანხმობას, რადგანაც ცალკეული სახის საქონელთა სპეციფიკიდან გამომდინარე მათი გარკვეულ ტერიტორიაზე განადგურება შეიძლება საშიში იყოს, როგორც გარემოსათვის, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

საქონლის განადგურების შედეგად შეიძლება წარმოიშვას ნარჩენები ან ჯართი. შესაბამისად, თუ ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ფასეულობას და აქვთ შესაბამისი სახმარი ღირებულება, მაშინ ისინი უნდა მოექცეს დეკლარანტის მიერ შერჩეულ შესაბამის საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში). ნარჩენებში შეიძლება მოვიპოვოთ ისეთი საქონელი, რომელსაც მოცემული საქონლის განადგურების შედეგად შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სასაქონლო სახე შესაბამისი სასაქონლო კოდის დონეზე (მაგ. ავტომანქანის განადგურების შედეგად ნარჩენის სახით სახეზეა საბურავები ან სხვა ცალკეული ნაწილები). რაც შეეხება ჯართს, მასში იგულისხმება ისეთი საქონელი, რომელსაც მოცემული საქონლის განადგურების შედეგად შენარჩუნებული არ აქვს თავდაპირველი სასაქონლო სახე შესაბამისი სასაქონლო კოდის დონეზე (მაგ. ავტომანქანის განადგურების შედეგად მისი ყველა ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ შეუძლებელია ცალკეული სასაქონლო კოდების მინიჭება და იგი მთლიანობაში წარმოადგენს ერთი სასაქონლო კოდის საქონელს—ჯართს).

აკრძალულია ზოგიერთი სახის და დანიშნულების საქონლის მოქცევა განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაციაში. როგორც წესი, ასეთ საქონელს განეკუთვნება:

ა) კულტურული ფასეულობები (სხვადასხვა ქვეყნებში კულტურული ფასეულობის ცნება ერთმანეთს არ ემთხვევა. ქვემოთ წარმოგიდგენთ კულტურული ფასეულობების ნუსხას საქართველოს მიხედვით):

—ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიისა და პალეონტოლო-  
გისათვის საინტერესო იშვიათი კოლექციები და ნიმუშები;

—ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ  
შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებისა და საზოგადოების ისტო-  
რიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხე-  
ლოვანთა და სპორტსმენთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან  
ეროვნულ ფაქტებთან;

—არქეოლოგიური აღმოჩენა;

—მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების  
ფრაგმენტები;

—100 წელზე მეტი ხნის: წარწერა, მონეტა და ბეჭედი;

—ეთნოგრაფიული მასალა;

—ნებისმიერი მასალით ხელით შესრულებული ტილო, სურათი,  
ნახატი (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის  
გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში;

—ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგი-  
ნალური ნაწარმოები;

—ორიგინალური გრაფიურა, ესტამპი (ესტამპი ნიშნავს ტვიფარს,  
ანაბეჭდს გრაფიურიდან) და ლითოგრაფია;

—ნებისმიერი მასალისაგან დამზადებული ორიგინალური  
მხატვრული შენარჩევი და მონტაჟი;

—იშვიათი ხელნაწერი და ინკუნაბული (ინკუნაბული (ან  
ინკუნაბალი)—არის საბეჭდი, ევროპული გამოცემები, რომლებიც  
გამოვიდა დროის მონაკვეთში წიგნის ბეჭდვიდან მე-15 საუკუნის  
შუაღან 1501 წლის 1 იანვრამდე. სულ ცნობილია 40000-  
მდე სახელწოდება ნახევარმილიონი საერთო ტირაჟით), ძველი  
წიგნი, გუჯარი და გამოცემა, რომლებიც განსაკუთრებულ  
ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და  
სხვა) იწვევენ ცალ-ცალკე და კოლექციად;

—არქივი, მათ შორის ფონო, ფოტო და კინოარქივი;

—100 წელზე მეტი ხნის ავეჯი და ძველებური მუსიკალური  
საკრავი;

ბ) გადაშენების პირას მისული ცხოველებისა და მცენარეების  
სახეები, მათი ნაწილები და დერივატები, გარდა იმ შემთხვევებისა,  
როდესაც მათი განადგურება აუცილებელია ეპიდემიისა და  
ეპიზოოტიების გამო;

გ) საქონელი, რომელიც საბაჟო ორგანოს მიერ მიღებულია გირაოს სახით (გირაოს ვადის დამთავრებამდე);

დ) საქონელი, რომელიც ამოღებულია ან რომელზეც დადებულია ყადაღა;

ე) საქონელი, რომლის განადგურებაც ზიანს მიაყენებს ან საშიშროებას უქმნის ხალხის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;

ვ) საქონელი, რომლის განადგურება იწვევს სახელმწიფოს ზარალებს;

ზ) საქონელი, რომლის შემოტანა საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალულია.

### §19.15 საქონლის მარაგების გადაადგილების საბაჟო დამუშავების ოპერაცია

საქონლის მარაგების გადაადგილების საბაჟო დამუშავების ოპერაცია ნიშნავს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ამ შემომსვლელი საერთაშორისო საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის დროს ამ ტრანსპორტზე განსაზღვრული საქონლის მიწოდების ან იქ არსებული საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახდელებისაგან.

მარაგები ეწოდება გარკვეული სახის და დანიშნულების საქონელს, რომელიც ან მიეწოდება ზემოაღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებს ან მგზავრებს(ეკიპაჟის წევრებს) ან არსებობს ამ სატრანსპორტო საშუალებების ბორტზე.

მარაგები ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ორი სახის არის: სამომხმარებლო და სარეალიზაციო.

სამომხმარებლო მარაგებს განეკუთვნება:

ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია საზღვაო (სამდინარო), საჰაერო ან სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრების ან ეკიპაჟის წევრების მიერ ბორტზე მოხმარებისათვის, მიუხედავად იმისა ეს საქონელი მათ მიეყიდებათ თუ არა;

ბ) საქონელი, რომელიც განკუთვნილია საზღვაო (სამდინარო), საჰაერო ან სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის, საწვავ-საპოხი მასალების ჩათვლით,

გარდა სათადარიგო ნაწილებისა და მოწყობილობებისა.

ზემოაღნიშნული მარაგები იმყოფება საზღვაო (სამდინარო), საჰაერო ან სარკინიგზო ტრანსპორტის ბორტზე ამ ტრანსპორტით მგზავრების ან საქონლის საერთაშორისო გადაზიდვების დროს ან მიეწოდება ამ ტრანსპორტზე საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს. ასეთი გადაზიდვა შეიძლება იყოს ფასიანი ან უფასო.

სარეალიზაციო მარაგებს განეკუთვნება ის საქონელი, რომელიც განკუთვნილია საერთაშორისო რეისებისათვის განკუთვნილი საზღვაო (სამდინარო), საჰაერო, სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრებისათვის მისაყიდად საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანის პირობით.

მარაგები, რომელიც იმყოფება ზემოაღნიშნული საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული სატრანსპორტო საშუალებების ბორტზე (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) და რჩება ბორტზე-თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან. რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტს, ამ შემთხვევაში მატარებელში არსებული საქონელი, რომელიც განკუთვნილია მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების კვებისათვის, თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან შემდეგი პირობით:

—საქონელი უნდა იყოს იმ ქვეყნებში შექმნილი, სადაც გაიარა საერთაშორისო მატარებელმა;

—შესაბამისი გადასახდელები გადახდილ უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც ეს საქონელი იქნა შექმნილი.

როგორც წესი, გემის კაპიტნები წარუდგენენ საბაჟო ორგანოს მარაგების შესაბამის საბაჟო დეკლარაციას, რომელიც მოიცავს იმ მინიმალურ ინფორმაციას საქონლის შესახებ, რაც აუცილებელია საქონლის საბაჟო კონტროლისათვის. ამ დეკლარაციაში ცალკე უნდა იყოს მითითებული საერთო მარაგებიდან ის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საბაჟო ორგანოს ნებართვით უნდა გაიცეს. ასეთი დეკლარაცია გემის შემოსვლის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება 4 ეგზემპლარად, ხოლო გასვლის დროს—3 ეგზემპლარად (თუმცა, მაგ. კიოტოს შესაბამისი კონვენცია საბაჟო პროცედურების გამარტივების შესახებ გემის გასვლის დროს მარაგების დეკლარაციის წარდგენას, როგორც წესი, არ ითხოვს. ზემოაღნიშნული დეკლარაციების წარდგენა გათვალისწინებულია 1965 წლის 9 აპრილის ლონდონის „საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობის შემსუბუქების შესახებ“



კონვეციით). რაც შეეხება საპაერო ზომალდებს, საბაჟო ორგანო საპაერო ზომალდების ბორტზე დარჩენილი მარაგების ცალკე დეკლარაციას არ ითხოვს.

არსებობს გემში ან თვითმფრინავში არსებული მარაგების გაცემის შემდეგი ტიპიური შემთხვევები:

ა) როდესაც გემი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დგას ნავსადგურში, საბაჟო ორგანო ნებას რთავს გემის კაპიტანს მგზავრების რაოდენობიდან და დგომის ხანგრძლივობიდან გამომდინარე გემზე არსებული მარაგებიდან გასცეს მისი გარკვეული ნაწილი მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებზე;

ბ) როდესაც გემი გარკვეული დროის განმავლობაში სარემონტოდ დგას ღოკში ან ვერფზე, მაშინ საბაჟო ორგანოს თანხმობით გემის კაპიტანს შეუძლია გასცეს მარაგების შესაბამისი რაოდენობა ეკიპაჟის წევრებზე მოხმარებისათვის;

გ) როდესაც თვითმფრინავი ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე აეროპორტში დაგეგმილ დაფრენას, მაშინ შესაბამისი საბაჟო ორგანოს თანხმობით ზომალდის მეთაურს შეუძლია გასცეს ბორტზე არსებული მარაგებიდან გარკვეული ოდენობა მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისათვის ზომალდის დგომის ან შუალედურ აეროპორტებს შორის გადაფრენის დროს მოხმარებისათვის.

მარაგების საბაჟო კონტროლის ასპექტით საბაჟო ორგანო უკრძალავს გადამზიდველს (ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების განმკარგავს) მარაგების უსანქციო გამოყენებას. ამასთან საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს მარაგების იდენტიფიკაცია შესაბამისი საშუალებებით. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია საბაჟო ორგანოს შეუძლია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებიდან გაიტანოს მარაგები საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე დროებით შესანახად—გადამზიდველის ხარჯებით.

საერთაშორისო საზღვაო (სამდინარო) და საპაერო ზომალდებს, რომლებიც გადიან საბაჟო ტერიტორიიდან და, რომელთა დანიშნულების ადგილი არის საზღვარგარეთ, შეუძლიათ ბორტზე მიიღონ შემდეგი სახის მარაგები საბაჟო გადასახდელეებისაგან გათავისუფლებით:

ა) მარაგები, რომელიც განკუთვნილია მგზავრებისა და ეკიპაჟის

წევრების მოხმარებისათვის სამი ფაქტორის გათვალისწინებით:

—მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების რაოდენობა;

—ფრენის ხანგრძლივობა;

—უკვე ბორტზე არსებული მარაგების რაოდენობა;

ბ) მარაგები, რომელიც განკუთვნილია ხომალდის ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის, ფრენის ხანგრძლივობისა და ბორტზე უკვე არსებული მარაგების ოდენობის გათვალისწინებით.

მარაგების მიწოდება იმ საერთაშორისო საზღვაო (სამდინარო) და საჰაერო ტრანსპორტისათვის, რომელიც ტრანზიტულად გაივლის ქვეყნის შესაბამის პორტს, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან. აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ ასეთი მიწოდებისათვის განკუთვნილი შესაბამისი საქონლის იმპორტი არ დაიბეგრება საბაჟო გადასახდელებით, ხოლო სამამულო ან უკვე იმპორტში მოქცეული და დაბეგრილი საქონლის მიწოდების დროს გადახდილი არაპირდაპირი გადასახადები დაუბრუნდება მიმწოდებელს (ნულოვანი დაბეგვრის პრინციპი).

იმ საერთაშორისო სატრანსპორტო საშუალებებში (იგულისხმება ზემოაღნიშნული სამივე სახის ტრანსპორტის სახეობა), არსებული მარაგების მიმართ, რომლებიც შემოდინ მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს ამ მარაგების არამიზნობრივი განკარგვის შემდეგი ღონისძიებები:

ა) მარაგების გაშვება ამ საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის საბაჟო რეჟიმში ან კანონმდებლობით დაშვებულ სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციაში;

ბ) საბაჟო ორგანოს წინასწარი თანხმობით ამ სატრანსპორტო საშუალებების ბორტზე არსებული მარაგების გადატვირთვა სხვა ანალოგიური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებზე.

## თავი 20. საბაჟო სტატისტიკა

### §20.1 საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა

დიდი გერმანელი მწერალი და თავის დროზე გერმანიის ფინანსთა მინისტრო გოეთე ამბობდა: ციფრები კი არ მართავენ სამყაროს არამედ ცხადყოფენ, თუ როგორ მართავენ მას. შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბაჟო სტატისტიკის სწორ წარმოებას.

საბაჟო სტატისტიკა საბაჟო ურთიერთობათა საგნიდან გამომდინარე ორი სახის არის: საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკა. ორივე სახის სტატისტიკის არსებობის მატერიალური საფუძველია შესაბამისი საბაჟო დოკუმენტების ანალიზი (მაგ. საბაჟო დეკლარაცია, თანმხლები დოკუმენტები, საბაჟო ორგანოს მიერ შექმნილი სხვა დოკუმენტები).

საბაჟო სტატისტიკა სწავლობს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის საკითხებს და მის ფუნქციას განეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეჟიმებში მოქცეულ საქონელთა თანაფარდობის აღრიცხვა, ანალიზი და შესაბამისი კანონზომიერებების შესწავლა.

ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეჟიმების ქვეშ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მიზნებიდან გამომდინარე იგულისხმება საქონლის რეექსპორტიც და რეიმპორტიც, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ საგარეო სავაჭრო ბალანსზე.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ანალიზს ახორციელებს სხვადასხვა საგარეო-ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით. კერძოდ, აქ იგულისხმება ექსპორტისა და იმპორტის შემდეგი ძირითადი სტატისტიკური ფაქტორები:

- ა) საქონლის სახეობა;
- ბ) საქონლის საბაჟო ღირებულება;
- გ) საქონლის ფიზიკური რაოდენობა;
- დ) ექსპორტიორი ქვეყანა;
- ე) იმპორტიორი ქვეყანა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ოპერირებს სწორედ ამ ფაქტორებზე კონკრეტული და გლობალური სტატისტიკური სურათის

შესაქმნელად. ნებისმიერ ქვეყანას საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან. შესაბამისად, საბაჟო ორგანო ახდენს ზემოაღნიშნული ფაქტორების კომბინირებულ ან განცალკავებულ ანალიზს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით. ეს ფაქტორები სტატისტიკის კონკრეტული მიზნებისათვის შემდეგი კომბინაციით შეიძლება წარმოვიდგინოთ მოცემულ იმპორტიორ ქვეყანაში მოცემული პერიოდისათვის:

—გარკვეული სახეობის საქონლის იმპორტი (მაგ. 1 თვეში შემოვიდა საბურავები, ფქვილი და შაქარი);

—გარკვეული სახეობის საქონლის ფიზიკური რაოდენობა (მაგ. 1 თვეში შემოვიდა 5000 საბურავი, 10000 ტონა ფქვილი და 3000 ტონა შაქარი);

—გარკვეული სახეობის საქონლის საბაჟო ღირებულება(მაგ. 1 თვეში შემოვიდა 50000 აშშ დოლარის ღირებულების საბურავები, 10000000 აშშ დოლარის ღირებულების ფქვილი და 3000000 აშშ დოლარის ღირებულების შაქარი);

—ყველა სახის საქონლის საბაჟო ღირებულება(მაგ. 1 თვეში შემოვიდა 13550000 აშშ დოლარის საბაჟო ღირებულების საქონელი);

—ზემოაღნიშნული ფაქტორებით საქონელი შემოტანილია კონკრეტული ექსპორტიორი ქვეყნიდან;

—ზემოაღნიშნული ფაქტორებით საქონელი შემოტანილია ყველა ექსპორტიორი ქვეყნიდან.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის სწორი საგარეო-ეკონომიკური და, მათ შორის საბაჟო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში. კერძოდ, საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდოს მონაცემებზე(უარყოფითი და დადებითი სავაჭრო სალდო) პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა და პირიქით. მაგ. რაც უფრო მყარდება ეროვნული ვალუტა მით უფრო იზრდება იმპორტი, ხოლო რაც უფრო უფასურდება ეროვნული ვალუტა მით უფრო იზრდება ექსპორტი. ამასთან, სავალუტო რეზერვების ოდენობა გარკვეულ პროპორციაში უნდა იყოს იმპორტის მოცულობასთან, რათა შენარჩუნდეს ეფექტური მონეტარული პოლიტიკა.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობის

საქტორების აღიკვეთა და ანალიზი საშუალებას იძლევა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით შესწავლილ იქნეს შიდა ბაზრის კონიუქტურის საკითხები, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საგადასახდო და საბიუჯეტო დაგეგმვის საკითხებს.

საგარეო ვაჭრობის ღირებულებითი ბალანსის დადგენის დროს გამოყენებულ უნდა იყოს შესაბამისი საბაჟო სტატისტიკის საქონელთა აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგია. ამ ასპექტით, როგორც წესი, გამოიყენება საქონელთა ფასები საერთაშორისო კომერციული ტერმინების („ინკოტერმსი-2000“) მიხედვით. კერძოდ, საქონლის იმპორტი აღირიცხება CIF ფასებით, ხოლო ექსპორტი— FOB ფასებით. მიუხედავად იმისა, რომ მიწოდების ორივე პირობა საზღვაო (საწყლოსნო) ტრანსპორტისათვის არის განკუთვნილი, ისინი სტატისტიკური აღრიცხვის კონტექსტში ასახავენ ნებისმიერი ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო ღირებულების შესაბამის სტრუქტურას საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან.

## §20.2 სპეციალური საბაჟო სტატისტიკა

თუ, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა სწავლობს საგარეო საქონელგაცვლის რაოდენობრივ, ღირებულებით და სხვა ფაქტორებით გაპირობებულ თანაფარდობით კანონზომიერებებს, სპეციალური საბაჟო სტატისტიკა სწავლობს ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე შესაბამისი ქვემდებარე ფაქტორების აღრიცხვისა და ანალიზის პრობლემებს. ეს ისეთი ქვემდებარე ფაქტორებია, რომელიც უშუალო გავლენას ვერ ახდენს საგარეო ვაჭრობის საბალანსო სტატისტიკის ძირითად სურათზე. ამ ფაქტორებს განეკუთვნება:

- ა) საბაჟო გადასახდელები;
- ბ) საბაჟო ჯარიმები, საურაეები და სხვა სახის სანქციები;
- გ) საბაჟო სამართალდარღვევები;
- დ) საბაჟო ლოგისტიკა;

ე) ცალკეული საკითხები, რომელიც საბაჟო ურთიერთობებთან არის დაკავშირებული და ექვემდებარება საბაჟო სტატისტიკურ აღრიცხვას.

საბაჟო გადასახდელების სპეციალური საბაჟო სტატისტიკა გულისხმობს საქონლის სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებში (დაბრუნების ოპერაციებში) მოქცევის დროს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელების აღრიცხვას და ანალიზს. იგი მოიცავს, როგორც გადახდილი საბაჟო გადასახდელების, ასევე მომავალში გადასახდელი ცალკეული საბაჟო გადასახდელების აღრიცხვას სახეების მიხედვით (მაგ. საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ). ამ ფაქტორში გაითვალისწინება აგრეთვე, ზედმეტად გადახდილი და ჩასათვლელი ან დასაბრუნებელი საბაჟო გადასახდელების აღრიცხვა.

საბაჟო სანქციების სტატისტიკა გულისხმობს საბაჟო სამართალდარღვევების დროს საბაჟო ორგანოს მიერ პირისადმი დაკისრებული გადახდილი ან გადასახდელი ჯარიმების და საურავების, აგრეთვე სხვა სანქციების (მაგ. საქონლის კონფისკაცია) რაოდენობრივ აღრიცხვას და ანალიზს.

საბაჟო სამართალდარღვევების სტატისტიკა ნიშნავს პირთა მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ან ოპერატიულად) ჩადენილი სამართალდარღვევების აღრიცხვას და ანალიზს მისი სახეების მიხედვით. (მაგ. მოცემულმა პირმა ერთი წლის განმავლობაში დადგენილ ვადაში 5-ჯერ არ გადაიხადა საბაჟო გადასახდელები ან 3-ჯერ არ განაზოციელა შესაბამის ვადაში საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ან საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად 4-ჯერ გახსნა საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონელი და ა.შ). საბაჟო სამართალდარღვევების აღრიცხვა ხორციელდება, როგორც ცალკეული პირების და ცალკეული სამართალდარღვევების მიმართ, ასევე ყველა საბაჟო სამართალდარღვევის მიმართ უნიფიცირებულად.

საბაჟო ლოგისტიკის საკითხების სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მოიცავს საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტორულ აღრიცხვას და ანალიზს. მას მიეკუთვნება საქონლის გადაზიდვის მარშრუტი ტრანსპორტის სახეობა (აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ვაჭრობის 60% მოდის საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილებულ საქონელზე), საბაჟო საწყობები და სხვა).

ცალკეული საკითხების სტატისტიკა გულისხმობს ისეთი მოვლენების აღწერას და ფიქსაციას, რომელიც უშუალოდ საქონელთან არ არის დაკავშირებული. მაგ. კონტროლს დაქვემდებარებული ვალუტის შემოტანა-გატანა, არაკომერციული სატრანსპორტო

საშუალებების შემოსვლა-გასვლა, პირების შემოსვლა-გასვლა, ექსპორტიორი და იმპორტიორი და სხვა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ზუსტი აღრიცხვა ხელს აძლევს, როგორც მთლიანად ეკონომიკის განვითარების რეგულირებას, ასევე ცალკეული მაკროეკონომიკური და ადმინისტრაციული საკითხების გლობალურ ან ოპერატიულ გადაწყვეტას. აქ იგულისხმება საბაჟო კონტროლის ზრდა, საბაჟო სამართალდარღვევების პრევენცია, საბაჟო გადასახდლებიდან თავის არიდების მიზეზების ანალიზი (მაგ. მაღალი საგადასახადო განაკვეთი და მისი ოდენობის აღმატება სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მოსაზღვრე ქვეყნების ანალოგიურ განაკვეთებთან, იწვევს კონტრაბანდას), საბაჟო კანონმდებლობისა და საბაჟო ორგანოების სტრუქტურის დახვეწა და სხვა.

## თავი 21. საბაჟო სამართალდარღვევები

### §21.1 საბაჟო სამართალდარღვევის არსი

საბაჟო სამართალდარღვევა არის პირის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს საბაჟო კანონმდებლობის ნორმათა შეუსრულებლობას.

საბაჟო სამართალდარღვევა ორი სახის არის: ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის.

როგორც წესი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შემოიფარგლება ადმინისტრაციული სანქციებით, რაც გამოიხატება ჯარიმებით, საურავებით და საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევით, ხოლო სისხლის სამართლის საბაჟო სამართალდარღვევა ანუ დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

ადმინისტრაციული საბაჟო სამართალდარღვევის დროს საბაჟო ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს ადეკვატური საბაჟო სანქცია (საბაჟო სანქცია არის პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა. მაგ. ჯარიმა) ან დაარეგულიროს პროცესი კომპრომისის საფუძველზე. კომპრომისი ნიშნავს იმ ფაქტს, როდესაც საბაჟო ორგანო არ იყენებს საბაჟო სამართალდამრღვევი პირის მიმართ

შესაბამის პროცესუალურ მოქმედებებს(მაგ. საქონლის დაყადაღება ან დაკავება), იმ პირობით, თუ პირი შეასრულებს განსაზღვრულ ვალდებულებებს(მაგ. საბაჟო გარანტიის წარმოდგენა).

ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება ის ფაქტორები და ობიექტები, რომელიც განეკუთვნება ადმინისტრაციული რეგულირების სფეროს და ისინი ემიჯნება სისხლის სამართლის საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტებს.

პირის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის არსებობის დროს საბაჟო ორგანო აცნობებს მას მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისა და შესაბამისი სანქციების შესახებ.

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს ან დააკავოს საბაჟო სამართალდარღვევის საგანი საქონლისა ან სატრანსპორტო საშუალებების სახით მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება კონფისკაციას, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასამართლოს წესით;

ბ) საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულ უნდა იქნეს საგამომიებო მოქმედებების დროს ნივთიერი მტკიცებულებების სახით.

საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების დაყადაღების ან დაკავების დროს საბაჟო ორგანო შესაბამის დაინტერესებულ პირს (დეკლარანტს, გადამზიდველს და ა.შ) წარუდგენს დოკუმენტს, სადაც მოცემული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) საბაჟო სამართალდარღვევის საგნის აღწერა და რაოდენობა;
- ბ) დაყადაღების ან დაკავების მიზეზები;
- გ) სამართალდარღვევის სახე.

აღსანიშნავია, რომ დაყადაღებული საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება შეიძლება გაშვებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის განკუთვნილი ნივთიერი მტკიცებულებებისათვის და ამასთან, საბაჟო ორგანოში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბაჟო გარანტია.

საბაჟო სამართალდარღვევის დროს საბაჟო ორგანო ათავისუფლებს სატრანსპორტო საშუალებას დაყადაღებისა ან დაკავებისაგან იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) სატრანსპორტო საშუალება არ იყო წინასწარ ისეთნაირად



კონსტრუირებული ან გადაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;

ბ) სატრანსპორტო საშუალება არ არის საჭირო გამოყენებულ იქნეს გამოძიების დროს ნივთიერი მტკიცებულებებისათვის;

გ) წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბაჟო გარანტია.

სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო სამართალდარღვევის დროს, ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით, შეიძლება კონფისკებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ:

ა) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან მფლობელი არის საბაჟო სამართალდარღვევის თანამონაწილე ან გაცნობიერებული იყო სამართალდარღვევის ჩადენაში ან არ გამოიყენა საბაჟო სამართალდარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებები;

ბ) სატრანსპორტო საშუალება წინასწარ იყო ისეთნაირად კონსტრუირებული ან გადაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;

გ) შეუძლებელია იმ სატრანსპორტო საშუალების აღდგენა, რომელიც წინასწარ იყო ისეთნაირად კონსტრუირებული ან გადაკეთებული რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა.

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოახდინოს ყადაღადადებული ან დაკავებული საქონლის რეალიზაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება ამ საქონლის კონფისკაციის შესახებ ან იგი გადაცემული იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საქონელი განეკუთვნება მალფუჭად კატეგორიას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საბაჟო ორგანო ახდენს საქონლის რეალიზაციას მიუხედავად კონფისკაციის შესახებ არსებული გადაწყვეტილებისა.

იმ შემთხვევაში, თუ საქონელი არ არის კონფისკებული, მაგრამ საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციის უზრუნველყოფისათვის საჭიროა დაყადაღებული ან დაკავებული საქონლის რეალიზაცია, მაშინ რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან ანაზღაურდება საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციის თანხები, ხოლო დარჩენილი თანხები უნდა დაუბრუნდეს შესაბამის უფლებამოსილ პირს ან თუ, ეს ვერ ხერხდება იმ მომენტში, მაშინ

შესაბამისი თანხები საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით უნდა იქნეს შენახული ამ პირისათვის გადასაცემად.

ადმინისტრაციული საბაჟო სამართალდარღვევის შესაბამისი სანქციები წესდება ამ სამართალდარღვევის ხასიათის (სიმსუბუქე, სიმძიმე) ან სამართალდამრღვევი პირის ბიკევიორისტული მოქმედების შედეგად. მაგ. დადგენილ ვადაში საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო დეკლარაციის წარუდგენლობა, ვთქვით, იწვევს ჯარიმას 500 ევროს ოდენობით, ხოლო, თუ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პირმა განმეორებით ჩაიდინა იგივე სამართალდარღვევა, მაშინ მისი ქცევა დაჯარიმდება, ვთქვით ორჯერ მეტი სანქციით—1000 ევროთი. მეორე შემთხვევა, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო საშუალებაზე თვითნებურად იქნა მოცილებული საიდენტიფიკაციო საშუალებები (პლომბი და სხვა). ამ შემთხვევაში, სამართალდარღვევის ხასიათი გაცილებით მძიმეა და პრევენციის მიზნით შესაბამისი სანქცია შეიძლება იყოს, ვთქვით 10000 ევრო, ხოლო განმეორების შემთხვევაში—20000 ევრო.

საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტების რეგულაციის გარდა საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ადმინისტრაციული ღონისძიებები გაატაროს საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის მიმართ. მაგ. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განსაზღვრულ აუცილებელ შემთხვევებში დააპატიმროს სამართალდამრღვევი პირი გარკვეული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პირის დაპატიმრების (დაკავების) სანქციას იძლევა სასამართლო.

საბაჟო სამართალდარღვევის სანქცია არ გამოიყენება და შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევად არ ითვლება ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად საბაჟო კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. გამონაკლის წარმოადგენს საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების ქურდობა ან ძარცვა-ყაჩაღობა, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნავდით დანაშაულის ინსცენირების საშუალებას იძლევა.

## §21.2 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი

საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება საბაჟო ორგანოების მიერ ხორციელდება შესაბამის დოკუმენტში, რომელიც,

როგორც წესი, ოქმის სახით დგინდება.

ოქმში მიეთითება ძირითადი რეკვიზიტები, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საბაჟო სამართალდარღვევის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი საბაჟო სანქციის აღსრულებისათვის. ეს რეკვიზიტები შეიძლება იყოს:

- ა) შედგენის დრო;
- ბ) შემდგენელი საბაჟო ორგანო;
- გ) ოქმის უშუალო შემდგენელი და სამართალდარღვევის გამომვლენი;
- დ) სამართალდამრღვევის რეკვიზიტები;
- ე) სამართალდარღვევის სახე;
- ვ) სანქციის სახე;
- ზ) სანქციის(მათ შორის ჯარიმის თანხის) შესრულების (გადახდის) ვადა;
- თ) სამართალდამრღვევის, მოწმეების, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერები(იხ. დანართი №1).

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და საბაჟო სანქციის აღსრულების პროცესუალური საკითხები დგინდება ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან საბაჟო სანქციის აღსრულების ნიუანსები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზემოთ აღნიშნულ §21.1-ში დაფიქსირებულ ძირითად პრინციპებს.

დანართი №1

<b>საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №</b>	
1. _____	2. _____
შედგენის თარიღი	საბაჟო ორგანო
3. _____	4. _____
ოქმის შემდგენელი	სამართალდამრღვევის გამომვლენი
5. სამართალდამრღვევის რეკვიზიტები: _____	

6. სამართალდარღვევის სახე:

7. სამართალდამრღვევის ჩვენება: \_\_\_\_\_

8. სანქციის საბაჟო გარანტია:

9. სანქციის სახე და ჯარიმის თანხა: \_\_\_\_\_

10. სანქციის აღსრულების ვადა \_\_\_\_\_

ოქმის შემდგენი \_\_\_\_\_ სამართალდამრღვევი ან/და მოწმე \_\_\_\_\_  
ხელმოწერა ხელმოწერა

11. შენიშვნა \_\_\_\_\_

## თავი 22. ძირითადი საერთაშორისო საბაჟო კონვენციები

§22.1 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო პროცედურების  
გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“

(კიოტო, 1973 წლის 18 მაისი. განახლებულია  
2006 წლის 3 თებერვალს)

ამ კონვენციას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო საბაჟო საქმისა და სისტემის მოწესრიგების თვალსაზრისით, როგორც ფიფას წესებს—ფეხბურთისათვის. ზოგჯერ ამ კონვენციას ხატოვნად საბაჟო საქმის ბიბლიასაც უწოდებენ.

კონვენცია ფაქტობრივად მოიცავს ცალკე აღებული საბაჟო კოდექსის, როგორც ასეთის, მთელ სტრუქტურას, ზოგიერთი გამაკლისის გარდა(მაგ. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა). იგი შედგება ძირითადი ტექსტის, გენერალური დანართისა და სპეციალური დანართებისაგან.

გენერალური დანართების სტანდარტული წესები და სპეციალური დანართები ძალაში უნდა შევიდეს მასთან მიერთებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში, ხოლო გენერალური დანართის სტანდარტული წესები გარდამავალი ვადით ძალაში უნდა შევიდეს არაუგვიანეს 60 დღისა მასთან მიერთების დღიდან.

იმისათვის, რომ რომელიმე ქვეყანა მიერთებულად ჩაითვალოს მოცემულ კონვენციასთან, საჭიროა რათა იგი მიუერთდეს ამ კონვენციის ძირითად ტექსტს და გენერალურ დანართს. რაც შეეხება სპეციალურ დანართებზე მიერთებას, იგი სავალდებულო არ არის.

იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას კონვენციის შინაარსზე გთავაზობთ მის სტრუქტურას:

ა) ძირითადი ტექსტი;

ბ) გენერალური დანართის შემდეგი თავები:

–თავი 1(ზოგადი დებულებები);

–თავი 2(ცნებების განმარტებები);

–თავი 3(საბაჟო გაფორმება და სხვა საბაჟო ფორმალობები);

–თავი 4(საბაჟო გადასახდელები);

–თავი 5(გარანტიები);

–თავი 6(საბაჟო კონტროლი);

–თავი 7(საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება);

–თავი 8(ურთიერთობა საბაჟო ორგანოსა და მესამე პირებს შორის);

–თავი 9(საბაჟო ორგანოს ინფორმაცია, გადაწყვეტილებები და მითითებები);

–თავი 10(საბაჟო საკითხების გასაჩივრება);

გ) სპეციალური დანართები:

გ.ა) დანართი A:

–თავი 1(საბაჟო ფორმალობები, რომელიც წინ უსწრებს საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენას);

–თავი 2(საქონლის დროებითი შენახვა);

- გ.ბ) დანართი B:
- თავი 1(თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება);
  - თავი 2(რეიმპორტი);
  - თავი 3(გათავისუფლება შემოტანის საბაჟო გადასახდელებისაგან);
- გ.გ) დანართი C:
- თავი 1(საბოლოო გატანა);
- გ.დ) დანართი D:
- თავი 1(საბაჟო საწყობები);
  - თავი 2(თავისუფალი ზონები);
- გ.ე) დანართი E:
- თავი 1(საბაჟო ტრანზიტი);
  - თავი 2(გადატვირთვა);
  - თავი 3(საქონლის კაბოტაჟური ტრანსპორტირება);
- გ.ვ) დანართი F:
- თავი 1(გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე);
  - თავი 2(გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ);
  - თავი 3(დაბრუნება);
  - თავი 4(საქონლის გადამუშავება თავისუფალი მიმოქცევისათვის);
- გ.ზ) დანართი G:
- თავი 1(დროებით შემოტანა);
- გ.თ) დანართი H:
- თავი 1(საბაჟო სამართალდარღვევები);
- გ.ი) დანართი J:
- თავი 1(მგზავრები);
  - თავი 2(საფოსტო გზავნილები);
  - თავი 3(კომერციული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები);
  - თავი 4(მარაგები);
  - თავი 5(დახმარების საქონელი);
- გ.კ) დანართი K:
- თავი 1(საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა);
  - თავი 2(წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები);
  - თავი 3(წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება);
- დანართი I:
- წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა;

დანართი II:

—შენიშვნები;

დანართი III:

—წარმოშობის სერტიფიკატის გაფორმების წესები.

ზემოაღნიშნული კონვენცია მიღებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

## §22.2 „თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი“ (ბარსელონა, 1921 წლის 20 აპრილი.)

მოცემული კონვენცია არეგულირებს საერთაშორისო ტრანზიტის ფუნდამენტალურ პრინციპებს, რომლის მიხედვით ტრანზიტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან, გარდა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებული საბაჟო მოსაკრებლებისა. ამასთან ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს სატრანზიტო ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის დაცლა—დატვირთვით ან მის გარეშე, საწყობში შენახვით, გადატვირთვით ან ტრანსპორტის სახის შეცვლით.

კონვენციის მიხედვით აკრძალულია იმ მგზავრების ტრანზიტულად გატარება, რომლებსაც აკრძალული აქვთ მოცემულ სახელმწიფოში შესვლა. ასევე აკრძალულია იმ საქონლის ტრანზიტი, რომლის იმპორტიც აკრძალულია შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარე:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა;

ბ) საზოგადოებრივი უშიშროება;

გ) მცენარეებისა და ცხოველების დაავადებების თავიდან აცილება.

ტრანზიტი არ იბეგრება საბაჟო გადასახდელებით, თუმცა დასაშვებია ტრანზიტის დაბეგრვა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებული საბაჟო მოსაკრებლებით. ასეთი მოსაკრებლის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს გაწეულ ხარჯებს.

აკრძალულია წევრ სახელმწიფოებში იმ მგზავრთა ტრანზიტი, რომლებსაც აკრძალული აქვთ ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლა, აგრეთვე იმ საქონლის ტრანზიტი, რომლის იმპორტიც აკრძალულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის

ან უშიშროების საფუძველზე ან როგორც უსაფრთხოების ზომა მცენარეების და ცხოველების დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

კონვენცია მიღებულია ერთა ლიგის ეგიდით ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

### §22.3 „კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია“ (ჟენევა, 1972 წლის 2 დეკემბერი.)

კონვენცია არეგულირებს დროებით შემოტანილი კონტეინერების მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურების საკითხებს. მასში მოცემულია კონტეინერების დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის აკრძალვის პირობები, კონტეინერების გატანის ვადა, დროებით შემოტანილი დაზიანებული კონტეინერების საბაჟო დაბეგურის საკითხები, საბაჟო გარანტიების შექანიზმი დროებით შემოტანის დროს, კონტეინერების შიდა გადაზიდვებისათვის გამოყენებისათვის პირობები, კონტეინერების ნაწილების დროებით შემოტანის პროცედურები, კონტეინერებზე საიდენტიფიკაციო საშუალებების დადების ნიუანსები, საქონელთან ერთობლიობაში კონტეინერების საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და სხვა.

ამასთან მნიშვნელოვანია თვით კონტეინერის ცნების განსაზღვრა. კონტეინერი არის სატრანსპორტო მოწყობილობა (გალია, მოსახსნელი ცისტერნა ან მსგავსი მოწყობილობა), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) წარმოადგენს მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაკეტილ მოცულობას, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის მოსათავსებლად;
- ბ) აქვს მუდმივი ხასიათი და ამის გამო საკმაოდ გამძლეა იმისათვის, რომ მრავალჯერ იქნეს გამოყენებული;
- გ) სპეციალურად არის კონსტრუირებული იმისათვის, რომ გაადვილოს საქონლის გადატანა ერთი ან რამოდენიმე სახის სატრანსპორტო საშუალებით საქონლის შუალედური გადატვირთვის გარეშე;
- დ) კონსტრუირებულია იმგვარად, რომ გაადვილოს მისი გადატვირთვა ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორე სახის ტრანსპორტზე;



ე) კონსტრუირებულია იმგვარად, რომ იოლად შეიძლება მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა;

ვ) აქვს შიდა მოცულობა არანაკლებ ერთი კუბური მეტრისა (თუმცა ამ კონვენციის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ კონტეინერად ჩათვალონ უფრო ნაკლები მოცულობის მოწყობილობაც).

წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ აკრძალონ დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში კონტეინერების მოქცევა, თუ ეს კონტეინერები წარმოადგენენ ყიდვის, იჯარის, იჯარა-ყიდვის ან მსგავსი ხასიათის კონტრაქტის საგანს.

დროებით შემოტანილი კონტეინერები გატანილ უნდა იქნეს შემოტანის დღიდან სამი თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს საბაჟო ორგანოების მიერ, ხოლო, თუ კონტეინერებზე დადებულ იქნა ყადაღა, მაშინ ყადაღის ვადის გასვლამდე გაგრძელდება გატანის ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ დროებით შემოტანილი კონტეინერები შემოტანის შემდეგ დაზიანდა, ისინი შეიძლება დატოვებულ იქნეს ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ შესრულდა შემდეგი პირობები:

ა) კონტეინერები დაიბეგრება საბაჟო გადასახდელეებით დაზიანების მდგომარეობის გათვალისწინებით;

ბ) უსასყიდლოდ გადაეცემა კომპენტენტურ ორგანოებს;

გ) მოექცევა საბაჟო კონტროლქვეშ განადგურების ქვეშ.

კონტეინერების დროებით შემოტანის დროს საბაჟო გარანტია და შესაბამისი საბაჟო დოკუმენტები არ მოითხოვება. მათი მოთხოვნა საბაჟო ორგანოების მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონტეინერები მოცემული კონვენციის დებულებების დარღვევით იქნება შემოტანილი.

აღსანიშნავია, რომ შიდა გადაზიდვებში კონტეინერები გამოიყენება მხოლოდ საექსპორტო საქონლით დატვირთვის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ ერთხელ. ამ დროს კონტეინერი მიტანილ უნდა იქნეს იმ ადგილას, სადაც ხდება მისი საექსპორტო საქონლით დატვირთვა.

კონტეინერების რემონტისათვის განკუთვნილი ნაწილები შეიძლება მოექცეს დროებით შემოტანის რეჟიმში. ამ შემთხვევაში გამოცვლილი ნაწილები (ან გამოუყენებელი ახალი ნაწილები) გატანილ უნდა იქნეს ქვეყნის ტერიტორიიდან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ნაწილები:

ა) დაიბეგრება საბაჟო გადასახდელელებით დაზიანების მდგომარეობის გათვალისწინებით;

ბ) უსასყიდლოდ გადაეცემა კომპენტენტურ ორგანოებს;

გ) მოექცევა საბაჟო კონტროლქვეშ განადგურების ქვეშ.

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანო აღიარებს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ კონტეინერებზე დადებულ ბეჭდებსა და პლომბებს და ასეთ კონტეინერებს უშვებს საბაჟო ტერიტორიაზე. საბაჟო ორგანოს შეუძლია არ შემოუშვას კონტეინერი, რომელიც არ პასუხობს მოცემული კონვენციით განსაზღვრულ ტექნიკურ სტანდარტებს.

კონტეინერები, რომლებზეც დადებულია პლომბები და ბეჭდები მხოლოდ მაშინ დაიშვება ქვეყანაში, თუ სრულდება შემდეგი პირობები:

ა) საქონლის ამოღება არ უნდა იყოს შესაძლებელი კონტეინერიდან ამ კონტეინერების ან საბაჟო პლომბების ან ბეჭდების დაზიანების გარეშე;

ბ) საბაჟო პლომბები და ბეჭდები უნდა დაიდოს მარტივად და საიმედოდ;

გ) კონტეინერებში არ უნდა იყოს საქონლის დამალვის არანაირი ადგილი;

დ) ყველა ადგილი, სადაც მოთავსებულია საქონელი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კონტეინერზე უნდა იყოს დამაგრებული დაშვების ფირფიტა, სადაც მიეთითება დამშვები ქვეყანა, წელი, და ა.შ. (მაგ. №1/26/99—ნიშნავს: „ნიდერლანდები, დაშვების მოწმობა 26, რომელიც გაიცა 1999 წელს“). ამასთან, დაშვების ფირფიტის დამაგრება კონტეინერზე ხდება დაშვების მოწმობის საფუძველზე, რომელიც უნდა ახლდეს ამ კონტეინერს.

კონვენცია მიღებულია საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) ეგიდით ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

**§22.4 „საერთაშორისო კონვენცია საზღვარზე ტვირთის  
კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“  
(ჟენევა, 1982 წლის 21 ოქტომბერი.)**

კონვენცია არეგულირებს სპეციალური საბაჟო კონტროლის ისეთ სახეებს, როგორც არის ფიტო სანიტარული, ვეტერინარული, სამედიცინო სანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის და ხარისხის კონტროლი.

ფიტოსანიტარული კონტროლი ხორციელდება მცენარეული წარმოშობის საქონლის მიმართ საბაჟო საზღვარზე, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, თუ არ არსებობს გადაადგილებული საქონლის მოწამვლის საფრთხე. ამასთან ტრანზიტული საქონელი გათავისუფლებულია ფიტო სანიტარული კონტროლისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი კონტროლი აუცილებელია მცენარეთა დაცვისათვის.

მალფუჭებადი მცენარეული პროდუქტებისა და სწრაფად დალუპვადი მცენარეების ფიტო სანიტარული კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულია ზემოაღნიშნული სახის საქონელი ფიტო სანიტარული შემოწმების მიზნით, ფიტოსანიტარული შემოწმების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის სამსახურს.

ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება ცხოველური წარმოშობის საქონლის მიმართ საბაჟო საზღვარზე, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, თუ არ არსებობს გადაადგილებული საქონლის მოწამვლის საფრთხე. ამასთან ტრანზიტული საქონელი გათავისუფლებულია ვეტერინარული კონტროლისაგან, თუ არ არსებობს მოწამვლის საფრთხე.

მალფუჭებადი საქონლის ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულია ზემოაღნიშნული სახის საქონელი ვეტერინარული შემოწმების მიზნით, ვეტერინარული შემოწმების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის სამსახურს.

სამედიცინო სანიტარული კონტროლი ხორციელდება

შესაბამის საქონლის მიმართ საბაჟო საზღვარზე, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, თუ არ არსებობს გადაადგილებული საქონლის მოწამვლის საფრთხე. ამასთან ტრანზიტული საქონელი გათავისუფლებულია სამედიცინო სანიტარული კონტროლისაგან, თუ არ არსებობს მოწამვლის საფრთხე.

მალფუჭებადი საქონლის სამედიცინო სანიტარული კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულია ზემოაღნიშნული სახის საქონელი სამედიცინო სანიტარული შემოწმების მიზნით, სამედიცინო სანიტარული შემოწმების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის სამსახურს.

ტექნიკური სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება შესაბამის საქონლის მიმართ საბაჟო საზღვარზე, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, თუ მალფუჭებადი საქონლის გაფუჭების საშიშროება არ არსებობს. ამასთან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი არ ხორციელდება.

მალფუჭებადი საქონლის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულია ზემოაღნიშნული სახის საქონელი ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლის მიზნით, შესაბამისი შემოწმების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის სამსახურს.

საქონლის ხარისხის კონტროლი ხორციელდება შესაბამის საქონლის მიმართ საბაჟო საზღვარზე, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, თუ გამოყენებული პროცედურები ხელს მისცემს საერთაშორისო გადაზიდვას. ამასთან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს ხარისხის კონტროლი არ ხორციელდება.

მალფუჭებადი საქონლის ხარისხის კონტროლი ხორციელდება დაჩქარებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულია ზემოაღნიშნული სახის საქონელი ხარისხის კონტროლის მიზნით, შესაბამისი შემოწმების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ექსპორტიორი ქვეყნის

შესაბამის სამსახურს.

კონვენცია მიღებულია გაეროს ეგიდით ინგლისურ, ესპანურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

**§22.5 „1994 წლის გენერალური შეთანხმება  
ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“  
(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)**

კონვენცია არეგულირებს უმნიშვნელოვანესი საბაჟო პროცედურების საკითხებს. მასში მოცემულია ისეთი საბაჟო საკითხები, როგორც არის საბაჟო პრეფერენციები, ქვეყნის შიდა მიწოდების გადასახადებისა და საბაჟო გადასახადების ურთიერთმიმართება, ტრანზიტის საბაჟო რეგულირების პრინციპები, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადების არსი და შემოღების პირობები, საბაჟო ღირებულების დადგენის ფუნდამენტური პრინციპი, არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების პრინციპები, ექსპორტის სუბსიდირების საკითხები, განვითარებადი ქვეყნების მიერ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარების ელასტიურობის უფლებები და სხვა.

კონვენციის მიხედვით ყველა საბაჟო პრეფერენცია, რომელიც მინიჭებული აქვს ქვეყანას ამ კონვენციის არაწევრ ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის მიმართ, ავტომატურად უნდა მიანიჭოს წევრ ქვეყნებში წარმოშობილ საქონელსაც. ეს არ ეხება ამ ქვეყნის მიერ სხვა საერთაშორისო კონვენციით მინიჭებულ შეღავათებს (მაგ. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება).

ქვეყნის შიდა მიწოდების გადასახადებმა (მაგ. აქციზი, დღგ) არ უნდა გამოიწვიოს ეროვნული წარმოების დაცვა იმპორტირებულთან მიმართებით. კერძოდ, წევრ ქვეყნებში წარმოშობილი და ამ ქვეყნებში იმპორტირებული საქონელი არ უნდა იბეგრებოდეს იმაზე უფრო მაღალი განაკვეთის გადასახადებით საბაჟოზე (მაგ. აქციზი, დღგ), ვიდრე ეს არის დაწესებული ანალოგიური ადგილობრივი წარმოების საქონელზე. (მაგ. იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე იმპორტის დროს დაწესებული აქციზისა და ადგილობრივ ფილტრიან სიგარეტზე ქვეყნის შიგნით მიწოდების დროს დაწესებული აქციზის განაკვეთები

უნდა იყოს ან ერთი და იგივე ან ადგილობრივი სიგარეტის განაკვეთი არ უნდა იყოს იმპორტირებულის განაკვეთზე ნაკლები.

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება უნდა ეფუძნებოდეს იმპორტირებული საქონლის ფაქტობრივ ღირებულებას და იგი არ უნდა დადგინდეს ადგილობრივი წარმოშობის საქონლის ღირებულების მიხედვით. ფაქტობრივი ღირებულება არის საქონლის ფასი, რომელიც ყალიბდება შეთანხმების წევრ ქვეყნებს შორის საერთო კონკურენტული პირობების დროს. ამასთან საბაჟო ღირებულება არუნდა მოიცავდეს წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნის შიდა გადასახადებს შესაბამისი პირობების დაცვით.

საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული მოსაკრებლების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს გაწეული მომსახურების ღირებულებას და არ უნდა გამოიყენებოდეს ადგილობრივი საქონლის დაცვის საშუალებად ან მათ არ უნდა ჰქონდეს ფისკალური მიზნები.

წევრ ქვეყნებში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის დროს საქონლის კვოტირება და ლიცენზირება აკრძალულია, გარდა:

ა) იმ შემთხვევისა, თუ ეს საჭიროა ექსპორტიორი ქვეყნის სურსათის დეფიციტის აღმოსაფხვრელად;

ბ) თუ, ზორციელდება საქონლის კლასიფიცირება, დაზარისხება და სხვადასხვა სტანდარტებისა და წესების შემოღება;

გ) სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქტების ნებისმიერი სახის იმპორტის დროს, რომელიც გააირობებულია სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელებით.

წვერი ქვეყნები უნდა მოერიდონ სანედლეულო საქონლის ექსპორტის სუბსიდირებას. მიუხედავად ამისა, თუ მხარეები მაინც განახორციელებენ სანედლეულო საქონლის ექსპორტის სუბსიდირებას, მაშინ ამან არ უნდა გამოიწვიოს მოცემული საქონლის ექსპორტის ზრდა იმ დონემდე, რომლის დროსაც ექსპორტიორი მსოფლიო ვაჭრობაში განსაკუთრებით დიდ ხვედრით წილს იკავებს ანუ ისეთ წილს, რომელიც მას რეალურად არ ეკუთვნის ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში. ამასთან მონაწილე მხარეებმა უნდა შეწყვიტონ ნებისმიერი ექსპორტირებული საქონლის (გარდა სანედლეულო საქონლისა) პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდირება.

კონვენციის მიხედვით განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ

ცალკეული ადგილობრივი წარმოების დასაცავად განახორციელონ სატარიფო ელასტიურობა ანუ შემოიღონ დამცავი საბაჟო გადასახადები, ხოლო სავაჭრო ბალანსის შესანარჩუნებლად დააწესონ კვოტირება ზოგიერთი საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე.

კონვენციის მიხედვით ტრანზიტი ხორციელდება მაშინ, თუ ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთა არის იმ სრული გზის ნაწილი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ტრანზიტის დროს შესაძლებელია საქონელი გადმოიტვირთოს, განთავსდეს საწყობში, დაიყოს პარტიებად ან შეიცვალოს ტრანსპორტი. ამასთან ქვეყანას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ტრანზიტული საქონელი შემოვიდეს განსაზღვრული საბაჟო ორგანოების გაკლით.

ტრანზიტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან, გარდა მომსახურებაზე გაწეული გადასახდელებისა.

კონვენციის მიხედვით დემინგურ ფასს მაშინ აქვს ადგილი, თუ:

ა) იმპორტირებული საქონლის ფასი ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის შიდა გასაყიდ ფასზე;

ბ) ან, როდესაც იმპორტირებული საქონლის ფასი ნაკლებია მესამე ქვეყანაში იმპორტირებულ ანალოგიური საქონლის ფასზე;

გ) ან, როდესაც იმპორტირებული საქონლის ფასი ნაკლებია საქონლის წარმოშობის ქვეყნის წარმოების ხარჯებს დამატებული გაყიდვის ხარჯებისა და მოგებისა.

დემინგური ფასით საქონლის იმპორტის დროს წევრ ქვეყანას შეუძლია შემოიღოს ანტიდემინგური საბაჟო გადასახადი, რომელიც მოახდენს დემინგური სხვაობის კომპენსირებას. დემინგური სხვაობა არის საქონლის ჩვეულებრივი საბაზრო ღირებულებისა და ზემოაღნიშნულ შემცირებულ ფასებს შორის სხვაობა. ამასთან ანტიდემინგური საბაჟო გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დემინგურ სხვაობას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღება ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში საქონელი შემოდის შემცირებული ფასებით, რაც გამოწვეულია საქონლის ექსპორტიორი ან მწარმოებელი ქვეყნების მიერ მოცემული საქონლისათვის სახელმწიფო დოტაციის ან სუბსიდირების სახეა ფორმის მიცემით. საკომპენსაციო საბაჟო

გადასახადი ახდენს სუბსიდიის კომპენსაციას (ნიველირებას).

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს სუბსიდიის ოდენობას. ამასთან აკრძალულია ერთდროულად ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადისა და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღება.

ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები შეიძლება შემოიღოს ქვეყანამ მხოლოდ მაშინ, თუ:

ა) დემპინგის ან სუბსიდიის ოდენობა ზიანს აყენებს ადგილობრივ ბაზარს;

ბ) გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოს ქვეყნის ადგილობრივ წარმოებას. ამ დროს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი ქვეყანამ შეიძლება შემოიღოს მონაწილე სხვა ქვეყნებთან შესაბამისი წინასწარი თანხმობის გარეშე.

**§226 „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ  
1994 წლის გენერალური შეთანხმების  
მე-6 მუხლის გამოყენებაზე“  
(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)**

კონვენცია არეგულირებს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღების საკითხებს. კერძოდ, მასში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორც არის დემპინგური ფასის ცნება, დემპინგური იმპორტით გამოწვეული ზარალი, ანტიდემპინგური გამოძიების პროცედურები, ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის სიდიდე და მოქმედების ვადა და სხვა ის საკითხები, რომელიც უკავშირდება ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღების პროცესულურ საკითხებს.

კონვენციის მიხედვით დემპინგურ ფასად ითვლება:

ა) საექსპორტო ფასი, რომელიც უფრო დაბალია, ვიდრე ექსპორტის ქვეყანაში ანალოგიურ პროდუქციაზე არსებული გასაყიდი ფასი;

ბ) მესამე ქვეყანაში საქონლის ტიპიურ საექსპორტო ფასსა და მსგავსი საქონლის ფასს შორის სხვაობა, რომლის ექსპორტიც ხდება მოცემულ წევრ ქვეყანაში;



გ) სხვაობა წევრ ქვეყანაში საექსპორტო ფასსა და წარმოშობის ქვეყნის საქონლის წარმოების ხარჯებს დამატებული ადმინისტრაციული ხარჯები და მოგება.

დემპინგური იმპორტით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიყენებულია სამამულო ანალოგიური საქონლის წარმოებისათვის, გამოანგარიშებულ უნდა იქნეს შესაბამისი კომპენტენტური ორგანოების მიერ.

დემპინგური ფასისა და ზარალის შესახებ განცხადებას აკეთებენ წევრი ქვეყნის შესაბამისი კომპენტენტური ორგანოები, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მტკიცებულებებს:

ა) დემპინგური ფასის დასაბუთება;

ბ) სამამული წარმოების ზარალის ფაქტი;

გ) დემპინგურ ფასსა და მოსალოდნელ ზარალს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა.

წევრი ქვეყნების შესაბამისი კომპენტენტური მოკვლევის ორგანოები შეისწავლიან ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებებს და უგზავნიან შესაბამის შეტყობინებას დაინტერესებული ექსპორტიორი წევრი ქვეყნის მთავრობას.

ანტიდემპინგური გამოძიება, როგორც წესი, უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ იგი შეიძლება გაგრძელდეს არაუგვიანეს 18 თვისა.

ანტიდემპინგური გამოძიების დაწყების შესახებ ეცნობება წერილობით ყველა დაინტერესებულ მხარეს, ექსპორტიორებს და უცხოელ მეწარმეებს. ამასთან უცხოელმა ექსპორტიორებმა და მეწარმეებმა შესაბამის წერილობით შეკითხვას უნდა უპასუხონ 30 დღის განმავლობაში.

რაც შეეხება ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ოდენობას, იგი არ უნდა აღემატებოდეს დემპინგურ სხვაობას. ამასთან ეს გადასახადი მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია დემპინგით გამოწვეული ზარალის გასანეიტრალებლად.

**§22.7 „შეთანხმება სუბსიდიებისა  
და საკომპენსაციო ზომების შესახებ“  
( ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)**

კონვენცია არეგულირებს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღების საკითხებს. კერძოდ, მასში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორც არის სუბსიდიის ცნება, სუბსიდიის სახეები, აკრძალული სუბსიდიები და აკრძალული საექსპორტო სუბსიდიების ჩამონათვალი, სუბსიდიებით მიყენებული ზარალის შემთხვევები და ანტისუბსიდიური ანუ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღების პროცედურები.

კონვენციის მიხედვით სუბსიდია არის მთავრობის დახმარება პირისადმი სხვადასხვა ფორმით, რის შედეგადაც პირი ღებულობს მოგებას. მაგ. საბიუჯეტო სუბსიდია, საგადასახადო კრედიტი, გრანტი, მთავრობის მიერ საქონლის შესყიდვა მაღალ ფასებში და ა.შ.

როგორც წესი, აკრძალულად ითვლება შემდეგი სახის სუბსიდიები:

ა) საექსპორტო სუბსიდიები;  
ბ) სუბსიდიები, რომელიც იმპორტირებულ საქონელს არაკონკურენტუნარიანს ხდის ადგილობრივი წარმოების ანალოგიურ საქონელთან შედარებით.

კონვენციის მიხედვით აკრძალულია შემდეგი საექსპორტო სუბსიდიები:

ა) მთავრობის მიერ საექსპორტო საქონლის მწარმოებელი პირების პირდაპირი სუბსიდირება;

ბ) მთავრობის მიერ საექსპორტო საქონლის შიდა გადაზიდვის უფრო შეღავათიანი პირობების დაწესება სხვა სახის საქონლის გადაზიდვასთან შედარებით;

გ) მთავრობის მიერ საექსპორტო საქონლის მწარმოებელი ზოგიერთი პირისათვის საქონლის საქონლის (ნედლეულის და სხვა) მოწოდება უფრო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე ანალოგიური საქონლის შექმნის პირობებია სხვა ექსპორტიორებისათვის;

დ) ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათები;

ე) მთავრობის მიერ ექსპორტთან დაკავშირებული პირებისათვის განხორციელებული სპეციალური დაქვითვები, რომელიც

დაკავშირებულია პირდაპირი გადასახადების გადახდასთან;

ვ) საექსპორტო საქონლის დაბეგვრა ან რემისია უფრო შეღავათიანი რეჟიმით არაპირდაპირი გადასახადების არსებობის შემთხვევაში, ვიდრე ეს დაწესებულია არასაექსპორტო ადგილობრივ საქონელზე;

ზ) საექსპორტო საქონლის დასამზადებლად გამოყენებული იმპორტირებული ნედლეულის გამოყენებისას (როდესაც ხორციელდება იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლება ადგილობრივი საქონლით) იმპორტის საბაჟო გადასხდელების შეღავათიანი რემისია და დროუბეჭი;

თ) მთავრობის მიერ გაცემული საექსპორტო სადაზღვევო გარანტიები;

ი) მთავრობის მიერ გაცემული შეღავათიანი საექსპორტო კრედიტები;

კ) სხვა ნებისმიერი დახმარება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებების შესაბამისად.

სუბსიდირების შედეგად იმპორტიორ ქვეყანას შეიძლება ზარალი მიადგეს შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) იმპორტირებული საქონლის სუბსიდირების წილი აღემატება ამ საქონლის საერთო ღირებულების 5 პროცენტს;

ბ) სუბსიდია გამიზნულია დარგის ან საწარმოს ზარალის ასანაზღაურებლად;

გ) ხორციელდება სახელმწიფო ვალების ჩამოწერა (პატიება) ან გრანტების გაცემა ვალების დასაფარავად;

დ) სუბსიდირებამ გამოიწვია სუბსიდიის გამცემი წევრი ქვეყნის ბაზრიდან სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი პროდუქციის იმპორტის შევიწროება ან გამოძევება;

ე) სუბსიდირების შედეგად მოხდა სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი საქონლის ექსპორტის შევიწროება ან გამოძევება მესამე ქვეყნის ბაზრიდან;

ვ) სუბსიდიამ გამოიწვია სუბსიდირებული საქონლის ფასის შემცირება სხვა წევრი ქვეყნის მსგავს საქონელთან შედარებით ერთი და იმავე ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ უკანასკნელი საქონლის არაკონკურენტუნარიანობა.

რაც შეეხება ანტისუბსიდიური ანუ საკომპენსაციო საბაჟო

გადასახადის შემოღების წესებს, იგი ანალოგიურია ანტიდენპინგური საბაჟო გადასახადისა.

**§22.8 „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების  
ვაჭრობასთან დაკავშირებული  
ასპექტების შესახებ“**

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია საბაჟო ასპექტით არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების საკითხებს.

კონვენციის მიხედვით ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე ან საავტორო უფლების დარღვევით დამზადებული საქონლის იმპორტის ან ექსპორტის აღკვეთის მიზნით შესაბამის უფლებამოსილ პირს შეუძლია წერილობით მიმართოს საბაჟო ორგანოს ან სასამართლოს. ამასთან, განმცხადებელმა საბაჟო ორგანოში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ საბაჟო ორგანო მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განმცხადებელს, ხოლო იმპორტიორს და განმცხადებელს დაუყონებლივ აცნობებს საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ.

როგორც, იმპორტიორებს ასევე განმცხადებლებს (ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების პრეტენზიის მქონე პირებს) უფლება აქვთ შესაბამის დავას დაქვემდებარებული საქონელი დაათვალიერონ საბაჟო კონტროლქვეშ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებულია უფლების მფლობელის სასარგებლო გადაწყვეტილება, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი კონფიდენციალური ინფორმაცია (საქონლის გამგზავნის და იმპორტიორის ვინაობა და მისამართები და საქონლის რაოდენობრივი მონაცემები).

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შეჩერების ღონისძიება არ გამოიყენოს იმ არაკომერციული საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე პარტიის სახით.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის დროს (მაგ. სასაქონლო ნიშნის განზრახ გაყალბება ან საავტორო უფლების დარღვევა კომერციული მასშტაბით) შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები: დაპატიმრება, ფულადი ჯარიმა, საქონელზე ყადაღის დადება, კონფისკაცია.

## §22.9 „შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია საბაჟო ასპექტით არეგულირებს აგრარული საქონლის საექსპორტო სუბსიდიების საკითხებს.

კონვენციის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის დროს შესაძლებელია წევრმა ქვეყნებმა გასცენ შემდეგი სახის საექსპორტო სუბსიდიები:

ა) პირებისათვის საექსპორტო ოპერაციების განხორციელების დროს მთავრობის მიერ უშუალო სუბსიდიის გაცემა, მათ შორის ნატურალური სახით;

ბ) პირებისათვის მთავრობის მიერ არაკომერციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარაგების მიყიდვა შიდა ბაზარზე ანალოგიურ საქონელთან მიმართებით უფრო დაბალი ფასებით შემდგომი ექსპორტისათვის;

გ) პირებისათვის მთავრობის მიერ გაცემული თანხები სახელმწიფო სახსრებიდან;

დ) მთავრობის მიერ პირებისადმი გაცემული ექსპორტთან დაკავშირებული სუბსიდიები ტრანსპორტირების, საქონლის ხარისხის ამაღლების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა შესაბამისი ხარჯების შემცირების მიზნით;

ე) საექსპორტო პროდუქციის ქვეყნის შინით ტრანსპორტირების დროს მთავრობის მიერ პირებისათვის უფრო შეღავათიანი რეჟიმის დაწესება, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი გადაზიდვებისათვის;

ვ) სუბსიდიები, რომელიც მიცემულია ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე იმის მიხედვით, თუ რამდენად არის იგი ჩართული საექსპორტო საქონელში.

კონვენციის მიხედვით ადგილობრივი წარმოებისათვის

განკუთვნილი და ექსპორტისათვის განკუთვნილი ნედლეულის სუბსიდირება უნდა მოხდეს თანაბრად ანუ ადგილობრივი წარმოებისათვის განკუთვნილი ნედლეულის სუბსიდიის ოდენობა არ უნდა აღმატებოდეს საექსპორტოდ განკუთვნილი ნედლეულის სუბსიდიის ოდენობას.

## **§22.10 „შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ“**

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია საბაჟო ასპექტით არეგულირებს შესაბამისი საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს სამედიცინო სანიტარული და ფიტო სანიტარული სპეციალური საბაჟო კონტროლის საკითხებს.

წვერი ქვეყნები აღიარებენ სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების ეკვივალენტობას ან ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან ვეტ სერტიფიკატები მისაღები უნდა იყოს წვერი იმპორტიორი ქვეყნების შესაბამისი ორგანოსათვის.

ფიტო და ვეტ კონტროლის ნებისმიერი შესაბამისი ზომები ხორციელდება მხოლოდ რისკის ფაქტორების კრიტერიუმების მიხედვით, რაც რეალიზდება შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. რისკის შეფასება გულისხმობს ფიტო და ვეტ კონტროლის დროს საქონლის შერჩევით შემოწმებას სხვადასხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით (მაგ. არაკეთილსაიმედო ქვეყნის ფაქტორი).

## **§22.11 „შეთანხმება გადაზიდვის წინა ინსპექციის შესახებ“**

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია საბაჟო ასპექტით არეგულირებს საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს საქონლის ხარისხის, რაოდენობის, საბაჟო ღირებულებისა და სასაქონლო კოდის დადგენის საკითხებს.

გადაზიდვისწინა ინსპექტირება არის ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე იმპორტიორი ქვეყნისათვის განკუთვნილი საქონლის ხარისხის, რაოდენობის, საბაჟო ღირებულებისა და სასაქონლო კოდის წინასწარი შემოწმება იმპორტიორი ქვეყნის მიერ შერჩეული სამსახურის მიერ(ამ სისტემას იყენებდა, მაგ. საქართველო გარკვეულ პერიოდში ერთ-ერთი უცხოური კომპანიის მეშვეობით).

ექსპორტიორი მიმართავს გადაზიდვისწინა ინსპექტირების სამსახურს ზემოაღნიშნული პარამეტრების სისწორის განსაზღვრისათვის, ხოლო ეს სამსახური ვალდებულია გასცეს დადებითი ან უარყოფითი დასკვნა ხუთი საბუშაო დღის ვადაში.

მიღებულ დასკვნებთან დაკავშირებული დავები შეიძლება განხილულ იქნას კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება სამი წევრისაგან. ერთ წევრს ირჩევს გადაზიდვისწინა ინსპექტირების სამსახური, მეორეს – ექსპორტიორი, ხოლო მესამე წევრი არის დამოუკიდებელი ექსპერტი. ეს უკანასკნელი არის ამავე დროს კოლეგიის თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით რვა საბუშაო დღის განმავლობაში და იგი სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც გადაზიდვისწინა ინსპექტირების სამსახურის, ასევე ექსპორტიორისათვის.

## §22.12 „შეთანხმება სამოქალაქო

### ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ“

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია არეგულირებს საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს სამოქალაქო ავიატექნიკის საბაჟო გადასახდლებისაგან გათავისუფლების საკითხებს.

კონვენციის მიხედვით ყველა წევრმა ქვეყანამ საბაჟო გადასახდლებისაგან უნდა გაათავისუფლოს შემდეგი სახის სამოქალაქო ავიატექნიკა:

- ა) ნებისმიერი სახის სამოქალაქო თვითმფრინავი;
- ბ) ნებისმიერი სახის სამოქალაქო თვითმფრინავის ძრავა, ნაწილები და კომპონენტი;
- გ) ნებისმიერი სახის სამოქალაქო თვითმფრინავის ნებისმიერი

სხვა ნაწილი, კომპონენტი და ქვეელემენტი;

დ) ნებისმიერი სახის სახმელეთო-ასაფრენი მოწყობილობები, რომლებიც 88520 სასაქონლო კოდით არის კლასიფიცირებული, აგრეთვე მისი ნაწილი და კომპონენტი.

საბაჟო გადასახდელებისაგან არ თავისუფლდება შემდეგი საქონელი:

ა) არასრული ან დაუმთავრებელი პროდუქტები, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ წარმოადგენს ტვითმფრინავის სრული ან დამთავრებული ნაწილის, კომპონენტის, ასაწყობი ელემენტის ან მოწყობილობის მნიშვნელოვან დამახასიათებელ ნაწილს;

ბ) რაიმე ფორმის მასალა, რომელიც სპეციალურად არის იმი-სათვის დამზადებული იმ ფორმით, რომ გახდეს თვითმფრინავის შემადგენელი ნაწილი. ასეთი ფორმის მასალა, რომელიც არ თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან შეიძლება იყოს, მაგალითად, ფურცლები, გარეგანი ფორმები, ხაზები, ფიცრები, მილები, მილაკები ან სხვა ფორმები;

გ) ნელეული და ერთჯერადი მოხმარების საქონელი.

## §22.13 „შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ“

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია არეგულირებს საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის საკითხებს.

კონვენციის მიხედვით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

ა) სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების კრიტერიუმი;

ბ) წარმოების ან გადამუშავების ოპერაციების კრიტერიუმი;

გ) მოცემულ ქვეყანაში საქონლის მთლიანად წარმოების კრიტერიუმი;

დ) ერთზე მეტი ქვეყნის საქონლის დამზადებაში მონაწილეობის დროს საბოლოო არსებითი ტრანსფორმაციის კრიტერიუმი.

უფლებამოსილ პირს შეუძლია საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი მიიღოს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 150 დღისა. ამასთან სერტიფიკატი შეიძლება გაცემულ იქნეს, როგორც



ვაჭრობის დაწყებამდე, ასევე ვაჭრობის განხორციელების შემდეგ. მისი მოქმედების ვადა შეადგენს სამ წელს.

**§22.14 „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ  
1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის  
განხორციელების შესახებ“**

(ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია.)

კონვენცია არეგულირებს საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საკითხებს.

მოცემულ კონვენციას სხვანაირად „საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კოდექსს“ უწოდებენ და იგი ჩვენ განხილული გვაქვს მთლიანად მე-14 თავში, ვინაიდან, ფაქტობრივად ყველა ქვეყნის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კანონმდებლობა ეფუძნება ამ კონვენციას.

**§22.15 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო საკითხებში  
ორმხრივი ადმინისტრაციული დახმარების შესახებ“ (ბრიუსელი,  
2003 წლის 27 ივნისი. განახლებული  
იჰოანესბურგის კონვენცია.)**

კონვენცია არეგულირებს წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის გაცვლისა და მიწოდების საკითხებს.

ამ კონვენციის მონაწილე წევრი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციები ერთმანეთს აწვდიან შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) საბაჟო კანონმდებლობის ამოქმედების ახალი მეთოდისა;
- ბ) საბაჟო დანაშაულებათა ჩადენის ახალი მეთოდები და საშუალებები;
- გ) საქონელი, რომელთან დაკავშირებითაც ჩადენილ იქნა საბაჟო დანაშაული;
- დ) საბაჟო დანაშაულის ჩამდენი ან ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების მონაცემები;

ე) სხვა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია რისკის ანალიზთან.

მონაწილე ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციას უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მონაწილე ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციას შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციის მონაცემების სისწორის დადასტურებასთან;

ბ) რამდენად კანონიერად განხორციელდა იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის ექსპორტი ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიიდან;

გ) რამდენად კანონიერად განხორციელდა ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიიდან ექსპორტირებული საქონლის იმპორტი იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ ერთი ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციას მეორე ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციასთან შეთანხმებით უფლება აქვს თავიანთი თანამშრომლები მიავლინოს მეორე ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციის ოფისებში საბაჟო დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმებისა და მათი ასლების გადაღების მიზნით.

**§22.16 „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების განვეის შესახებ საბაჟო სამართალდარღვევების აღკვეთისა და გამოძიების სფეროში“  
(ნაირობი, 1997 წლის 3 ივნისი.)**

კონვენცია არეგულირებს წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორც არის სისხლის სამართლის საქმის დროს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კოორდინაცია, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ერთი ქვეყნის თხოვნით მეორე ქვეყნის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ამ უკანასკნელის ქვეყანაში.

მონაწილე მხარეების საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ მიმართონ ერთმანეთს თხოვნით საბაჟო სამართალდარღვევების სფეროში გამოძიებისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამასთან ურთიერთდახმარება არ გულისხმობს მხარეების თხოვნას პირების

დაპატიმრების ან საბაჟო გადასახდელების ამოღების შესახებ მონაწილე მეორე ქვეყნის სახელით.

აღსანიშნავია, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის კავშირი უნდა დამყარდეს მხოლოდ ამ ქვეყნების საბაჟო ორგანოებს შორის. შესაბამისად თითოეული ქვეყნის საბაჟო ორგანო გამოყოფს ამისათვის სათანადო საკონტაქტო პირებს.

ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების და კულტურული ფასეულობების კონტრაბანდის გამოძიების დროს ურთიერთდახმარების აღმოჩენის მიზნით და ერთი მხარის საბაჟო ორგანოს თხოვნით, მეორე მხარის საბაჟო ორგანო ვალდებულია თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაატაროს სათანადო საგამოძიებო მოქმედებები და შესაბამისი შედეგებისა და დოკუმენტების შესახებ აცნობოს მეორე მხარის საბაჟო ორგანოს.

**§22.17 „საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“  
(ბრიუსელი, 1983 წლის 14 ივნისი.)**

კონვენცია არეგულირებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საბაჟო საკითხს, როგორც არის სხვადასხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციების დროს საქონლის იდენტიფიცირების მიზნით ამ საქონლისათვის სასაქონლო კოდის მინიჭების პრინციპები.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა მოიცავს სასაქონლო პოზიციებს, სუბპოზიციებს, ციფრულ კოდებს, შენიშვნებს და ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის ძირითად წესებს.

კონვენციის მიხედვით გამოიყოფა სამი სახის სასაქონლო ნომენკლატურა:

ა) საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა-რომელიც წარმოადგენს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული და საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის გამოსაყენებელი ნომენკლატურა;

ბ) სტატისტიკური ნომენკლატურა-რომელიც გამოიყენება მონაწილე ქვეყნის მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის

მონაცემების დადგენისათვის;

გ) კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა-რომელიც წარმოადგენს საბაჟო-სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების გაერთიანებას და, რომელიც გამოიყენება შემოტანილი საქონლის დეკლარირების დროს.

მონაწილე მხარე ვალდებულია აღიაროს და გამოიყენოს ჰარმონიზებული სისტემის სავალდებულო პირველი ექვსი ნიშანი(სუბპოზიცია), ხოლო შემდგომი ნიშნები მას შეუძლია შემოიღოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

კონვენცია მიღებულია საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) ეგიდით ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

**§22.18 „არუშას განახლებული საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს დეკლარაცია საბაჟოში კეთილსინდისიერ მართვასა და ინტეგრირებასთან დაკავშირებით“ (არუშა(ტანზანია), 1993 წლის 7 ივლისი.**

**განახლებულია 2003 წლის ივნისში.)**

კონვენცია არეგულირებს ისეთი მნიშვნელოვანი „ისტორიული სენის“ აღმოფხვრის საკითხებს, როგორც არის კორუფცია საბაჟო სისტემაში.

კონვენციის მიხედვით კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

ა) საბაჟოში კორუფციის აღმოფხვრის ამოცანები უნდა დაეკისროს საბაჟოს ხელმძღვანელობას და მან უნდა აიღოს თავის თავზე კორუფციისაღმოფხვრის ვალდებულება:

ბ) კორუფციის აღმოფხვრის მიზნით საბაჟო კანონმდებლობა უნდა იყოს შესაბამისობაში კიოტოს განახლებულ კონვენციასთან;

გ) საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო მასებისათვის. ამასთან, დაინტერესებულ პირებს უნდა მოეცეთ განმარტება საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე;

დ) უნდა განხორციელდეს საბაჟო პროცედურების მაქსიმალური ავტომატიზაცია, რაც შეზღუდავს კორუფციას და შესაძლებელს

გახდის, რომ საბაჟოს თანამშრომლებსა და დეკლარანტებს შორის იყოს რაც შეიძლება ნაკლები პირდაპირი კონტაქტი;

ე) კორუფციის აღმოსაფხვრელად აუცილებელია განხორციელდეს საბაჟო სისტემისა და პროცედურების ისეთი მოდერნიზება, როდესაც აღმოიფხვრება ნებისმიერი შეგნებული უპირატესობის არსებობა, რაც დაკავშირებულია ოფიციალური მოთხოვნების გვერდის ავლასთან;

ვ) საბაჟოში კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა განხორციელდეს შიდა და გარე აუდიტი. ამასთან, საბაჟო პერსონალს, დეკლარანტებს და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რათა მოახდინონ კორუფციული, არაეთიკური და არაკანონიერი საქმიანობის აფიშირება;

ზ) საბაჟო ორგანომ უნდა მიიღოს ქცევის კოდექსი, სადაც უნდა აისახოს ის სასჯელი, რომელიც შეიძლება დაეკისროს საბაჟო მოხელეს ჩადენილი დარღვევისათვის;

თ) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საბაჟოში აუცილებელია საბაჟოს კადრების უზრუნველყოფა საკმარისი ანაზღაურებით და სხვადასხვა წახალისებებით. საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ნორმალური პირობები. რაც შეეხება პერსონალის შერჩევას, იგი უნდა განხორციელდეს დამსახურების მიხედვით. ამასთან, ახალმიღებულებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები მთელი მათი კარიერის განმავლობაში;

ი) საკადრო პოლიტიკა უნდა იყოს სამართლიანი და აძლეოდეს პერსონალს კარიერული წინსვლის საშუალებას. კორუფცია მოტივირებულია იმ ორგანიზაციაში, სადაც პერსონალი არ ამაყოფს თავისი ადმინისტრაციით;

კ) დეკლარანტებთან ანუ კერძო სექტორთან ურთიერთობისათვის უნდა დაიდოს მემორანდუმი, ხოლო საბაჟო ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს გამჭვირვალე ურთიერთობა მათთან. კორუფციული საქმიანობისათვის დეკლარანტების მიმართ ისეთი სასჯელი უნდა იქნეს შემოღებული, რომ მათ არ გაუჩნდეთ ქრთამის გადახდის სურვილი.

**§22.19 „ფლორენციის შეთანხმება საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ“ (ლოქ საქსესი(ნიუ-იორკი), 1950 წლის 22 ნოემბერი) და „საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმების ოქმი“ (ნაირობი, 1976 წელი)**

კონვენცია და ოქმი არეგულირებს ისეთ საკითხს, როგორც არის გარკვეული დასახელებისა და დანიშნულების საქონლის გათავისუფლება საბაჟო გადასახდელებისაგან, რაც ხელს აძლევს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას და საერთაშორისო ინტეგრაციას.

კონვენციითა და ოქმის მიხედვით წევრმა ქვეყნებმა უნდა გაათავისუფლონ საბაჟო გადასახდელებისაგან წევრი ქვეყნების შემდეგი საქონელი შესაბამისი დანართების მიხედვით:

- ა) წიგნები, პუბლიკაციები და ლოკუმენტები;
- ბ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ხელოვნების ნაწარმოებები და კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები;
- გ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ვიზუალური და მოსასმენი მასალები;
- დ) სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები;
- ე) ბრმათა და სხვა ნაკლის მქონე პირთათვის განკუთვნილი საქონელი;
- ვ) სპორტული მოწყობილობა;
- ზ) მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა მუსიკალური მოწყობილობა;
- თ) წიგნების, პუბლიკაციების და ლოკუმენტების გამოცემისათვის საჭირო მასალები და მექანიზმები.

ზემოარნიშნული კონვენციები მიღებულია გაეროს ეგიდით, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

**§22.20 „კონვენცია ტურისტთა საბაჟო შეღავათების შესახებ“ (ნიუ-იორკი, 1954 წლის 4 ივნისი.)**

კონვენცია არეგულირებს ისეთ საკითხს, როგორც

არის ტურისტების მიერ მოცემული ქვეყნის საბაჟო საზღვის გადაკვეთის დროს მათი პირადი ნივთების გათავისუფლება საბაჟო გადასახდელებისაგან.

კონვენციის მიხედვით ტურისტი ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც შედის წვერი ქვეყნის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლებით და რჩება ქვეყნის ტერიტორიაზე არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს 6 თვისა ნებისმიერი 12-თვიანი პერიოდის მანძილზე ლეგალურად (მაგ. ტურიზმი, დასვენება, სპორტი, ჯანმრთელობა, საოჯახო მიზეზები, სწავლა, რელიგიური მომლოცველობა ან ბიზნესი).

წვერი ქვეყნები აღიარებენ ტურისტის მიერ მისი პირადი სარგებლობისათვის ხელბარგის სახით შემოტანილი საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახდელებისაგან იმ პირობით, რომ ტურისტის პირადი ნივთები გარკვეული დროის შემდეგ რეექსპორტირებული იქნება საბაჟო ტერიტორიიდან.

საბაჟო გადასახდელებისაგან თავისუფლდება შემდეგი პირადი ნივთები:

ა) ტურისტისათვის საჭირო ტანსაცმელი ან სხვა შესაბამისი ნივთები;

ბ) პირადი საიუველირო ნაწარმი;

გ) ერთი კამერა 12 ფირფიტით ან 5 ვიდეო ფირით;

დ) ერთი მინიატურული კინოკამერა 2 ფირით;

ე) ერთი ბინოკლი;

ვ) ერთი პორტატული მუსიკალური ინსტრუმენტი;

ზ) ერთი პორტატული ხმის ჩამწერი აპარატი;

თ) ერთი პორტატული უკაბელო მიმღები მოწყობილობა;

ი) ერთი ტელევიზორი;

კ) ერთი საბეჭდი მანქანა;

ლ) ერთი საბავშო ეტლი;

მ) ერთი კარავი და კარვის სხვა მოწყობილობები;

ნ) სპორტული აღჭურვილობა (ერთი სათევზაო მოწყობილობა, ერთი სპორტული იარაღი 50 ვაზნით, ერთი ველოსიპედი ძრავის გარეშე, ერთი კანოე არაუმეტეს 5,5 მეტრი სიღრმისა, ერთი წყვილი თხილამური, ჩოგბურთის ორი ჩოგანი და სხვა მსგავსი ნივთები);

ო) 200 ლერი სიგარეტი ან 50 ლერი სიგარა ან 250 გრამი

თამბაქო ან სხვა მსგავსი ნაწარმი, რომლის საერთო წონა არ იქნება 250 გრამზე მეტი;

პ) ერთი ჩვეულებრივი ზომის ბოთლი ღვინო და ერთი მეოთხედი ლიტრი სპირტიანი სასმელი;

ჟ) ერთი მეოთხედი ლიტრი ტუალეტის წყალი და სუნამოს მცირე რაოდენობა;

რ) ტრანზიტით ან დროებით შემოტანის რეჟიმებით შემოტანილი სუვენირები საერთო ღირებულებით არაუმეტეს 50 აშშ დოლარისა, რომელიც თან ახლავს ტურისტს ან მოთავსებულია მის ხელბარგში და არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისათვის;

ს) 100 აშშ დოლარის საერთო ღირებულების საქონლის ექსპორტი, რომელიც შეძენილია ქვეყანაში და, რომელიც თან ახლავს ტურისტს ან მოთავსებულია მის ხელბარგში და არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისათვის (ამ შემთხვევაში არ ზორციელდება ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და შესაბამისი საბაჟო ფორმალობები).

ზემოაღნიშნული საქონლის საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება არ ზორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც:

ა) ტურისტის მიერ შემოტანილი საქონლის მთლიანი ფაქტობრივი რაოდენობა აღემატება ამ კონვენციის თანახმად განსაზღვრული ლიმიტის ოდენობას;

ბ) ტურისტი შემოდის ქვეყანაში ერთი თვის განმავლობაში ერთჯერზე მეტად;

გ) ტურისტი არის 17 წელზე ნაკლები.

კონვენცია მიღებულია გაეროს ეგიდით ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

## **§22.21 „საბაჟო კონვენცია TIR-კარნეტის გამოყენებით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ“ (უენევა, 1975 წლის 14 ნოემბერი.)**

მოცემული კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საბაჟო კონვენციას, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო საბაჟო ლოგისტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს.

მოცემული კონვენცია ხელს აძლევს გადამზიდველებს, რათა



მსოფლიო მასშტაბით კარმონიზებული იქნეს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვები და შესაბამისი წესების უნიფიკაციით შემცირდეს ტვირთბრუნვისა და საბაჟო ადმინისტრირების შესაბამისი ხარჯები.

შესაბამისი დანახარჯების ზემოაღნიშნული შემცირება გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: TIR-კარნეტის(წიგნაკის) აღიარება საბაჟო დეკლარაციად და საბაჟო გარანტიების წარდგენის უგულვებელყოფა.

### §22.21.1 TIR-კარნეტის კონვენციის მიღების მოკლე ისტორია

აბრევიატურა TIR(Transports International Routiers) ნიშნავს—„საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს“.

საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებზე, ვიდრე 1975 წლის TIR-კარნეტის კონვენციას მიიღებდნენ, არსებობდა სხვადასხვა შესაბამისი კონვენციები. კერძოდ, 1949 წელს მიღებულ იქნა ევროპის რიგი სახელმწიფოების შეთანხმება საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებზე. 1956 წლის 19 მაისს ჟენევაში მიღებულ იქნა კონვენცია საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ, ხოლო 1959 წელს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ— TIR კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1960 წელს.

TIR-კარნეტის თანამედროვე კონვენცია მიღებულ იქნა 1975 წლის 14 ნოემბერს ჟენევაში ევროკომისიის ეგიდით, რომლის დეპოზიტარი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონვენციის ტექსტი მიღებულ იქნა ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, რომელთაგან თითოეულ აუთენტური ძალა აქვს.

### §22.21.2 TIR-კარნეტის სისტემის არსი და სტრუქტურა

ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე სხვა ტექნიკური პროცედურების ასპექტით. კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ საბაჟო დამუშავების შესაბამის პროცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის

დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით დეკლარირებას და საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან:

ა) საბაჟო გადასახდელზე საერთაშორისო გარანტიები;

ბ) TIR-კარნეტი(წიგნაკი);

გ) საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა;

დ) სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების)

სტანდარტულობა და უსაფრთხოება.

### **§22.21.3 საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (MCAT) და სადაზღვევო კომპანიები**

(MCAT) და საგარანტიო გაერთიანებები დებენ სადაზღვევო ხელშეკრულებას სადაზღვევი კომპანიებთან, რათა მათი საგარანტიო თანხები დაზღვეული (გადაზღვეული) იყოს გადამზიდველების მიერ TIR-კარნეტის არასწორი გამოყენების რისკებისაგან.

როდესაც გადამზიდველი არღვევს TIR-კარნეტის წესებს, ხოლო (MCAT) ან საგარანტიო გაერთიანებები იძულებული არიან გადაუხადონ სათანადო თანხები საბაჟო ორგანოებს, ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ზემოაღნიშნული თანხები საბაჟო ორგანოს და, შესაბამისად, აუნაზღაუროს ეს ხარჯები (MCAT)-ს ან საგარანტიო გაერთიანებას. ამასთან, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით სადაზღვევო კომპანია ვალდებულია უშუალოდ გადაუხადოს სათანადო თანხა საბაჟო ორგანოს.

### **§22.21.4 საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (MCAT) და საგარანტიო გაერთიანებები**

(MCAT) და საგარანტიო გაერთიანებებს შორის თავის მხრივ იდება შესაბამისი ხელშეკრულება, ხელშეკრულებაში აისახება საგარანტიო გაერთიანების ვალდებულებები. კერძოდ:

ა) საგარანტიო გაერთიანებებმა (MCAT)–ის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია TIR–კარნეტების გაუფორმებლობის, „დათქმით“ გაფორმების ან არაკანონიერად გაფორმების შესახებ;

ბ) ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საგარანტიო გაერთიანებებსა და საბაჟო ორგანოებს შორის დაბეგვრის საკითხებთან, საგარანტიო გაერთიანებებმა უნდა გადაუგზავნონ სადაზღვევო კომპანიებს (MCAT)–ის მეშვეობით;

გ) საგარანტიო გაერთიანებები ვალდებული არიან მიმართონ (MCAT)–ს და მიიღონ მისგან დასტური საბაჟო ორგანოების მიერ მოთხოვნილი თანხების გადახდის შესახებ. ამასთან საგარანტიო გაერთიანებები უფლებამოსილი არიან, რათა არ გადაიხადონ საბაჟო ორგანოების მხრიდან უკანონოდ მოთხოვნილი თანხები;

დ) საგარანტიო გაერთიანებებმა უნდა გასცენ TIR–ის წიგნაკები მხოლოდ იმ გადამზიდველებზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ვალდებულებათა დეკლარაციას“. ასეთი დეკლარაციები საგარანტიო გაერთიანებებმა (MCAT)–ის მეშვეობით უნდა გადასცენ სადაზღვევო კომპანიებს (ამ კომპანიების მოთხოვნის შესაბამისად);

ე) საგარანტიო გაერთიანებები ყველა უფლებას გადასცემენ სადაზღვევო კომპანიებს, რათა მათ გადამზიდველისაგან აინაზღაურონ შესაბამისი თანხები, მათ შორის გადამზიდველების დეპოზიტის განკარგვის უფლების ჩათვლით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ნორმები (MCAT)–სა და საგარანტიო გაერთიანებებს შორის ყველა წევრ ქვეყანაში რეგულირდება შვეიცარიის კანონმდებლობით.

## §22.21.5 საგარანტიო გაერთიანებები და გადამზიდველები

როგორც აღვნიშნეთ, გადამზიდველებმა, ვიდრე მიიღებენ საგარანტიო გაერთიანებისაგან TIR–ის შესაბამის წიგნაკებს, ხელი უნდა მოაწერონ ე.წ. „ვალდებულებათა დეკლარაციას“. ამ დეკლარაციის ხელმოწერა გადამზიდველს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

ა) გადამზიდველმა საგარანტიო გაერთიანების მოთხოვნით უნდა უზრუნველყოს გირაოს, დეპოზიტის ან სხვა საგარანტიო უზრუნველყოფის წარმოდგენა;

ბ) გადამზიდველმა საგარანტიო გაერთიანებას უნდა დაუბრუნოს საბაჟო ორგანოების მიერ სრულად გაფორმებული TIR-ის წიგნაკები, ხოლო გამოუყენებელი წიგნაკები—მათი ვადის გასვლის შემდეგ;

გ) გადამზიდველს არა აქვს უფლება მასზე გაცემული წიგნაკი გაყიდოს ან გადასცეს სხვა გადამზიდველს;

დ) გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან, რათა საბაჟო ორგანოებმა TIR-ის წიგნაკში შეიტანონ შესაბამისი ბეჭდები და ხელმოწერები, რომლებიც ადასტურებს გადაზიდვების დასრულებას. თუ საბაჟო ორგანო უარს აცხადებს ამ პროცესების განხორციელებაზე, მაშინ გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს საბაჟო ორგანოს უარის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

ე) თუ, TIR-კარნეტის სატვირთო მანიფესტსა და ფაქტობრივად ჩატვირთულ საქონელს შორის არის შეუსაბამობა, მაშინ გადამზიდველი ვალდებულია მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მოცემულ შეუსაბამობას;

ვ) გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან შესაბამისი განმარტება, თუ რის საფუძველზე განხორციელა საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკში „დათქმა“;

ზ) გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ყველა ის კანონიერი თანხა, რომელსაც მოითხოვს საბაჟო ორგანო;

თ) გადამზიდველმა უპირობოდ უნდა გადაიხადოს თანხები, რომელსაც მოითხოვს საგარანტიო გაერთიანება, (MCAT) ან სადაზღვევო კომპანია TIR-ის წიგნაკის დარღვევით გამოყენების დროს.

## §22.21.6 საგარანტიო გაერთიანებები და საბაჟო ორგანოები

საგარანტიო გაერთიანებებსა და საბაჟო ორგანოებს შორის იდება თავისუფალი ფორმის შეთანხმებები, რომელშიც ჩამოყალიბდება მათი უფლება—მოვალეობები

ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული რამდენიმე მომენტი. კერძოდ, ის, რომ:

ა) საგარანტიო გაერთიანება წარმოადგენს (MCAT)—ს და

გასცემს TIR-ის წიგნაკებს;

ბ) საგარანტიო გაერთიანება ვალდებულიება იღებს გადაიხადოს ყველა თანხა, რომელიც მოთხოვნილი იქნება საბაჟო ორგანოების მხრიდან;

გ) საგარანტიო გაერთიანება მიუთითებს იმ მაქსიმალურ თანხას, რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს TIR-ის თითოეულ წიგნაკზე;

დ) საგარანტიო გაერთიანება მიუთითებს იმის შესახებ, საჭიროა, თუ არა გაერთიანების გარანტიის გადაზღვევა. თუ, საგარანტიო გაერთიანებასა და საბაჟო ორგანოს შეთანხმებით აუცილებელია TIR-ის წიგნაკების მიხედვით საბაჟოსათვის ასანაზღაურებელი საგარანტიო გაერთიანებამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

### **§22.21.7 TIR-კარნეტის მოქმედების სფერო საგარანტიო უზრუნველყოფის პირობებში**

TIR-კარნეტით საქონლის გადაზიდვა, როგორც წესი, ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტით შუალედური გადატვირთვის გარეშე. წვერი ქვეყნის გამომგზავნი საბაჟოდან წვერი ქვეყნის დანიშნულების საბაჟომდე საქონლის ტრანსპორტირება შესაძლებელია არა მხოლოდ საავტომობილო, არამედ საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით. თუმცა, TIR-კარნეტის აუცილებელი პირობა ის არის, რომ მთელი გზის გარკვეულ ნაწილზე საქონლის ტრანსპორტირება აუცილებლად საავტომობილო ტრანსპორტით უნდა ხდებოდეს.

ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, როდესაც შეუძლებელია მულტიმოდალური გადაზიდვისას საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა TIR-კარნეტით საქონლის გადაზიდვის დროს, მხარეების საბაჟო ორგანოებმა მაინც უნდა მიიღონ TIR-ის შესაბამისი წიგნაკები და უნდა აღსრულდეს საგარანტიო უზრუნველყოფის ვალდებულებები.

TIR-კარნეტის კონვენციის მიხედვით, საავტომობილო ტრანსპორტით, მათ შორის კონტეინერებით გადაზიდვა ხორციელდება,

თუ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. დადგენილ მოთხოვნებში იგულისხმება სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციისა და მოწყობილობების შესაბამისობა TIR-ის სტანდარტებთან.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალება ითვლება საქონლად და მის მიმართ გამოიყენება TIR-ის შესაბამისი წიგნაკი. ეს სატრანსპორტო საშუალებები საკუთარი სვლით გადაადგილდებიან, მაგ. ავტოციისტერნები, ამწეები, მოსავლის აძლები მანქანები, ბეტონმრეკები და სხვა.

### **§22.21.8 TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება**

TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან შუალედურ საბაჟოებში(საუბარია ტრანზიტულ მოძრაობაზე). ეს საქონელი თავისუფლდება აგრეთვე შესაბამისი საბაჟო გარანტიის წარმოდგენისაგან. ეს პირობები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საბაჟო გადასახდელების გადასახდელი თანხა აღემატება საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას.

აღსანიშნავია, რომ TIR-კარნეტის კონვენციის მიხედვით, მოსაკრებელი(მათ შორის საბაჟო მოსაკრებელი) TIR-კარნეტით გადაადგილებულ საქონელზე გადახდევინებულ უნდა იქნეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაფორმების დროს, თუ ეს აუცილებელია ტრანზიტული გადაზიდვისათვის;
- ბ) საბაჟო ლაბორატორიაში ანალიზის ჩატარების დროს, თუ ეს აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის;
- გ) საბაჟო დამუშავებისა და სხვა ოპერაციებისათვის, თუ ეს ხორციელდება არასამუშაო (ზეგანაკვეთურ) დროს ან იმ ადგილებში, სადაც არ არის განლაგებული საბაჟო ორგანო;
- დ) ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისას.

TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონელი, რომელიც გადაადგილდება დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით(მათ

შორის კონტინერებით), როგორც წესი, თავისუფლდება საბაჟო შემოწმებისაგან შუალედურ საბაჟოებში. სიტყვები, როგორც წესი, გულისხმობს, რომ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს დალუქული სატრანსპორტო საშუალების შემოწმება, დათვალიერება, გასინჯვა და ა.შ. განსაკუთრებულ პირობებში ანუ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი საქონელთან დაკავშირებით საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ასპექტით.

## **§22.21.9 საგარანტიო უზრუნველყოფისა და TIR-კარნეტის გაფორმების პროცედურები**

საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი მექანიზმით: ყველა წევრ ქვეყანას აქვს საგარანტიო გაერთიანებები, რომლებიც გასცემენ TIR-ის წიგნაკებს და, შესაბამისად—გარანტიებს.

რომელიმე წევრი ქვეყნის საგარანტიო გაერთიანებას შეუძლია გასცეს TIR-ის წიგნაკი და გარანტია უშუალოდ ან მისი კორესპოდენტი გაერთიანების მეშვეობით. საკუთრივ TIR-კარნეტის ბლანკების—წევრ ქვეყნებში შემოტანა და გატანა თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან.

საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ გაცემულ TIR-კარნეტზე შესაბამისი თანხის საბაჟო გადასახდელები TIR-კარნეტის ოპერაციების დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, საგარანტიო გაერთიანებას ეკისრება წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დროულად გადაუხდელ საბაჟო გადასახდელებზე საურავებისა და ჯარიმების გადახდა. საბაჟო გადასახდელების გადახდას საგარანტიო გაერთიანება ახორციელებს უშუალოდ გადასახადების გადახდაზე პასუხისმგებელმეწარმეებთან(ექსპორტიორი, იმპორტიორი) სოლიდარულად. აქვე აღსანიშნავია, რომ საგარანტიო გაერთიანება, როგორც წესი, არ იხდის ადმინისტრაციული ხასიათის ჯარიმებს, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახდელების გადავადებასა და ვადაგადაცილებულ გადაუხდელობასთან.

იმ შემთხვევაში, თუ წევრ ქვეყანაში TIR-კარნეტის ოპერაციების დარღვევით შემოტანილია ისეთი საქონელი, რომელიც ამ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით გათავისუფლებულია საბაჟო

გადასახდელებისაგან და, თუ ასეთი საქონელი ექვემდებარება ადმინისტრაციულ დაჯარიმებას, მაშინ საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია გადაიხადოს ადმინისტრაციული ჯარიმები, იმ პირობით, რომ ჯარიმის თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ საბაჟო გადასახდელების თანხას, რომლითაც შეიძლება დაბეგრულიყო მოცემული საქონელი. ამასთან, საბაჟო გადასახდელების თანხა გაიზრდება ვადაგადაცილებულ გადაუხდელ გადასახდელებზე შესაბამისი საურავების დარიცხვის თანხით.

საბაჟო გადასახდელების თანხა, როგორც წესი, შეზღუდულია TIR-ის თითოეულ წიგნაკზე. საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ საგარანტიო გაერთიანებისაგან TIR-ის თითოეულ წიგნაკზე, მასში დაფიქსირებული და რეალურად შემოტანილი საქონლის ადეკვატური თანხები, მაგრამ ეს თანხები არ უნდა სცილდებოდეს გარკვეულ ზღვარს. რეკომენდირებულია, რომ TIR-ის თითოეულ წიგნაკზე საბაჟო ორგანომ შესაბამისი საგარანტიო გაერთიანებისაგან მოითხოვოს არაუმეტეს 50 000 აშშ დოლარის თანხა. ეს თანხა გაზრდილია ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის მიმართ. კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი საგარანტიო გაერთიანებისაგან ერთ TIR-წიგნაკზე არაუმეტეს 200 000 აშშ დოლარი:

ა) ეთილის სპირტი არადენატურიებული, სპირტის არანაკლებ 80%-ის კონცენტრაციით (კოდი 2207 10);

ბ) ეთილის სპირტი არადენატურიებული, სპირტის 80%-ზე ნაკლები კონცენტრაციით, სპირტები, სპირტიანი ნაყენი, ლიქიორი და სხვა სპირტიანი სასმელები; შენაერთები სპირტიან საფუძველზე, რომელიც გამოიყენება სასმელების დასამზადებლად (კოდი 2208);

გ) სიგარები, მანილის სიგარა და სიგარები „სიგარილების“ ტიპის, რომელიც შეიცავს თამბაქოს (კოდი 2402 10);

დ) სიგარეტები, რომელიც შეიცავს თამბაქოს (კოდი 2402 20);

ე) მოსაწვეი თამბაქო, რომელიც შეიცავს თამბაქოს შემცველებს ნებისმიერი პროპორციით ან რომელიც არ შეიცავს მას (კოდი 2403 10).

ამასთან 200 000 აშშ დოლარის გარანტიის მოთხოვნის წინაპირობაა აგრეთვე, ის, რომ ზემოაღნიშნული სპირტიანი



სასმელები და თამბაქოს ნაწარმი შესაბამისი პუნქტების მიხედვით უნდა აღემატებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებს:

- ა) 300 ლერი;
- ბ) 500 ლერი;
- გ) 40000 ლერი;
- დ) 70000 ლერი;
- ე) 100 კგ.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე რეალურად გადასახდელი საბაჟო გადასახდელების თანხა აღემატება TIR-ის თითოეულ წიგნაკზე გადასახდელ მაქსიმალურ საგარანტიო თანხებს(შესაბამისად 50 000 და 200 000 აშშ დოლარს), მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ამ საქონლის გაცილება მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე. გაცილების ხარჯები უნდა ანაზღაუროს გადამზიდველმა.

როგორც აღენიშნეთ, შესაბამისი საგარანტიო გაერთიანება ანაზღაურებს თანხებს თითოეული TIR-ის წიგნაკის შესაბამისად. TIR-ის შესაბამის წიგნაკში ფიქსირდება საქონლის სათანადო მონაცემები. იმისათვის, რომ საგარანტიო გაერთიანებამ ანაზღაუროს საბაჟო გადასახდელების სათანადო თანხები, მოცემული საქონელი მითითებული უნდა იყოს TIR-ის წიგნაკში. არის გამონაკლისები, როდესაც საქონელი შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული TIR-ის წიგნაკში და იმყოფებოდეს დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაში. ამ შემთხვევაში, თუ გადაზიდვა ხორციელდება TIR-კარნეტით განსაზღვრული წესების დარღვევებით, საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია ანაზღაუროს სათანადო თანხები. საბაჟო ორგანო უგზავნის შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას სათანადო დამამტკიცებელ საბუთებს, რომ საქონელი, რომელიც არ არის TIR-ის წიგნაკში დაფიქსირებული, იმყოფება დალუქული სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობაში.

საბაჟო გადასახდელების თანხის განსზღვრის დროს საბაჟო ორგანო ხელმძღვანელობს TIR-ის წიგნაკში არსებული მონაცემებით. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანო არაა დამაკმაყოფილებლად ჩათვლის TIR-ის წიგნაკში საქონლის შესახებ არსებულ მონაცემებს დაბეგვრის მიზნებისათვის, მას შეუძლია დაინტერესებული მხარისაგან(გადამზიდველისაგან, სადაზღვევო კომპანიისაგან და ა.შ)

მოითხოვოს დამატებითი მონაცემები. თუ, არ იქნა წარმოდგენილი დამატებითი მონაცემები, მაშინ საქონელი დაიბეგრება მაქსიმალური გადასახადის განაკვეთით, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ TIR-კარნეტის მოთხოვნების თანახმად, საბაჟო ორგანოს არა აქვს უფლება პირდაპირ მიმართოს სათანადო საგარანტიო გაერთიანებას თანხების ანაზღაურების შესახებ. კონვენციით გათვალისწინებულია, რომ ვიდრე საბაჟო ორგანო მიმართავდეს საგარანტიო გაერთიანებას და წარმოადგენდეს შესაბამის სარჩელს, მან ჯერ შეძლებისდაგვარად უნდა წაუყენოს მოთხოვნები შესაბამის პირებს თანხების გადახდის შესახებ(გადამზიდველს, სადაზღვევო კომპანიას და ა.შ).

საგარანტიო გაერთიანება, რომელიც გასცემს TIR-ის წიგნაკებს, ადგენს ამ წიგნაკების მოქმედების ვადას. მაგ, თუ TIR-ის წიგნაკი გაცემულია სამი თვის ვადით, ხოლო გამოგზავნმა საბაჟო ორგანომ იგი გააფორმა ვადის გასვლის ბოლო დღეს ან მანამდე, მაშინ ითვლება, რომ TIR-ის წიგნაკი ძალაშია დანიშნულების საბაჟოში TIR-კარნეტის ოპერაციის დამთავრებამდე.

საბაჟო გადასახდელების თანხების მოთხოვნა საბაჟო ორგანოების მიერ საგარანტიო გაერთიანებებისათვის დამოკიდებულია TIR-კარნეტის საბაჟო გაფორმების ნიუანსებზე. TIR-კარნეტის კონვენცია ამის თაობაზე მოითხოვს კარნეტის გაფორმების შესაბამისი პროცესუალური ნორმების მკაცრ დაცვას. კერძოდ საბაჟო ორგანოს შეუძლია TIR-კარნეტის საბაჟო გაფორმება განახორციელოს ე.წ „დათქმით“ ან „დათქმის გარეშე“.

დათქმები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს TIR-ის წიგნაკში. დათქმა ანუ შენიშვნა უნდა ემყარებოდეს უტყუარ ფაქტებს, რაც დაკავშირებულია TIR-ის შესაბამის ოპერაციასთან. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის გაფორმება მოახდინა დათქმის გარეშე, მაშინ მას არ აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სათანადო საგარანტიო გაერთიანებას თანხების ანაზღაურების შესახებ, ერთი გამონაკლისის გარდა. კერძოდ, თუ კარნეტის საბაჟო გაფორმება განხორციელდა არაკანონიერი, მოტყუებითი გზით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც TIR-კარნეტის პრინციპით გადაზიდვაში ჩართულია კონტრაბანდული საქონელი ან ცნობილი გახდა, რომ მოწოდებულია

ყალბი დოკუმენტები, ლუქები და ა.შ.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო თხოვნით მიმართავს შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას, რათა ასეთი გაფორმება ჩაითვალოს უკანონოდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი დათქმების გაკეთება, რომელიც საფუძველს მოკლებულია და მიმართულია TIR-ის კონვენციის შესაბამისი დებულებების მოთხოვნათა თავის არიდებისაკენ.

როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო ორგანოს შეუძლია წაუყენოს საგარანტიო მოთხოვნები შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას. ამასთან TIR-ის კონვენციით დადგენილია, რომ, თუ საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის გაფორმება მოახდინა „დათქმით“ ან საერთოდ არ მოახდინა გაფორმება, მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი თანხები, თუ ის TIR-ის წიგნაკის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში წერილობით აცნობებს ამის შესახებ საგარანტიო გაერთიანებას. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, თუ კარნეტის საბაჟო გაფორმება განხორციელებულია უკანონო ან მოტყუებითი გზებით, დოკუმენტების გაყალბებით და ა.შ, მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია საგარანტიო გაერთიანებას მიმართოს არა ერთი, არამედ ორი წლის განმავლობაშიც TIR-ის წიგნაკის მიღების დღიდან.

საბაჟო ორგანოს მიერ საგარანტიო გაერთიანებისადმი ერთი ან ორი წლის ვადაში ზემოაღნიშნული შესაბამისი ცნობების მიწოდებას მოსდევს საგარანტიო თანხების მოთხოვნა. კერძოდ, საგარანტიო გაერთიანებისადმი საბაჟო ორგანოს მიერ TIR-ის წიგნაკის გაფორმების „დათქმით გაფორმების“ ან უკანონო გაფორმების შესახებ ცნობების მიწოდებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, ხოლო არაუგვიანეს ორი წლისა—საბაჟო ორგანო უგზავნის მოთხოვნას შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას თანხების ანაზღაურების შესახებ. თუ, მოცემულ საქონელზე საქმე გადატანილია სასამართლოში და გასულია ზემოაღნიშნული ორწლიანი ვადა, მაშინ საგადახდო მოთხოვნა საგარანტიო გაერთიანებას წარედგინება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს. თავის მხრივ საგარანტიო გაერთიანებამ გადახდის მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში უნდა აუნაზღაუროს სათანადო საგარანტიო ვალდებულებები შესაბამის საბაჟო ორგანოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი თანხების ანაზღაურება, არამედ საგარანტიო გაერთიანებასაც შეუძლია შეუძლია დაიბრუნოს გადახდილი თანხები. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ საბაჟო ორგანოების მიერ საგადახლო მოთხოვნის წარდგენიდან ორი წლის განმავლობაში საგარანტიო გაერთიანება აქეთ წარუდგენს საბაჟო ორგანოს დამამტკიცებელ დოკუმენტებს TIR-კარნეტის ოპერაციების დაურღვევლობის შესახებ. ამ შემთხვევაში კონვენცია საურავებისა და ჯარიმების გადახდას საბაჟო ორგანოს მხრიდან არ ითვალისწინებს.

### **§2221.10 TIR-წიგნაკის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებებისა და, მათ შორის, კონტეინერების დროებით შემოტანის დროს**

TIR-კარნეტის პრინციპებით საქონლის გადაადგილების დროს, სატრანსპორტო საშუალებებისათვის (მათ შორის კონტეინერებისათვის), რომლებიც განკუთვნილია საქონლის გადაზიდვისათვის, არ გამოიყენება საბაჟო გარანტიები. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოებს TIR-ის წიგნაკის შესაბამის ფურცლებში შეაქვთ საიდენტიფიკაციო მონაცემები შემოსული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს აკონტროლოს შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერების გატანის პროცედურა. კონტეინერების შემთხვევაში ეს პროცედურა რეგულირდება 1956 წლის კონვენციით კონტეინერების შესახებ.

TIR-ის წიგნაკის შესაბამისი ფურცლები, რომლებშიც დაფიქსირებულია სატრანსპორტო საშუალებების საიდენტიფიკაციო მონაცემები, უნდა დარჩეს ტრანზიტის ქვეყნის შემოსასვლელ და გასასვლელ საბაჟო ორგანოებში, რაც იძლევა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების კონტროლის საშუალებას. კერძოდ, თუ სატრანსპორტო საშუალებები ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად განადგურდა, მაშინ მასზე არ გადაიხდებიან საბაჟო გადასახდელები. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება

დაიკარგა, მაშინ გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია სათანადო გადასახადების სახით. აღსანიშნავია, რომ გადამზიდველის მისამართი მითითებულია TIR-ის წიგნაკში.

### **§22.21.11 TIR-წიგნაკის გამოყენების პროცედურები გამგზავნ და დანიშნულების საბაჟო ორგანოებში**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, TIR-ის წიგნაკი გაიცემა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე (მათ შორის კონტეინერზე). მიუხედავად ამისა, TIR-ის წიგნაკი შეიძლება გაიცეს სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობაზე ან იმ კონტეინერებზე, რომლებიც ერთ ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებაშია ჩატვირთული. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ TIR-ის წიგნაკის სატვირთო მანიფესტში მითითებული უნდა იყოს თითოეული სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობაში არსებული საქონელი.

აღსანიშნავია, რომ ერთი TIR-ის წიგნაკი მხოლოდ ერთ გადაზიდვაზეა მოქმედი. ამასთან, შესაძლებელია, რომ TIR-ის წიგნაკის სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული და კონტეინერებში რეალურად არსებულ საქონელს შორის იყოს უმნიშვნელო განსხვავება, რაც არ ითვლება TIR-კარნეტის პრინციპების დარღვევად. ამდენად, ეს მომენტი საბაჟო ორგანოს მხრიდან არ უნდა იქცეს კარნეტის საბაჟო გაფორმების შეფერხების საფუძვლად ან TIR-ოპერაციების დარღვევის საფუძვლად.

TIR-ის წიგნაკით საქონლის გადაზიდვა ზორციელდება გამომგზავნ და დანიშნულების საბაჟო ორგანოებს შორის. გამომგზავნი და დანიშნულების საბაჟო ორგანო შეიძლება იყოს ორზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს ოთხისა. ეს სიტუაცია შემდეგი გარემოებებით არის გაპირობებული: სატრანსპორტო საშუალებებში (კონტეინერებში) ან სასაქონლო პარტიაში შეიძლება იმყოფებოდეს საქონელი, რომელიც:

- ა) გამოგზავნილია ერთი ან ორი ქვეყნის ექსპორტიორის მიერ და განკუთვნილია ორი ან სამი ქვეყნის იმპორტიორისათვის;
- ბ) გამოგზავნილია ორი ან სამი ქვეყნის ექსპორტიორის მიერ და განკუთვნილია ერთი ან ორი ქვეყნის იმპორტიორისათვის;
- გ) გამოგზავნილია ორი ქვეყნის ექსპორტიორის მიერ და

განკუთვნილია ორი ქვეყნის იმპორტიორისათვის.

ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად სატრანზიტო ქვეყნის გასასვლელი საბაჟო ორგანო არ შეიძლება ჩაითვალოს დანიშნულების საბაჟო ორგანოდ (თუმცა შეიძლება იყოს გამონაკლისი). ამასთან, როდესაც მრავალი გამომგზავნი(ან ერთი გამომგზავნი) და მრავალი მიმღებია, მაშინ ხდება იმ საქონლის გადმოტვირთვა დანიშნულების საბაჟო ორგანოში, რომელიც მოცემული ქვეყნის იმპორტიორისათვის არის გათვალისწინებული, ხოლო დარჩენილი საქონელი მიემართება მეორე-დანიშნულების საბაჟო ორგანოში. ამ შემთხვევაში ხელახლა უნდა მოხდეს ლუქებისა და ბეჭდების დადება და ეს ოპერაცია უნდა აისახოს TIR-ის წიგნაკსა და სატვირთო მანიფესტში. ამასთან, საქონელი ისე უნდა იყოს მოთავსებული და განლაგებული სატრანსპორტო საშუალებებში, რომ თავისუფლად მოხდეს ამ საქონლის გადმოტვირთვა პირველი დანიშნულების საბაჟო ორგანოში.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა თავდაპირველად ხდება გამომგზავნ საბაჟო ორგანოში. გამომგზავნ საბაჟო ორგანოს წარედგინება აგრეთვე TIR-ის სათანადო წიგნაკი. შესაბამისად, გამომგზავნი საბაჟო ორგანო ახორციელებს საბაჟო კონტროლს, ადებს ლუქებსა და ბეჭდებს და ატარებს საბაჟო დამუშავების იმ პროცედურებს, რაც მიღებულია მოცემულ ქვეყანაში.

კარნეტის საბაჟო გაფორმების პროცესში უმნიშვნელოვანესი ყურადღება ეთმობა TIR-ის წიგნაკთან წარმოდგენილ სატვირთო მანიფესტის შემოწმებას. გამომგზავნმა საბაჟო ორგანომ დეტალურად უნდა შეამოწმოს, ემთხვევა, თუ არა სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული მონაცემები სხვა საქონელგამყოლ დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და შესაბამისად—სატვირთო მანიფესტისა და სხვა დოკუმენტებში არსებული მონაცემები რამდენად შეესაბამება სატრანსპორტო საშუალებებში (კონტეინერებში) მოთავსებული საქონლის სათანადო რეკვიზიტებს.

როდესაც კონვენციის მონაწილე ქვეყანა წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას TIR-კარნეტით გადასაზიდი ტვირთებისათვის, მაშინ მოცემული ქვეყნის შემოსასვლელ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დააწესოს ტრანზიტის ვადა, აგრეთვე ტრანზიტის მარშრუტი.

იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდველმა დაარღვია ტრანზიტის ვადა ანუ დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც საქონელმა უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია ან მიტანილ იქნეს შესაბამის საბაჟო ორგანოში, მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა მოითხოვოს არა საგარანტიო გაერთიანებისაგან, არამედ TIR-ის წიგნაკის მფლობელის ან შესაბამისი დამნაშავე პირისაგან.

საბაჟო კონტროლი TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონლის დროს ხორციელდება ყველა შუალედურ საბაჟო ორგანოში. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია თავისუფლად დაათვალიეროს და შეამოწმოს იმ სატრანსპორტო საშუალებებში, რომელსაც არა აქვს ლუქი და ბეჭედი. აქვე უნდა აღინიშნოს საბაჟო ორგანოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი უფლება. კერძოდ, გასასვლელ საბაჟო ორგანოს, თუ ამ საბაჟო ორგანოს გავლით ხორციელდება მომდევნო სატრანზიტო ქვეყანაში საქონლის შეტანა, უფლება აქვს უკან დააბრუნოს გადამზიდველი იმ ქვეყნის გასასვლელ საბაჟო ორგანოში, საიდანაც მოცემულ ქვეყანაში საქონელი იქნა შემოტანილი, იმ შემთხვევაში, თუ TIR-კარნეტის ოპერაცია დარღვევებით არის განხორციელებული. გადამზიდველის უკან გაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისი გასასვლელი საბაჟო ორგანო აკეთებს გარკვეულ ჩანაწერს იმ საბაჟო ორგანოსათვის, რომელმაც დაარღვია TIR-ის წესები.

იმ შემთხვევაში, თუ TIR-კარნეტით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებები დალუქულია და არ არსებობს არავითარი საფუძვლიანი ეჭვი მასში მოთავსებული საქონლის მიმართ, მაშინ მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანო სცნობს შესაბამის ლუქებსა და ბეჭედებს. ამასთან, შესაბამისი ლუქი და ბეჭედი არ უნდა იყოს დაზიანებული. მოცემულ შემთხვევაში, შუალედური საბაჟო ორგანოს(სატრანზიტო ქვეყნის საბაჟო ორგანო) უფლება აქვს დამატებით დაადოს საკუთარი ლუქი და ბეჭედი შესაბამის სატრანსპორტო საშუალებას(კონტეინერებს).

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საბაჟო კონტროლი განახორციელოს TIR-კარნეტით გადაადგილებულ საქონელზე გადაადგილების პროცესშიც(გზაში), მოაცილოს სატრანსპორტო საშუალებას ლუქი და ბეჭედი და დაადოს საკუთარი საიდენტიფიკაციო საშუალებები. ამასთან, ამ პროცედურების შესახებ შესაბამისი

მინიშნება უნდა გააკეთოს საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის შესაბამის ფურცლებზე.

TIR-ის წიგნაკის მოქმედება ჩერდება გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც ეკუთვნის TIR-ის კონვენციის არამონაწილე ქვეყანას და აღდება TIR-ის მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე იმ პირობით, თუ ლუქები, ბეჭდები და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნები დარღვეული არ არის. ამასთან, დასაშვებია, რომ TIR-ის წიგნაკში მითითებული თავდაპირველი დანიშნულების ქვეყანა შეიცვალოს სხვა დანიშნულების ქვეყნით.

დანიშნულების საბაჟოში საქონლის წარდგენისთანავე, საბაჟო ორგანომ უნდა განახორციელოს TIR-ის წიგნაკის დაუყოვნებლივი გაფორმება და დაბრუნება გადანზიდველისადმი. კარნეტის საბაჟო გაფორმების დროს დასაშვებია, რომ ერთ სატრანსპორტო ოპერაციაზე ორი TIR-ის წიგნაკი იქნეს გამოყენებული, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სატრანსპორტო პროცედურების სიმრავლის გამო TIR-ის წიგნაკის მოსახვევი ფურცლები საკმარისი არ არის.

აღსანიშნავია, რომ მძიმეწონიანი და დიდგაბარიტიანი ტვირთების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს დაულუქავი სატრანსპორტო საშუალებებით (ღია კონტეინერებით). ამ შემთხვევაში გამოგზავნა საბაჟო ორგანომ უშუალოდ საქონელ უნდა დაადოს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშანი (ბეჭედი, დამლა და ა.შ). ამასთან, TIR-ის წიგნაკის გარეკანსა და შესაბამის ფურცლებზე ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე დიდი შრიფტით უნდა იყოს აღნიშნული მძიმე ან დიდგაბარიტიანი ტვირთების შესახებ.

როგორც აღენიშნეთ, შუალედური საბაჟო ორგანოები ცნობენ შესაბამისი მონაწილე ქვეყნების კომპენტენტური ორგანოების მიერ დადებულ ლუქებს, ბეჭდებს და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებს. ამასთან, ზემოაღნიშნული მძიმეწონიანი და დიდგაბარიტიანი ტვირთების დროს შუალედურ საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ დააღონ მათ საიდენტიფიკაციო საშუალებები.



## §22.21.12 დავების დარეგულირება TIR-კარნეტის გამოყენების პირობებში

TIR-კარნეტის კონვენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ტრანზიტის ოპერაციის განხორციელების დროს შესაძლებელია წარმოიშვას გარკვეული უთანხმოებები და გაუგებრობები. ეს დავები უნდა გადაიჭრას მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის შესაბამისი მუხლებისა და დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა, მაშინ ერთ-ერთი მხარისთხოვნით საქმე გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს. დავის თითოეულ მონაწილეს დაეგზავნება მოთხოვნა მათ მიერ დასანიშნი არბიტრის შესახებ. თუ, დავის მონაწილე მხარემ მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის ვადაში არ დანიშნა თავისი არბიტრი, მაშინ დავის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მიმართოს თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რათა მან დანიშნოს შესაბამისი არბიტრი. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც მხარეების მიერ დანიშნული არბიტრები ვერ ირჩევენ თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში გაეროს გენერალური მდივანი უფლებამოსილია დანიშნოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ ადგენს თავისი მუშაობის წესებს და საქმის განხილვის პროცედურებს. მას გადაწყვეტილება გამოაქვს ხმათა უმრავლესობით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად დავაში მონაწილე მხარეებისათვის.

კონვენცია მიღებულია გაეროს ეგიდით ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

## §22.22 „კონვენცია დროებით შემოტანის შესახებ“ (სტამბული, 1990 წლის 26 ივნისი.)

მოცემული კონვენცია არეგულირებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემოტანის საბაჟო

რეჟიმის შესაბამის პროცედურებს. მას შემოკლებით ATA-კარნეტის კონვენციას უწოდებენ.

TIR-კარნეტის მსგავსად, მოცემული კონვენცია ხელს აძლევს დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურების გამარტივებას და უნიფიცირებას მსოფლიო მასტაბით.

მოცემული კონვენცია ხელს აძლევს მგზავრებს, ტურისტებს, რომლებიც გადაადგილდებიან ქვეყნებს შორის საბაჟო საზღვრებზე და მოცემულ ქვეყანაში დროებით შეაქვთ პირადი ნივთები და დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი. კონვენციის დებულებები, ხელს აძლევს, აგრეთვე იმ მეწარმე პირებს, რომლებსაც დროებით, საწარმოო მიზნებისათვის შემოაქვთ ძირითადი საშუალებები.

ამ შემთხვევაშიც, მცირდება ტვირთბრუნვისა და საბაჟო ადმინისტრირების შესაბამისი ხარჯები, რაც TIR-კარნეტის ანალოგიურად გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: ATA(CPD)-კარნეტის(წიგნაკის) აღიარება საბაჟო დეკლარაციად და საბაჟო გარანტიების წარდგენის უგულებელყოფა.

### §22.22.1 ATA-კარნეტის კონვენციის მიღების მოკლე ისტორია

აბრევიატურა „ATA (Admission Temporaire) სიტყვასიტყვით ნიშნავს-„დროებით დაშვებას“. შესაბამისად, ATA-კარნეტი ნიშნავს საქონლის დროებითი დაშვების (ანუ შემოტანის) დამადასტურებელ წიგნაკს.

1961 წლის 8 ივნისს ბრიუსელში მიღებულ იქნა ATA-კარნეტის კონვენცია საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს(CCC) და სავაჭრო პალატების საერთაშორისო ბიუროს(IBCC) ეგიდით, ხოლო ATA-კარნეტის თანამედროვე კონვენცია, რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მიღებულ იქნა 1990 წლის 26 ივნისს სტამბულში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის(WCO) ეგიდით. ამასთან ამ კონვენციით გაუქმებულია ზემოაღნიშნული ბრიუსელის კონვენცია.

ATA-კარნეტის დეპოზიტარი არის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონვენციის აუთენტური ტექსტები მიღებულ იქნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ხოლო დეპოზიტარს უფლება მიეცა მოამზადოს და გაავრცელოს კონვენციის

ტექსტების ოფიციალური თარგმანები არაბულ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე.

### **§22.22.2 ATA-კარნეტის არსი და გამოყენების სფერო**

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის პირობებში (აგრეთვე გარკვეულწილად ტრანზიტის დროსაც).

ATA-კარნეტი ანუ დროებით შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია საბაჟო დეკლარაციასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ATA-კარნეტის წარმოდგენის დროს საბაჟო ორგანოს არა აქვს საბაჟო დეკლარაციის მოთხოვნის უფლება. ამასთან, საქონლის დროებითი შემოტანის დროს ATA-კარნეტის წარმოდგენის შემთხვევაში დეკლარანტი არ არი ვალდებული წარმოადგინოს საბაჟო გარანტია, რაც აიოლებს და აჩქარებს საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებას.

აღსანიშნავია, რომ ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების დროებითი შემოტანის დროს გამოიყენება CPD-კარნეტი (აბრევიატურა CPD(Carnet de passages en douane) ფრანგულიდან სიტყვასიტყვით ნიშნავს-„საზღვრის გაელის წიგნაკს“).

ATA და CPD-კარნეტების გამოყენების პრინციპებს შორის არსებობს რიგი განსხვავებები, რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფოსტო გზავნილების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონვენციის მოთხოვნები, თუ შესაბამისი ქვეყანა კონვენციასთან მიერთების დროს გააკეთებს ამის შესახებ დათქმას.

### **§22.22.3 სავაჭრო-სამრეწველო პალატების საერთაშორისო ბიურო (IBCC) და ნაციონალური სავაჭრო - სამრეწველო პალატები.**

ATA-კარნეტს გასცემს ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ამასთან, ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატების ბიუროსთან დაკავსირებულია საგარანტიო ჯაჭვით.

ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა იმ შემთხვევაში გასცემს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ATA-კარნეტს, თუ პირს საქონელი დროებით გააქვს ATA-კარნეტის წვერ ქვეყნებში (ან ტრანზიტით გადაადგილებს საქონელს).

ATA-კარნეტის ნებისმიერი წვერი ქვეყნის საბაჟოს უფლება აქვს მოითხოვოს ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატისაგან შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა, თუ დარღვეულ იქნა ATA-კარნეტის პირობები. თავის მხრივ, ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა შესაბამის თანხებს იბრუნებს მის მიერ გაცემული ATA-კარნეტის მიმღებისაგან სათანადო საგარანტიო უზრუნველყოფით ან სავაჭრო-სამრეწველო პალატების საერთაშორისო ბიუროს (IBCC) წვერი იმ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატისაგან, რომელმაც გასცა ATA-კარნეტი.

ფიზიკური და იურიდიული პირები ATA-კარნეტის მისაღებად თავიანთი ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს წარუდგენენ შესაბამის გარანტიებს (საბანკო გარანტია, სადაზღვევო პოლისი, დეპოზიტური თანხები).

## §22.22.4 საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა

საქონლის (სატრანსპორტო საშუალებების) დროებითი შემოტანის დროს ATA და CPD-კარნეტების წესების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო-სამრეწველო პალატა (შემდგომში-საგარანტიო ასოციაცია) უზრუნველყოფს იმ საბაჟო გადასახდელების გადახდას საბაჟო ორგანოსათვის, რომელიც გათვალისწინებულია მოცემულ ქვეყანაში იმპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის შემოტანისათვის. ამასთან არსებობს განსხვავება ATA და CPD-კარნეტებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საგარანტიო უზრუნველყოფის თანხებს სორის. კერძოდ, ATA-კარნეტის შემთხვევაში საგარანტიო ასოციაცია არ არის ვალდებული გადაიხადოს გადასახადის ის თანხა, რომელიც აჭარბებს საბაჟო გადასახდელების 10%-ს, ხოლო CPD-ის დროს საგარანტიო

ასოციაცია არ არის ვალდებული გადაიხადოს თანხები, რომელიც აღემატება საბაჟო გადასახდევლების თანხას, მათ შორის თანხები, რომელიც უკავშირდება გადახდის გადავადების პროცენტს.

TIR – კარნეტის გაფორმების ანალოგიურად ATA – კარნეტის დროსაც, თუ საბაჟო ორგანო კარნეტის გაფორმებას ახორციელებს „დათქმის“ გარეშე, მაშინ მას უფლება არ აქვს შემდგომში მოითხოვოს საბაჟო გადასახდევლების გადახდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადგინდა, რომ კარნეტის საბაჟო გაფორმება განხორციელდა უკანონო ან მოტყუებითი გზებით. ამასთან, საბაჟო ორგანოს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მოითხოვოს საბაჟო გადასახდევლების გადახდა, თუ იგი მიმართავს საგარანტიო ასოციაციას ATA – კარნეტის მოქმედების ვადის ამოწურვიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო CPD – კარნეტის შემთხვევაში საბაჟო ორგანომ საგარანტიო ასოციაციას უნდა აცნობოს CPD – ის გაუფორმებლობის შესახებ CPD – კარნეტის მოქმედების ვადის ამოწურვიდან ერთი წლის განმავლობაში.

ATA – კარნეტის შემთხვევაში საგარანტიო ასოციაციას უფლება აქვს განიხილოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნა გადასახდევლების გადახდის შესახებ და ექვსი ვადაში წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები საქონლის გატანის წესების დაურღვევლობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ასოციაციამ მოთხოვნიდან ექვსი თვის ვადაში ვერ წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები საბაჟო ორგანოს, მაშინ საგარანტიო ასოციაცია ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს თანხები საბაჟო ორგანოს. თანხების გაცემიდან სამი თვის შემდეგ მოცემული სახსრები ითვლება საბოლოოდ გადახდილად და საგარანტიო ასოციაციას იგი არ დაუბრუნდება საბაჟო ორგანოს მხრიდან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სამი თვის განმავლობაში საგარანტიო ასოციაცია წარუდგენს საბაჟო ორგანოს შესაბამის მტკიცებულებებს, მაშინ ზემოაღნიშნული თანხები დაუბრუნდება მას.

CPD – ის შემთხვევაში საგარანტიო ასოციაციას უფლება აქვს კარნეტის გაუფორმებლობის უწყების მიღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში წარუდგინოს საბაჟო ორგანოს შესაბამისი მტკიცებულებები სატრანსპორტო საშუალების გატანის შესახებ. შესაბამისად, მტკიცებულებების უარყოფის შემთხვევაში, თავის მხრივ, საბაჟოს აქვს უფლება, მტკიცებულების მიღებიდან ერთი წლის

განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ საგარანტიო ასოციაციას. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ასოციაციამ ვერ წარუდგინა საბაჟო ორგანოს შესაბამისი მტკიცებულებები ელტი წლის განმავლობაში, მაშინ საგარანტიო ასოციაცია 3 თვიან ვადაში გადასცემს შესაბამის თანხებს საბაჟო ორგანოს. თანხების გადაცემიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ითვლება, რომ თანხები საბოლოოდ არის გადაცემული. ამ შემთხვევაშიც, თუ თანხების გადაცემიდან ერთი წლის განმავლობაში საგარანტიო ასოციაციამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, მაშინ საბაჟო ორგანო უბრუნებს მას შესაბამის თანხებს.

### §22.22.5 დროებით შემოტანის ვადები

მოცემული კონვენციის წევრი ქვეყნები, როგორც აღვნიშნეთ იღებენ ATA და CPD—კარნეტების დოკუმენტებს საბაჟო დეკლარაციის ეკვივალენტად, რაც აიოლებს საბაჟო დამუშავების ოპერაციას. შესაბამისად, დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დროს წინასწარ განსაზღვრული ვადა ფიქსირდება შესაბამისი კარნეტის დოკუმენტში.

ATA და CPD კარნეტებით დროებით შემოტანილი საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს, რამდენადაც შესაბამისი კარნეტების მოქმედების მაქსიმალური ვადა ელტი წელია. ამასთან, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დააწესოს უფრო ხანგრძლივი ვადა ან გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ვადის განმავლობაში ვერ ხერხდება საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) გატანა, მაშინ საგარანტიო ასოციაციას უფლება აქვს გასცეს შესაბამისი შემცველი დოკუმენტი, ხოლო საბაჟო ორგანო აგრძელებს დროებითი შემოტანის ვადას და შესაბამისად აუქმებს ძველი კარნეტის დოკუმენტს. ამასთან, CPD—ის დოკუმენტის მოქმედების ვადა შეიძლება მხოლოდ ერთხელ გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ გაცემული უნდა იქნეს CPD—ის ახალი დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ დროებით შემოტანილი საქონელი (სატრანსპორტო საშუალება) დაყადაღებულ იქნა სახელმწიფო ორგანოების მიერ, მაშინ დაყადაღების პერიოდის ვადით წყდება მოცემუ-

ლი საქონლის გატანის ვალდებულება, ხოლო დაყადაღების შესახებ საბაჟო ორგანო აცნობებს შესაბამის საგარანტიო ასოციაციას.

## §22.22.6 დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულება

მოცემული კონვენციის მიზნებისათვის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევებში, თუ:

ა) საქონელი (სატრანსპორტო საშუალება) გატანილია შესაბამისი პროცედურების დაცვით. ამასთან, საქონელი შეიძლება გატანილ იქნეს ნაწილ-ნაწილ პარტიების სახით, აგრეთვე სხვა გასასვლელი საბაჟო ორგანოს მეშვეობით, ვიდრე იგი იყო შემოტანილი;

ბ) საქონელი (სატრანსპორტო საშუალება) მოექცა სხვა საბაჟო რეჟიმში (დამუშავების სოპერაციაში);

გ) საქონელი (სატრანსპორტო საშუალება) დაზიანდა ავარიის ან ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, ხოლო საბაჟო ორგანო გადაწყვეტს, რომ მოცემული საქონელი უნდა დაიბეგროს საბაჟო გადასახდელებით წარმოდგენილი საქონლის მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) საქონელი (სატრანსპორტო საშუალება) უსაყიდლოდ გადაეცათ შესაბამის ორგანოებს და გათავისუფლდნენ საბაჟო გადასახდელებისაგან;

ე) საქონელი განადგურდა საბაჟო კონტროლქვეშ;

ვ) საქონელი განადგურდა ან დაიკარგა ავარიის ან გადაულახავი ძალის შედეგად, ხოლო შესაბამისი პირი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებას. ამ შემთხვევაში პირი გათავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან.

საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) გატანის დადასტურება ხდება საბაჟო ორგანოს მიერ. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ავსებს კარნეტის შესაბამის ყუას, რომელსაც ამტკიცებს ბეჭდით. თუ ეს პროცედურა არ არის განხორციელებული, მაშინ საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) გატანის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც იქნება ოფიციალურად დამოწმებული. ამ შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტის გაცემისათვის საბაჟო ორგანო ახდევინებს შესაბამის საბაჟო მოსაკრებელს. რაც შეეხება სხვა სახის საბაჟო მოსაკრებელს, დროებით

შემოტანის დროს იგი არ გადაიხდებიან იმ შემთხვევაში, თუ საბა-  
ჟო რეჟიმში მოქცევა ხორციელდება ჩვეულებრივ სამუშაო დროს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც TIR –კარნე-  
ტის შემთხვევაში ATA(CPD)–კარნეტის შესაბამისი დოკუმენტების  
შემოტანა და გატანა საბაჟო გადასახდევებით არ იბეგრება.

### **§22.22.7 დავების დარეგულირება ATA(CPD)–კარნეტის გამოყენების პირობებში**

ATA–კარნეტის კონვენციის შესაბამისად, მონაწილე მხარეთა  
შორის კონვენციის დებულებების გაგების დროს წამოჭრილი  
სადავო საკითხები შექლებისდაგვარად უნდა დარეგულირდეს  
უშუალოდ მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.  
იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარეებს შორის შეთანხმების  
მიღწევა, მაშინ საკითხი განსახილველად გადაეცემა მსოფლიო საბაჟო  
ორგანიზაციასთან არსებულ ადმინისტრაციულ კომიტეტს.

ადმინისტრაციული კომიტეტის მთავარი ფუნქცია არის  
განიხილოს ამ კონვენციის დებულებებთან დაკავშირებული დავები,  
წინადადებები, შესწორებები და დამატებები.

კონვენციის ყველა მონაწილე მხარე იმავდროულად არის  
ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი. მას გადაწყვეტილება  
მხარეთა შორის დავების შემთხვევაში გამოაქვს კომიტეტის სესიის  
მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული კომიტეტის  
გადაწყვეტილება დავებთან დაკავშირებით ატარებს სარეკომენდაციო  
ხასიათს.

კონვენცია მიღებულია საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ეგი-  
დით (მსო) ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. აბელაშვილი, საბაჟო ურთიერთობები, თბ. 2006;
2. ზ. ამილახვარი, საქართველოს საბაჟო სამართალი, თბ. 2007;
3. ხ. ა. ანდრიაშინი, ვ. გ. სვინუხოვი, ვ. ვ. ბალაკინი, საბაჟო სამართალი, მ. 2008(რუსულ ენაზე);
4. ხ. ა. ანდრიაშინი, ვ. გ. სვინუხოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2006(რუსულ ენაზე);
5. მ. ი. აგაბალაევი, რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოების ძირითადი ფუნქციები და მათი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
6. ე. ა. არუსტამოვი, საბანკო, საბაჟო და საოფისე მოწყობილობა, მ. 1999(რუსულ ენაზე);
7. გ. ლ. ავაგიანი, ი. გ. ვეშკინი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები, მ. 2007;
8. ა. უ. ალბეკოვი, ო. ა. მიტკო, კომერციული ლოგისტიკა, მ. 2002(რუსულ ენაზე);
9. ო. გ. აბაკუმოვა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
10. დ. პ. ალექსანდროვი, ა. ვ. ობკოვი, ს. ა. ვასკოვსკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო რეგულირება, მ. 2005(რუსულ ენაზე);
11. ა. ვ. ალენხოვიჩი, სწავარბოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
12. ო. გ. ანოხინა, მ. ი. ლოპუხოვი, 128 კითხვა და პასუხი საბაჟო გაფორმების სპეციალისტების საგამოცდო მომზადებისათვის, მ. 2005(რუსულ ენაზე);
13. ნ. ასლამაზიშვილი, საგარეო ვაჭრობა, თბ. 2003;
14. ა. ახვლედიანი, საქართველოს საბაჟო საქმის მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდების სრულყოფა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (ავტორეფერატი ეკ. მეც. კანდ. სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2003;
15. ო. ი. ბაკაევა, საბაჟო ფისკალური შემოსავლები: სამართლებრივი რეგულირება, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
16. ო. ი. ბაკიევა, გ. ვ. მატვიენკო, რუსეთის საბაჟო სამართალი, მ. 2003(რუსულ ენაზე);
17. კ. ა. ბეკიაშვილი, ე. გ. მოისევი, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
18. კ. ა. ბეკიაშვილი, ე. გ. მოისევი, საბაჟო სამართალი, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
19. ნ. პ. ბონდარენკო, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო-სატარიფო რეგულირება, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
20. რ. ბერიძე, საპაერო ტრანსპორტი საერთაშორისო შერეული გადაზიდვების ლოგისტიკურ სისტემაში, თბ. 2004;
21. თ. ბოკერია, საერთაშორისო სავაჭრო ფასები, თბ. 1992;

22. ვ. ბელიაშვილი, საბაჟო ენციკლოპედიური ცნობარი(ორ ტომად), მინსკი. 1998 (რუსულ ენაზე);
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ-1, თბ. 1964;
24. ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, გვ. 17-22, თბ. 1940);
25. თ. ბერუჩაშვილი, ევროინტეგრაცია და საქართველო(სალექციო კურსი), თბ. 2005;
26. კ. ტ. ბორისოვი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, მ. 1997(რუსულ ენაზე);
27. ნ. ი. ბორისოვი, საბაჟო სამსახური და მსოფლიო ეკონომიკა(გერმანული ენა მებაჟეებისა და ეკონომისტებისათვის), მ. 2007(რუსულ ენაზე);
28. თ. ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბ. 1979;
29. ლ. ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება(თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა), თბ. 2004;
30. რ. ბერულავა, თ. ბერულავა, ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1999;
31. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, ი. ჩხეტია, საერთაშორისო სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება, თბ. 2008;
32. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, ლოგისტიკა და თანამედროვე სატრანსპორტო პოლიტიკა, თბ. 2008;
33. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, საერთაშორისო ლოგისტიკის საფუძვლები, თბ. 2008;
34. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება, თბ. 2008;
35. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის მართვა, თბ. 2008;
36. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის ეკონომიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა, თბ. 2008;
37. ა. ს. ბუროვი, მსოფლიო სასაქონლო და მომსახურების ბაზრების კონიუქტურა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
38. ლ. პ. ბოროდულინა, ი. ა. კუდრიაშოვა, ვ. ა. იურგა, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
39. ი. ბახრამოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია, მ. 2001(რუსულ ენაზე);
40. რ. ბესპალოვი, სატრანსპორტო ლოგისტიკა. მიწოდების ეფექტური სისტემის აგების უახლესი ტექნოლოგიები, მ. 2007(რუსულ ენაზე);
41. გ. ბროდეცი, ლოგისტიკური სისტემების მოდელირება, მ. 2006(რუსულ ენაზე);
42. ი. ვ. ბალახანოვა, ს. ა. ვოლჩკოვი, ლოგისტიკა, მ. 2006(რუსულ ენაზე);

43. ა. გ. ბელოუსოვი, დ. ვ. სტახანოვი, ვ. ნ. სტახანოვი, კომერციული ლოგისტიკა, მ. 2001(რუსულ ენაზე);
44. მ. ი. ბრაგინსკი, ვ. ვ. ვიტრიანსკი, სახელშეკრულები სამართალი, მ. 2001(რუსულ ენაზე);
45. ე. პ. ბაზინი, ტ. მ. ისაჩენკო, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
46. ვ. ა. ბარინოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
47. ი. გ. ბოგოსლავსკი, ა. ა. ვესელოვა, ს. ვ. კორენევა, საბაჟო რეჟიმები: საბაჟო დოკუმენტების შევსების წესები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
48. ნ. ა. ბრიუხოვეცი, ლ. პ. ჩახოიანი, ინგლისური ენა. მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბაჟო საქმე, მ. 2005(რუსულ ენაზე);
49. ა. ი. ბლუმფილდი, ვ. ეტერი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიის განვითარება [http://galery.economicus.ru/cgiise/gallery/frame\\_rightm.pl?type=school&links=/school...](http://galery.economicus.ru/cgiise/gallery/frame_rightm.pl?type=school&links=/school...)(რუსულ ენაზე);
50. ბ. გაბიძაშვილი, ნ. კუხიანიძე-ახვლედიანი, საბაჟო სტატისტიკის აქტუალური საკითხები, ქუთაისი. 2002;
51. ი. გოგორიშვილი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ. 2002;
52. ა. მ. გირინი, ახალი საბაჟო კანონმდებლობა: კრებული, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
53. ა. გრაინა, ლ. ტერეშენკო, მ. შესტოკოვა.. თანამედროვე საბაჟო კანონმდებლობა, მ. 1996 (რუსულ ენაზე);
54. ა. გრაინა, ლ. ტერეშენკო, მ. შესტოკოვა.. საბაჟო კანონმდებლობა: პრაქტიკული კომენტარები, მ. 1997 (რუსულ ენაზე);
55. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამერიკაეკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ-I, ტ-IV, თბ. 1987;
56. ბ. ნ. გაბრიჩიძე, ვ. ე. ზობოვი, საბაჟო სამსახური რუსეთის ფედერაციაში, მ. 1993(რუსულ ენაზე);
57. ბ. ნ. გაბრიჩიძე, ა. გ. ჩერნიავსკი, რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამართლის კურსი, მ. 2003(რუსულ ენაზე);
58. ა. გრიშკაშვილი, გზა ევროკავშირისაკენ, თბ. 2003;
59. ნ. ა. გოლოშაპოვი, საბაჟო კონტროლი, მ. 1999(რუსულ ენაზე);
60. ნ. ფ. გოფმანი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები, მ. 2001(რუსულ ენაზე);
61. ნ. მ. გრომოვა, საგარეო-საეკსპორტო კონტრაქტი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
62. ტ. ნ. გოგოლევა, ც. გ. კლუჩიშვილი, ი. ი. ხაუსტოვი, საერთაშორისო ეკონომიკა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
63. გ. ი. გაგარინა, ვ. ვ. გრომიკო, ზ. მ. ოკრუტი, ევროკავშირის ეკონომიკა, მ. 2003(რუსულ ენაზე);
64. ა. მ. გადვინსკი, თანამედროვე საწყობი. ორგანიზაცია, ტექნოლოგია, მართვა და

- ლოგისტიკა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
65. ს. გამიფულავეი, ა. ვ. კულეშოვი სახელმძღვანელო დეკლარანტისათვის, მ. 2003(რუსულ ენაზე);
66. თ. ე. გვარლიანი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დაბეგვრა და საბაჟო-სატარიფო რეგულირება, მ. 2007(რუსულ ენაზე);
67. ე. ფ. გალანჟინი, ვ. მ. კუტოვოი, საბაჟო რეჟიმები, მ. 1999(რუსულ ენაზე);
68. ტ. გორბანევა, სატერითო საბაჟო დეკლარაციის შევსების ინსტრუქცია, მ. 2008;
69. ი. პ. გარმაევი, თანამდებობრივი დანაშაული საბაჟო ორგანოებში, მ. 2002(რუსულ ენაზე);
70. კ. გოგოლაშვილი, მოლაპარაკებები ევროკავშირის გაფართოების თაობაზე, [www. Gfsis.org/ge/publications\\_1.php?id=103&cat=4](http://www.Gfsis.org/ge/publications_1.php?id=103&cat=4);
71. დ. დავითაძე, პასუხისმგებლობა საბაჟო და სხვა საბუთების გამოყენებით ჩადენილი კონტრაბანდისათვის, ჟურნ. „სამართალი“, №11-12, თბ. 1991;
72. ი. ვ. დავიდოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
73. ნ. დუჩიძე, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, თბ. 2003;
74. გ. დუგინი, ი. ჩეჩულინა, ვ. მალიშევი, ტექნიკური საშუალებები საბაჟო საქმეში, მ. 1995(რუსულ ენაზე);
75. ვ. ა. დერგაჩევი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
76. ა. ე. დაინეკო, გ. ვ. ზაბავესკი, ა. ს. მალინინი, მსოფლიო ეკონომიკა: მექანიზმები და ზრდის ფაქტორები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
77. ა. ვ. დაინეკო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მ. 2006(რუსულ ენაზე);
78. ი. ვ. დოდონკინი, ი. ა. უბელევა, ვ. ი. კრიშტაფოვიჩი, საქონლის საბაჟო ექსპერტიზა, მ. 2003(რუსულ ენაზე);
79. ვ. ვ. დონენინი, სატრანსპორტო პროცესების ლოგისტიკა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
80. ვ. ვ. დიბსკაია, დასაწყობების ლოგისტიკა პრაქტიკოსებისათვის, მ. 2005(რუსულ ენაზე);
81. ო. ი. დეგტიარევა, ტ. ნ. პოლიანოვა, ს. ვ. სარკისოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
82. ა. ე. დაინეკო, გ. ვ. ზაბავესკი, ფ. ა. დმიტრაკოვიჩი, ევროკავშირის გაფართოება: ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
83. ი. ი. დიუმულენი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მ. 2003(რუსულ ენაზე);
84. ვ. გ. დოროშენკო, საქონლის საბაჟო კონტროლი, მ. 1999(რუსულ ენაზე);
85. ი. გ. დავიდოვი, საბაჟო სამართალი კითხვებსა და პასუხებში, მ. 2003(რუსულ ენაზე);
86. ს. ემეტი, საწყობის მართვის ხელოვნება. როგორ შევამციროთ ხარჯები და გავზარდოთ ეფექტურობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
87. ე. ეთერია, მ. თორია, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ. 2006;

88. ა. ერშოვი, კ. სიზოვა, შეღავათები და პრეფერენციები საბაჟო საქმეში, მ. 2004(რუსულ ენაზე);
89. ვ. ლ. ეროხინი, ი. ნ. ლიაკიშევა, ვ. ი. ტრუხაჩევი, საერთაშორისო ვაჭრობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
90. ა. ი. ევდოკიმოვი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
91. ი. ვორობოვი, საბაჟო საქმის საფუძვლები, მ. 1995 (რუსულ ენაზე);
92. პ. ვენედიკიანი, ჯ. ვორფილდი, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება, თბ. 2002;
93. დ. რ. ვერმანი, ეკონომიკური განვითარების თეორია, [http://galery.economicus.ru/cgiise/gallery/frame\\_rightn.pl?type=school&links=./school...](http://galery.economicus.ru/cgiise/gallery/frame_rightn.pl?type=school&links=./school...) (რუსულ ენაზე);
94. შ. ვეშაპიძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2008;
95. ო. ნ. ვორონკოვა, ე. პ. პუზაკოვა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა: ორგანიზაცია და მართვა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
96. ვ. ვ. ვოლგინი, საქონლის გადატვირთვისა და მიღების ლოგისტიკა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
97. ვ. ვ. ვოლგინი, საქონლის შენახვის ლოგისტიკა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
98. ვ. ვ. ვოლგინი, საწყობი. ლოგისტიკა, მართვა, ანალიზი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
99. დ. ლ. ვორდლოუ, დ. ფ. ვუდი, თანამედროვე ლოგისტიკა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
100. ნ. ვილკოვა, სახელმეკრულებო სამართალი საერთაშორისო ბრუნვაში, მ. 2001(რუსულ ენაზე);
101. ტ. ა. ვორონოვა, ფულად-საანგარიშსწორებო ურთიერთობები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დროს, მ. 2007(რუსულ ენაზე);
102. ა. ა. ვერეტენოვი, საბაჟო და დაზღვევა, მ. 1999(რუსულ ენაზე);
103. ვ. მ. ვლასოვა, საბაჟო ოპერაციები, მ. 1996(რუსულ ენაზე)
104. მ. ველინგი, ანგარიში საბაჟო რეფორმის პროგრესის შესახებ(სსფ-ის საბაჟო საკითხებში უფროსი მრჩეველის მოხსენების მასალები);
105. გ. ვეკუა, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის ხელმყოფი დანაშაული, ზუგდიდი. 2000;
106. ე. ე. ვავილოვა, ლ. პ. ბოროდულინა, საერთაშორისო ვაჭრობა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
107. დ. ე. ზაიკოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
108. მ. ნ. ზახაროვი, საწარმოს ხარჯების კონტროლი და მინიმიზაცია ლოგისტიკის სისტემაში, მ. 2006(რუსულ ენაზე);
109. რ. ი. ზიმენკოვი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
110. ა. ზედგენიძე, საბაჟო ურთიერთობების საფუძვლები, თბ. 2005;

111. ა. ზედგენიძე, საგადასახადო და საბაჟო საქმის საფუძვლები, თბ. 2005;
112. ნ. თოდუა, გ. ნადირაშვილი, საქონლის ექსპერტიზა საერთაშორისო ვაჭრობაში, თბ. 1997;
113. თ. იაშვილი, საერთაშორისო კონტრაქტები, თბ. 2001;
114. ს. ვ. ივანოვა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მ. 2007(რუსულ ენაზე);
115. მ. ბ. ივანოვა, ლოგისტიკა, მ. 2004(რუსულ ენაზე);
116. მ. ბ. ივანოვა, მ. ი. ივანოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
117. დ. ივანოვი, ლოგისტიკა. სტრატეგიული კოოპერაცია, მ. 2006(რუსულ ენაზე);
118. ს. ი. ისტომინი, ს. პ. ბულავინი, ი. ი. მორავეკო, ვერაზის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების საბაჟო კავშირი, მ. 2003(რუსულ ენაზე);
119. ს. ი. ისტომინი, საბაჟო გაფორმება და საბაჟო რეჟიმების გამოყენება, მ. 2008(რუსულ ენაზე);
120. გ. იმედაშვილი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი(სასწავლო-მეთოდური მასალა ცოდნის შემოწმებისათვის), თბ. 2007;
121. ვ. კაკაბაძე, საგარეო ვაჭრობის განვითარების ისტორია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ასპექტები, თბ. 2001;
122. ვ. კაკაბაძე, საგარეო ვაჭრობა, თბ. 2001;
123. დ. ა. კარალიოვი, პეტრე I-ის საბაჟო პოლიტიკა, [http://revolution. Allbest.ru/sustom/00022228\\_0.html](http://revolution.Allbest.ru/sustom/00022228_0.html) (რუსულ ენაზე);
124. ი. ვ. კაშირინა, საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და საბაჟო გადასახდელები, <http://www.yurclub.ru/docs/custom/article5.html> (რუსულ ენაზე);
125. ნ. ნ. კოსარენკო, საბაჟო სამართალი, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
126. ნ. ვ. კონიკი, საბაჟო საქმე, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
127. ა. ი. კირსანოვა, კონტრაბანდა და საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდება, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
128. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, სავალუტო კონტროლი: რა შეუძლია რუსეთის ფედერალურ საბაჟო სამსახურს, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
129. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა(საბაჟო აღმანახი), მ. 2004 (რუსულ ენაზე);
130. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, სატიერთო საბაჟო დეკლარაცია/ტრანზიტული დეკლარაცია: შვესების წესი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
131. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, საბაჟო რეჟიმი: დროებით შემოტანა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
132. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, საქონლის საბაჟო ღირებულება(საბაჟო აღმანახი), მ. 2004(რუსულ ენაზე);
133. ნ. ტ. კრასნოლუტსკაია, სპეციალური საბაჟო რეჟიმები(საბაჟო აღმანახი), მ. 2003(რუსულ ენაზე);

134. პ. კრუგმანი, მ. ოფსვილდი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ. 2000;
135. ი. მ. კულიშერი, საერთაშორისო საეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
136. ე. ნ. კოვალევა, საბაჟო პროცედურები. სახელმძღვანელო დეკლარაციისათვის, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
137. მ. ა. კორუბევი, უსაფრთხოება საბაჟო საქმიანობის სფეროში (სისხლის-სამართლებრივი და კრიმინალური ასპექტი), მ. 2005 (რუსულ ენაზე);
138. ა. კოზირინი, საბაჟო გადასახადი, მ. 1998 (რუსულ ენაზე);
139. ა. ნ. კოზირინი, საბაჟო რეჟიმები, მ. 2000 (რუსულ ენაზე);
140. ა. ნ. კოზირინი, საბაჟო სამართლის განმარტებითი ლექსიკონი, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
141. ა. ნ. კოზირინი, რუსეთის ფედერაციის საბაჟო კოდექსის კომენტარები, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
142. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის ბიზნესისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ. 2003;
143. რ. კაკულია, ფინანსების თეორია, თბ. 2003;
144. ა. ს. კოკინი, გ. ა. ლევიკოვი, საერთაშორისო სატრანსპორტო ექსპლიცა, მ. 2005 (რუსულ ენაზე);
145. ა. ს. კოკინი, ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვა, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
146. პ. რ. კრუგმანი, მ. ობსტფელდი, საერთაშორისო ეკონომიკა, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
147. ს. ვ. კოტელკინი, საერთაშორისო ფინანსური სისტემა, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
148. ე. მ. კურგანოვი, ლოგისტიკა. საავტომობილო გადაზიდვების მართვა. პრაქტიკული გამოცდილება, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
149. ნ. კრუმინში, კ. ვიტოლინში, ლოგისტიკა აღმოსავლეთ ევროპაში, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
150. ე. ნ. კუზნოვევი, ს. ა. ტინკოვი, ლოგისტიკა, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
151. ნ. გ. კრაიუშენკო, ტვირთების გაცემა. ტექნოლოგია და ორგანიზაცია, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
152. ა. კირიჩენკო, საექსპორტო-საიმპორტო ტვირთების გადაზიდვა. ლოგისტიკური სისტემის ორგანიზაცია, მ. 2003 (რუსულ ენაზე);
153. ნ. კუზმინოვი, საბაჟო ბროკერის ცნობარი, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
154. გ. ი. კასიანოვა, ექსპორტი და იმპორტი, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
155. ი. ი. კრეტოვი, კ. ვ. საღჩენკო, საგარეო-საეკონომიკური საქმე, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
156. ს. ვ. კარპოვა, ვ. კ. ოსპელოვი, ბ. მ. სმიტიენკო, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2004 (რუსულ ენაზე);

157. ვ. კაკაბაძე, გ. ამყოლაძე, სერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2000;
158. ვ. პ. კოროვიკინი, ა. ნ. ნეზადოროვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა აგროსამრეწველო კომპლექსში, მ. 2003(რუსულ ენაზე);
159. ი. პ. კომისაროვა, მ. ბ. მარელი, ექსპორტი, იმპორტი: აღრიცხვა და გადასახადები, მ. 2007(რუსულ ენაზე);
160. ტ. ე. კონჩიკინა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
161. ვ. ა. კანაშევსკი, საგარეო ეკონომიკური გარიგებები, მ. 2008(რუსულ ენაზე);
162. გ. დ. კრილოვა, სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და მეტროლოგიის საფუძვლები, მ. 2002(რუსულ ენაზე);
163. რ. კრიჭინაშვილი, სერთაშორისო ბიზნესი, თბ. 1999;
164. ბ. ფ. კევეზინი, სეაქრო ურთიერთობები, საბაჟო და მეტროლოგია რუსეთში (IX-XIX სს), მ. 2002(რუსულ ენაზე);
165. ი. გ. კისლოვოდსკი, რუსეთის საბაჟო საქმისა და საბაჟო პოლიტიკის ისტორია, მ. 2004(რუსულ ენაზე);
166. გ. ა. კორნიიჩუკი, საექსპორტო კონტრაქტების განსაკუთრებულობა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
167. ვ. პ. კლეპიკოვი, რუსეთის საექსპორტო ტვირთების შერეული გადაზიდვები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
168. ო. გ. კურნოსკინა, აფშორული კომპანიები, მ. 2006(რუსულ ენაზე);
169. ა. ს. კრუგლოვი, საბაჟო საქმის საფუძვლები, მ. 1995(რუსულ ენაზე);
170. ი. ბ. კრუგლოვი, საბაჟო წესები საზღვარგარეთ გამსვლელთათვის, მ. 2003(რუსულ ენაზე);
171. ი. შ. კილიასხანოვი, ა. პ. კიზლიკი, საბაჟო სამართალი, მ. 2008(რუსულ ენაზე);
172. ნ. კუხიანიძე-ახვლედიანი, საბაჟო სტატისტიკის აქტუალური საკითხები (ავტორეფერატი ეკ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2001;
173. ვ. ს. ლებედევა, საბაჟო სამართალი: საგამოცდო პასუხები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს, მ. 2005 (რუსულ ენაზე);
174. რ. ლიჩი, ევროპა(ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია), თბ. 2002;
175. დ. ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, თბ. 2002;
176. რ. ლორთქიფანიძე, კეთილდღეობის თეორია და რეფორმირების ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები(ლექციების კურსი), თბ. 2004;
177. ვ. ლორთქიფანიძე, საბაჟო საქმის საფუძვლები, თბ. 2002;
178. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ. 2001;
179. ვ. კ. ლომაკინი, ბრიტანეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, მ. 2004(რუსულ ენაზე);
180. ვ. კ. ლომაკინი, შსოფლიო ეკონომიკა, მ. 2003(რუსულ ენაზე);



181. ნ. ნ. ლივენცევი, გ. მ. კოსტონინა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა: საზღვარგარეთის ქვეყნების საინვესტიციო პოლიტიკა, მ. 2004;
182. პ. პ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ. 2001;
183. ა. ლივშიცი, საბაზრო ეკონომიკის შესავალი, თბ. 1996;
184. ა. ლივშიცი, ანტიდემინგო-ძალიან მძიმე რიყის ქვა. მტყორცნელო-სახელმწიფო, [www.Finiz.ru/kolonka/article979674](http://www.Finiz.ru/kolonka/article979674) (რუსულ ენაზე);
185. ა. ლივშიცი, ცოლი და ბაზარი, [www.Finiz.ru/kolonka/article1248634](http://www.Finiz.ru/kolonka/article1248634) (რუსულ ენაზე);
186. გ. ა. ლევიკოვი, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესის მართვა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
187. ი. გ. ლეხედევი, ლოგისტიკა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
188. კ. ნ. ლოდოენსკი, რუსული საბაჟო ტარიფის ისტორია, მ. 2005(რუსულ ენაზე);
189. დ. ვ. ლოუკი, საბაჟო სამსახურის მოდერნიზაციის სახელმძღვანელო, მ. 2007(რუსულ ენაზე);
190. ვ. დ. ლარიჩევი, ნ. ს. გილმუტდინოვა, საბაჟო დანაშაულებები, მ. 2001(რუსულ ენაზე);
191. პ. ლუკმა, კულტურის ეკონომიკა-შტრიხები ახალი საუკუნის მეცნიერებაზე, [www.rusrev.org/content/review/default.asp?shmode=8&ids=157&ida=2097&idv=\(რუსულ ენაზე\);](http://www.rusrev.org/content/review/default.asp?shmode=8&ids=157&ida=2097&idv=(რუსულ ენაზე);)
192. თ. მალდაკელიძე, გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება, თბ. 1999;
193. ო. ვ. მოლჩანოვა, მ. ვ. კოგანი, საბაჟო საქმე, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
194. ო. ვ. მოლჩანოვა, მ. ვ. კოგანი, საბაჟო საქმე, მ. 2005 (რუსულ ენაზე);
195. ი. მესხია, გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო გადასახდელები, თბ. 2004;
196. ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, თბ. 2002;
197. ლ. მარკოვი, სსრ კავშირის საბაჟო სამართალი, ირკუტსკი. 1973;
198. გ. მაისაშვილი, ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის, თბ. 2004;
199. ლ. ნ. მარკოვი, საბაჟო სამსახურის ისტორიის ნარკვევები, ირკუტსკი. 1987(რუსულ ენაზე);
200. ნ. ა. მიკლაშევსკაია, ა. ვ. ხოლოპოვი, საერთაშორისო ეკონომიკა, მ. 2004(რუსულ ენაზე);
201. ა. ც. მერზონი, XVII საუკუნის საბაჟო წიგნები, მ. 1957(რუსულ ენაზე);
202. ა. ხ. მელტცერი, მონეტარიზმი, [http://galery.economicus.ru/cgi-ise/gallery/frame\\_rightn.pl?type=school&links=./school](http://galery.economicus.ru/cgi-ise/gallery/frame_rightn.pl?type=school&links=./school)(რუსულ ენაზე);
203. ლ. ბ. მიროტინი, ი. ე. ტაშბაევი, სისტემური ანალიზი ლოგისტიკაში, მ. 2004(რუსულ ენაზე);
204. ლ. ბ. მიროტინი, ი. ე. ტაშბაევი, ეფექტური ლოგისტიკა, მ. 2003(რუსულ ენაზე);

205. ლ. ბ. შიროტინი, ა. ბ. ჩუბკოვი, ი. ე. ტაშბაევი, ლოგისტიკური ადმინისტრირება, მ. 2003(რუსულ ენაზე);
206. კ. ბ. შიროტინი, ა. გ. ნეკრასოვი, მიწოდების ინტეგრირებული ჯაჭვის ლოგისტიკა, მ. 2003(რუსულ ენაზე);
207. ო. ბ. მალიკოვი, საქმიანი ლოგისტიკა, მ. 2003(რუსულ ენაზე);
208. ა. ნ. მიხაილინი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მოკლე განმარტებითი ლექსიკონ-ცნობარი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
209. ნ. ვ. მილიაკოვი, საბაჟო გადასახადი, მ. 2004(რუსულ ენაზე);
210. გ. მოკროვი, საერთაშორისო ვაჭრობა, ეკონომიკური უსაფრთხოება და საბაჟო დანაშაული, მ. 2004(რუსულ ენაზე);
211. ი. ბ. მიხევევი, საბაჟო სავალუტო კონტროლი. პრაქტიკული სახელმძღვანელო, მ. 1997(რუსულ ენაზე);
212. ა. ფ. ნოზდრაჩევი, საბაჟო საქმის ადმინისტრაციული ორგანიზაცია, მ. 2005 წ.(რუსულ ენაზე);
213. ა. ფ. ნოზდრაჩევი, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
214. ა. ბ. ნოვიკოვი, საბაჟო რეგულირება: გამოშვება 1: სტატისტიკის კრებული, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
215. კ. ს. ნაზარენკო, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო გაფორმება, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
216. ვ. ნაზარენკო, კ. ნაზარენკო, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო მომსახურება. მ. 2001 (რუსულ ენაზე);
217. რ. ბ. ნოზდრევა, საერთაშორისო მარკეტინგი, მ. 2005(რუსულ ენაზე);
218. ი. ნათელაური, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება, თბ. 2004;
219. ვ. ვ. ნიკიფოროვი, ლოგისტიკა. ტრანსპორტი და საწყობი მიწოდების ჯაჭვში, მ. 2008(რუსულ ენაზე);
220. ი. ნიკიფოროვი, მ. მასკინი, „ოქროს“ სიტყვა ინკოტერმში, [www. Friends-partners. Org/partners/fplegal/jrlaw/incoterms2000.htm](http://www.Friends-partners.Org/partners/fplegal/jrlaw/incoterms2000.htm)(რუსულ ენაზე);
221. ვ. ე. ნიკოლაიჩუკი, სატრანსპორტო-სასაწყობო ლოგისტიკა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
222. დ. ს. ნიკოლაევი, საერთაშორისო სავაჭრო გადაზიდვები, მ. 1995(რუსულ ენაზე);
223. ნ. ოხანაშვილი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო (ბიულეტენი №22, აპრილი, 1999 წ. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი);
224. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ტ-I, ტ-II, თბ. 1991-93;
225. პ. ოლინი, ა. ჯოლიფი, ინგლისურ-ქართული ფინანსური ლექსიკონი, თბ. 2002;
226. ი. ვ. პავლოვი, ა. ი. პოტაპოვი, დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების და ფულის

- ნიშნების ნამდვილობის კონტროლი, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
227. ვ. პაპაევა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პრაქტიკა), თბ. 2005;
228. ვ. პაპაევა, სახელმწიფო, ბაზარი და ეკონომიკა გადასახადების გარეშე, თბ. 1993 (რუსულ ენაზე);
229. ვ. პაპაევა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა—„უკლავი“ იდეა, თბ. 2007;
230. ვ. პაპაევა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ, 2002;
231. ვ. ვ. პილიაევა, საბაჟო საქმისა და საბაჟო პოლიტიკის ისტორია რუსეთში, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
232. ვ. ი. პრესნიაკოვი, საბაჟო პოლიტიკა რუსეთში თანამედროვე ეტაპზე, მ. 1997. (რუსულ ენაზე);
233. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ. 1980;
234. ვ. ვ. პოკროვსკაია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
235. ს. ე. პიოვაროვი, ლ. ს. ტარასევიჩი, ა. ი. მაიზელი, საერთაშორისო მენეჯმენტი, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
236. ა. პ. პორტანსკი, მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა და ევროკავშირი (1994-2004), მ. 2005 (რუსულ ენაზე);
237. ვ. ვ. პოლიაკოვი, ვ. ვ. შენინი, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ბიზნესი, მ. 2005 (რუსულ ენაზე);
238. ა. კ. პაშკოვი, ი. ნ. პოლიარინი, სასაწყობო მუერნობა და სასაწყობო სამუშაოები, მ. 2003 (რუსულ ენაზე);
239. ი. პეტროვი, ი. კუდრიავეცევა, საბაჟო რეგულირების პრაქტიკა, მ. 1994 წ (რუსულ ენაზე);
240. ვ. ვ. პერსკაია, რუსეთის ეკონომიკური იდეოლოგია და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
241. კ. ი. პლუენიკოვი, ი. ა. ჩუნტომოვა, საგარეო სავაჭრო კონტრაქტების სატრანსპორტო პირობები, მ. 2002 (რუსულ ენაზე);
242. მ. ა. პოტაპოვი, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განვითარების საგარეო ეკონომიკური მოდელი, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
243. ს. პოპოვი, ფირმის საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
244. ე. ფ. პროკუშევი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
245. ე. ფ. პროკუშევი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა. ინკოტერმს 2000, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
246. ე. ფ. პროკუშევი, ო. პ. მატვეევა, საქონლის ექსპორტისა და იმპორტის

- ლიცენზირება, მ. 2000(რუსულ ენაზე);
247. ო. მ. პოპოვიჩი, ი. ს. ტიხომიროვა, საბაჟო სამართალი, მ. 2004(რუსულ ენაზე);
248. ვ. გ. პანსკოვი, ვ. ვ. ფედოტიკინი, რუსეთის საგარეო საეკონომიკური საქმიანობის საბაჟო რეგულირება, მ. 2008(რუსულ ენაზე);
249. ე. ვ. უირიაევა, ექსპერტიზა საბაჟო საქმესა და საერთაშორისო ვაჭრობაში, მ. 2003(რუსულ ენაზე);
250. ვ. ი. შუკოვეცი, საბაჟო სამართალი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
251. ნ. ფუნია, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, თბ. 2006;
252. მ. მ. რასსოლოვა, საბაჟო სამართალი, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
253. ა. რ. რადიონოვი, რ. ა. რადიონოვი, ლოგისტიკა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
254. ი. რამბერგი, ინკოტერმს 2000-ის კომენტარები, მ. 2003(რუსულ ენაზე);
255. ზ. როგაევა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ. 2002;
256. ი. მ. როსტოვსკი, ვ. ი. გრეჩკოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
257. ვ. ე. რიბალკინი, ი. ა. შერბანინი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
258. დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვის საფუძვლები, თბ. 1937;
259. ნ. ი. როდიგინა, საგარეო საეკონომიკური ოპერაციების ორგანიზაცია და ტექნიკა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
260. მ. გ. როზენბერგი, საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი, მ. 2003(რუსულ ენაზე);
261. ე. ვ. რომანოვა, საბაჟო გადასახდელები, მ. 2005(რუსულ ენაზე);
262. ა. როდრიგესი, ექსპორტირებული საქონელი. დღ-ის ნულოვანი განაკვეთის გამოყენების წესები(ყურნალი „გადასახადები. 2001 წ. №12)(რუსულ ენაზე);
263. ვ. რუტკაიზერი, ი. ოკოროკოვი, საბაჟო ღირებულება და მისი შეფასება, მ. 2007(რუსულ ენაზე);
264. ტ. ბ. რუბინშტეინი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: პრაქტიკული ასპექტი, მ. 2004(რუსულ ენაზე);
265. ფ. რუხაია, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა და მისი სრულყოფის გზები. —სამეცნიერო კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტომი 3. —თბ, ფსკი, 1999, გვ. 364-373;
266. ფ. რუხაია, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების თავისებურებანი გარდამავალ ეტაპზე. —სამეცნიერო კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტომი 4. —თბ, ფსკი, 2000, გვ. 383-389;

267. ფ. რუხაია, საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ფინანსური ასპექტები. – სამეცნიერო კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტომი 5. –თბ, ფსკი, 2001, გვ. 272-281;
268. ფ. რუხაია, საბაჟო ტარიფების დამცავი ფუნქციის შესახებ. – ჟ. „ეკონომიკა“, 2003, №5-6;
269. ფ. რუხაია, საბაჟო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორი. – ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;
270. ფ. რუხაია, საქონლის საბაჟო ღირებულება, როგორც გადასახადების გაანგარიშების საფუძველი. – ჟ. „გადასახადები“, 2003, №18;
271. ფ. რუხაია, საბაჟო-საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და რეგულირების თავისებურებები საქართველოში გარდამავალ ეტაპზე(ავტორეფერატი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2004;
272. ი. ნ. სამოლაევი, საბაჟო ლოგისტიკის საფუძვლები, მ. 2008 (რუსულ ენაზე);
273. მ. მ. სავჩენკო, დ. ი. მენდელეევი და საბაჟო ტარიფი, [www.hist.msu.ru/Labs/Ecohis/OB10/SEM/Savhenko.html](http://www.hist.msu.ru/Labs/Ecohis/OB10/SEM/Savhenko.html), (რუსულ ენაზე);
274. ა. სემიანინოვი, ვ. კრაშნინიკოვი, ვ. ნადომოვი, გადასახადები და საბაჟო გადასახდელები, მ. 1995 (რუსულ ენაზე);
275. კ. კ. სანდროვსკი, საბაჟო სამართალი, კიევი. 1974(რუსულ ენაზე);
276. მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათუმი. 2003;
277. ა. სვირიდოვი, ე. ვლასოვა, საერთაშორისო საბაჟო, მ. 2003(რუსულ ენაზე);
278. გ. პ. სემენოვა, ტვირთების დეკლარირება და საბაჟო გაფორმება(2-ტომად), მ. 2001(რუსულ ენაზე);
279. ა. ა. სუეტინი, საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ურთიერთობები, მ. 2006(რუსულ ენაზე);
280. ვ. გ. სვინუხოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო-სატარიფო რეგულირება და საბაჟო ღირებულება, მ. 2005(რუსულ ენაზე);
281. ვ. გ. სვინუხოვი, საბაჟო საქმე, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
282. ვ. გ. სვინუხოვი, ტ. ნ. ოკანოვა, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე პირთა დაბეგვრა, მ. 2008(რუსულ ენაზე);
283. ი. ფ. სიმონოვი, ბ. პ. ნოსკო, ა. ა. გილიანო, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ღონის როსტოვი. 2005(რუსულ ენაზე);
284. კ. ა. სემენოვი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2003(რუსულ ენაზე);
285. კ. ა. სემენოვი, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, მ. 2001(რუსულ ენაზე);
286. ვ. ი. სავინი, დ. ლ. შური, ტვირთების გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტით, მ. 2007(რუსულ ენაზე);

287. ვ. ი. სავინი, სასაწყობო საქმიანობის ორგანიზაცია, მ. 2007(რუსულ ენაზე);
288. ვ. ი. სავინი, ტვირთების გადაზიდვა რკინიგზის ტრანსპორტით, მ. 2007(რუსულ ენაზე);
289. ვ. ი. სერგეევი, მ. ი. ჩეპურნოი, ლოგისტიკის ცნობარი. ტ-2. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
290. ს. ვ. სარკისოვი, მიწოდების ლოგისტიკური ვაჭვის მართვა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
291. ე. ვ. სარაფანოვა, ლოგისტიკა. 100 საგამოცდო პასუხი, მ. 2005(რუსულ ენაზე);
292. ჩ. სკოვრონევი, ე. სარიუშვოლი, საწარმოს ლოგისტიკა, მ. 2004(რუსულ ენაზე);
293. კ. სანდროვსკი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, კიევი. 2001(რუსულ ენაზე);
294. ი. სუდარიატნო, ა. პრუდნიკოვა, ნ. ჩაგუნაევა, საბაჟო გადასახდელები, მ. 2001(რუსულ ენაზე);
295. ი. პ. სუდარიატნო, ა. ა. პრუდნიკოვა, ნ. ე. ჩაგუნაევა, საბაჟო გადასახდელები, მ. 2003(რუსულ ენაზე);
296. ა. ვ. სვირიდოვი, სამყაროთაშორისო საბაჟო, მ. 2003(რუსულ ენაზე);
297. ნ. ა. სბერეგაევი, საწარმოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები, მ. 2007(რუსულ ენაზე);
298. პ. ბ. სტრუვე, რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
299. ა. ა. სოლოვიევი, საბაჟო საქმე, მ. 2008(რუსულ ენაზე);
300. ბ. მ. სმიტიენკო, ვ. კ. წაოსპელოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
301. ვ. ლ. სელცოვსკი, საგარეო ვაჭრობის ანალიზის ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
302. ლ. ე. სტროვსკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები, მ. 2003(რუსულ ენაზე);
303. ს. პ. სერგეევი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
304. ა. გ. სერგეევი, მ. ვ. ლატიშევი, სერტიფიკაცია, მ. 2002 (რუსულ ენაზე);
305. დ. ვ. სტახანოვი, ვ. ნ. სტახანოვი, საბაჟო ლოგისტიკა, მ. 2001(რუსულ ენაზე);
306. ს. ი. სობოლევსკაია, ე. ნ. სობოლევსკი, დაბეგვრის სქემები საბაჟო რეჟიმების ჩარჩოებში, მ. 2002(რუსულ ენაზე);
307. ი. ვ. სემენოვა, ი. ა. ცინდელიანი, საბაჟო კანონმდებლობის ნორმების დარღვევების საქმეთა განხილვა. სასამართლო პრაქტიკა და კომენტარები. 2008(რუსულ ენაზე);
308. გ. პ. სემენოვა, საბაჟო გადაზიდვები, მ. 2001(რუსულ ენაზე)
309. კ. ა. სემენოვი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2003(რუსულ

ენაზე);

310. ა. სმიტი, გამოკვლევა ზალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ. 1938;

311. ბ. სოფრომაძე, საგარეო ვაჭრობის საბაჟოსთან კავშირურთიერთობის განმტკიცების ძირითადი მიმართულებანი (ავტორეფერატი ეკ. მეც. კანდ. სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2001;

312. ა. სხვიტარიძე, საგარეო ვაჭრობის უფექტიანობა, თბ. 1997;

313. ი. ვ. ტიმოშენკო, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);

314. ი. ვ. ტიმოშენკო, საბაჟო სამართალი, მ. 2008 (რუსულ ენაზე);

315. ი. ვ. ტიმოშენკო, პრაქტიკული საბაჟო სამართალში, მ. 2007 (რუსულ ენაზე);

316. ნ. ტერაშვილი, საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციების შევსების წესები, თბ. 2003;

317. ნ. ტერაშვილი, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბ. 2006;

318. ი. გ. ტენი, ფინანსების როლი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნასა და ფუნქციონირებაში, როგორც რუსეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი მიმართულება, <http://referat-monster.ru/online/16/7255.html> (რუსულ ენაზე);

319. ა. ვ. ტოლკუშკინა, საბაჟო საქმე, მ. 2008 (რუსულ ენაზე);

320. ს. ა. ტარანი, როგორ გაუეკუთოთ ორგანიზება საწყობს. პროფესიონალის პრაქტიკული რეკომენდაციები, მ. 2008 (რუსულ ენაზე);

321. ვ. პ. ტარასიკი, ს. ა. რინკევიჩი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის ინტელექტუალური სისტემები, მ. 2004 (რუსულ ენაზე);

322. ა. ვ. ტანიჩევი, ლოგისტიკა. გამოცდები პრობლემების გარეშე, მ. 2003 (რუსულ ენაზე);

323. ტ. ნ. ტროშკინა, საბაჟო გადასახდელები, მ. 2007 (რუსულ ენაზე);

324. ტ. ნ. ტროშკინა, რუსეთის ფედერაციის საბაჟო კოდექსი კითხვებსა და პასუხებში, მ. 2004 (რუსულ ენაზე);

325. გ. ვ. ტურბანი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეკონომიკა და მართვა, მ. 2007 (რუსულ ენაზე);

326. ს. ა. ტოლკაჩევი, საერთაშორისო ეკონომიკა. თეორია და პრაქტიკა, მ. 2001 (რუსულ ენაზე);

327. დ. ლ. უშაკოვი, ოფშორული ზონები რუსეთის გადასახადის გადამხდელების პრაქტიკაში, მ. 2001 (რუსულ ენაზე);

328. ბ. ულინი, რეგიონთაშორისო და საერთაშორისო ვაჭრობა, მ. 2004 (რუსულ ენაზე);

329. გ. ურიდია, თ. დვალი, საგადასახადო განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1997;

330. გ. ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბ. 2001;

331. გ. ურიდია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, თბ. 2002;

332. გ. ურიდია, მ. არახამია, საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, თბ. 2003;
333. გ. ურიდია, ფ. რუხაია, მ. არახამია, საბაჟო გაფორმება TIR და ATA(CPD) კარნეტის პრინციპებით, თბ. 2004;
334. გ. ურიდია, ფ. რუხაია, დ. აბესაძე, მ. არახამია, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, თბ. 2004;
335. გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბ. 2005;
336. გ. ურიდია, საერთაშორისო საბაჟო კონვენციების კომენტარები, თბ. 2006;
337. გ. ურიდია, ფ. რუხაია, ა. ბაკურიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ. 2007;
338. გ. ურიდია, ფ. რუხაია, დღგ, თბ. 2007;
339. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო ტესტები, თბ. 2008;
340. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო გადასახადი და წარმოების სუბსიდირება თბ. 2008;
341. გ. ურიდია, საბაჟო კონტროლის არსი და ფორმები(ჟურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“ №2, 1998 წ.);
342. გ. ურიდია, თვითღირებულების კალკულაციისა და საბაჟო დაბეგვრის კაზუალური კავშირის საკითხისათვის(ჟურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, დეკემბერი, 1997 წ.);
343. გ. ურიდია, მ. არახამია, ეროვნული ვალუტის დეველუაციის გავლენა საქონლის ექსპორტზე და მისი ფისკალური შედეგები(ჟურნალი „გადასახადები“, ივნისი, 2003 წ. №11-12);
344. გ. ურიდია, ეკონომიკურ კატეგორიათა განსაზღვრების მეთოდოლოგიური საფუძვლები (ავტორეფერატი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად) თბ. 1992;
345. მ. ფრიდმანი, კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ. 2002;
346. ს. ფიშერი, რ. დორნბუმი, რ. შმალენზი, ეკონომიკა, ტ-I-IV, თბ. 1997;
347. პ. ფრიში, ინფლაციის თეორია(გამოცემის თარიღი მითითებული არ არის);
348. ე. ფედერი, ფრაქტალები, მ. 1991(რუსულ ენაზე);
349. მ. ფეიქროვილი, საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში, თბ. 1998;
350. ნ. პ. ფიგურნოვა, საერთაშორისო ეკონომიკა, მ. 2005(რუსულ ენაზე);
351. ვ. ფომინივი, საერთაშორისო ვაჭრობა, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
352. ვ. ფედოტკინი, ი. ფედოტკინა, საგარეო ეკონომიკური ტერმინების და განსაზღვრებების ლექსიკონ-ცნობარი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
353. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ. 1974;
354. ვ. ქარუმიძე, საბაჟო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ. 2004;
355. ვ. ქარუმიძე, საბაჟო საქმე, თბ. 1999 წ;
356. ვ. ქარუმიძე, საქართველოს საბაჟო სამართალი, თბ. 1998;



357. ვ. ქარუმიძე, საბაჟო საქმის საფუძვლები, თბ. 1996;
358. ვ. ქარუმიძე, საბაჟო სამართალი, თბ. 2001;
354. ვ. ქარუმიძე, ი. ხარაზი, გ. იმედაშვილი, დ. გეფერძე, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ. 2004;
359. ნ. ქოიავა, საერთაშორისო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკა, ტფ. 1925;
360. ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 1997;
361. ვ. ა. შამახოვა, საბაჟო ღირებულება, მ. 2007 წ(რუსულ ენაზე);
362. ვ. ა. შამახოვა, საბაჟო სისტემა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ფაქტორი, მ. 2000(ავტორეფერატი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად)(რუსულ ენაზე);
363. პ. ს. შევჩუკი, თ. პ. პოპოვი, საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებების გამოყენების თეორია და პრაქტიკა, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
364. დ. ა. შევჩუკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2006(რუსულ ენაზე);
365. ს. ვ. შაეროვა, საბაჟო. ყველა საბაჟო გადასახადი, გადასახადები, მოსაკრებლები და გადასახდელები, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
366. ვ. ა. შეგორცოვი, ბ. ა. ტარანი, მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიო ფინანსური სისტემა. საერთაშორისო ფინანსური კონტროლი. მ. 2005(რუსულ ენაზე);
367. დ. შეხტერი, გ. სანდერი, ლოგისტიკა. მიწოდების ჯაჭვების მართვის ხელოვნება, მ. 2008(რუსულ ენაზე);
368. ი. გ. შაბლინსკი, საბაჟო პროცედურები და ლოგისტიკა, მ. 2007(რუსულ ენაზე);
369. ნ. ნ. შიშკოვდოვა, ექსპორტი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
370. მ. მ. შუმილოვი, რუსეთის საბაჟო საქმისა და საბაჟო პოლიტიკის ისტორია, მ. 2001(რუსულ ენაზე);
371. თ. შენგელია, საერთაშორისო შარკეტინგი, თბ. 1992;
372. ა. ვ. ჩიგაკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო რეგულირება, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
373. დ. ვ. ჩუხვიჩევი, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
374. გ. ნ. ჩმელი, მცირე საბაჟო ენციკლოპედია, მ. 1997(რუსულ ენაზე);
375. გ. ჩეკმარევა, საბაჟო საქმის საფუძვლები(მოკლე კურსი). დონის როსტოვი. 2006.
376. ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 1975;
377. ვ. ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ. 2004;
378. ვ. ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები, თბ. 1972;
379. ვ. ჩანტლაძე, ფინანსების თეორიის საკითხები, თბ. 1987;
380. ვ. ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ. 1992;
381. ვ. ჩანტლაძე, ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია, თბ. 1986-87;
382. ვ. ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები, თბ. 1966;
383. ვ. ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიური შეხედულებები, თბ.

1959;

384. ლ. ჩაგელიძევილი, საერთაშორისო ბიზნესი, თბ. 2000;

385. ა. ვ. ჩერნოვალოვი, ლოგისტიკა. თანამედროვე პრაქტიკული გამოცდილება, მ. 2008(რუსულ ენაზე);

386. ა. დ. ჩუდაკოვი, ლოგისტიკა: 500 კითხვა და პასუხი, მ. 2005(რუსულ ენაზე);

387. მ. ვ. ჩინიონოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დაზღვევა, მ. 2008(რუსულ ენაზე);

388. ნ. ა. ჩერნიშევა, რუსეთი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: მიერთებისა და თანაშრომლობის აქტუალური პრობლემები, მ. 2007(რუსულ ენაზე);

389. ვ. ი. ჩერენკოვი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა: ძირითადი პრინციპები, მ. 2007(რუსულ ენაზე);

390. ა. ვ. ჩიგაკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მ. 2007(რუსულ ენაზე);

391. ი. ვ. ჩუფაროვსკი, საბაჟო სამართალი, მ. 2005(რუსულ ენაზე);

392. თ. ციგროშვილი, თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი, თბ. 2005;

393. ი. გ. ცვეტკოვი, საერთაშორისო ვაჭრობა ძვირფასი ქვებით, მ. 2004(რუსულ ენაზე);

394. გ. ნიფურია, საქართველოს საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია, თბ. 1999;

395. ი. ქაჭავაძე, სატაშოენე პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა, თბ. 10 ტომად, ტ-VII, თბ. 1956;

396. ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ. 1987;

397. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2007 (რუსულ ენაზე);

398. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2005 (რუსულ ენაზე);

399. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო ბროკერის სამაგიდო წიგნი, მ. 2007(რუსულ ენაზე);

400. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო კონტროლი, მ. 2005(რუსულ ენაზე);

401. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო რეჟიმები და საეციალური საბაჟო პროცედურები, მ. 2007(რუსულ ენაზე);

402. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო ბროკერი, მ. 2006(რუსულ ენაზე);

403. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2001(რუსულ ენაზე);

404. ს. ვ. ხალიპოვი, საბაჟო სამართალი, მ. 2003(რუსულ ენაზე);

405. ე. დ. ხალევისკაია, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მ. 2004(რუსულ ენაზე);

406. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ. 2007;

407. ი. ხარაზი, პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევებისათვის, თბ. 2006;

408. ი. ხარაზი, საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმები. სამართლებრივი რეგულირება, თბ. 2006;

409. ი. ხარაზი, გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება(ავტორეფერატი იურ. მეც. კანდ. სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2004;

410. ი. ხარაზი, გ. იმედაშვილი, თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი(კრებულში-ფ. გოგიჩაიშვილის სახ. იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომები(I), თბ. 2008;
411. უ. მ. ხასსი, დ. ს. ლოუბიკი, მსოფლიო საგადასახადო კოდექსის საფუძვლები კომენტარებით, მ. 1996 წ(რუსულ ენაზე);
412. ნ. ხმაღაძე, საერთაშორისო გადაზიდვების საბაჟო ოპერაციები(კრებულში-ფ. გოგიჩაიშვილის სახ. იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტე, სამეცნიერო შრომები(I), თბ. 2008;
413. ი. ფავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ-4-5, თბ. 1979-85;
414. ე. გვერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ. 2002;
415. გ. ჯოლია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ 1998;
416. გ. ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2007;
417. თ. ჯოლოხაძე, საბაჟო ეკონომიკა: არსი, დამახასიათებელი ნიშნები(ყურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2000წ);
418. თ. ჯოლოხაძე, საბაჟო ტარიფები საქართველოში, ყურნ. „ეკონომიკა“ №3-4, თბ. 1992;
419. ახალი აღთქმა, გადამუშავებული გამოცემა, სტოკჰოლმი, 1993 წ. რედაქტორები: ზ. კიკნაძე და მ. სონლულაშვილი;
420. ახალი საბაჟო რეგულირებაში, მ. 1996(რუსულ ენაზე);
421. ბობლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ. 1989;
422. გადასახდელები და გადასახადები, მ. 2004(რუსულ ენაზე);
423. გერმანიის საეკურო მოწყობა, თარგმანი გერმანულიდან მ. 2005(რუსულ ენაზე);
424. ევროპის სამართალი: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. რედ. ლ. მ. ენტინი 2000(რუსულ ენაზე);
425. ექსპორტი: საბაჟო რეგულირება(საბაჟო აღმანახი), მ. 2000(რუსულ ენაზე);
426. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: პრინციპები, მიზნები, ფუნქციები(ყურნალი, საბაჟო-2001 წ. №16, გვ.6)(რუსულ ენაზე);
427. ინკოტერმსი-2000, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
428. ინკოტერმს-2000-ის საერთაშორისო კომერციული ცნებების კომენტარები, მ. 2000(რუსულ ენაზე);
429. მსოფლიო ეკონომიკა, ა. ს. ბულატოვის რედაქციით, მ. 2008(რუსულ ენაზე);
430. მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რ. ი. ხასბულატოვის რედაქციით, მ. 2006(რუსულ ენაზე);
431. მსოფლიო ეკონომიკა, ი. პ. ნიკოლაევას რედაქციით, მ. 2006(რუსულ ენაზე);
432. რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის განმარტებები, მ. 2000(რუსულ ენაზე);
433. რუსეთის ფედერაციის საბაჟო კოდექსის კომენტარები, ი. ფ. აზაროვას საერთო

- რედაქციით, მ. 2004;
434. საქონლის კოდირებისა და აღწერის ჰარმონიზებული სისტემა(მეოთხე გამოცემა), მ. 2007 (რუსულ ენაზე);
435. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება. საერთაშორისო შეთანხმებები, მ. 2001(რუსულ ენაზე);
436. საქონლის შემოტანა/გატანის რეგულირება, მ. 2001(რუსულ ენაზე);
437. საბაჟო კლასიფიკატორები, მ. 2007 (რუსულ ენაზე);
438. საბაჟო კონტროლი. პრინციპები და ფორმები. მ. 2006 (რუსულ ენაზე);
439. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, მ. 2006 (რუსულ ენაზე);
440. საქონელი და მისი დეკლარირება(საბაჟო აღმანახი), მ. 2004 (რუსულ ენაზე);
441. საქონლის შენახვა, მ. 2004 (რუსულ ენაზე);
442. საბაჟო საქმის საფუძვლები, ვ. გ. დრაგანოვის საერთო რედაქციით, მ. 1998 (რუსულ ენაზე);
443. საბაჟო სამართალი, ვ. გ. დრაგანოვის და მ. მ. რასსოლოვის რედაქციით, მ. 2001 (რუსულ ენაზე);
444. საბაჟო სამართალი, ბ. ნ. გაბრიჩიძის რედაქციით, მ. 1995 (რუსულ ენაზე);
445. საბაჟო სამართალი, ა. ფ. ნოზდრანჩევის რედაქციით, მ. 1995 (რუსულ ენაზე);
446. საბაჟო საქმის საფუძვლები, მესამე გამოცემა, საბაჟო ორგანოების ეკონომიკური საქმიანობა, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი ა. ს. კრუგლოვი, მ. 1996 (რუსულ ენაზე);
447. საბაჟო ენციკლოპედიური ცნობარი(ორ ტომად) ი. ი. კრასნიანსკის რედაქციით, მ. 1999(რუსულ ენაზე);
448. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, ნ. ნ. ლივენცევის რედაქციით, მ. 2006(რუსულ ენაზე);
449. საქონელი და მისი კლასიფიკაცია, მ. 2005(რუსულ ენაზე);
450. საბაჟო კონტროლი. პრინციპები და ფორმები, მ. 2006(რუსულ ენაზე);
451. საწარმოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, ე. სტროვსკის რედაქციით, მ. 2007(რუსულ ენაზე);
452. სავაჭრო პოლიტიკის საფუძვლები და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესები, მ. 2006(რუსულ ენაზე);
453. საუკეთესო რეფერატები საბაჟო საქმეში, შემდეგენელი გაბრიელოვა, მ. 2002(რუსულ ენაზე);
454. საქონლის ტრანზიტი(საბაჟო აღმანახი), მ. 2003(რუსულ ენაზე);
455. საბაჟო ენციკლოპედია, მ. 2004(რუსულ ენაზე);
456. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე(საბაჟო აღმანახი), მ. 2000(რუსულ ენაზე);
457. საქონლის გადაადგილება საბაჟო კონტროლქვეშ(საბაჟო აღმანახი), მე-2

- გამოცემა, მ. 2001(რუსულ ენაზე);
458. საბაჟო ღირებულება, სახელმძღვანელო ლ. ა. ბონდარის რედაქციით, მ. 2007(რუსულ ენაზე);
459. საერთაშორისო ექსპლიტორი, გ. კ. სემენოვის რედაქციით, მ. 2002(რუსულ ენაზე);
460. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, ნ. ნ. ლოვენცევის რედაქციით, მ. 2006(რუსულ ენაზე);
461. სატრანსპორტო-საექსპლიტორი საქმიანობის საფუძვლები, ა. დანელია და სხვები, თბ. 2000წ;
462. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა(კრებული), ნ. 2000(რუსულ ენაზე);
463. საბაჟო გადასახდელები, სანკტ-პეტერბურგი. 2005(რუსულ ენაზე);
464. საბაჟო საქმე და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, <http://zaznaika.ru/referat/34363.html> (რუსულ ენაზე);
465. სახელმწიფო შესყიდვები ძველ რუსეთში, <http://rusinst.ru/articletext.asp?rzd=1&id=6861&tm=13>(რუსულ ენაზე);
466. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის წესები, [http://revolution.Allbest.Ru/custom/00025591\\_0.html](http://revolution.Allbest.Ru/custom/00025591_0.html) (რუსულ ენაზე);
467. საბაჟო კონტროლი, [http://revolution.Allbest.Ru/custom/00010092\\_0.html](http://revolution.Allbest.Ru/custom/00010092_0.html)(რუსულ ენაზე);
468. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო-საბაჟო რეგულირება, [http://revolution.Allbest.Ru/custom/00001217\\_0.html](http://revolution.Allbest.Ru/custom/00001217_0.html)(რუსულ ენაზე);
469. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1986 ;
470. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არ. ჩიქობავას რედაქციით, თბ 1986;
471. ჩატვირთვა და გადატვირთვა. სატვირთო მენეჯერის ცნობარი, მ. 2007(რუსულ ენაზე);
472. TIR-კარნეტის კონვენციის ცნობარი, ნიუ-იორკი და ჟენევა. 2005 წ(რუსულ ენაზე);
473. word customs organization, technical committee on costoms valuation, 14 th session, Brussels, 23 january 2002. The exchenge of valuation information;
474. Frequently asked questions on costoms valuation(international trade centre, commonwealth secretariat) published by commonwealth secretariat malborough house pall mall, London and international trade centre palais des nations, Ceneva, Switzerland, june 2001;
475. Word trade organization. Treining manval for customs valuation. Wto omc. Tb. 2002;
476. Richard Walio, Liza Santatana, US Costoms, Valuation Traaining, December 6-10. 2004;

ქალაქი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე  
ქალაქის ზომა 60x84. ტირაჟი 500 ცალი